

114  
1952/2

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

# მედიცინა

9

საბჭოთაო



1952

# მნათობი



ქრისტიანული ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საბართველოს საბავთა მფარველის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხრე

137485  
5119

9

★

სეპტემბერი



19

სახელგამი  
თბილისი

52





ათასნაირ კითხვებით  
დაგქანცავენ ბაღლები:  
— მზე რა არის, მითხარი,  
ზღვას რადა აქვს ტალღები?  
ბავშვს იტაცებს ყოველი,  
ერთ კითხვას არ გაემარებს;  
ყველაფერის გაგება  
მყისვე უნდათ პატარებს.  
— „დედი, რაა სტალინი?“ —  
ლამბრინს ჰკითხავს პატარა,  
დიდ სტალინის სურათი  
დედამ ყველგან ატარა.  
და ჰა, აგერ, ციხეშიც,  
ოჲნ აქვს შუქმომფინარი...  
როგორ უთხრას, რა ენით  
ბავშვს, სტალინი ვინ არის?  
რარიგ გადაუშალოს  
პატარების ენითა  
გრძნობა უღიადესი,  
გულში ტკბილად ფარული;  
როგორ უთხრას პატარას,  
მისებრ აღმაღრენითა,  
რომ შუქია სტალინი,  
მზეა და სიხარული.  
რომ სტალინის სახელი,  
როგორც დიდი მდინარე,  
ხალხებს აძლევს სინათლეს,  
ბრწყინვალეობით სავსეა,  
რომ სტალინის სახელი,  
მალლით შუქმომფინარი  
თვით ოლიმპის მწვერვალის  
წმინდა თოვლის მსგავსია.  
ჯერ ხომ,  
ჯერ ხომ პატარა  
გარეთ არცა ყოფილა,  
შუქი რაა, მზე რაა  
მან ხომ დღემდე არ იცის,  
ამ საკანში გაზრდილა,  
ამ საკანში შობილა,  
თვალიც კი არ მოუყრავს  
მზისთვისა და მთვარისთვის.

ის არ იცნობს სინათლეს,  
ის არ იცნობს სიხარულს,  
იცნობს საკნის კედლებზე  
წვეთებს ცრემლად მიცვარულს,  
მან არ იცის, რა არის  
წმინდა თოვლი მთებისა,  
იცის მხოლოდ გაშლილი  
თეთრი თმები დედისა.  
არ უნახავს მდინარე —  
სილამაზე ბუნების,  
ახსოვს მხოლოდ საკანში  
სისხლის ნაკადულები.  
— „დედო, რაა სტალინი?“  
ლამბრინს ჰკითხავს პატარა,  
დედამ მისი სურათი  
ათას ცეცხლში ატარა,  
რომ მიეძღვნა შვილისთვის  
ვით შუქურა ნათელი,  
როგორც გზის დამსახველი,  
წამებისგან დამხსნელი.  
პირის უხმოდ ამტანი,  
მშვიდი, თვალცრემლიანი,  
ცივ საკანში მჯდომარე  
გულში ჰფიქრობს მშობელი:  
ზღვაა აღერსიანი,  
— შეილო, შენთვის სტალინი  
მტრისთვის ოკეანეა,  
მარად დაუნდობელი.  
ყველა ბავშვის მამაა...  
ხოლო მამას საკუთარს  
არ იცნობდა ლამბრინის  
პირმშო, ბიჭი საწყალი,  
ბავშვის დაბადების დღეს  
მამა უკვე დახვრიტეს,  
საბერძნეთის ერთგული,  
მისი ხსნისთვის დამწვეარი.  
და უამბობს მშობელი  
შობილს მამის ამბავსა,  
სურს რომ უთხრას;  
— სტალინი ვარდობაა  
მთაბარის —

მეგრამ ბიჭი პატარა  
როდი იცნობს მთა-ბარსა,

\* ალექსის პარნისი თანამედროვე ბერძენი პოეტი.

მისთვის გარე ქვეყანა  
 ზღაპარია, ზღაპარი...  
 არ სმენია ველებზე  
 თავთავების შრიალი,  
 ქროლვა მაცოცხლებელი  
 ნიავის და ქარისა,  
 მწიფე პურის ყანებში  
 მჭრელი ნამგლის ტრიალი,  
 ისე ვით ვარსკვლავებში  
 შეკრა ახალ მთვარისა.  
 არ გასულა ზღვისპირად  
 ფეხშიშველა, ჯანმრთელი,  
 არ უგრძენია ზღვის ქვიშის  
 სითბო ალერსიანი,  
 პორიზონტზე მიმქრალი  
 ჩამავალ მზის ნათელი  
 და საღამოს ნიავის  
 ხუტუქ მთებში სრიალი.  
 არ უნახავს ბაბუა,  
 ჭადრის ძირას დამჯდარი,  
 როგორ იწვის ჩიბუხი  
 მაგრამ მაინც არ იწვის;  
 არ უნახავს მინდორში  
 ცად აწვდილი ჭადარი,  
 როგორია ქვეყანა  
 მან არ იცის  
 არ იცის.  
 არაფერი არ იცის  
 ცივ საკანში მჯდომარემ,  
 მამ, ვინ არის სტალინი  
 რით აუხსნის მშობელი,  
 გადის ღამე პირველი,  
 გადის ღამე მეორე  
 და სდუმს დედა მწუხარე,  
 ცრემლებმშეუწრობელი.  
 და ის დილაღ გათენდა,  
 დილა უკანასკნელი,  
 საკანს დაარახუნეს,  
 კარს მოადგა ჯალათი,  
 დედა მშვიდად წამოდგა  
 მრავალღამენათევი,  
 წაახტრა პატარას  
 დაფლეთილი ხალათი.

ირგვლივ თვალი მოავლო  
 საკანს, როგორც <sup>ქვიშობა</sup>მშობელმა  
 დადგა გმირი მშობელმა <sup>მშობელმა</sup>მშობელმა  
 გაღვიძებულ შვილის წინ,  
 ის მზად არის,  
 მზად არის  
 სისხლი მისცეს მშვიდობას,  
 როგორც რძე მიუცია  
 უსაყვარლეს შვილისთვის.  
 მშვიდი არის იმგვარად,  
 როგორც გლახის ქალია,  
 სამუშაოდ ყანაში  
 შორს რომ მიეშურება  
 და ლოგინში შვილს სტოვებს  
 მიდის, არა სცალია,  
 განთიადი რომ დგება,  
 ღამე რომ იწურება.

ათასნაირ კითხვებით  
 დაგქანცავენ ბალები:  
 — „დღეი რაა სტალინი?“  
 ლამბრინს ჰკითხავს პატარა,  
 პო, დღეს იცის რარიგად  
 უთხრას მისი სახელი,  
 ვისი რწმენაც ბრძოლებში  
 მტკიცე გულით ატარა.  
 გადაჰხედა ჯალათებს  
 რისხვით თვალანთებულმა;  
 არა, მტარვალს სიკვდილი  
 თვითონ მან დაუწესა,  
 საკანის კარს შეჰხედა  
 გმირმა ამაღლებულმა  
 ვით ცხოვრების დიდ წიგნის  
 ფურცელს უკანასკნელსა.  
 გადაჰხედა ჯალათებს  
 ანთებული თვალებით,  
 თითქოს მისმა თვალებმა  
 მტრები ძირს დაანარცხეს;  
 გადაჰხედა ძვირფას შვილს:  
 — „პო, ვინ არის სტალინი?“  
 ის რწმენაა ისეთი,  
 რაც სიკვდილსაც ამარცხებს“.

თარგმანი ირაკლი ავაშიშვილი.

# ვაზის ყვავილობა \*

რომანი



„პირველი თბანვი იყო სკამი“

„ღამილეს წიგნებმა,  
ღამიანცეს სიტყვებმა,  
ახლა მე მწყურია საქმე“.

ემილ ვერპარენ

კორინთელს გაუტკბა შინ ყოფნა, მე-  
დეას და დეიდამისის წასვლის შემდეგ  
განსაკუთრებით დახარბდა მარტოობას.  
ნიკოს სთხოვა სტუმრებისთვის აღარ  
დაეძახა. სამივენი მოწყენილი უსხდნენ  
სადილობისას სუფრას. ნიკო მირიანა-  
შვილი იტანჯებოდა, როცა ვახტანგს  
მოდღუშულსა და დაღვრემილს ხედავდა.  
აღარც ხუმრობდა თავისებურად, არც  
ღვინის სმას აძალებდა მას.

ისადილებდა თუ არა ვახტანგი, ჯერ  
გაზეთებში „ჩაიფლობოდა“ (როგორც  
ძია ნიკო ხუმრობით იტყოდა ხოლმე),  
მერმე ადგებოდა და მამისეულ სავარ-  
ძელში ისვენებდა. ხანაც გაოგნებული  
იჯდა კაკლის ნამორზე, ბაღში ტუბებო-  
და ერეკლე მეორის სასახლის ბნელი  
კონტურების ჭკერტით.

ადრე წვებოდა, სანთელს ანთებდა  
საკუთარი ხელით, რადგან თვალებს  
იტკივებდა და ვერ იტანდა ელექტრო-  
ნის ლაქლაქა შუქს. ერთ ორ საათს იკი-  
თხავდა, უთენია დგებოდა, ამუშავებდა  
თავისი მონუმენტური შრომის — „ქარ-  
თული ვაზის ამპელოგრაფიისათვის“  
ზოგიერთ დეტალს.

როცა თვალების ტკივილი წამოეძა-

ლებოდა, დახეტილობდა მარტოკა ას-  
წლოვან ხეების ჩეროში და თვლემდა,  
იგონებდა სიჭაბუკის დღეებს, როცა  
დედ-მამისა და დების ხმა გაისმოდა ამ  
დამუნჯებულ ბაღში, როცა ამ ხეთა  
ჩრდილებს ქვეშ ისვენებდნენ ისინი,  
ვინც თავად ქაეულიყვენენ უკვე ჩრდი-  
ლებად.

უხაროდა, როცა ქათმები ადიოდნენ  
წელში მოდრეკილ კოშკებზე, მათთან  
ერთად იძინებდა. ძაღლების ყეფა და  
მამლის ყივილი ამცნობდა დღისა და  
ღამის ურთიერთთან გაყრას.

ასე დაბორიალებდა იგი, მწუხარებით  
ადვსილი, თავის ბაღლობისა და სიჭა-  
ბუკის მირაქებს შორის.

ბერმუხიდან წერილი წერილზე მო-  
დიოდა. მედიკო შემფოთებული იწერე-  
ბოდა: რად ყოვნდები ამდენს ხანს თე-  
ლავში, ავად ხომ არა ხარო? თუ ავად  
ხარ, მანქანა გამოგზავნე, დაუყოვნებ-  
ლივ ჩამოვალ.

კორინთელს შეეშინდა, აქ არ ჩამოვი-  
დეს და თავისი დეიდაც არ ჩამოათრიო-  
სო. შოფერი გაგზავნა ბერმუხას, რო-  
გორც იქნა მოუყარა რამდენიმე უთავა-  
ზო და მშრალ სიტყვას თავი და მისწე-  
რა: ცოტაოდენი საქმეები გამოჩნდა აქ,  
მაღე მოვალ.

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.

ნატობდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ასეთ მარტოობაში ემუშავა ამ წიგნზე ერთ ორ წელს. მოხუცებულ ნიკოს გულში დაუცხრომლად ჩქეფდა სიცოცხლისადმი სიყვარული, მისი ბუნების მიუცილებელი სტიქია იყო შრომის შემდეგ ღვინის სმა, ხუმრობა და სიცილი, ამიტომაც ვერ იტანდა მოწყენას.

მას ეუცხოვა, რომ ოდესღაც მხიარული ვახტანგი დაუძღვებულ ბერსავით ეძებდა მარტოობასა და სიწყნარეს.

ამიტომაც შინ ყოფნა აღარ უხაროდა ძია ნიკოს. უკანასკნელ დღეებში დადარდნადა, იტანჯებოდა არა მარტო ვახტანგის შემყურე თავადაც სინდისის ქეჯნა აწუხებდა ვერ გადაეწყვიტა, ეამბნა თუ არა ვახტანგისათვის ყოველივე, რაც იმ საბედისწერო ღამეს ლეღვებს გადალმა მგდომარე ვარას პირიდან მოისმინა საკუთარის ყურით.

ბოლოს ძია ნიკოც გატყუებდა, გადაეჩნია სადილად შინ მისვლას. დაუბარებდა ხოლმე თავის ცოლს, თეკლას, კრებაზე დარჩენა მომიხდება, სადილად ნულარ მიცდითო. ძმაცაყებთან ქამდა ხოლმე პურს, მთვრალი მოდიოდა გვიან, ფეხაკრეფით შეიპარებოდა საწოლ კოთახში.

შოფერი ანდრო მეზობლიანთ ლეკანსთან ერთად სვამდა მარანში, შემდეგ ჩადიოდა უზარმაზარ საწნებელში და იქ იძინებდა. მამიდა თეკლა ნაღვლობდა, ვერ გაეგო, რად გახდა ვახტანგი ასე დაღვრემილი. მოხუცებული ქალის იტყუელობა ისე შორს წავიდა, რომ ერთ ღამეს შეეკითხა კიდევაც თავის ქმარს: ეგებ ვახტანგს არ სიამოვნებს, მამისეულ სახლში რომ ეცხოვრობთ, თბილისში შენი დის ბინაზე გადავიდეთო.

ერთ დღეს თელავის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსმა მოაკითხა კორინთელს, ამცნო ინსტიტუტში მისი პროფესორად მოწვევის ამბავი და სთხოვა საკონსულტაციო საქმეებისათვის ხშირად შემოველო საშემო-

დგომო სემესტრის დაწყებამდინ.

ამ დღიდან მოელო ბოლო ვახტანგის მარტოობას, იგი ყოველ შემთხვევაში დღეს მიდიოდა ინსტიტუტში, გვიან ბრუნდებოდა და სადილობდა მამიდა თეკლას და პურისმცობელი დედაკაცის, მაკოს, საზოგადოებაში.

მოხუცებული მამიდა დაფეთებულ შესცივინებდა თვალეებში სათაყვანებელ ძმისწულს, ვერ კი უბედვდა დაღვრემილობის მიზეზის კითხვას.

ფეხაკრეფით დადიოდა, როცა იგი მუშაობდა და, როცა შრომისაგან მოქანცულს გაუხდელად დაეძინებოდა სავარძელში საწყლად მიგდებულს, მოვიდოდა მამიდა თეკლა ტანზე გააძრობდა, ფეხს დაბანდა, ბალღივით ჩააწვეინდა ლოგინში და თავად აქრობდა სანთელს.

უკვირდა მოხუცებულს, ასე ანაზღად მხიარული და ცხოვრების მოყვარული ვახტანგი რამ შეცვალაო. არც ის დარჩენია შეუმჩნეველი გულმეცნიერ ქალს, ერთხელაც რომ არ იხსენებდა იგი უბრალო საუბარში თავის ცოლს. ერთ ორჯერ თავად ჩამოუგდო სიტყვა, თავად ახსენა მედიკო, უქო ვახტანგს ცოლის სილამაზე და სათნოება, ვახტანგი გათანგულივით შეხედავდა მამიდას, სულ სხვა საგანზე გადაიტანდა საუბარს.

ერთ დილას უთენია მოვიდა დეპეშა ყვარლიდან. სასწრაფოდ ჩამოსვლას სთხოვდა ციხისთავი, რაიკომის მდივანი.

იმ დღეს დროზე მოვიდა ძია ნიკო სადილად. მათათუშეთში გავისეირნოთ მანქანით ამ მხარის ნახვა ვიამებო, არწმუნებდა იგი ვახტანგს.

ვახტანგმა დეპეშა ამოიღო პოჯამის ჯიბიდან.

ძია ნიკომ დეპეშას დახედა, უკან დაუბრუნა ადრესატს და სთქვა:

„მერმე რა მოხდა, ასეთი. სამიოდე დღე გინდ აქეთ იყოს, გინდ იქით“.

ბოლოს დახედა თავის თევზს და ჩა-  
იღუღუნა:

„განა მარტო მე? სუსქიაც გთხოვს,  
მას მივიღინებაში გზავნიან საავადმყო-  
ფოდან“.

სუსქიას ხსენებამ საამური ძრეოლა  
მოჰგვარა კორინთელს. ამ წუთში მას  
ეწადა, კიდევ ერთხელ ეხსენებინა ამ  
ქალის სახელი ძია ნიკოს, კიდევ და კი-  
დეც.

მართლაც და, ძია ნიკომ კიდევ ახსენა  
იგი.

„გუშინ აფთიაქთან შემხედა სუსქია.  
ჯერ მოგიკითხა, მერმე ეს მითხრა: დი-  
დად მასია მოვინებო, თუ ჩემთან ერთად  
წამოხვალთ რამდენიმე დღით თუშეთს.  
იქ მასპინძელიც მყავსო. შენ ინსტი-  
ტუტში იყავი წასული და დღეისათვის  
დავპატიეც სადილად“.

ჯერ კედლის საათს შეხედა, მერმე  
თავის ცოლს მიუბრუნდა და ჰკითხა:

„ხომ არაფერი შემოუთვლია სუს-  
ქიას?“

„შესაძლოა რაიმე შეემთხვა, ვინ  
იცის, ეგებ მოულოდნელი კრება და-  
უნიშნეს სამსახურში, ჰა?“ თქვა თქ-  
ვამ და მაცოც შემოვიდა.

„ექიმში მობრძანდო“, — ამცნო მას-  
პინძლებს.

კორინთელი ზეწამოიჭრა, ბოდიშობ-  
და: ესეცა მამცნო თქვენი მობრძანება  
ძია ნიკომ, მამატიეთ პიჯამაში ჩაცმუ-  
ლი რომ დაგიხვდით.

„მე ექიმში გაბლავართ, ბატონო პრო-  
ფესორო, ასე რომ მამაკაცებს ხშირად  
ეხედავ შილიფად ჩაცმულს“.

კორინთელმა ფრთხილი მზერა შეავ-  
ლო ახლადმოსულს. ოდნავ მოქანცუ-  
ლი სახე ჰქონდა მთელ დღეს ნამუშე-  
ვარს, ეს უხდებოდა კიდევაც. იგი ისე-  
თი მომხიბვლელი ჩანდა, რომ კორინ-  
თელი გაოცებული იყო. ამ ქალის ნახვა  
თუ აგრე გამეხარდებოდა, მის უნახა-  
ვად ამდენ ხანს თელავში როგორ გავ-  
ძელიო.

კორინთელმა ფრთხილად მიხედა სუს-  
ათს, უკვე ხუთს უჩვენებდა ისარი.

გულისტკივილით შეეცნო, რომ ასე  
მალე გახდა ხუთი საათი იგიც, რომ მი-  
სი პიჯამის ჯიბეში იდო ეს ტელეგრაფი.

ძია ნიკო წავიდა, მარანში ღვინოს  
ამოსალბად. სუსქია მამიდა თეკლას  
მიუჯდა და ხმადამა უამბობდა თავის  
შინაურ ამბებს. მამა დამისინეულდო,  
ჩიოდა, მე დღედაღამ სამსახურში ვარ,  
ის კი განუკითხავად მიწევს შინ. ახლა  
ბიოლაჩემი დაქვრივდა და უნდა ჩა-  
მოვიყვანოვო.

კორინთელი მოხიბლული ისმენდა ამ  
ქალის ხმას. მას უბრალო ჩითის კაბა  
ეცვა, მოყვითანო ფონზე მუჭი ცისფე-  
რი წერტილებით დაწინწკლული, და ეს  
წინწკლები ვაზის ყვავილებს მიაგავდ-  
ნენ ზუსტად.

კორინთელი უსმენდა სუსქიას ხალა  
საუბარს და თავისთვის ფიქრობდა:

„მე მგონია, ადამიანის შეყვარება  
იწყება, უწინარეს ყოვლისა, ხმიდან.  
ხელოვნების არც ერთ დარგს არ გააჩ-  
ნია ადამიანის ხმის ზედმიწევნითი გად-  
მოცემის საშუალება. ხმა გაყვარებას  
ადამიანს, იგივე ხმა იწვევს სიძულე-  
ლის შთასახვას“.

ამასობაში ძია ნიკო შემობოროილდა,  
მეზობლიანთ ლევანას თან მოჰქოდა  
მოზრდილი კოკა, ჩალის საცობი ზელში  
ექირა ნიკოს.

კორინთელს გაეცინა.

„ვისთვის გინდა, ძია ნიკო, ამდენი  
ღვინო, დავიჯერო, შენ და ექიმში ამ  
კოკას დაცლით?“.

„დავლევთ, დავლევთ, ხომ გაგიგო-  
ნია, ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს“.

ძია ნიკო მართლაც დარწმუნებული  
იყო, რომ სუსქიას მოსვლა ისე გაახ-  
რებდა ვახტანგს, ჩხირს გატეხდა და  
სმამში ჩაებმებოდა, აგრე ვარაუდობდა  
ძველი ეპიკურელი: გულის ქირის ერ-  
თადერთი წამალი ღვინოაო.

მშვენიერი ქალის სიახლოვე და  
დაძველებული ქინძმარაულის სურნე-

ლება თუ გადასძლედა ამ დეპეშას. ამას მოჰყვებოდა თუშეთს გამგზავრება. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს გამოიწვევდა ერთგვარ გარდატეხას დაზაფრული ვახტანგის ქცევაში.

ველის საათმა ექვსჯერ დარეკა თუ არა, კორინთელი ადგა და გამოემშვიდობა დამსწრეებს.

ძია ნიკო არ მოელოდა ამას. უცნაურად ათუხთუხდა:

„რა ვახდა ეს დეპეშა ვახტანგ, ახლავე ვუდებეშოთ ციხისთავს, სამიოდელის შემდეგ ჩამოვაღ-თქო“.

კორინთელმა შენიშნა, რომ სუსქია გაილურსა.

„არა, ძია ნიკო, საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც მოგეხსენება, მე ვხელმძღვანელობდი იმ კომისიას, რომლის დასკვნის მიხედვით ბერძუნის ვახტანგები გააშენებინა მთავრობამ, დიდი გვალები ყოფილა იქ. ახალნაშენი ვენახები განსაცდელშია. თქვენთან მგზავრობას რა მიჩვენია, მაგრამ, სამწუხაროდ არ შემიძლია. თუ გნებავთ, ამაღამ ბერძუნს ჩავალ და მანქანას გამოგიგზავნი“.

„არა, მანქანა არაა მთავარი, — თქვა სუსქიამ, — ჩვენი დირექტორი, კორსაველი, მოდის ჩვენი დაწესებულების მანქანით, მე და ძია ნიკოს გაგვეხარდებოდა, თუ თქვენც წამოძრძანდებოდით“.

ახლა სხვა საბუთი მოიშველია ძია ნიკომ.

„მე არ მეგონა, თუ დღეს წახვიდოდი, ამიტომაც ღვინო ვასვი ანდროს. არ ივარგებს მთვრალ შოფერთან მგზავრობა, ვახტანგ“.

— არაფერია, თუ გაჭირდა, მე თავად წავიყვან მანქანას“.

როცა არც ამან იკმარა, ძია ნიკომ თქვა:

„მეზობლიანთ დარო ჩამოსულა ამ დილით ყვარლიდან, ალაზნის ბორანი გაფუჭებულია გუშინწინ“.

მამიდა თეკლამ კარგად იცოდა, ერთხელ ნათქვამის გადატეხვას არ უყვარდა ვახტანგს, ამიტომაც ცხელი-მორეულმა გადააკონა ძმისწული.

•  
•

მოასფალტებულ შოსეზე გამალებული მიჰქროდა მანქანა. კინოლენტის სისწრაფით სცვლიდნენ ლანდშაფტები ურთიერთს. კორინთელი დამღურებულსავეთ გვერდით უჯდა შოფერს. იმდენად გართული იყო ფიქრში, რომ ვერც ამ ლანდშაფტების თვალმიუწვდენელ რიასს ამჩნევდა და ვერც იმას, რომ ქინძმარაულის ცეცხლი ჯერაც არა ჰქონდა გამოწვდებული ანდროს. მას ისეთი სისწრაფით მიჰყავდა მანქანა, რომ ამ ზიგზაგიან მოსახვევებთან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ხიფათი.

ახლაგზრდა შოფერს უხაროდა კიდევაც, ამჯერად კორინთელი რომ არ უშლიდა მას ეგზომ თავაწყვეტილ ქროლვას, აქ სხვა მიზეზიც იყო, ხელოსანი აკვირდებოდა მისთვის ჯერ კიდევ უცნობი მექანიზმის გამძლეობის უნარს. გარდა ამისა, ჭაბუკური სისხლი უდუღდა ძარღვებში.

მანქანის პატრონი უგუნებოდ იყო.

მანქანების საქმეში თავადაც ჩახედული იყო იგი, სხვა დროს შოფერისათვის საცხებით შეუმჩნევლად თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას, თავაზიან შენიშვნასაც აძლევდა ხანდახან, როცა იგი მოძრაობის წესებს დაარღვევდა ნებისით თუ უნებლიეთ, ან მომეტებულ ძალდატანებას მიაყენებდა მანქანას.

ქამიდანამზე გულგრილ მზერას შეაღებდა ხოლმე საჭის მოძრაობას,



ფატალისტურად მიწებებოდა ამ უსამ-  
ველო ქროლვას.

მიიჩქაროდა მანქანა, მაგრამ მანქანის  
პატრონს არ მიუხაროდა შინ. ისე გა-  
მოდიოდა, რომ შინ ბრუნდებოდა კაცი  
და „შინ“ არ ეგულებოდა იქ, ახლა  
ბერძენი იყო მისთვის მხოლოდ და  
მხოლოდ უმცირესი სოფელი, რომლის  
სახელი საქართველოს რესპუბლიკის  
რუკაზე აღნიშნულიც არ არის, სამშობ-  
ლოს ერთერთი პატარა წერტილი, სა-  
დაც მას დიდზე დიდი დაკვირვებანი  
უნდა მოეხდინა ქართული ვახის მრავ-  
ალსახეიერი ჯიშების მიმართ. ბერძენი  
თავად იყო მიკროუბანი.

სულ ორიოდ საათიც, და შინ მივი-  
დოდა იგი, მაგრამ სად-ღა იყო „შინ“?  
წვეროსანი დიაცი დაუხვდებოდა მას.  
კიდევ ერთი გმირი ჰყავდა ამ სამიოდ  
დღის წინად წამოწყებულ დრამას,  
კაცმა რომ თქვას, უმთავრესი გმირი  
იყო მედიკო, რომლისადმი სიყვარულ-  
მა ბარე ორიოდ ათეული წლის მან-  
ძილზე იბოგინა ვახტანგის გულში და  
ქარიან ღამეს ველზე დანთებულ  
ცეცხლსავეთ ჩაჰქრა იგი.

ოდესღაც ამ ქალს თვლიდა კორინ-  
თელი საესებით უბაღლო ზნეობის  
ადამიანად, რომელიც აჰყვა სიყრმის  
სიყვარულის რომანტიზმს და ერთ  
მშვენიერ დღეს მხნეობა მოიკრიფა  
და თავში ახლა ღრანჭოქეულ ლუ-  
სიენ შარკუტიეს „ქინკები და ბრი-  
ლიანტები“, სამშობლო არჩია პარიზს,  
რომელსაც ოდესღაც „ქალების სამო-  
თხესა და ცხენების ჯოჯოხეთს“ უწო-  
დებდნენ. როცა ჩვენ უმცირეს განდრე-  
კილობას შევამჩნევთ საყვარელ ად-  
მიანს, ჩვენი გული ხშირად ორდება,  
ერთი ბრალდებელი ხდება, მეორე —  
ვექილი. სანამდის საკმარისი საბუთები  
ხელთ არა გვაქვს, გამოცდილი იურის-  
ტის ბერძენობით ვეძებთ გზებსა და  
მომენტებს, რათა როგორმე გავამარ-  
თლოთ ეს ადამიანი და ნაწილობრივად  
მინც შევინარჩუნოთ მისდამი სიყვარ-

რული, სიყვარული თუ არა; ვლემენ-  
ტარული პატივისცემა ექისდამი...  
გინგლიოთქვა

ამ შემთხვევაში ერთ მომენტს ებ-  
ლაუჭებოდა კორინთელი გულმოდგი-  
ნედ. როცა „დღეიდა ვარა“ ფრანგულად  
ამაგებდა კორინთელს, არა მარტო კო-  
რინთელს, არამედ ყველასა და ყველა-  
ფერს, რაც ასე წმინდად და შეუბღა-  
ლავედ ჰქონდა მიჩნეული ვახტანგს,  
მედიკო სდუმდა.

„მართალია, სდუმდა, — ასე მსჯე-  
ლობდა კორინთელი, — მაგრამ დუმი-  
ლი ყოველთვის როდია თანხმობის  
ნიშანი. როცა შეპყრობილი, ან შლეგი  
რაიმეს დაბეჯითებით და ფანტიკურად  
გვიმტკიცებს, ხანდახან იძულებული  
ვხდებით ფარ-ხმალი დავყაროთ, რად-  
გან წინასწარ დარწმუნებული ვართ,  
ვერც საბუთების მოყვანით, ვერც ენა-  
მჭევრობით და ვერც ლოგიკით ვერას  
დავაკლებთ მას, ესე იგი, ვერაფერში  
დავაჯერებთ. ამიტომაც ნებისთ თუ  
უნებლიეთ დუმილით ვუსმენთ მას.  
სწორედ ასეთ შემთხვევაში დუმილი  
როდია თანხმობის ნიშანი“.

სხვა გარემოებაც ჰქონდა მინიშნებუ-  
ლი კორინთელს.

როცა გაცოფებული, შეხარხოშებუ-  
ლი ვარა ლაპარაკობდა, მედიკოს წარა-  
მარა მიქონდა ტუჩ-პირი მისი დამკე-  
ნარი ყურის ბიბილოსთან, ეჩურჩულე-  
ბოდა რაღაცას. მართალია, კორინთელს  
არ ესმოდა, თუ რას ეუბნებოდა იგი  
ამ დედაკაცს, მაგრამ ამ ამბის მაცქე-  
რალისთვის ცხადი იყო, რომ იგი ამ-  
შვიდებდა დეიდამისს ურჩევდა, ხელი  
აეღო ამგვარ მსჯელობაზე.

სხვა რა უნდა ექნა სუფრაზე? წესიე-  
რი და კეთილადზრდილი მანდილოსანი  
უხეშად, ბრყველად ხომ ვერ მივარ-  
დებოდა ხნით უფროს ქალს, ისიც სა-  
კუთარი დედის დას, და სტუმრების  
წინაშე სკანდალს ხომ არ მოუწყობდა,  
ან ხომ არ შეუყვირებდა უხამსად?

ეს მომენტი ახლა ხელმოსაქიდად და სანუგეშოდ ეჩვენებოდა კორინთელს. მართალია, იმ ღამეს ეს მომენტი ქმრის აუვის ღუმლით მოსმენისა განსაკუთრებული სიმძაფრით შემოიჭრა ნასმურევის ცნობიერებაში, მაგრამ ახლა, როცა კორინთელი სავსებით ფხიზელი იყო, დიხხაც ცდილობდა იგი, როგორმე ნაწილობრივად მაინც შეენარჩუნებინა მედიკოსადმი ნდობა და სიყვარული.

„სიყვარულიო? არა, კორინთელის გულის სიღრმეში გატყდა რალაც, რაც არასოდეს არ უნდა გამტყდარიყო“.

„ჰო, მართლაც... სიყვარული და მეგობრობა უფაქიზესს შუშის ვახსასა ჰგავს, საკმარისია უმცირესი წვიპურტიც და შესაძლოა ის გაიბზაროს, განა მარტო გაიბზაროს?..“

მანქანა შეუნელებლად მიჰქროდა. ამ ხეობაში ჩაიარეს რამდენიმე დღის წინათ მედიკომ და ვახტანგმა, მართალია, ოდნავ გაბუტული იყო მედიკო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძველი მედიკო იყო, კორინთელის სიჭაბუკისეამინდელი სიყვარულით გასხივოსნებული, და იმ ღამეს გაიბზარა, თუ გატყდა, რალაც რაც არასოდეს არ უნდა გამტყდარიყო.

რა უცნაური ამბავია: წლების განმავლობაში სწავლობ და უკვირდები მახლობელ ადამიანს, სიყვარულით, ნდობით და პატივისცემით აღჭურავ მას, მასვე მიაწერ ყოველივე ამქვეყნიურ სიქველეს და სათნოებას, და ერთ წუთში იგი გაქარჩხულივით შეტრიალდება და ნღობი აეხდება მოულოდნელად, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ისე შემოეპარცვება მას შენივე ფანტაზიის მიერ მინიჭებული სხივმოსილება და სათნოება.

შაველეგო ღრუბლები გარს ეხვეოდნენ მყინვარების წამახულ მწვერვალებს, მათ დაბლა ნისლი წვებოდა მოლურჯო მთებზე. ჩრდილები რიალებდ-

ნენ კორდებზე, ტაატით მობოროტებდნენ თივით დატვირთულე ურემებზე. ჩაქირნახულევი კოლმეურნეობის ქალები, კაცები და ბავშვები ყანებიდან და ვენახებიდან შინ ბრუნდებოდნენ. სიმშვიდე და უღრტვიწველობა გამოსჭვივოდა ამ გულმართალი და პატიოსანი მშრომლების სახის ნაკეთებიდან. სადღესო მოვალეობა შეესრულებინათ მათ, ყოველ მათგანს შინ მოუხაროდა, რადგან შინ ეგულებოდათ „შინა“.

გზის პირებზე მოჩაქჩაქებდნენ თივის ბულულებით დატვირთული სახედრები, ყურებმანტურა ჩოჩრები მოკეიტროშობდნენ მათ გვერდით, მკეჭაკებს მოზრდილი კვიციები მოსდევდნენ უკან, მათი მხიარული ჭიხვინი მოწმობდა, რომ პირუტყვებსაც მიუხაროდათ შინ.

დინჯად და მწყობრად, ტაატით და წყვილწყვილად მოდიოდნენ შავად გამურული კამეჩები, მოაქრიალებდნენ დატვირთულ ურემებს.

შოფერმა მანქანის სვლა შეანელა. ჩრდილები ზანტად წვებოდნენ სერებზე, შორიდან ბავშვების სიმღერა მოისმოდა, ერთ ურემს შევდალებული ქალი და კაცი მოჰყვებოდა ნელი საუბრით, ზედვე ეტყობოდათ, ცოლ-ქმარი უნდა ყოფილიყვნენ. (ცნობილია, რომ ხანგრძლივად ერთად ნაცხოვრებ ცოლ-ქმარს ერთიანი იერი გადაჰკრავთ ხოლმე).

აი ამ მშრომელ ადამიანებს უთუოდ მშვიდი და ტკბილი ცხოვრება ექნებათ, — ფიქრობდა კორინთელი, — მათი ცხოვრება კიდემდის აღესილია ყოველდღიური გარჯითა და ზრუნვით.

ზოგი ლიტერატორის მიერ მოჩამახული ამბავია „საწოლის ტრაგედიები“, „ოჯახური ინტრიგები“, იქვიანობისა და უნდობლობის ამბები. მხოლოდ ქალაქელ უქნარა ქალებისთვის მიუწვდომელია ის უღრტვიწველი იდილია, რომელიც შორიდანაც მეღაენდება თუ-

შურტუდიან კოლმეურნისა და მისი ცოლის სახეზე.

შრომა უდიდესი ფაქტორია, არა მარტო მატერიალური დოვლათის მომხვეჭელი, არამედ ერთგვარი „კათარზის“ — განწმენდა ადამიანის ზნეობისა.

„ისინიც, ვინც შრომას განიცდიან, როგორც სიმძიმის, ვერასოდეს მისწვდებიან ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს“, აგრე ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი. აქ არ შემდგარა მისი რეზონანსების უნი.

„ადამიანის ბუნება პირველი საში ათეული წლის მანძილზე ფორმდება. მედიკოს ხასიათი, როგორც ჩანს, საბოლოოდ გაფორმდა პარიზში ფრანგი ბურჟუას დე-მასპეროს ოჯახში, სადაც შრომა მხოლოდ „დაბალი კლასისა“ და „დაბალი რასის“ მოვალეობად იყო მიჩნეული.

ამ წრეში აღზრდილ ქალს, რა თქმა უნდა, ჰქუაში არ დაუჯდებოდა ბერძნულში გატარებული დღეები, როცა მას სხვა სანახაობა არ გააჩნდა, გარდა შრომისა...

აქ ისევ გაიღვიძა კორინთელის გაორებულ გულში იმ მეორემ ვეკილმა, რომელმაც ბრალმდებელს სიტყვა ჩამოართვა და დაასკნა:

„ეინ იცის, ეგებ შეეცვალოს ეს ადამიანი!..“

ახლა სულ სხვა ბრალმდებელი წარმოდგა კორინთელის ცნობიერებაში. მის თვალწინ გაიელვა ძია ნიკოს მოლუშულმა სახემ. წინა დამით იჯდა ძია ნიკო კორინთელის პირისპირ, თავის ძალოვანი ხელებით მობლაუჭებოდა ძველებურ სავარძლის სახელურებს. წარბშეყრილი და ვაგლახად დამწუხრებული ამბობდა:

„როცა შენ სუსქია გაცილე იმ დამეს, მე ოდნავ მთვრალი ვიყავი, მაინც შევნიშნე, პიანინოზე რედიკული დაეწყებოდა მინდელის ქალს. რედიკული ხელში ავიღე და უკან გამოგდიეთ.

კაცმა რომ თქვას, აქ რედიკული როდი იყო მთავარი, მე შემედროვნებორე დღესაც გამეგზავნა იგზ. სუსქიას ძიისკი მაგრამ უკანა აივანზე გასულმა ის ოხერი უსახელო თავკაპალა ვეღარ ვიპოვნე, სადაც იგი დააწვინა მეზობლიანთ ლევანამ. სად წავიდა-მეთქი? — შევეკითხე ლევანას.

ამ წუთში გავიდა ბაღში. შემეშინდა მთვრალმა რაიმე უსიამოვნებას არ გადაგყაროთ-მეთქი, ამიტომაც გავეშურე ჰიშკრისკენ. ღია დამიხედა ჰიშკარი, ისევ გაებრუნდი გასაგრილებლად, ბაღში. ლეღვიანში რა დავიმუხლე, საუბარი შემომესმა დიდი ლეღვის გადაღმიდან. იმ წყევულ ვარას ხმა შევიცანი, გაავებული უჩიჩინებდა მედიკოს...

მე თავი მტკივა, ვახტანგ, და მამა-შვილობას ამას გთხოვთ, ნურც ახლა, ნურც ოდესმე ნუ მომთხოვ, ყოველივე წვრილად გაიმბო“, — თქვა მისთვის საესებით უჩვეულო, ძაბუნი ხმით ნიკომ და ვახტანგს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, სადაცაა ხმა ჩაუწყებოდა ამ ძლიერსა და ვეება ვაქაცს

„მე შენი თვალი და ყური ვარ, უშენოდ ყოფნისას, სადაც და რასაც საჭიროდ მივიჩნევ, შეუფარველად გეტყვი ყოველივეს, რაც სათქმელია. შენ გულმეცნიერი კაცი ხარ და ჩემზე უკეთ იცი, არაა მართებული ყოველივე განაგონის ხელახლა თქმა, სანამდის იგი ჯეროვანად არ შემოწმდება.

გამოტეხილად გეტყვი, ვახტანგ, მიმძიმს, ძლიერ მიმძიმს ამის თქმა. მოგესენება, ცოლქმრული ცხოვრება ისეთი სათუთი ამბავია, მესამე პირის მიერ თუნდაც უმნიშვნელო ჩალაპარაკება, ან სიგნალის მიცემა საბედისწერო შედეგებს გამოიღებს ხოლმე, მაგრამ... მაგრამ მე... მე მამის მაგიერი ვარ შენთვის და არ შემიძლია არ გაგაფრთხილო. ეს ჩემი მოვალეობაა, მაგრამ... მაგრამ მეორე მხრიტ...“

აქ მართლაც ჩაუწყდა ძია ნიკოს ხმა, იგი ისე ძლიერად ჩაებლაუჯა სავარძლის სახელოურებს, ჭრიალი დაიწყო სავარძელმა, იჯდა, ველარ აბრუნებდა ენას, ხოლო კორინთელს ყელზე მოებჯინა მოუთმენლობა.

„მაინც რას ამბობდნენ, ძია ნიკო, პა?“

ძია ნიკო გახევებული იჯდა და მარწყუხით იღებდა ხორხიდან სიტყვებს, ენა ებორძიებოდა, ქუშმორეულ ცხენსავით ხენეშოდა.

„...რაც უმთავრესია, მე არ მომწონს იმ წყეული წვეროსანი დიაცის ბერმუხას წასვლა. შენ გეძინა იმ დილას და მე ვნახე, რა გახარებული ჩაჯდა მანქანაში ის ჭინკა.“

მე არ მომწონს ეს ამბავი, რადგან მეშინია, ოჯახი არ ავირიოს. მაგ დედაკაცს ხელობად აქვს ასეთი საქმეები, სამი ქალიშვილი გაათხოვა, სამივენი გაჰყარა ქმრებს“.

„ეგ არაფერია, ძია ნიკო, რაც ასარევიია, უნდა აირიოს დროზე, რაც დასაინგრევიია, — დაინგრეს, ხოლო რაც სათქმელია, უნდა ითქვას. შენ ეგა თქვი, რას ამბობდნენ მაინც?..“

„შენ უკვე იცი, ვახტანგ, ძველებური სიბრძნე: შავ ლულსა, წითელ ღვინოსა განა სულ ყველას სმა უნდა, პირში მოსულსა სიტყვასა განა სულ ყველას თქმა უნდა?“

მომეშვი, მამაშვილობას, ხომ გითხარი, თავი მტკივაჰმეთქი, ტანში მაქვს რიალებს, ხურევაა შემდგომია, ვგონებ. ამჯერად მხოლოდ ამას გეტყვი... იმ აშარ დიაცს თვალყური მიაღვენე, ეგ არის, რაც გითხარი...“

კორინთელი ხედავდა, თუ როგორ იტანჯებოდა ბერიკაცი, არა მარტო არ სათქმელის თქმას მონდომილი, არამედ მის მიერ თქმულის გამამულავნებელი, ამიტომაც შესამეჯერ უკვე ველარ იკადრა მონეცვლებიან მისთვის: „მაინც რას ამბობდნენ?“

ძია ნიკო ისე ვაგლახად დადრეჯილი ჩანდა, ზედვე ეტყობოდა, სდარს განჩნდა ძალა რალაც საშინელია და უცნაურის წარმოსათქმელი.

თავის მხრივ ნიკო უსიტყვოდაც მიხედა, რომ უკვე თქმულმაც იკმარა იმისთვის, რომ კორინთელის სულში ჩანთხეულიყო იქვე არა მარტო ცოლის დეიდის, არამედ ცოლის მიმართაც, ამიტომაც უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, უფრო მაგრად ჩასქიდა ხელი სავარძლიან სახელოურებს, თითქოს ეწადა მათგან გამოეწურა სიტყვები, ძალა მოიკრიფა და მოჰყვა ენადრეულ ლულულს: „მმე... რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა, გეტყოდი, რაიმე არსებითი რომ ეთქვას ამ საუბარში მედიცოს, მაგრამ მაკალე, უკეთ დაეაკვირდე გარემოებას, ახლა ეს ლა იკმარე, რაც გითხარი... უფროხილდი მაგ მტარულ სახარხობელას... ჯერჯერობით სხვა ვერას გეტყვი, მხოლოდ ამას გთხოვთ, მამაშვილობას, დამშვიდდე და თვალყური მიაღვენო... რა თქმა უნდა, მეც ფრთხილად ვიქნები, გახსოვდეს, რომ შენი თვალი და ყური ის მე ვარ ყველგან, სადაც შენ არ იქნები ვახტანგ“.

\*  
\*  
\*

მანქანა მიჰქროდა ჩამობნელებულ სერების ვანწვრივ. ტურები ვიშვიშებდნენ სადღაც. ხეობაში გაწოლილი ღამე ფურკამეჩსავით ფშინავდა უკვე. სოლო ქედებზედაჯორგილი ღრუბლები ოფორტით მოეხატა დასაველეთში გაუჩინარებულ მხეს.

ჩამობნეულა კორინთელის სულშიაც. ახლა ნანობდა კორინთელი, რომ მან ძალა ვერ დაატანა მოხუცებულ ძია ნიკოს, რათა იმაზე მეტი ეთქვა, რისი თქმა შესძლო, მაგრამ განა ფრაზებისა და სიტყვების თანმიმდევრულად ზუსტად თქმა ყოველთვის მიუცილებელი?

სიტყვებს შორის დარჩენილი ხარვეზები ხშირად უფრო მრავლისმეტყველნი არიან.

უწესრიგოდ, წყვეტილებით წამონასროლი სიტყვები ხოგჯერ უფრო მძიმედ და დამაჯერებლად მოქმედებენ, ვიდრე თანმიმდევრულად, ნათლად წარმონახული მსჯელობა.

მარტოოდენ სიმკვერე როდი აძლიერებს ნათქვამს, არამედ ინტონაციაც, კილოც და, რაც უმთავრესია, სიწრფელე მოქმედისა, მისი მიმიკა, მისი ხმის ტემბრი.

ისიც ხდება ცხოვრებაში, რომ მკვერად, ხატოვანად, ლამაზად წარმოთქმულ სიტყვებზე უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენენ უმწეოდ მორიალე, ფარფატა სიტყვები და ესენი ისე შემოიჭრებიან ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ბინდისას ღია ფანჯრებდან შემოხეტებული დამურები.

ასე შემოიჭრა კორინთელის სულში ძია ნიკოს გულმწუხარე ლუღლუღი და მის უაღრეს ჯურღმულებში დაისადგურა სადღაც...

კორინთელმა შენიშნა, რომ სრულიად უცნობ გზას დადგომოდა შოფერი. ეს კლდეები, ეს ტყეები და ეს ხეები მას არასოდეს არ ენახა. ქონგურებშეღწილი ციხეები იდგნენ ჩამობნელებულ ქარაფების კიდეზე.

მიხედა შოფერს, რომელიც მღუმარედ ატრიალებდა საპეს, გამალეზულად მიაქროლებდა დაცერებულ დაღმართებში მანქანას.

გზა მიივლაცნებოდა მქუხარე ხევის ნაპირას, შოფერი ამჩნევდა მანქანის პატრონს, იგი ფრიალ უგუნებოდ იყო და ვიდრე მქენჯანვ ფიქრებს თავს დააღწევდა, გულით ეწადა შენიშვნის მიუღებლად გასულიყო ისეე შარაგზაზე.

კორინთელს მუდამ წესად ჰქონდა ხელქვეითის მიმართ ლმობიერი მოქცევა, მას სიყრმიდანვე მინიშნებული ჰქონდა ხალხური სიბრძნე: სხვათა მოკამაგირობას ადვილად იტყვის ენაო,

ამიტომაც ცდილობდა იშვიათად მიეცა შოფერისათვის შენიშვნა.

ფიქრის ბურუსიდან გამომდინარე, უკვე ხედავდა, გზა არეოდა ანდროს გარდა ამისა, იმასაც ამჩნევდა, რომ მომეტებული სიჩქარით იღებდა იგი აღმართებს და დაღმართებში ჩასვლისას მომეტებული ნდობით ეკიდებოდა მუხრუჭების გამძლეობას. მიუხედავად ამისა, სდუმდა კორინთელი.

ასე ფიქრობდა:

„დაე, იაროს, როგორც მოეპრიანება, მისთვის უკვე სულ ერთი იყო, სად და როგორ მიდიოდა ამ უუქუნეთში მანქანა, მას თავადაც ენატრებოდა აწყვეტილი და სახიფათო ქროლვა მრისხანედ შემართული ქარაფების გვერდით, ღამისაკენ, მოსაცეთისაკენ მიმქროლავ მანქანაში ჯდომა.“

სულ დაღმა და დაღმა მიჰქროდა მანქანა. ამ უფსკრულებში განართხმულ ქაოსს დაებჩინა თავისი ბნელი ხახა, მხოლოდ განზე გახვევისას ისროდნენ ამ უფსკრულებში აეტოს ფარები შუქის მოვარეარე შლიეფებს.

კორინთელი გატვრინული გვერდით უჯდა თავის შოფერს და მისთვის სულ ერთი იყო, რაც მოხდებოდა ამაღამ...

„მხარი ზომ არ აექცა ანდროს?“ ეს გაიფიქრა კორინთელმა და საშინელი სისწრაფით დაამუხრუჭა შოფერმა მანქანა, კორინთელი საჯდომიდან წამოისროლა და შუბლით მიეხალა პარტბლიზის შუშას.

ანდრო და ვახტანგი მანქანიდან გადმოხტნენ, მოვარეარე ფარების შუქზე გაიღვეს კამეჩის თვალებმა. ისე გაქვავებული იდგა უფსკრულის პირად ეს დინჯი ცხოველი, თითქოს თუჯის ქანდაკება ყოფილიყო და არა სულიერი რამ.

შოფერმა განზე გარეკა კამეჩი და ისეე წააელო საპეს ხელი დარცხვენლად სიქვა:

„რა ბედზე გადაგვირჩა ეს კამეჩი...“  
„არც ჩვენ დაგვადგებოდა კარგი  
დღე“, — შენიშნა კორინთელმა და პა-  
პიროსს მოუხიდა.

„ხანდახან პირუტყვისაგან უნდა ის-  
წავლოს ადამიანი სიკვდილის წინაშე  
დინჯად წარდგომა“, ფიქრობდა ვაზ-  
ტანგ კორინთელი თავისთვის. ისევ სუ-  
სქია მინდელს მისწვდა მისი ცნობიერე-  
ბა. როგორი უჩვეულო სილამაზით  
ბრწყინავდა იგი თავის სადა ჩითის კა-  
ბაში. ზოგი ქალი ღამით ელექტრონის  
შუქზე შეიმატებს ხოლმე სილამაზეს,  
ზოგსაც მზის სინათლე მოსავეს უცნაუ-  
რი სხივმოსილებით.

„ვინ არის ნეტავ ის დირექტორი  
კორსაველი?“ — დიდხანს ჩხრეკდა იგი  
თავის მესხიერებაში ამ კაცის ვინაობას.  
ბოლოს მოაგონდა თელაველი ცნობილი  
მოქეიფე და ლოველასი, რომელსაც  
„მარადიულ სტუდენტს“ უწოდებდნენ.

რუსეთის იმპერიის ყველა უნივერსი-  
ტეტი შემოიარა მან. ქეიფობდა, თამა-  
დობდა, დებოშებს ახდენდა და, რო-  
გორც იქნა, დაასრულა თავისი სტუდენ-  
ტური კარიერა ხარკოვში და „გაეკიშე-  
ბულა“.

უცნაური იქვნეულობა განიცადა ამ  
წუთში კორინთელმა.

ხვალ გავლენ ისინი თელავიდან. მოგ-  
ზაურობაში ათასგვარი შესაძლებლობა-  
ნი არსებობს სასურველ ქალთან ინტი-  
მურად განმარტოებისა... და... „მე მგო-  
ნია, სუსქია არ უნდა იყოს ისეთი ქა-  
ლი...“ ფიქრობდა კორინთელი.

მანქანა რომელიღაც ხევში ჩაბო-  
რიალდა და, როცა აღმართს შეუდგა,  
სველმა მუხრეკებმა ვერ დაიკავეს მან-  
ქანის კორპუსი, იგი უკან გაჰქანდა და  
ისევ ხევში ჩაუტრდა. ბევრს ეწვალა  
შოფერი, ველარ იარა აღმართი. კორინ-  
თელმა თავაზიანად უთხრა შოფერს:

„ერთ წუთს ჩამოდი, ანდრო, მე მინდა  
ვეადო ამ აღმართის ავლა“.

შოფერი გაიტვრინა, მაინც დაემო-  
ჩილა პროფესორის თხოვნას. კორინ-

თელი ჰაბუტური სიკისკისით მიუჯდა  
საქეს და ზიგზაგური ესვლეფუფუფანა  
მანქანა ზეგანზე.

კორინთელი გრძნობდა, რომ ძლიერ  
შეწუხდა შოფერი, ბოლოს შეაჩერა მან-  
ქანა და ისევ მას ვადასცა საქე.

„ერთი რამ დაიხსომე, ჩემო ანდრო,  
არასოდეს ღვინოს არ მიეძალო, როცა  
რაიმე საქმის გაკეთებას, ან მოვალეო-  
ბის შესრულებას აპირებ. ღვინოს ჩვენ  
ყველანი ვსვამთ, მაგრამ საქმიანობა და  
ღვინო ერთ თხიერში არასოდეს მოთავ-  
სდებიან“.

„მე არ მეგონა, ბატონო პროფესო-  
რო, თქვენ თუ დღეს აპირებდით ბერ-  
მუხსა გამგზავრებას“.

„მართალია, შენ ეგ არ იცოდი, მაგ-  
რამ ხომ გაგაფრთხილე წინა დღეს, შე-  
საძლავა ინსტიტუტში მოგვიხდეს-მეთქი  
გავლა“?

შოფერი დადუმდა და მარჯვენა ფეხი  
დააკვირა აქსცელერატორს.

როგორც იქნა, გულრონიან გზაზე გა-  
იყვანა შოფერმა მანქანა და ისევ მესამე  
სიჩქარეში ჩააგდო ბერკეტი.

კორინთელს მაინც მხარაქცეულად  
ეჩვენებოდა შოფერი. იხედებოდა ჩამო-  
ბნელებულ ხეობაში ირგვლივ. ხევის  
წყალი საამურად ქშუოდა, ფოცხვე-  
რის ყეფა ისმოდა შორიდან, დადუმდე-  
ბოდა ფოცხვერი, ახლა ჰოტი დაიწყებ-  
და საწყალობელ ძახილს.

„თბილისისაკენ ხომ არ მივდივართ,  
ანდრო?“ — იკითხა კორინთელმა.

„თბილისის გზა მარჯვენით დაეტოვეთ,  
ბატონო პროფესორო“.

კორინთელს არაფერი ჰქონდა თბილ-  
ისში წასვლის საწინააღმდეგო იმ დამეს,  
მაგრამ ბერმუხის ზეგანის ვენახებსა და  
პიდროელსადგურის საქმე, ბოლოს ცი-  
ხისთავის მიერ გამოგზავნილი სასწრაფო  
დებეშა არ ანებებდა უეცრად წარმო-  
ქმნილი სურვილის სისრულეში მო-  
ყვანას.

„ჩემი ხნისა და მდგომარეობის კაცსა  
ჩა უფლება აქვს ყმაწვილივით აპყვეს

თავისი პირადული ცხოვრების კაპრიზებს.

მშვიდობა როგორც მედეას, ისე სუსქია მინდელს. ჩვენს დროში ყოველ ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს ისე, როგორც მას სურს.

ბერძენელები მოაგონდა, ყველაზე მეტად მკაფიოდ ციხისთავის სახე. ბოლოს თავისი საყვარელი მიკროუბანი.

ამქვეყნად გაუმეღავენებელი არაფერი დარჩება, ხომ სამუდამოდ დაეცემოდა მისი პრესტიჟი, როცა გამოირკვევოდა რომ სოლიდურმა მეცნიერმა და პატრიოტმა საქმე მიატოვა მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლს დაეუბრა.

კორინთელი უკვე დასრულებულად სთვლიდა თავისი ცხოვრების მართიანეს.

პირადული ცხოვრება ერთგვარი ლოტარეაა. არა, ნარდის თამაშს უფრო წააგავს იგი, კამათლების უსაზღვრო მღერას.

ზოგი გამუდმებით და დაქინებით ამღერებს კამათლებს, აგორებს და აგორებს და დუშუშის მაგივრად დუ-იაქეს დაისვამს, მაინც არ იტებს გულს.

კორინთელს იმდენი სულიერი ენერჯია წაართვა სხვათა ქვეყნებში ყოილმა და გამუდმებულმა შრომამ, რომ აღარ ყოფნიდა ძალა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. რაღა დარჩენოდა სხვა? პირადულ ცხოვრებაში ხელმოცარულს მთელი თავისი მხნეობა და ცოდნა თავისი დიდი შრომისათვის შემოენახა.

ახლა სუსქია მინდელი დაუდგა თვალწინ. იმ ბედშავს კორინთელსავეით მოსცაზროდა ხელი. საეჭვო იყო ამ ორ ხელმოცარულ ადამიანს შესძლებოდა ახალი ენერჯიის კვლავ მოხვეჭა და ცხოვრების ხელახლა მოწყობა.

როგორ გადაფიქრდა სუსქია, როცა მია ნიკომ ციხისთავის დეპეშა ახსენა. ბოლოს ხომ შეეძლო კორინთელს მოე-

ბოდიშებინა: დეპეშა გვიან მივიღეთ, და არხეინად წასულიყო სამოგზაუროდ სუსქიასთან ერთად მთაწმინდისკენ, რას ემგვანებოდა ეს?

ვინ მოიგონა ორმოც წელს გადაცდენილი კაცის რომანი? ჯერ რამდენი უსიამოვნება წინ უძებვს კორინთელს, ვიდრე ამ სანახევროდ დანგრეული ოჯახის არტახებს თავს დააღწევდეს? ეს ჭოსა სატანა შემოიჭრა მოულოდნელად ვახტანგისა და მედიკოს ოჯახურ ცხოვრებაში, როგორც განმკითხველი კორინთელის ქაბუტურ ვნებათა და შეცდომათა.

ამ შემთხვევაში პასიურობის გამოჩენა უფრო სანუკველია, ვიდრე გააქტივება.

კორინთელის ოჯახური ცხოვრება ნამეტნავად გვიან დაიწყო და ნამეტნავად ადრე მოთავდა. მაშასადამე, რაღა დარჩენია მას თავისი დიდი შრომისათვის საჭირო დაკვირვებებს თავი მოუყაროს და თავის ქვეყნის მშენებლობის საქმეში მცირეოდენი წვლილი შეიტანოს. ამასობაში სიბერეც მოაკითხავს, სიბერე — სიკვდილის მაცნე.

„მერმე რა, განა ჩემისთანები დაბერებულან და მომკვდარან ამქვეყნად? მე თუ მკითხავთ, ყოველივე სტატისტიკის გარეშე ითქმის, რომ საუკუნეთა უღვე მანძილზე მილიონჯერ მეტი მომკვდარა, ვიდრე ამჟამად ჩვენს პლანეტაზე ცოცხალს დაითვლით“.

ლიმდამობდა ხმამაღალი ფიქრი კორინთელის ცნობიერებაში.

ახლა სამშობლოსადმი სიყვარული თუ გადაარჩენს კორინთელს იმ საშინელ მწუხარებას, რომელიც მოჰყვება ხოლმე პირადი ცხოვრების დანგრევას.

„სამშობლოსადმი სიყვარული კი მტკნარი ფიქციაა, თუ მისი თავკიდური არიქნა საქმე. ...და პირველითგანვე იყო საქმე“.



## რისტვის მბრძოლ აბრია ალაზანს

ალაზნამდის სამოიდე კილომეტრი უკლადო, როცა უკვე გამოფხიზლებულმა შოფერმა შენიშნა მანქანების მთელი ქარავანი, თემშარაზე ტაატით მომავალი. იგიც მოაგონდა ანდროს, რომ ამ მანქანებმა წელან ჩაუარეს მას, ალაზნისაკენ მიმავალებმა.

გამოირკვა, რომ ბორანი მართლაც გაფუჭებული ყოფილიყო. თელავში უკან გაბრუნებას ტყის პირად ღამის გათევა ამჯობინეს. გზად მიმავალი მანქანების სიგნალმა უთენია გამოალეიძა მანქანაში გაშოთილი კორინთელი.

ალაზნის ბორნის სადგომი ჯერ არა ჩანდა, როცა კორინთელმა თვალი მოჰკრა შინდისფერ უზარმაზარ მანქანას „ზის“ 101-ს. იგი შუაგულ თემშარაზე გაჩხირულყო. შოფერი კამერას ბერავდა, ოთხი მგზავრი მანქანის მახლობლად მასლაათობდა.

კორინთელმა ციხისთავი შეიცნო, ახალკაცი და რაიაგრონომი მელითაური მას გვერდით უდგნენ, სამივენი ვილაც თავმოტვლებილ კაცს ესაუბრებოდნენ.

ამ თავმოტვლებილი კაცის ფიცხელი ქესტიკულაცია შორიდანაც იქცევდა ყურადღებას. კორინთელს ეცნაურა იგი. სულ მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ მიხვდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო სწორედ ის კაცი, რომელსაც „უსახელო თავკობალა“ შეარქვა ამას წინათ ძია ნიკომ.

კორინთელის დანახვაზე სახე გაუბრწყინდა ციხისთავს. იგი გამოეთიშა მოსაუბრებს, მანქანიდან ჩამოსულ კორინთელს წინ შეეგება, მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა.

„ჩემი ღებეშა მიიღეთ?“

მივიღო, მიუგო ვახტანგმა. ორიოდ წუთს შემდეგ ხელი მკლავში გაუყარა ციხისთავმა პროფესორს, ბორნისაკენ მიმავალ ბილიკზე დააყენა და უთხრა:

„ისე შეგეჩვიეთ, ამხანაგო ვახტანგ, ამ ღლებში ძლიერ მაკლდით თვალში“.

კორინთელს ციხისთავი მინიშნებული ჰყავდა, როგორც არალირიკული კაცი.

იგი ოდნავ მშრალი ჩანდა, სიტყვაძვირი და ოდნავ გულჩაობრობილი, ლაპარაკის დროს თავშეკავებული, საუბარში მოკლე-მოკლე ფრაზებს ხმარობდა, მას არ უყვარდა გადაჭარბებანი არც რაიმე შთაბეჭდილების ან რომელიმე ვარაუდის გაკეთებისას.

კორინთელი მედამ ასე ფიქრობდა ციხისთავის გამო:

„იგი ერთი მათგანია, ვინც ამკამად აგრე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას — არაპათეთიკური, არაორატორი, არცთუ სენტიმენტალურად განწყობილი ადამიანი.“

კაცი, რომელიც გაცილებით უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე ალგეთიქვამს, სანამ ფაქტები, ციფრები და მონაცემები ხელთ არა აქვს.

ზუსტი, პუნქტუალური, უაღრესად ზომიერი და მშვიდი ტემპერამენტის ადამიანი, რომელიც არასოდეს ისწრაფვის ნაადრევი ალტაცების გამოთქმისა და დაუფიქრებელი დასკვნების გამოტანისთვის.

ასეთი ადამიანები ქმნიან ჩვენი ცხოვრების პროგრესს. ისინი არა ყვირიან, არ ხმაურობენ, არც იქაღიან, და უჭადნელად და ჩუმად იჩენენ მამაცობას შრომასა და ბრძოლაში. არც გმირობის პრეტენზიებით კოკეტობენ და უდრტინველად შებმიან ამ ცხოვრების მძიმე ჰაპანს.“

ამიტომაც გაუყვირდა კორინთელს, როცა ასე უშუალოდ გაამქლავნა ციხისთავმა მასთან ხელახლა შეხვერდით აღძრული სიხარულით.

„აქ ხმა დაჰყარეს, ამხანაგო ვახტანგ, პროფესორი თბილისს გაიხმესო, ისევე უცხოეთს აგზავნიანო, და სხვა მისთა-



ნანი. სწორედ გითხრათ, არ გამეხარდა. მეწყინა იმიტომაც, რომ თქვენი ბერძუ- ხაში ყოფნის დროს სათანადო გულწმიე- რება ვერ გამოვიჩინე თქვენს მიმართ“.

ესა თქვა და მანქანასთან დარჩენილ თანამგზავრებს მიძახა: „როცა შოფერი საქმეს მორჩება, მანქანაში ჩაბრძანდით, ჩვენ ბორანთან გიცდით“.

კორინთელი გაოცდა:

„უცხოეთშიო? ვინა თქვა? უცხოეთში რა მინდა? არა, მე უკვე დამნიშნეს თე- ლაეის ინსტიტუტში კონსულტაციები ჩაეატარე. სექტემბრიდან ლექციებს ვიწყებ. ბერძუხიდან ვივლი ალბათ“.

„ძლიერ სასიამოვნოა, ამხანაგო ვახ- ტანგ, მე კი ვწუხდი. თქვენისთანა დიდი დიპაზონის კაცი ჩემთვის რად არა ღირს. ამ დღეებშიაც ყოველ წუთს მე- საკიროებოდა თქვენი თათბირი. ალბათ თქვენ კარგად ამჩნევთ, რაიკომის მდი- ვანს დიდზე დიდი მოვალეობა აწევს თავზე. საერთოდ წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ უნდა ითქვას, რაც უნდა პატარა რაიონი არ უნდა გებაროს, ათასგვარ საკირობორტო საკითხს უნდა გაართვა თავი.“

დღე ერთია და ასი სხვადასხვაგვარი პრობლემა აგეტუხება მოულოდნელად თვალწინ. საკმაოდ უნივერსალურად განსწავლული ადამიანი უნდა იყოს რაიკომის მდივანი.

ჩვენს მუშაობაში თავს იყრიან ნია- დამთემკოდნობის, ბიოლოგიის, აგრო- ტექნიკის, ბოტანიკის, ზოოტექნიკის სა- კითხები და განა მარტო ესენი: საინჟი- ნერო, საფინანსო, საადმინისტრაციო, სხვანი და სხვანი. ახლო მომავალში ჩვენ შეგვეცილიან ალბათ ასეთები. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტია თა- ვის დროზე გაზრდის უთუოდ ასეთ კად- რებს. სანამ ეგ არ მოხდება, ჩვენ მივა- ჩაქჩაქებთ ამ უღელს, გაგონილი გექნე- ბათ, დიღია ძალა სიყვარულისა, იგი შეუძლებელს შეგაძლებინებს...“

ყოველ წუთს ცეკვას ხომ არ შეაჩი- რდები, ისე როგორც უქნარა მოწყვეტილი წაველ კორინთელს.

ვის მასწავლებელს. ყოველივე ვერ თა- ვად უნდა ასწონ-დასწონო და განსჯო. ხშირად ერთი საათის დაგვიანებაც სკა- მარისია, ზიანი მიადგეს სახელმწიფოს. დღევანდელი ჩვენი სოფელი ძველი, გლეხური თემი როდია, როცა რომელი- მე გამოყრუებულ მექრთამე მაზრის უფროსს ებარა უკულტურო გლეხური მეურნეობა. ჩვენი სოფელი — ეს მი- ნიატურული სახელმწიფოა“.

ციხისთავი შედგა, ალაზანს გადახედა და თქვა:

„წინეებში სასტიკად იმძვინვარა ჩვენმა ალაზანმა. ღორები გადმოჰყავდა თურმე მეღორე პოპოლას, რამდენიმე წყალს გაუტაცია. უვაჟკაცნია პოპოლას, ძლივსძვილობით გადაურჩენია კოლმე- ურნეობის ღორები. თქვენც გახსოვთ ალბათ ის კაცი. თუ არ ვცდები, თქვენ ის მოგეწონათ კიდევაც მიტინგზე ხომ გახსოვთ, დიდ სტალინს დავეხმართო, რომ მოუწოდებდა ხალხს“.

კორინთელმა გაიღიმა:

„ციხეფრთვალემა, როზროზა ვაჟკაცი, არა?“

„სწორედ იგი“.

ალაზანი ახლაც მთელი სისასხით მო- დიოდა, მოგრიალეზდა. ლანქერებისაგან ამღვრეული მდინარე დუქმორეული ლოშნიდა კბოდეებს.

ბორჩის სადგომთან საწყალობელად მიყრილიყვენენ დასიცხული ცხვრები. მეცხვარეები ზედ წყლის პირად ისხდ- ნენ ფიჭვის ძელებზე და მადიანად სა- უზმობდნენ. ახლადმოსულთა დანახვაზე ზეწამოდგა ბრიგადირი — აბრია უჯი- რაული, თავისი წილამურებიანი ფაფა- ზი მოიხადა თავმოდრეკილად მთახ- ლოვდა პროფესორსა და რაიკომის მდივანს.

„დიდიკაციები ხართ, მაგრამ ეგებ გვიკადროთ, პურმარული გაიზიაროთ“.

„დიდაკობა რა შუაშია, ჩვენც თქვე- ნისთანა მშრომელები ვართ. სიამოვნე-

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აბრიაშ ღვინით კიდემდის გაავსო გამურული ორი ჯამი და მოწიწებით მიართვა სტუმრებს. მათაც აღდგურაქლეს მწყემსები, მადლობა გადაუხადეს, დაჯდომასზე უარი თქვეს, მოიბოდიშეს: წელან ვისაუზმეთო, და შორიახლოს ჩამოსხდნენ პაწია ფარდულის ქვეშ.

ციხისთავმა ხმადაბლა უთხრა კორინთელს:

„ჰო, მართლა, ფინური სახლი მოგვიდათ თბილისიდან, ამხანაგო ვახტანგ“.

„კარგია“, — უხალისოდ მიუგო კორინთელმა.

„ჩემი მიკროუბანი როგორაა?“  
„გაუპირდა მიკროუბანს. ამ ერთი კვირის წინათ დიდი სიცივნები დაიჭირა. ალაგ-ალაგ შეეკითლდა ახალშენი ვაზები. გოდერძიმ ხელი გამოიღო, ჯერ ვერებით მოჰქონდათ წყალი, მერე შემეცოდა, მანქანები არც ისე ბევრი მყავდა, მაინც მივეცი და მიკროუბანს ბლომად მისცა წყალი.“

სამაგიეროდ დიდ საფრთხეშია ცხრამუხის ზეგანი. როგორც კი ჩვენ ჰესს მოვათავებთ, საწინო არხს ვახნარებში ზედ გადავატარებთ და გამოვლევლად გვექნება წყალი ცხრამუხის ზეგანზე, როგორც უკვე იცით, ნიადაგი ძლიერ ხირხატიანია. ზოგ ალაგას რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ნაყარი მიწა და ამიტომაც ძლიერ დაგვაზიანებს ალბათ უწყლობა“.

ციხისთავი და კორინთელი ცხრის ფარას უკვირდებოდნენ. საცოდავად თავჩაქინდრულნი იდგნენ და იწვენენ ცხვრები, შლამიან მიწას ეხუტებოდნენ.

ციხისთავმა მზერა აარიდა მათ და კორინთელს უთხრა:

„თქვენი მეუღლე კარგა ხანია აქ ბრძანდება, არა?“

„დიას“, — უხალისოდ მიუგო კითხულმა.

ციხისთავმა მაჯის საათს დახედა.

„ალბათ ხალხი უკვე გვიცდის ბერმუხაში“.

„ფორმალური ამბები კითხვა კორინთელმა.“

„გუშინწინ საერთო კრება გვექონდა. სააღმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ თქვენ ავირჩიეთ. როგორც ჩანს დაუგვიანია ჩემს დეპეშას. სახელმწიფო ორმოცდაათ პროცენტს გვაძლევს. ალაზნის გადაღმელი ხუთი კოლმეურნეობა შეგვეზიარა. მუშახელი უფასოა.“

საკოლმეურნეო ბრიგადების ხელმძღვანელად გოდერძი ავირჩიეთ. ცეცხლიანი ვაჟია, იმუშავოს“.

ციხისთავი ფარდულიდან გამოვიდა. თვალზე ხელი მიიჩრდილა, გაღმა გაჩხირულ ბორანს გახედა.

„ჯერაც ვერ მორჩნენ კაკუნს“. ამა-სობაში მანქანა მოაღვა ნაპირს. სამი თეთრბლუზიანი კაცი ჩამოვიდა ძირს.

„ის მესამე, თავმოტვლებილი, ვინაა?“

სოფლელექტროს მთავარი ინჟინერია, ბერმუხელი მკვიდრი. თავნება კაცი ჩანს და უზომოდ ამპარტავანი, მე არასპეციალისტად მთელის, ამიტომაც მეურჩება ოდნავ. მე კამეჩისებრ მაგარი ნერვები მაქვს, თორემ ეს კაცი უცილოდ გამომიყვანდა მოთმინებიდან. არ მინდოდა თქვენთვის გუნების გაფუჭება, თორემ ეს მესამე თვეა, ვებრძვი ამ კაცს. თქვენ უკეთ იცით, სულით მდაბალ ადამიანებს უცნაური უნარი აქვთ ბრძოლისა, ისინი თავისი სიპატარავის მეოხებით შემოსილნი არიან იმ შეუმუსკრელობით, რომლითაც ცოცხლობენ ამქვეყნად ჭიანჭველები, მღიღები, ვირთხები და თავები.“

დიდი გაიქვერა, რა არ მიკიბ-მოკიბა, რა ზრიკები არ დაუგო ამ საქმეს, ხან ცეკაში ჩამიფარცხა საქმე, ხან მიწსახკომში, ხან სახკომსაპკომში, ყველგან მივაკელიე და ყველგან მივსდიე, ბოლოს ეს მოიბოდიშა: არც ტურ-

ბინა აქვსო სოფელელებტროს, არც მი-  
ლები და არც აგრეგატი.

თქვენც კარგად ხედავთ, მე მარჯვენა-  
ნა ხელით დაკიდულ კაცსა ვგავარ, სა-  
და მცალია ქალაქში სარბენად, ეს  
მესამე თვეა, რაც ძველებურ ალილო-  
სავით დავდივარ თბილისში, ჩამოვით-  
ხოვე ყოველგვარი მასალა.

უქანასკნელ კვირას ახალი პოტიკები  
დამოვო, გამომიცხადა: სიდედრი მომი-  
კვდა და ჯერჯერობით ბერბუხას ვერ  
წამოვალო.

გაბრანგული მთვრალი იყო იმ დღეს.  
მაშინ, სწორედ გითხრა, ველარ მოვი-  
თინე და პირდაპირ მივახალე: არა  
მგონია, აგრე გიყვარდეთ სიდედრი.  
საერთოდ მოსიყვარულე სიძეები არ  
ჭეიფობენ-მეთქი, როცა საყვარელი  
სიდედრი უკვდებათ: თუ არ წამო-  
ხვალთ, ძალით წამოგიყვანთ-მეთქი.  
გაგონილი გექნებათ ცნობილი ანდაზა:  
დაუჭერელი ქურდი მპარავად ვერ ჩა-  
ითვლებაო, თორემ მაგას ენანებდი  
თავის გაჩენის დღეს.

სწორედ გითხრათ, ეპეი მაქვს: მას  
ხომ რაიმე კავშირი არა აქვს ყოფილ  
ბერმუხელ ბობოლებთან, რომელთაც  
იმთავითვე არ უნდოდათ ჩვენი ვაზნა-  
რების მოშენება ცხრაამუხის ზეგანზე“.

კორინთელი მცირე ხანს სდუმდა,  
ბოლოს გახედა ალაზანს და თქვა: \*

„უსაბუთოდ ძნელია რაიმეს თქმა,  
მაგრამ მაინც ფრთხილად ვიყოთ. მაგ  
კაცს დავაკვირდეთ შეძლებისამებრ! მე  
არაფისი მეშინია ამქვეყნად, რადგან  
არაფერს ვაშავებ, მე მძაგს სამგვარი  
ტიპი ლოთი ფულის მოყვარული  
და მშიშარა, რადგან ლოთი ღვინოზე  
გაყვიდის, ფულის მოყვარული —  
ფულზე, ხოლო მშიშარა ყელს გამოგ-  
ჭრის ცამდის მართალსაც“.

ციხისთავმა პაპიროსი გააბოლა და  
ნაღვლიანად თქვა:

„ეს ვირეშმაკა წინ არ გადამლობე-  
ბოდა, ახლა ჰესი თავის ადგილზე იქ-

ნებოდა და ახალშენ ვაზებსაც ვქნებო-  
დათ წყალო“.

ეროვნული

აბრია-ავსიტყვა მოუხატლელე ყაბულ-  
მოსულეებს. მათაც შესთავაზა, პურმა-  
რილში წილი დაედოთ. ახალკაცმა და  
მელითაურმა ტუჩი მიაკრეს ჯამების  
კიდეს, მადლობა მოახსენეს მწყემსებს  
და გაეცალნენ. უსახელო თავკოპალამ  
აბრიას გვერდით მოიკალათა ნამორზე.  
ჯერ ჰაჰის არაყი მიირთვა, მერე საუ-  
ბარში ჩაება. ტაატით სვამდა ღვინოს  
და მადიანად შეექცეოდა გლეხურ  
„დედას პურებს“ ღვინოსა და თუშურ  
ყველს. ხშირკულულიანი ახალგაზრდა  
მეცხვარე მღეროდა: „დავლიოთ ღვი-  
ნო, დავლიოთ, სანამ ერთმანეთს ვხე-  
დავთო, დარდი მაშინაც გვეყოფა,  
შავლოდს რომ ამოვხედავთო.“

შორიახლოდან ისმოდა აბრია-ავსი-  
ტყვას როხროხი. იგი გააუბუღი ჩი-  
ოდა:

„ალარ ვიციოთ, რა უნდა ვუყოთ  
ცხვარს. ათადან ბაბადან ცხრამუხა იყო  
ჩვენი ცხვრის სარჩო, ახლა იქ ზერები  
გამართეს. წრეულს ცუდი დოლი  
გექონდა. ნამატი დლითილვე მცირდე-  
ბა. ეს გაოხრებული ვაზები რომ არ  
ჩაეყარათ, საქმე კარგად მიდიოდა,  
ორდენზე მიპირებდნენ წარდგენას.“

ვენახმა და პურმა დაგვიშოია ცხვა-  
რი. შირაქი გადახნეს ტრაქტორებმა,  
ჩვენი ცხვრის უღვევი იალაღი“.

კორინთელი ყურს უგდებდა მოხუცი  
სარქალის ჩივილს, ბოლოს მან ისიც  
შენიშნა, თუ როგორ მოთავდა პურ-  
მარილი. აბრია და თავკოპალა უსახე-  
ლო მოშორდნენ მწყემსებს, მათგან  
შორიახლო დასხდნენ, დიდხანს საუბ-  
რობდნენ ერთად. ბოლოს ორივენი აღ-  
გნენ და ფარდულს მიუახლოვდნენ.

ციხისთავმა ახედა ბერმუხის მზარ-  
მარცხნით აღმართულ მოტელეპილ  
გორაკს და უთხრა ახალკაცს:

„იმ გორაკზე უნდა ავაშენოთ ბერ-  
მუხის ჰესი, აი იქ ციხე რომ დგას,  
სწორედ იმის ქვემოთ“.

„ადგილი ჩინებულია, ოღონდ ესაა, წყლის დებეტი თუ საკმარისია?“

„იქ ორი პატარა ტბაა, სამიოდე წყაროს თვალიც. ესენი უნდა გავაერთიანოთ“.

„საწნეო არხს საითკენ წამოიყვანო?“ — იციოთა ახალკაცმა.

პირდაპირ ცხრამუხის ზეგანზე გაღმოივლის საწნეო არხიდან დაშვებული წყალი და ჩვენს ახალ ვაზნარებს მორწყავს“.

„სამარქაფო არხს?“

ციხისთავი მცირე ხანს სდუმდა, მერმე კორინთელზე თვალით უჩვენა ახალკაცს და უთხრა:

„სოფლელექტროს მთავარი ინჟინერი ამტკიცებს, ასეთ პატარა ჰესს სამარქაფო არხი არა სჭირდებაო.“

პატივცემული პროფესორი თუმცა ძირითადად აგრონომია, მაგრამ მას ჰიდროლოგიური განათლებაც მიუღია. საინტერესოა მისი აზრი“.

უსახელო თავკოპალა, რომელიც მელითაურსა და ახალკაცს შორის იჯდა, წამოდგა, დამდულრულივით ათუბთუნდა:

„მე სოფლელექტროს მთავარი ინჟინერი გახლავართ, ოცი წლის სტაჟით, და ჩემი საქმე კარგად ვიცი, გარდა ამისა, პროექტიც უკვე დამტკიცებულია“.

„პროექტი არაფერია, სჯობს პროექტი შევცვალოთ, ვიდრე განსაცდელი შევუქმნათ სოფელს. პროექტს შევცვლით, თუ საჭიროდ ვცანიოთ“.

შენიშნა ციხისთავმა ხმის აუწყვლად.

კორინთელმა სმენა აარიდა უსახელოს ტრახახს და მშვიდად თქვა:

„მაგ ადგილს მეც ვიცნობ, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, კიდევ ერთხელ გავგვისინჯა ეს ყოველივე ადგილზე“.

ისევ დახედა ციხისთავმა მაჯის საათს:

„როდის-ღა მორჩებიან ეს ოჯახქორები კაკუნს“.

აბრია-ავსიტყვა მიუჩონდა ციხისთავს და უთხრა:

„მომიტყვეთ, ჩემი მთავარი მოთხოვნაა, რომ ვეჩრები. მაგრამ, ეს მიბრძანეთ, მართლა აპირებთ მამუკას ციხის კარზე ელექტრონის გაყვანას?“.

ციხისთავმა თავაზიანად მიუგო:

„ჩვენ იქ ელექტრონი როდი გამოგვყავს, აბრია-ჩემო, წყლის ელექტროსადგური უნდა ავაგოთ“.

„ჰო, თქვენ იცით, რასაც კარგს იზამთ, შვილოსან, მე მეშინია, სამებამ არ გიწყინოთ.“

„როგორც კი ბორნის შეკეთებას მოათავებენ, ჩვენ ავალთ იმ ზეგანზე თავათ ნახავთ, რა ნაყოფიერი ნიადაგია იმ ციხის გარშემო, ნამდვილი სააგარაკო ადგილი. ცივი წყაროები მოჩხრიკლებენ და კაცის ჩაურევლად რწყავენ იქაურობას სთქვა ციხისთავმა.“

„ოდესღაც იქ ციხე-ქალაქი ყოფილა, რასაც მოწმობენ უამრავი ნაციხარები, ნასაყდრალეები და ნაპარტახალეები.“

ცნობილია, როცა შაჰ-აბაზის რისხვამ გრიგალივით გადაიარა კახეთზე, მთებში გაიხიზნულ ბერძენელებს თავიანთი კარ-მიდამო გაიხიზნული და უხედათ ცხრამუხის ზეგანზე, მაგრამ მათ არ ინდომეს იმ მამუკასციხის სანახებში ასვლა და ურწყული ადგილები ირჩიეს, სადაც სამიოდე კილომეტრის მანძილზე დღემდის ვირებით მიჰქონდათ წყალი.

იმ ზეგანზე გაცილებით უხედა ექნებოდათ წყალი, მაინც არავინ დასახლდა, რადგანაც ბნელი დროებიდან შემორჩენილი ლეგენდის მიხედვით, რომელიღაც ქორეპისკოპოსს, ან, როგორც იმ მხარეში იტყვიან, „ქორიკოსს“, დაუწყევლია ყველა, ვინც იმ მიდამოში ბარს დაჰკრავდა, ან რაიმე ნაგებობას ააშენებდა.

მე ოდესღაც განაგონი მაქვს ეს ლეგენდა, მაგრამ დამავიწყდა, აქ ბერძენელებია, მათ ჩემზე უკეთ ეცოდნა

ნებათ ის ალბათ,—დასძინა ციხისთავ-  
მა, აბრია უჯირაულსა და უსახელო  
თავკოპალას გადახედა.

უსახელო ნამორზე ჩამოჯდა და  
თქვა:

„რაკი ჩვენი ბორნის მოსვლას სა-  
შველი არ დაადგა, სხვა საქმე მაინც  
არაფერი გვაქვს, მე ბერძნული ვარ  
და ბარემ ვიამბობ ამ ლეგენდას, ჩემს  
სიყმაწვილეში აქაური მოხუცებისაგან  
განაგონს.

იმ მოაზრე, საიდანაც დედაციხე მო-  
ჩანს, უზარმაზარი ციხე-ქალაქი ყოფი-  
ლა. ვინმე დიდაზნაურს, თუ ერის-  
თავს — მამუკას ეკუთვნოდა თურმე  
ოფი. მე კარგად არ მახსოვს, რამდენი  
შვილი ჰყოლია იმ მამუკას, აბრია, ჰა“.

შეეკითხა მოხრობელი აბრია-ავ-  
სიტყვას.

„შვიდი“; — მიუგო აბრიამ და თავი-  
სი ყალიონიდან გამოუღმა სქელი კვამ-  
ლი.

„ჰოდა, იმ შვილთაგან უფროსი კეთ-  
რისაგან მოკვდომია იმ უბედურ ერის-  
თავს, მამუკას, რომლის გვარი ცნობი-  
ლი არაა. ღვთის მგმობი გამხდარა  
გამწარებული მამა. სამების წმიდაგი-  
ორგის ხატი გამოუტანია თავისი კარის  
ეკლესიიდან სწორედ იმ დღეს, როცა  
სამი საერისთაოდან მოსული ხალხის  
თანადასწრებით მარხავდა თავის უფ-  
როს ვაჟს. მიწაზე დაუნარცხებია ღვთაე-  
ბაზე განრისხებულ კაცს ეს ხატი.

ჯერ თავად შედგა თუმე და ფეხით  
გასთელა, მერმე მოარეკინა ღორის  
კოლტი და გადააჯეგვინა უძვირფასესი  
თვლებით მოოქვილი ხატი.

მამუკას მკვრეხელობა წამსვე უც-  
ნობებითაჲს პერეთის ქორიკოზისათვის.  
დიდი ლაშქარით დაძრულა ქორიკოზი  
გრემიდან. ჯერ აქ, ცხრამუხის ზეგან-  
ზე, ეგრეთწოდებულ მამუკას უბანში,  
სადაც მას საპატრონო სოფლები ჰქო-  
ნია, შებმულან თურმე პერეთის ქორი-  
კოზი და ერისთავი მამუკა.

როცა ცხრამუხაში სასტიკად და-  
მარცხდნენ მამუკა და მისი ექვსი ვაჟი,  
უკუშეცვულებმა თურმე მამუკას  
წრეს მტერს და დედაციხეში გამაგრ-  
დნენ.

უსაშველო სისხლისღერის შემდეგ  
აულია ქორიკოზს როგორც დედაციხე,  
ისე ყველა თორმეტი გოდოლი, რომე-  
ლიც ციხე-ქალაქს იცავდნენ ქვეყნის  
ოთხივე კიდიდან.

მამუკას ექვსივე ვაჟი ციხის ხერე-  
ლებიდან გაქცეულან, ხოლო ღვთის-  
მგმობელი ერისთავის გვამი ცხენის  
ძუაზე მიაბმევინა და ათრევინა თურმე  
მძვინვარე ქორიკოზმა. სამების ხატი  
დიდი ცერემონიებით კარის ეკლესიის  
კანკელზე დაუკიდია და გაპარტახებუ-  
ლი ნაქალაქევის მცველად დაუყენებია.  
ეს ხატი წმიდაგიორგის სახელო-  
ბისა. ალბათ მოგეხსენებათ, ამ წმი-  
დანს იმდენი სახელი აქვს საქართვე-  
ლოში, რამდენიც დღეა წელიწადში  
და, როგორც გამოვიგონია, ამ წმიდაგი-  
ორგის „ქეკაცას“ უწოდებდნენ.

ციხისთავი ნერვიულობდა, წარამარა  
დახედავდა ხოლმე თავის მჯავის საათს,  
ნამორიდან დგებოდა, ვაცქეროდა  
გალმა გაჩხერილ ბორანს. ბრახობდა:  
რა გახდა ამ გაოხრებული ბორნის  
შეკეთებათ.

ბოლოს ღიმილით მიუბრუნდა კო-  
რინთელს და ხმადაბლა უთხრა:

„ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ, ბერ-  
მუხაში იმდენი ხალხი გვიცდის, ალა-  
ზანს გადალმა კომბაინებს უნდა მივხე-  
დო, ყვარელში თივა ასალებია, რამდე-  
ნიმე ათასი ცხვარი ჩრდილო-კავკასია-  
ში უნდა გავაგზავნო სასწრაფოდ.

სამი დღის შემდეგ ცეკას პლენუმს  
უნდა დავესწრო. ჩვენ აქ ვზივართ და  
იმ ოჯახბაქცეული ქორიკოზის ამბე-  
ბით თავს ვირთობთ“.

„არაფერია, ამხანაგო რაიკომო. ყვე-  
ლა ლეგენდა უქმად მყოფი ადამიანე-  
ბის მიერაა შეთხზული ღამის თევისა  
და წისქვილებში ძილხზილობის

დროს. მაგრამ მოცალების ეპოს საქმიანი ადამიანებისათვისაც გამოდგება იგი გასართობად. სანამ ამ ბორანს არ მოვაშორებთ და ზიდს არ ავაგებთ, ხშირად მოგვიხდება ლეგენდებით თავის გართობა“.

სიტყვა უსახელომ.

ახალკაცი დაინტერესდა, მას უნდოდა გაეგო, თუ როგორ დამთავრდა ეს ამბავი, რომელიც ჩვენს ეპოქაში მოჩანს როგორც თარიღგადაშლილი რომელიმე მონეტა, ან მეფეთა, ან ერისთავთა ბეჭედი, ან ცხენსაკაზმი, დღევანდელობისათვის უქმი და უხმარი, მაგრამ ჩვენი ეპოქის საპირისპირო და მისი სიღიადისათვის შუქის მომფენი, შუქის მიმფენი კონტრასტების ძალით.

უსახელო თავკობალამ განაგრძო თხრობა:

„ეს ხატი არაბების შემოსევის პერიოდში მთათუშეთში გაუხიზნავთ ბერებს. თუშები მას ირმის წყაროზე აგებულ სამლოცველოში ინახავდნენ, მძიმე ჯაჭვებით დაბმულს. ბოლოს პერთის ქორიკოზს დაუბრუნებია იგი ისევე კახეთ-ჰერეთში.“

ასე, რომ ბერმუხელ თუშებს, რომელნიც მეფე ერეკლემ გადმოსახლა კახეთში პირველად, ლეკებთან საბრძოლველად, დიდად სათაყვანო ღვთაებად მიანდათ დღემდის იგი, ირმისა და ჯიხვის რქებით საპატიოდ შემკული.

მთელი მთათუშეთი ჩამოდიოდა ამ ხატის სათაყვანოდ, ვაჟიანობას და ჯანის სიმართლეს შესთხოვდნენ მას. ისე როგორც თბილისელ დიდ ექიმებთან დადიან ხოლმე დღეს ავადმყოფები, ინვალიდები, ყველა ისინი, ვისაც ვაცილებით ხანგრძლივად ცხოვრება ენატრება ვიდრე მათი ჯანმრთელობა ამის ნებას აძლევს. ჩვენთვის სათაკილო ჩვევანი რევოლუციის შემდეგაც დიდხანს არ მოშლილა. მე ჩემი თვალით მიანახავს: სახვეწრად მოსულ უძეო მამაკაცებს სოფლის გოგონები გაიტა-

ცებდნენ და ირმის რქებით საგანგებოდ მორთულ ყორეზე ჩაატრევენ ხოლმე.

გამოდიოდა ჩოხაშემოფხრეწილი თუში დეკანოზი, დაამწყალობებდა და ვაჟიანობას უსურვებდა უძეო მამაკაცებს.

აქ მოჰყავდა არა მარტო თუშებს, არამედ თუშყოფილებსა და კახელებსაც, ბნედიანები, მუნჯები და ენაბრგვილები, სად ჩამოვთვალა ყველა, ჩუმი და დასაბმელი გიყები, მედიცინის ენით რომ ვთქვათ, შიზოფრენიკები, პანაროიკები, მელანქოლიკები და სხვა მისთანანი, მუნჯები, ყრუები, ციმბირის წყლულთა და ცხერის ჭირით სნეულნი. ქვაკაცას შესთხოვდნენ საქონლის მომრავლებას, ორსული დედაკაცებისათვის „მშვიდობის მუხლის მოგებას“ და სხვა მისთანათა.

საინტერესოა: ვისაც თავად არ შეეძლო მისვლა, ჭირისუფალთ მოქონდათ სნეულის ტანისამოსი, ფეხქვეშ უფუნდნენ დეკანოზს ავადმყოფის სამოსს და უცდიდნენ მის დამწყალობლებას.

სიტყვა გამიგრძელდა და უმთავრესი გადამავიწყდა. მამუკა ერისთავის ექვსვაჟს ლაშქარი უთხოვნიათ თავიანთი დედის ძმის — პანკისის ერისთავისათვის. ექვსჯერ მიუტანიათ იერიში დედაციხეზე მაგრამ, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, ექვსჯერ უაუშქცემა იგი „უძლეველ ქვაკაცას“.

ბოლოს მოსულა ქორიკოზი და უსაშინელესი წყევლით შეუჩვენებია ყველა ვინც ოდესმე მამუკასეულ მკვდარ ქალაქში ბარს დაჭრაეს და ბალავერს ჩაჰყარის, რაიმე ნაგებობას ააშენებს, დროებით, ან სამუდამოდ დასახლდება. მე სადღაც ძველ ქრონიკებში ამოკითხული მაქვს იმ ქორიკოზის მიერ დანთხეული წყველა, მაგრამ, მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს.

აბრია დაგვიმოწმებს, თვით ჩვენი მეცხვარეები ვერ ბედავდნენ იქ თუნ-

დაც სახელდახელო ფარეზების გამართვას“.

„სწორია, — დაადასტურა აბრია-  
ვისიტყვამ, — მე დღესაც მეშინია  
ქვაკაცისი, ვენაცვალე მის მადლს“.

როგორც ციხისთავს, ისე ყველა თა-  
ნადამსწრეს გაეცინათ, მიუხედავად  
ამისა, განაგრძო ამ ბნელი ამბების  
მთხრობელმა:

„ვინ მოთელის, რამდენჯერ ცდილან  
შემდეგსა და შემდეგ საუკუნეებში ამ  
მხარის ფეოდალები თავიანთი ყმები  
დაესახლებინათ მამუკასეულ ციხე-  
ქალაქის შემოგარენში, მაგრამ, რო-  
გორც გადმოცემა გვაუწყებს, ქვაკაცა  
ყოველთვის გაუბრაზებით ამ გზით,  
ხან ქირს, ხან სახადს, ხან კერასა და  
ყვავილს ამოუეუეავს ხალხი.“

ბოლო ხანს გენერალ ვაჩხაძეს ლე-  
კები ჩამოუყვანია და დაუსახლებია იქ  
მაგრამ, როგორც კი ეს ამბავი შეუტყუ-  
ვით ლეკებს, შეშინებით ქვაკაცისი  
აყრილან და მთებში გაქცეულან ისევ.  
ამგვარად, ქვაკაცა შიშის ზარს სცენ-  
და ამ მხარეს ჩვენს დრომდის“.

ციხისთავმა ღიმილით დასძინა:

„როცა ჩვენ ცხრა მუხის ზეგანზე  
ტრაქტორები და ექსკავატორები მივა-  
ყენეთ მამუკას უბანს ხანდაზმული ქა-  
ლები და კაცები კომკავშირელი ტრაქ-  
ტორისტებისა და შოფერების მშობლე-  
ბი შიშისაგან ცახცახებდნენ, პირჯვარს  
იწერდნენ, ლოცავდნენ ტრაქტორის-  
ტებს, ევედრებოდნენ ქვაკაცს, ნუ  
უწყენთო ამ ახალგაზრდებს ამგვარ  
მკვრებლობას, მაგრამ ჩვენი კომკავში-  
რელები არ შედრკნენ და, როგორც  
ჰხედავთ, კეთილად დააგვირგვინეს ეს  
საქმე.“

დღეს ხვალ თქვენ ნახავთ, როგორი  
წიოკობა ატყდება მოხუცებს შორის  
როცა ჩვენს მექანიზმებს მივაყენებთ  
ზედ მამუკას ციხის კარს“.

„თუ ჩემისთანა კუთხოვლებს რამე  
დაეჯერება, არამცდარამც არ გირ-

ჩვედით ასეთ რამეს, შეილოსან იტო-  
დეთ, ნუ აჩქარდებით, ჯერაც ცხელია  
დაუარგავს ქვაკაცს“, უხედავად  
თო ამ საუბარში აბრია-ვისიტყვამ.

„ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მექა-  
ნიზმებს როგორ-ღა აიყვანთ იმ სიმალ-  
ლე მთაზე?“ იკითხა ახალკაცმა, ცეკას  
ინსტრუქტორმა.

ციხისთავმა მზერა ესროლა მთას და  
თქვა:

„ეს დაცვრებული ფლატეები აქედან  
მოჩანს, ისე კი ჩრდილო-აღმოსავლეთ-  
თიდან მოსასვლელი აქვს, საკმაოდ გა-  
ნიერი თემშარა აღის ზედ. ეს ზეგანი  
ნაწილია იმ დიდი ვაკისა, რომელსაც  
გველეთს უწოდებენ. გველეთზეა არა  
ერთი ათასი ჰექტარი, ჯერაც გაუტყე-  
ლი ყამირი, სავსებით ადვილად მოსარ-  
წყავი. ეს ტერიტორია ბერძუნის კოლ-  
მეურნეობის ფარგლებში შემოდის“.

ასე რომ ჩვენ სამერმისო გეგმაში შე-  
დის ახალი ვაზნარების გამართვა გვე-  
ლეთის ვაკეზე.

ახლა ციხისთავს ეწადა, გველეთის  
ზეგანის მორწყვისა და ათვისების გეგ-  
მებს შეხებოდა, მაგრამ თვალი მო-  
ჰკრა, თუ როგორ დაიძრა გადმიდან  
ბორანი, და განუშტა. ციხისთავი და  
მისი თანამგზავრები წასვლას დაად-  
გნენ, მაგრამ სწორედ იმ დროს,  
როცა მათი მანქანა ბორნის ტრაპზე  
უნდა დაეყენებინა შოფერს, ლურსმანი  
შეერკო საბურავს.

ბორნის მიახლოვებაზე ერთმალე  
ატყდა ნაპირზე. მწყემსებმა ყვირი-  
ლი ასტყვეს. ცხერის მოგროვებას  
შეუდგნენ. კორინთელმა თვალი მოჰკ-  
რა, აბრია-ვისიტყვა მდინარის პირად  
დაცუტქულიყო, შავ თოხლს თავზე  
წყალს ასხამდა, ეფერებოდა, აგრილებ-  
და დასიციხულ ცხოველს.

ამასობაში უამრავი ხალხი მოადგა  
ბორნის სადგომს — წერაქვებით, ბა-  
რებით, ცულებით შეიარაღებული  
კოლმეურნე ქალები და კაცები.

„ალაზნის გადაღმელები მოდიან პე-  
სის სამუშაოებში წილის დასადე-  
ბად“, — სთქვა ციხისთავმა.

უსახელო თავკობალა ნაპირს მოაბ-  
ლოვებულ ბორნისაკენ გაემართა,  
მაგრამ ციხისთავმა თავაზიანად შეაჩე-  
რა იგი, სიციხისაგან დაოსებულ ცხვრებს  
გადახედა თქვა:

„მოდი, ჯერ ცხვარი გადავაყვანი-  
ნოთ. ეგვე არ იყოს, ჩვენი მანქანის სა-  
ბურავი დაეშვა, ცოდვია დასიცხული  
პირუტყვი“.

მეცხვარეები წამოიშალნენ, რადგან  
ბრიგადირმა ყვირილით ამცნო მათ,  
ბორნის მისადგომისაკენ მოეღალათ  
ცხვარი.

ვაცმა გასარდლა ფარა, მას უკან  
მიყუენენ ამაყი ბაკი-ბუკით სხვა  
თხები. მეცხვარეები უბილიკებდნენ  
ცხვრებს, ზოგს ყურით მიათრევდნენ  
ბორნისაკენ, ზოგიც ხელში აპყაუდათ  
ბალლივით, მკერდზე იხუტებდნენ, ან  
ხურჯინივით მხარზე შეგდებულნი აპ-  
ყაუდათ ბორანზე.

ციხისთავმა აბრიას გადასძახა:

„ძია კაცო, არა სჯობს, ორგზობაზე  
გადაიყვანო ცხვარი?“

გაჯიქდა აბრია.

„არა, ერთად გადავიყვან, ფიქრი არ  
არის, — მიუგო — ჩვენს უკან საში  
ათასი ცხვარი მოდის, საღამომოდის  
ვერ მოვილევთ“. შუა მდინარემდისაც  
არ იყენენ მოსულნი, რომელიღაც ცან-  
ცარა ვაცს ფეხი გადაუცდა ბორნის  
ბორტიდან და წყალში ისკუბა. მას თან  
გადაპყვა ბარე შეიდი ჭედილა.

სამმა მეცხვარემ სწრაფად გაიხადა  
ტანზე და ალაზანში გადაეშვა. უკანას-  
კნელდ გადავარდა სწორედ ის შავი

თოხლი, რომელსაც ეგზონა დრდი  
მზრუნველობით ელოდიყვეტედა სერ-  
ქალი წილან.

გიგლინიძე

ლანდის უსწრაფესად ძირს დააგდო  
მობუცმა აბრიამ თავისი წილამურები-  
ნი ქული და ტყაპუკი, ანაზღად გაში-  
შვლდა. ტყის კაცს მიავაგდა ამ წუთში  
იგი, მთელ ტანზე თმით შემოსილი.

ციხისთავი და მისა თანამგზავრნი გა-  
ოცებულნი უცქეროდნენ ამ ბანჯგელი-  
ან დევეკაცს, რომელიც ჭაბუკური თავ-  
გამეტებით გადაეშვა ალაზნის ამღვრე-  
ულ ზვირთებში.

მეცხვარეებმა ექვსივე ცხვარი ცურ-  
ვით გაათრეს მდინარის გადაღმა, ხო-  
ლო შავი თოხლი, შუაგულ მდინარეში  
გადავარდნილი, მაგრად აბურთავა  
ალაზანმა და შორს გაიტაცა.

მხარულით მას უკან მისდევდა აბრია-  
ავსიტყვა, მამაცად მიაპობდა ამღვრეულ  
ტალღებს.

ახალკაცი აღტაცებული იყო ამ სა-  
ნახაობით:

„რა უცნაური ვეკაცი ყოფილა ეს  
ბებერი. რამდენი წლის იქნება, ნე-  
ტაე?“ — შეეკითხა იგი ციხისთავს.  
ვიდრე ეს უკანასკნელი პასუხს გას-  
ცემდა, კორინთელმა ჩაილაპარაკა თა-  
ვისთვის:

„ეჰ, ეს რა ბედენაა. ოთხმოცდაროი  
წლის ერეკლე მეფის ვეკაცობა იკით-  
ხეთ, კრწანისის ომში, რომ ცხენს დაა-  
გელვებდა და ჭაბუკურად იქნევდა  
ხმალს“.

„საქმე ისაა, ჩვენი დროის ბრიგადირი  
ასე თავგამეტებით რომ იცავს სოცია-  
ლისტურ საკუთრებას“, — შენიშნა  
უსახელო თავკობალამ.

### ქლივა უძლველისა

აბრია-ავსიტყვა ღვინისაგან დაოსე-  
ბული მიბრუნდა შინ. ჯერ ეზოშიანც  
შესული არ იყო, ყვირილი მორათო:

„მაო, მაოო...“

მაო თონეში პურს აკრავდა, ამიტო  
მაც წამსვე ვერ უპასუხა ქმარს.

„მაო, მაოო...“

დამღულრულივით ბრდღვინავდა აე-



სიტყვა, ამ ძახილზე აბრიას გამოეგება შვილიშვილი, თეთრო, იგი ქმართან გაყრილი იყო და ამიტომ შეიძულა პაპამ.

ახლა, როცა იგი მთვრალს შეეხეხა, სასტიკად შეუბღვირა აბრიაშ და ისე დაუტატანა, როგორც აბეზარ ძაღლს დატუქსავს ხოლმე ბოროტი ბატონი.

„მაოოო“, ყვიროდა ისევე აბრია. თეთრომ ბოსლისკენ მოკურცხლა. როგორც იქნა, მოაღწია ფეკილში ამოთხვრილმა, ოფლში ვადვარულმა მამომ.

„სად ჯანაბაში ხარ, დიაცო?“ — შეუძახა აბრიაშ.

„პურს ვაცხოზდი ეგე კაცო“... — მიუფო აცახცახებულმა მამომ.

„პური რა შავ ქვედ გინდა, დედაბერო, ქვეყანა იწეება სიცხისაგან, წყალი დამალევინე, იავოკ<sup>1</sup>“.

„წყალი სადა მაქვს, ეგე კაცო? მე პურს ვაცხოზდი, თეთრო აკრავდა, სხვანი კრებაზე წავიდნენ, წყალზე ვინ გამეგზავნა, ჩემო ბატონო“.

გაცოფდა აბრია: როდის გაათავებენ ეს ოხრები კრებას და ამდენი საკერი თეთროს რა აქვსო?

თეთრო თავტირილისთვის ხომ არ ეშაღებო, მე შინ ვერ დავაყენებ ქმარგაყრილ ქალს, უჯობს შავები შეიკეროს და დროზე თავტირილი გამაროთოსო.

ქვეყანა იწეება, საძოვრები გადახმა, ცხვარი გველუბება და ჩემი შვილიშვილები კრებებზე დაეხეტებიან, ზოგი კრავს, ზოგიც ენის ქაეილს აპოლიათ.

გახევებული იდგა მამო და შესტკეროდა გალუშელ ქმარს, არყის სუნი ცხვირპირში სცემდა დედაკაცს.

აბრია განაგრძობდა დუღლუნს: „ქვაკაცა გააჯაერეს. აბა რა ეგონათ კომუნისტებს, მამუკას უბანში ჰანერგე ფარდული ააგეს, ვაზები ჩაპყარეს, წმინდანების ძვლებზე ტრაქტორებმა გადაიარეს. აბა არას იზამდა ქვაკაცა“.

„პური მიფუტდება“, — ჩაიდუღუნა მამომ და თონისაკენ წასვლა დაამარა.

„მაოოო — იყვირა ისევე აბრიაშ წყალი...“

„საიდან მოგართვა, მე თვით წყურვილი მაზრჩობს, თონეში ჩაუღებულს“.

„წყალი-მეთქი, ჩქარა“.  
მამო წაფრატუნდა და წყლის მაგივრად საჩხრეკა<sup>1</sup> მოართვა კაკლს ქვეშ მკვდომარე ქმარს.

ტუჩპირზე მოიყუდა აბრიაშ საჩხრეკას ქილა. მერმე უცებ მოიცილა ზირიდან, გამოადლუჯა და ქილა პირდაპირ ესროლა ცოლს, მაგრამ მამომ აიცილია იგი.

„ეს გადამეყვებული საჩხრეკა შენს მკვდრებს გადაასხი, დიაცო საფლავზე“.  
თავი იმართლა მამომ:

„დღეენდელია, სამებას გეფიცება, ეგე კაცო“.

სამების მადლიმც გაიწყრეს იავოკ<sup>2</sup>.  
მამო ისევე გაბრუნდა თონისკენ, რადგან დაბრუებული პურის სუნი დადგა ეზოში.

„სად მიეთრევი, იავოკ?“  
„პური მეწეება თონეში“.

„აქ მო... შენ გეუბნები, დიაცო. რა ეშმაკსა და დოზანას უცდით. ქვეყანა ილუბება...“

„მერმე მე რა ვქნა, ეგე კაცო?“

„რად არ მიდიხართ დიდებაზე?... ან საწვიმარა გუგაი<sup>3</sup> მორთეთ, ან მიცვალელებლების ძვლები გადაყარეთ წყალში. შეავედრეთ ქვეყანა ქვაკაცას“.

„მე ერთი ვარ და სად წავიდე?“

1 საჩხრეკას თუშები ღოს უწოდებენ.  
2 ქველად, დიდი გვალვის დროს დედაკაცები ფეხშიშველა შემოივლიდნენ სოფლებს, თითო მუტა ხორბალს ჩამოითხოვდნენ და მერზე შესაწირავს მიუტანდნენ ხატს.  
3 თუშურის ჩვეულების მიხედვით, სოფლის გოგონები პატარძლის სამოსელს გადაამყვანდნენ, წყალზე წაუღენ, წყალში ამოაღებენ „გუგაის“ და მღერაინ: „ღმერთო, მოგვეც ტაღაბიო, აღარ გვინდა გორახიო“.

1 დიაცო.

„შე ერთი როგორა ხარ, შეიდი რძალი მყავს და ოციოდე ძმათაშვილებისა და ბიძათაშვილების ქალრძალი“.

„რას ამბობ, ეგე კაცო, თხუთხმეტი კომკავშირელი შინა გყავს და ვინ დავანებებს დიდებაზე წასვლას, საწვიმარა გუგაის მორთვას, ან ალაზანში ძვლების გადაყრას“.

„იცოდე დღესვე შეკრიბე ქალრძალი და სამებაზე წადით, თორემ არც ერთი არ დამიხვდეთ, თეთროც წამაიყუა...“

„ჩვენ დედაბერები დიხაც წამოვალთ, მაგრამ თეთრო კომკავშირელია, როგორ-ღა წამოვა?“.

„კომკავშირელი მე არ ვიცი, თეთრო წამაიყუათ, თორემ აქ არ დამიხვდეს...“

ბერძუხას ჩასვლის უმაღვე არასანუგეშო ამბები დაახვედრეს ციხისთავსა და კორინთელს თედომ და გოდერძიმ. განსაკუთრებით სასოწარკვეთილი ჩანდა გოდერძი:

„მიკროუბანს, როგორც იქნა, ეუშველეთ, მაგრამ ცხრამუხის ვაზნარებს ვინ შეაჯერებს წყლით“.

გოდერძის მუდამ ხიბლავდა ციხისთავის სიმტკიცე და შეუპოვრება. მას არავერთხელ ჰქონდა დაცდილი, რომ უდიდესი შექირვებისა და განსაცდელის ვაშს იგი არასოდეს მიეცემოდა უიმედობას.

ამჯერად იქვი შეეპარა გოდერძის. ციხისთავი რამდენიმე ათას ვაზს ამ განსაცდელისაგან როგორ-ღა გადაარჩენსო.

კორინთელიც შეშფოთდა როცა მან გზავალითაც შენიშნა, რომ დიდ ზვარს იერი წახდომოდა. განსაკუთრებით შტამზე ამოსული ქვედაფოთლები იძლეოდნენ საგანგაშო სიგნალს.

ეს ხომ არ იყო მრავალწლიანი ვენახი, რომელსაც ღრმად გადგმული აქვს ნიადაგში ფესვთა სისტემა, არამედ სავ-

სებით ლონტიოზო მოჩჩი ნიადაგის სიმშრალის მიმართ ფრიალ გრძნობიერი.

ცხრამუხის ზეგანზე ახალშენის ვაზნარების დაღუპვა წარუშლელ ლაქად დააჩნდებოდა პროფესორ კორინთელის პრესტიჟს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი კორინთელის უნარსა და გამოცდილებას დაემყარა, ამიტომაც დააშვებინა ფონდები.

თავისთავად იგულისხმებოდა, რომ კორინთელი, როგორც განსწავლული აგრონომი და ნიადაგთმცოდნე, სათანადოდ შეისწავლიდა ამ საკითხს, წინასწარ შეისწავლიდა ყოველივე ხელშემშლელ პირობას, რაც კი რამ წინ გადაუდგებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს და, შემდგომ ამისა მისცემდა თავის მხრივ დასკვნას.

თუ ეს დიდი წამოწყება მარცხით დასრულდებოდა, არც კორინთელსა და არც ციხისთავს საბუთად არ გამოადგებოდათ იმის მტკიცება, რომ სოფელექტროს მთავარმა ინჟინერმა ხელი შეგვიშალაო.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ მას შემდეგ, რაც ტრაქტორებმა, ბულდოზერებმა და ექსკავატორებმა ამოძირკვეს და მოსხვეს ველური ვეგეტაციის ნაშუსრევი ცხრამუხის მთელს ზეგანზე, ტენიანობამ საგრძნობლად იკლო და უქანასკნელ დღეებში მთლად გაჰქრა იგი, რადგან მიწის ზედა შრეები გამოაშვრეს ცალკე მშემ, ძალკე აღმოსავლეთის მცხუნვარე ქარებმა.

სავალალო ის იყო, რომ საქართველოს მიწსახკომის ხელმძღვანელ წრეებში საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა ცხრამუხაზე ვაზნარის გაშენების საკითხს. ამ ოპოზიციას ხელმძღვანელობდა განყოფილების გამგე აგრონომი ბილანიშვილი.

ამ უქანასკნელს უაზრობად მიაჩნდა ეს საქმე. ცხადია, აბრია და ლუო უჯირაულელების დარად იგი ღრაქასა და სხვა

მეზებლებს კი არ ასახელებდა, არამედ მოულოდნელ გვაღვიანობას უჩიოდა.

ბილანიშვილი ამტკიცებდა: ცხრამუხის ზეგანი ისეთი ხირხატიანია და ირგვლივ მდებარე მიწის მასივიდან მოწყვეტილი, რომ მოურწყავად ვაზს ვერასოდეს გაახარებთო. გაჩეხავთ თუ არა ღიჭინებსა და კატაბარდით დაბურღულ რცხილებს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები შეუტევენ მოტიტვლებულ ზეგანს და ნიადაგს ქვედა შრეებს გამოუშრობენო.

როგორც კორინთელი, ისე ციხისთავი, თავის დროზე ანგარიშს უწყევდნენ ამ საფრთხეს, მაგრამ ისინი უმთავრეს იმედს ჰესის აგებაზე ამყარებდნენ.

ახლა, როცა, უსახელოს მეოხებით, ძვირფასი სამი თვე დაჰკარგეს, განსაცდელი უკვე კარზე იყო მომდგარი.

ამ განსაცდელმა უფრო მჭიდროდ დააკავშირა მეცნიერი და რაიკომის მდივანი.

ამან ყოველივემ ისე შესძრა ვახტანგ კორინთელი, რომ მას უკვე საცხებით გადაავიწყდა პირადი ცხოვრების საკითხები.

მაკინტოში და ხელჩემოდანი შინ გაატანა მან შოფერს, ხოლო თავად მანქანაში ჩაუჯდა ციხისთავს.

გოდერძი და შვიდი ბრიგადირი მამუკასეულ ციხესთან დაუხვდნენ რაიკომის მდივანსა და სტუმრებს.

მისვლის უმაღლვე ატყდა, ცილობა სამარქაფო არხის გამო. უსახელო თავისას არ იშლიდა, ასეთ პატარა ჰესისთვის სამარქაფო არხის გაკეთება სახსრების უქმად განიავებას უღრის, ჩვენ კი ნაბრძანები გვაქვს, სახელმწიფო რესურსებს გავუფრთხილდეთო.

კორინთელი და ციხისთავი დათმობას არ აპირებდნენ, ისინი მოულოდნელ წვიმიანობას და ავარიის შემთხვევებს უწყევდნენ ანგარიშს.

დიდხანს უშინა ინსტრუქტორმა ახალკაცმა ამ დავას, თვალი მოავლო გორმახებით შემოზღუდულ ზე-

განს, რომელიც თავისთავად უმარქაზარ ტაფობს წარმოადგენდა სოფელ ბერმუხისაკენ ოდნავ დაშორებულს.

კორინთელმა თვალხათლივ დაუსაბუთა მას, რომ ირგვლივ მოჯარული გორმახებიდან დაძრული ნალექები დიდი წვიმიანობის დროს ტაფობის ცენტრში დაგროვდებიან და უშველებელი ძალით მიაწევიან კაშხალს, ასე რომ მარტოდენ საწნეო ხაზი ვეღარ აიტანდა ამ ოდენობის წყლის გატარებას და, თუ სამარქაფო არხი არ მიეშველებიათ ასეთ დროს საწნეო არხს, არა მარტო ცხრამუხის ვაზნარებს, სოფელ ბერმუხისაკაც წალეკავსო წყალი.

ამასობაში ბორანთან მირთმეული ღვინო უკვე გამოწელებოდა უსახელოს. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის აზრს რაც შეეხება, უაქციევა დააპირა.

„მე სახელმწიფოს ჯიბეს ვუფრთხილდები, ამხანაგებო, თორემ რა შენალვლება, როგორც თქვენ მიზრძანებთ, ისე გვაკეთებ. მე არ მიმანხნდა საჭიროდ ამოდენა ცემენტის უსაზმნოდ ხარჯვა, იყოს ნება თქვენი, ჰა თქვენი ხმალი და ჩემი კისერი“, წუწუნებდა იგი.



სახელდახელო თათბირი რა მოათავეს, ციხისთავი სტუმრებს წინ წაუძღვა და უამბობდა თავის გეგმებს ამ შშვენიერი არეშარის სამერმისო პერსპექტივების გამო. ჩქამი არ ისმოდა მკვლარი ციხე-ქალაქის შემოგარენში. ღამენათევი ჭოტები ისხდნენ ნაციხარების ნასაყდრალეებისა და ნაპარტახალების საწყალობელ ნამუსრევებზე.

თეჩამონგრეულ გოდოლებსა და სამრეკლოებზე ლელვის ხეები ამოსულიყო. სუროხა და აერებს დაებარდა აქაურობა. მაყვლიანებიდან ზანტად გამოდიოდნენ სიცხისაგან დაოსებული გველები.

მოჩუქურთმებული თავიიდურები უწესრიგოდ ეყარნენ წარწერაგადაშლილ ლოდების ყორეებზე.

ნაციზარებსა და ნასაყდრალებს ზედვე ეტყობოდათ რა მკაცრად უჯიროთნიათ სიკვდილსა და წარმავლობას ამ გავერანებულ ნაქალაქარში.

არც ღვთისმგომბელი ერისთავისეული სასახლე იყო უკეთეს დღეში, მთავარ დარბაზში უზარმაზარი მუხები და თელები ამოსულიყვენენ, კორინთელმა დიდხანს უთვალთვალა მათ და დაასკვნა: თითოეული მათგანი ათასი წლის მაინც იქნებაო.

მთავარი დარბაზის ბუხრებს საწყალობლად დაებჩინათ ქაოსის ნაბრაღივით ჩაშავებული ხახა.

გოლიათური ქვის საწნეხლები, ქვევრები, ხელწისქვილები, ზეთის სახდელი მოწყობილობანი, დაღწილი რკინის კარები და ფანჯრების კიდებებზე დაყოლებული ორნამენტების ნამსხვრები ეყარა ირგვლივ.

„ამ მახინაში მონებს შეაბამდნენ ზოლმე, ატრიალეებდნენ და ამგვარად ხდიდნენ ზეთს“, განუმარტა ახალკაცს უსახელო თავკობალამ. ბოლოს თავად იყისრა მეგზურობა და ისე ომახიანად წინ წარუძღვა სტუმრებს, თითქოს თავად ყოფილიყო მამუკა ერისთავის განმგეთებუცესი.

„ეს გახლავთ მთავარი დარბაზი. ეს დამსხვრეული თავიიდურები ამკობდნენ ალბათ ამ დაღწილ კოლონებს, ეგერ საძილო ოთახები, ეს თაღოვანი ვერანდა უნდა ყოფილიყო, უეჭველია. ამ ვერანდიდან, როგორც ჰხედავთ, ალაზნის ველი ხელისგულსავით მოჩანს.

ეგეც კარის ეკლესია გახლავთ. ფიქალის სახურავი სვანურ ქუდსავით ჩამოუფხატანს გუმბათს. ჩემი ვარაუდით, ეს ნაგებობა მეცხრე-მეათე საუკუნეზე გვიანი არ იქნება. მე არქიტექტურაშიაც მესმის ცოტა რამ.

აქ ასვენია ის „უძლეველი“ ქვაკაცასხატი, რომელიც ჩვენ დრომდის თავ-

ზარსა სცემდა ამ არემარეს. (სიტყვა „უძლეველი“ ირონიული ტონით წარმოთქვა უსახელომ). ჯერ კიდევ ჰქვს სიყმაწვილეში ხატობის დღეს აქ მოდიოდნენ არა მარტო ხევსურები და წოვათუშები, არამედ ლეკები და დიდოელებიცა. შესაწირავი მოჰქონდათ ქვაკაცასათვის.

უნდა მოგახსენოთ, ნეკრესის შემდეგ ეს მთელს საქართველოში ერთადერთი ტაძარია, რომელიც მხოლოდ ღორს იღებდა ზვარაკად. ალბათ აქაურ ბერებს უყვარდათ ღორის ზორცი... ჰი, ჰი...“ — ივლანებოდა უსახელო.

„აქ მოდიოდნენ არა მარტო სალოცავად, საქონელი მოჰქონდათ, გასათხოვარი ქალები მოჰყავდათ, ზოგი მთიელი თავის მოსისხარს ეძებდა, არაერთხელ მიწახვს, თუ როგორ დასხმიან თავს, რა თქმა უნდა, ამ ეკლესიის გალავანს გარეთ. მოსისხარები ერთმანეთს ხმლით, ხშირად ამ ბრძოლაში მთელი გვარი, ბოლოს მთელი ტომი ჩაერეოდა, და უსაშველო სისხლის ღვრა იწყებოდა“.

ამ საუბრით გართულნი უკვე მიადგნენ სამების ეკლესიის ღია კარებს. რკინის კარები ენგს გამოეხრა. ჩამორეცხილ ფრესკებზე გამოსახული ერისთავები, ეპისკოპოსები და წმინდანები სამოსშემოფხრეწილ მათხოვრებს დამსგავსებოდნენ.

„ეს არის ის ღვთისმგომბელი ერისთავი მამუკა, ხოლო მოპირდაპირე კედელზე მისი მწყვევარი ქორიკოზი. განსაზღვრულ ეპოქაში როგორ ებრძოდა ეს ორი წოდება ურთიერთს, ქვაკაცა ხან ერთს შველოდა, ხან მეორეს, მაგრამ მოვიდა ფოლადისკაცი და სამივეს ჩაუვარდათ ნაცარში კოვში“, — თქვა უსახელომ და ცეკას ინსტრუქტორს ახალკაცს შეხედა.

კორინთელი დააკვირდა აბჯარში ჩამჯდარ გრძელულევაშიან მამუკა ერისთავს, რომელსაც მარჯვენა ხელი ხმაღზე ჰქონდა დაყრდნობილი, მარცხენაში

ურმის ფერსოსოდენა ფარი ეჭირა. ხმლის ვადამდის უწევდა მგლისფერი წვერი, ხოლო წვერტადადრეკილ მუზარადიდან თაფლისფერი კულულები სამხრე აბჯარზე გადმოღვროდა.

მოპირდაპირე კედელზე გამოსახული იყო კუპრივით შეეწვეროსანი ქორიკონი. მას კვერცხისგულისფერი სახე ჰქონდა, მხრები და ხელფეხი ისე უმარჯვოდ და პრიმიტიულად გამოხატული, ბალებების სათამაშო გოჯილას უფრო მიაგავდა, ვიდრე ადამიანს.

ფისივით შავი წვერი სცემდა ომფორის ქვეშ გამოჩენილ რკინის პერანგზე. რომელიც ორაგულის ქერეჭს უფრო მიაგავდა, ვიდრე თორს.

ეს შავად გარუჯული, ყვითელი და ჯუჯა ეპისკოპოზი მრისხანე თვალებს უბრაილებდა მოპირდაპირე კედელზე გამოხატულ ახოვან ფეოდალს:



ციხისთავი და სტუმრები როგორც კი სოფელში მიბრუნდნენ, სახელდახელო მიტიინგი გაიმართა ბერმუხის ქვეშ, რადგან ველარც სანერგე ფარდულმა დაიტია სამიოდე ათასი კოლმეურნე.

კოლმეურნეობებისა და თემსაბჭოების თავმჯდომარეები, ბრიგადირები და მერგოლურები სცვლიდნენ ტრიბუნაზე ურთიერთს. ისინი ლაპარაკობდნენ მოკლედ და საქმიანად, ასევე მოკლედ და სადად დაასკვნა თავისი სათქმელი სიტყვაძვირმა ციხისთავმა.

„ამხანაგებო, ჩვენი დიდი ბელადი წინ მიგვიძღვის, ამიტომაც ვერც ჩვენი უშემური მტრები დაგვაკლებენ რაიმეს, ვერც ბუნების უგუნური სტიქიონები“.

შემდგომ ამისა დაიწყო დიდი ლაშქრობა უძლეველის დასაძლეველად.

მოწინავე მანქანაზე ორ კაცს ხელში ეჭირა კაცის სიმალღე ფოტოსურათი ამხანაგი სტალინისა, სწორედ ის სურათი,

რომელშიაც თეთრ კიტელში გამოწყობილი ბელადია წარმოდგენილი.

შემდეგსა და შემდეგ მანქანებში ზეზე მდგარ მერგოლურებსა და ბრიგადირებს, წინ დაედგათ მალენკოვის, ბერიას, მოლოტოვის, მიქოიანის კაგანოვიჩის, ვოროშილოვის და პოლიტიუროს დანარჩენი წევრების სურათები.

ამ კოლონას უკან მოჰყვებოდნენ მექანიზმები: მძიმე ტრაქტორები, ბულოზურები, გრეიდერები, რიპერები და ბარე სამი ბეტონისაღმრევი მანქანა.

დანარჩენ მანქანებზე წერაქვებით. ბარებით, ცულებით შეიარაღებული ახალგაზრდები ისხდნენ, ისინი სიმღერით მიჰყვებოდნენ გველეითს ზეგანისკენ მიმავალ აღმართებს.

ყველაზე უკან მიჩაქჩაქებდა ერთი საკმაოდ დანჯღრეული სამტონიანი მანქანა, ფქვილის ტომრებით, საკლავით, ლეინის კასრებით დატვირთული. ურთიერთზე ზედახორად დაყორებულ ფქვილის ტომრებზე ყველიერის ყენივით შესკუბულიყო მეწისქვილე ნიორთავა. მისი „მცველ ანგელოსები“, კანკრე, ლალბაწა და გაგრია ფერხით მოსხდომოდნენ ტომრებზე.

„სამების ხატისთვის შესაწირავი მიგვაქვს, ბიჭებო, ისეც გაგაწყრეთ მისი მადლი, ში, ჰი...“ — იჯლანებოდა ნიორთავა და თანაც მოხარულ სიმღის ლიჯინდა.

„შენ, ჰეი, მოცოროზო ავად ნუ ასხენებ ქვაკაცას, თორემ კომუნისტებზე გაავებულმა თუ შეგიბერა ერთი, მამუკა ერისთავზე უარეს დღეს დაგაყრის“, — გასძახა ლალბაწამ.

„შენ, ბორნის ორთაყვირივით წაგრძელებული, შენ ვინა გკითხა. ერთბაშად ციხე-ქალაქი არ დამიჭეოს, ან ჩემი ორი წყვილი ცოლ-შვილი არ ამომიწყვიტოს, რას მიზამს, ჰა?“

„რას გიზამს და ჰკუთას ავირევს, ჯიგარო, გაგაგიებებს და ეგ იქნება“, — უთხრა კანკრემ.

„ერადერთს შენ ვერას დაგაკლებს ქვეყანა, კანკრე“.

„რათაო?“ — კითხეს ბიჭებმა.

ქვეყანა ყოელისშემძლეა, მაგრამ მერც იგი გაგაგიყვებს გიჟს“.

დაიღრეჯა ნიორთავე და სიმინდის ღიჯნა რომ მოათავე, ნაქუჩელა უთაქა თავში კანკრეს.

„რას ჩადიხარ, ეშმაკის ცურცლო?“ — უყვირა კანკრემ.

„ეშმაკის ცურცლიცა ხარ და მაჩუჩის ტაბიკიცა“.

ახალი ტარო აიღო ნიორთავემ და ახლა მას შიადგა, მერმე თავში ჩაუტახუნა კანკრეს და სერიოზულ გამომეტყველებით უთხრა:

„არა, კანკრე, ახლა აღარ გეხუმრები, იცოდე. შენ არც უნდა წამოსულიყავი დღეს, რაიკომის მდივანი იქ იქნება და ცეკას წარმომადგენელი... შენებურად დღესაც მოგეგონებინა კბილის ტკივილი, ან მუცლისგერემა...“

„რაო, მე კი არა, შენ რას მოეთრეოდი, შე კაცის მატყუარავ, მე თუ წამოვსულვარ, ჯიგრიანად ვიმუშავებ კიდევაც, შენ რისი მაქნისი ხარ, მეშინია არ დანავსო იქაურობა“.

„ისემც გაგიხმეს ეგ გამოლაყებული გოგრა. სამი წელია, რაც კოლმეურნეობაში გდიხარ და თვეზაობისა და საზამთროების პარვის მეტს არაფერს აკეთებ დღისით, ხოლო დამლაშობით საქათმეებში უვარდები ქვრივ დედაკაცებს“.

„ქათმებთან შენ უნახავხართ, შე ბოთლის ლანდო. ყოველი მამალი შენზე უფრო მაღალია და აბა რომელი ქალი... ჰე, ჰე, ჰე...“

ეს დიალოგი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ მანქანა უკვე მამუკას ციხის მისადგომებთან შედგა.

კანკრე მანქანაზე ავიდა და ტომრების გადმოტვირთვა დაიწყო. ერთბაშად ვაშალა თავისი გრძელი მკლავები, ტო-

მარაზე წააწვინა ნიორთავე, ორივე მხარეზე გაიღო და ძირს ჩამოხაზინა.

ნიორთავე არ დაჩნდა ცეკრის ამოთხვრილმა წელს ქვემოთ ჩამოვარდნილი შარვალი გაისწორა და მშვიდად თქვა:

„შენ გაიხარე, ჩემო კანკრე, რა ხანია, ვირზე არა ვმჯღარავარ“.



სასეხებით მოულოდნელად გამოცოცხლდა მამუკასეული ციხე-ქალაქი. არასოდეს, ვარდა ხატობის დღეებისა, ამდენი ხალხი არავის უნახავს მის შემოგარენში. საუკუნეების მანძილზე მღუპარება და მწუხარება სუფევდა აქ, ერთბაშად იფეთქა სიცოცხლემ და სტუმრად, ეწვია მკედარ ქალაქს, რათა კვლავ ხალხი დაებრუნებინათ ამ არემარისათვის.

დაკერიითა წესით შეუდგნენ ბულღოზურები და გრეიდერები ბორცვებისა და გორმხების გასწორებას, ექსკავატორი წაიგრძელებდა თავის ყანჩასებრ კისერს, ჩაკორტნიდა მიწას ფოლადის ლოჯებით, ყბებს გაივსებდა ლორღითა და მიწით და გადაყრიდა ხევში ყოველივეს ამას.

უშველებელი რაბერი მიდგომოდა სწორედ იმ ადგილს, სადაც ჰიდროელსადგურის შენობა უნდა აეგოთ.

ბუღრუგანა ტრაქტორები დაათრევენ მილებს, ტურბინის, აგრეგატის მოწყობილებას, დაჰქროდნენ თვითდამცლელი მანქანები, ეზიდებოდნენ ქვიშას, რკინას, ხრეშსა და ცემენტს.

ხუთი ძმა დემეტრაშვილი, ალაზანს გადაღმა ცნობილი ღურგლები, ბეტონის ჩასასხმელ ფორმებს აკეთებდნენ, კახეთში სახელგანთქმული კალატოზები — სამი ძმა ჯოხაძე ხელმძღვანელობდა ჰიდროელსადგურის შენობაზე მომუშავეებს.

ჩვენი ბერძნული მეგობრები — ხელაანთ ვანო, ნიკა უჯირაული, კოლა

სოკოლოვი ტრაქტორისტების ბრიგადირებად გამოჰყვეს.

აბრია და ლუო უჯირაულის თხუთმეტი შვილიქვილი, თუხთმეტივე კომკავშირელი, თავგამეტებით მუშაობდა, პროფესორ კორინთელს ნიუველირი რულები და ვატერპასი ეკირა ხელში, ტრანშეების სისწორეს ამოწმებდა, მას უკვე გადავიწყებოდა ექიმების დარიგება მზვარეში სიარულსაც რომ უშლიდნენ ისიც ცხელ დღეებში.

ბრიგადირებს და მერგოლურებს არა სკირდებოდათ არც შეხსენება, არც შეძახილი, ყოველი კაცი გულწრფელად მონდომებული იყო, თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში.

აქ მოსულიყვენენ შვილიშვილის შვილებში იმ თუშებისა, რომელნიც შველოდნენ ერეკლე მეფეს დაღესტანში სწორედ იმ წელს, როცა მან დასტოვა ლეკოსმალთა მიერ გარემოცული ყვარლის ციხე, ლეკეთი დალაშქრა და ციხის გარემოცვა მოხსნა ამგზით — ცისკარიშვილები, თორღვაიძეები, ელანიძეები ნაბაიძეები, ქააძეები ზეცოძეები, ნხვანი და სხვანი.

მამაცურად შრომობდნენ ნაშიერები იმ თავდადებული ვაჟკაცებისა, რომელნიც ასპინძანა და კრწანისში იბრძოდნენ ერეკლე მეფის ლაშქარში: ალადაშვილები, მახრაშვილები, ფეიქრიშვილები, კვირიკაშვილები, მახნიაშვილები და მაზაშვილები, ნავროზაშვილები და სიფროსშვილები.

სტალინურმა ეპოქამ ახლა შრომის

გმირობა მოითხოვა მათგან და არც აქ დაიხიეს მათ უკან.

როგორც ხელწაქარწახეზული ცეცხლის ფარეშები, ოფლში გაღვარულნი, ტრიალებენ ფოლადის დომნებთან, ისე მუშაობდნენ ამ გაუძლისის სიცხეში კანკრე ლალბაწა და გაგრია, ბერმუხელები გაოცებული იყვნენ, რა „ბზიკმა უკბინაო“ ამ ზარმაცებს, რომელთაც წლებების განმავლობაში ლაზლანდარობის, ბრაკონიერობის, ლოთობისა და პაპიროსის წვეის მეტი არაფერი გაეკეთებინათ კოლმეურნეობების ფართობებზე. არც თედო თათარაშვილმა იცოდა, რითი აეხსნა ამ ზარმაცების ეგზომ გაქტიურება. როცა თორმეტ მკვლავმაგარ ვაჟკაცს ტურბინი ჩამოჰქონდათ ხუთტონიანი მანქანიდან, თავის საქმეზე მომავალმა კანკრემ რა შენიშნა, გაუჭირდათო ბიჭებს, მხარი შეუშვირა და სამი კაცის ტვირთს გაუძლო ბარე ოცი წუთის მანძილზე.

სადაც მუშაობა შენელდებოდა, ან გარღვევა და ჩამორჩენა იყო მოსალოდნელი, გოდერძი კანკრეს, ლალბაწას და გაგრიას იქ მიაგდებდა და ავაზასავით დატრიალდებოდნენ სამივენი.

შეხუშრებით და ანგლობით ამხნევებდნენ ისინი ამხანაგებს, თავადაც გაზარებულნი იყვნენ, ბოლოსდაბოლოს რომ მიაგნეს ცნობილ ჭეშმარიტებას: თუ აღამიანი სიყვარულითა და ხალისით მოეკიდა შრომას, იგი უკვე შემოქმედებად იქცევა და მაშინ ჯაფა თავისთავად ჰკარგავს თავის სიმძიმეს.

(გაგრძელება იქნება)

## ორი ლექსი



### მადლობას ამბობს სამგორი

მადლობას ვამბობ სამგორი,  
უკუღმართ წლებით ვნებული,  
ანკარა ივრის ამბორით  
დამტკბარი, გახარებული.

სიცოცხლის შუქი ინთება,  
მიწა შეხარის ვარსკვლავებს.  
დიდება შრომას, დიდება!  
ქება მშრომელთა მხარმკლავებს!

ყვავილოვანი კორდები  
სიზმარში მელანდებოდა, —  
ცხადში, აღმურის მოდებით,  
მკერდი თანდათან შრებოდა.

ტიტვლად მოსჩანდნენ ქედები  
მტრებისგან გადაბუგულნი;  
აქ ველარ სძლებდნენ ქედნები,  
ხმა არ ისმოდა გუგულის,

მაგრამ მახსოვდა მე ძველი  
დროები სანეტარონი,  
როს ბიბინებდა ეს ველი  
და ჩუხჩუხებდნენ წყარონი.

თუმცა ვიყავი ბედასლი,  
მსხვერპლი ვიშის და ახისა,  
მახსოვდა ბრძოლა გორგასლის,  
ზრუნვა პატარა კახისა.

იმედი არა ჰქრებოდა,  
რომ მოვილხენდი ურვილი.  
და, ჰა, — რაც მენატრებოდა,  
დღეს ამისრულდა სურვილი.

დიდი სტალინის ნებითა,  
მშრომელი ხალხის ძალებით,  
ამოვისუნთქე შევებითა,  
კვლავ გამიბრწყინდნენ თვალები.

როგორ გადიდდა, რა ხელად,  
იმედი ერთი ფიორი!  
მხსნელად და სულისჩამდგმელად  
მე მომაშველეს იორი.

სიცოცხლის შუქი ინთება,  
მიწა შეხარის ვარსკვლავებს!  
დიდება შრომას, დიდება!  
ქება მშრომელთა მხარმკლავებს!

### ახალ ცხოვრებას ტრფობით შეხვარი



ტურფა კახეთო, შენს არე-მარეს  
ბევრი აქებდა, ლექსებს უძღვნიდა.  
შენმა ბალებმა მეც გაამახარეს,  
შენი ვაზები დაეკოცნო მინდა.

მე მაამაყებს დიდება ძველი,  
ახალ ცხოვრებას ტრფობით შეხვარი.

ამწვანებულა ალაზნის ველი, —  
გავსცქერ სიღნაღის კოშკზე შემდგარი.

თუმც სიღნაღს ზღუდე აღარ სჭირდება,  
ამწვანებს კოშკი ნაამაგარი.  
დღეს აქ ვგუგუნებთ: სტალინს დიდება!  
მან მშვიდობის მტრებს დასცა თავზარი.





# ახალი პორტოგონი

რომანი \*



## XI

თამარელა მოუთმენლად ელოდა შატბიას გამოჩენას. ეზოში ფოთლის შრიალზედაც უმაღ ყურს სცქევებდა, ჭიშკრისაკენ იცქირებოდა.

სუფრა აივანზე იყო გაშლილი. თამარელა განზრახ კედლის მხარეს დაჯდა, ეზოსკენ რომ პირდაპირ ცქერა შესძლებოდა. ბაასით, ოხუნჯობით და ჰამა-სმით გართული სტუმრები ვერ ამჩნევდნენ, როგორ დელაედა თამარელა. ლელამ უკვე „ახარა“ თამარელას, რომ უცხო ქალიშვილს, რომელიც ნიკოს სტუმრად ეწვია, შატბიასზე უჭირავს თვალი და ისე მოუჩივრებლად ეჩურჩილება და უცქერის, ისე დაჰყვება მკლავში ხელგაყრილი, თითქოს მისი გულის რჩეული იყოსო. მეგის გარეგნობაც ზედმიწევნით აღწერა, ტანსაცმელის ფერიც, ფეხსაცმელიც. თამარელა ერთხანს გაფაციცებით უსმენდა, მერე უცებ აუქნია ხელი ლელას, „თავი ნუ მატკინო“, ისე შესძახა, თითქოს სულაც არ ეწადა იმის შეტყობა. რაც ლელამ უთხრა.

ახლა თამარელას დაუსრულებელ ლოდინში მოთმინება რომ აღარ ეყო, სუფრა შეუმჩნევლად დასტოვა, ეზოში ჩავიდა, ის აქამდეც ყურს არ უგდებდა სტუმრების საუბარს, თავის ფიქრებთან განმარტოვებულს მათი ხმამაღალი ლაპარაკი ისე ჩაესმოდა, როგორც გაუ-

თავებელი, უსიამოვნო ზუზუნი, მარტო სმენას რომ აღიზიანებს.

თამარელა ხან ღია ცისქვეშ, ეზოს ერთ მხარეს, ჭეის კედელთან გამართულს სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებს — მაიას და ლელას დახედავდა, თითქოს რაც იწებოდა და ცხებოდა, იმისი დარდი ჰქონოდა, ხან ისევე უკან გამობრუნდებოდა, სახლის კუთხეში, ხის მაღალ კიბეს მოფარებული იცქირებოდა ჭიშკრისაკენ. ზემოთ, აივანზე, ახლა უფრო ხმამაღლა იცინოდნენ და მასლაათობდნენ სტუმრები, სიცილს სცვლიდა ჭიჭების კანტიკუნტი წკარუნი და მაღალფარდოვანი სიტყვებით შეფერადებული სადღეგრძელოები, სადღეგრძელოებს — შინაურ თუ გარეშე ამბებზე სჯა-ბაასი. თამარელას მკაფიოდ ესმოდა სიტყვები, მაგრამ სულაც არ აინტერესებდა, რას ლაპარაკობდნენ სტუმრები.

— ამ ბოლო დროს ნამეტანი ურტყამს თურმე გერმანიის ავიაცია ინგლისის ზღვის პირის რაიონებს!

— დიდი ქონება იბუგება ალბათ, ნიკო, არა?

— შენ ხალხი თქვი, თორემ...

— არც ინგლისი ჩამორჩება! იმხსაც გემოზე დაუბოძბავს დასავლეთ გერმანიის რაიონებში!..

— აირია ქვეყანა, აირია!..

— ძალიან უნთებენ მაგ ცეცხლს და, არ ვიცა...

უცებ, თამარელამ ამ ხმებში მკაფიოდ გაარჩია ჭიშკრის ჭრიალი. ერთი შე-

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.  
3. „მნათობი“ № 9.

კრთა და გულმაც ისევ ისე უწყო ძგერა, როგორც წელან, ლელას რომ უსმენდა.

თუმცა ახალი დაღამებული იყო, მაგრამ ხეებით დაბურულ ეზოში უკვე ისე ბნელოდა, თუ ახლოს არ მიხვიდოდი, ადამიანის სახეს ვერ გაარჩევდი. აივნის ჭერში დაკიდებული ნათურა ეზოს მხოლოდ მცირე ნაწილს ანათებდა. თამარელას ვერ გადაწყვიტა ასე, კიბეს მოფარებული, დალოდებოდა, საფარიდან ეთვალთვალა უცხო ქალიშვილისთვის, რომელიც შატბიას უნდა მოჰყოლოდა, თუ შეგებებოდა მათ, თავიც ყოჩაღად დაეკირა და უცხოც მიეხვედრებინა, რომ შატბიას უკვე ჰყავს გულის რჩეული.

გადაწყვიტა, რომ ასე აჯობებდა, მაგრამ რამდენჯერაც სცადა ნაბიჯის გადადგმა, იმდენჯერ აუქანკალდა მუხლი; თან იმას ფიქრობდა, ვაითუ ისე იმ საცოდავი გამოჩნდეს, შატბიას ძალაუნებურად ვაფიქრებინო მეგისთან შედარებით თამარელა არაფერი არ ყოფილა, აღრე თვალი მატყუებდაო. უცებ ის გონს მოიყვანა შატბიას გამოჩენამ. ეზოში აქა-იქ ლანდებივით ასეეტილ ხეებს შორის თამარელამ კარგად იცნო შატბია. იმის გაფიქრებამ, რომ არ შეიძლებოდა ასე იოლად მისი დათმობა, კვლავ დაუბრუნა მას მხნეობა. გაახენდა დღევანდელი თავგადასავალიც, აზვირთებულ მდინარეში შატბიას ლაღად ცურვა და, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შატბიასა და უცნობი ქალიშვილისაკენ, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ნელი ნაბიჯით მოეშურებოდნენ სახლისაკენ.

თამარელა ბავშვივით მიიჭრა შატბიასთან, თავისუფალ მკლავში ხელი მოსკიდა და ისეთი კილოთი უსაყვედურა — აქამდე სადა ხარო, თითქოს ეწადა მეგისთვის დაენახებინა — ხომ ხედავ, რა ახლობელია ჩემთვის შატბიაო, შატბიასთვის კი ეგრძნობინებ-

ნა, რომ თამარელა მართლაც მოუთმენლად ელოდა მას, არა მარტო როგორც სტუმარს, არამედ როგორც თავისთვის უფლის სწორს.

შატბიამ თამარელა მეგის გააცნო.

შატბიას და მეგის გამოჩენაზე სუფრა აიშალა. მარტო თამარა იჯდა გაუნძრევლად, ვიდრე სტუმრები დალაგდებოდნენ. მეგიმ ყველას შორიდან უძღვნა საერთო სალაში და შემდეგ მისთვის მიჩენილ სკამზე დაჯდა, სუფრის შუაგულთან. აღრე მას გუნებაში ჰქონდა შატბიას გვერდით მოხვედრილიყო, შატბიასაც უთუოდ ასე ეწადა. სუფრის მეორე მხარეს, სწორედ მეგის პირდაპირ, კაკო და შატბია ერთად დასხდნენ. ახალი სტუმრების შემომატების უმალ ოთახში შეიქნა თეფშების და ჭიქების წკარუნი. აღრე, ვინც სუფრაზე ხალვათად იჯდა, ყველა შევიწროვდა; ერთ მხარეს მეგის, მეორე მხარეს შატბიას თითქმის ორი კაცის ადგილი დაუთმეს. მაიამ თავისი ხელით დაუწყო წინ ჯერ შატბიას, შემდეგ მეგის, თეფშები, ჭიქა და დანა-ჩანგალი; სათითაოდ სთხოვა — გადაეღოთ, რაც მათს სულსა და გულს ეამებოდა. დაჯდა თუ არა შატბია, უმალ თამარელას დაუწყო ძებნა, მაგრამ ის იქ აღარსად ჩანდა. თამარელამ კარგად შეათვალა იერა თუ არა მეგი, როცა კიბეზე ამოდიოდნენ, გადაწყვიტა, როგორც კი მის ყურადღებას წამოშლილი და ახმაურებული სტუმრები მიიქცევდნენ, შეუმჩნეველად გაპარულიყო. კოპწიად გამოწყობილ მეგისთან შედარებით თამარელას გახუნებული შალის კაბა ახლა ისე ჩანდა, ჩვარი გეგონებოდათ; სტუმრების წასვლამდე ის სამზარეულოს არ გასცილებია, მათა სტუმრებთან გაგზავნა; დააჯერა — სირცხვილია, სუფრაზე რომ არ ჩანდეს, თვითონ კი ლელასთან ერთად მეორე წყება ხაქაპურების ცხობას შეუდგა.

მეგიმ სუფრაზე მსხდომთ თვალი დინჯად მოაელო; ვინც უთვალთვალე-

და, ვისი მზერაც დაიჭირა, გაუღიმა, ზოგს თავი დაუქნია, თითქოს გვიან იცნო; გვერდით მსხდომთ რიგრიგობით რაღაც უჩუჩჩულა, და ისე სწრაფად მოინადირა ამ უცხო ხალხის გული, რომ ყველა გაოცებული და კმაყოფილი იყო. შველა ცდილობდა, მისი ყურადღება მიექცო. რაც სუფრაზე საკმელსასმელი იყო, ყველა თითო რამეს სთავაზობდა. განსაკუთრებით გამოიძღეს თავი ხორხომელიძემ და სირბილაძემ. ხორხომელიძემ ოსტატურად გათალა ვაშლი და მეგის შესთავაზა, სამაგიეროდ, მეგიმ მის მიერ მიწოდებული ვაშლის ნათალიდან რაღაც ლამაზი ხვეული გამოსკვნა და ხორხომელიძეს უძღვნა. სირბილაძემ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, რაღაც მიზეზით სუფრაზე გაჩენილი პიტნის არაყი დაუსხა და მეგის მიაწოდა, მეგიმ თავაზიანად ჩამოართვა ნეკისტოლა სასმისი, სირბილაძეს მიზანი მიღწეულად მიანდა, მაგრამ უცებ ზიზზიბაძემ წაამწარა ეს სიამოვნება.

— დაეთხოვე, ბიძია... სირბილაძე კი გქვია, მაგრამ ზომ იცი, ვერ დაეწევი! — და თვალთ მეგიზე ანიშნა. ამ შენიშვნას სიცილი და მზიარულება მოჰყვა. მეგი ახლა კიდევ უფრო გულლიად შესციროდა სუფრაზე მსხდომთ. შატბიას გარდა ყველას თავაზიანად, განეპირებულებით უმეორებდა, როცა რამეს სთავაზობდნენ, გმადლობთ, მიწვევები, ნუ სწუხდებითო. შატბიას მიწოდებულს კი ყველაფერს კმაყოფილების გამომხატველი ღიმილით ღებულობდა. სუფრაზე ბლომად იყო ბოსტნეული და ხორციელი, მშრალი და წვნიანი საკმელი: გაფარჩხული ტაბაკები ისე იყო შეტრავილი, მადადაკარგულსაც კი ნერწყვის მოკვებრიდა.

თამაღის ამხანაგმა შემოსწრებულთ აუწყა, რამდენი სადღეგრძელო შესულიყო მათ მისელამდე. ისინი დაზნებულურებს უნდა დასწეოდნენ.

შატბიას წინ დადგმული ბროლის პა-

ტარა კიქა თამაღის ამხანაგმა განზე გასწია, წინ ჩაის კიქა დაუდგა და ყირავებული ბოთლიდან თუხანუხან წამოიჭრა და ცოლიკაური და ისე გამაღიზიანებლად აჩქაფუნდა კიქაში, ძალაუნებურად თავს მოგანდომებდათ.

მეგისთვის ისე დაესხათ ღვინო, რომ არც კი შეუმჩნევია, და ახლა თავისი კიქაც რომ პირთამდე გავსებული დაინახა, გაოცდა; თავი მაინც გაიძხნევა — „მწყურებიანო“, გაიფიქრა გუნებაში და კიქას ორი თითი მოწიწებით შეახო.

შატბია: დიხჯად წამოდგა, კიქაც ფრთხილად ასწია, რამდენიმე სიტყვაში მოკლედ, მაგრამ აზრიანად, გამოხატა ბელადისადმი თავისი სიყვარული, და მისი სადღეგრძელო გულით შესვა. მეგიმაც მომზიბლავი ზმით და სიტყვებით აღღეგრძელა ბელადი. როცა დაჯდა, ისე შემოიღო წამოწითლებულ ლოყებზე თითები, თითქოს სტუმრებისა შერცხვა, ამოდენა ღვინო რომ ერთბაშად დალია, და ახლა თავის სიწითლეს ფარავსო.

ორიოდე ლუქმა რომ შეკამა, თამაღის ამხანაგმა კვლავ აუვსო კიქა შატბიას, მეგიც არ დაეწევიბათ, მეორე კიქით მათ ერთსულოვნად აღღეგრძელეს ბელადის უახლოესი თანამებრძოლები.

სულიყო გაოცებით შესცქეროდა მეგის, უკვირდა, ასე თამაზად რომ სვამდა ღვინოს. თუმცა რა სმა იყო — აქამდე იმ ერთ კიქა ღვინოს წრუბავდა, რომელიც წილან დაუსხეს.

მეგი გაკვირვებულ ძმას ხელს ისე უქნევდა, თითქოს ეუბნებოდა — „ეს რა არის, შენ აწი ნახე ჩემი სმა და მოლხენაო!“

ნიკომ თავისებურად ანიშნა კაკოს, ხორხომელიძეს, სირბილაძეს და, როცა კიქები აივსო, მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად მოეშხადა.

— დარწმუნებული ვარ, — დაიწყო მან თავისი მადალი, მკაფიო ზმით, — ჩვენს ძვირფას სტუმრებს, დაძმას, — ამ სიტყვებზე კიქა დასდგა და ერთი

ხელი მეგისაკენ გაიშვირა, მეორე — სულაქოსაკენ, — ისე უყვართ ერთმანეთი, სადღეგრძელოში დაშორებაც კი საწყყნად დარჩებათ, — ცოტა შეჩერდა, თავის სიტყვებს პატარა შენიშვნაც გაუეთა უფრო ხმადაბლა, — მმა, მართალია, აქ ბრძანდებოდა, მაგრამ დამ დაიგვიანა და ჩვენც ეს სადღეგრძელო იმიტომ ვერ შევსეთ აქამდეო. — შემდეგ საზეიმო კილოთი განაგრძო სიტყვა, — ახლა გამოვხატავ რა ყველა აქ დამსწრეთა სურვილს, ამ ორ ახალგაზრდას ერთი ჰქვით ვადღეგრძელებ!

— რა გვეჩქარება, — ჩურჩულით შენიშნა გვერდით მჯდომ ხორხომელიძეს ოდელიამ და თავისი საყვარელი პანგიც ყურში წაუღლინა.

— მმა მოქანდაკეა, დაიკო — მომღერალი! ორივენი უმაღლესში სწავლობენ. ეს ჰაბუკი, — გვერდით, მაგიდის კუთხეში მჯდომ სულიკოს ნიკო ბუჭხე ხელით შეეხო, თითქოს წახალისება სწადიანო, — ჩვენი კლუბისთვის შესახტის ქანდაკების გამოსაძერწად ჩვენს ქალაქში გამოუგზავნიეთ. ამათი მამა ჩემი დიდიხნის მეგობარია. როგორც ხედავთ, ორივენი საყვარელი და სამაგალითო ახალგაზრდები არიან, ჩვენც ჯანმრთელობა, ყოველ კეთილ საქმეში წარმატება და გამარჯვება ვუსურვოთ! ვინ არის მომხრე, ასწიეთ ჰქიქა!

ამ სიტყვებს სიცილი, მხიარული გადალაპარაკება და ჰქიქების წყარუნი მოჰყვა.

— კაკო! — ხელის აქნევით, უეცრად დაიძახა ნიკომ, — ეს შენი ლიმონის ხე ჯერ სულ უარზე იყო და ახლა რამხელა გამოუსხამს, ხედავ, ბიჭო?!

ლიმონისაკენ რომ გაიხედეს, ერთბაშად მთელმა სუფრამ ხარხარი მორთო. ლიმონის ხე აიენის მარჯვენა კუთხეში იდგა. სწორედ ძველი შესახტის — კოსტა ქარქაშაძის — ზურგს უკან. კოსტა ისე ვიწროდ იჯდა მაგიდის კუთხეში, გასაქანი ვერც წინ ეპოვა, ვერც უკან; თავის მდგომარეობას ძა-

ლაუნებურად შერიგებოდა, თავი ლიმონის ტოტებსა და ფოთლებზე მშვერვოდა და მართლაც ისე ჩანდა მსხლიტულანათურის შუქზე მისი მოტვლეპილი კეფა და თხემი, როგორც უცნაური ნაყოფი.

— მეგობრებო! — დაიძახა ნიკომ, როცა სტუმრებმა სიცილით გული იჯერეს და, დანის პირი ორჯერ ფრთხილად შემოჰკრა ბოთლს. — თქვენი ყურადღება ახლა კოსტასაკენ იმიტომ მივაპყარი, რომ.. მაგის დღეგრძელობის ჯერიც დადგა!

— ჩაის არ სვამ, ლიმონი რალამ შეგაყვარა, — სიცილით, ორაზროვანი ხუმრობით შენიშნა კაკომ ქარქაშაძეს.

— ეს ჩემი თავი დღეს ძალიან გამოგადგათ! — დაიძახა ბოლოს კოსტამ და სუფთად გაპარსულ, ოდნავ ნაოკებით დასერილ ლოყაზე ისე გადაისვა ხელი, თითქოს უღევას ისწორებდო, ნამდვილად კი ცდილობდა არავის შეენიშნა, ამ სიტყვებზე თვითონვე რომ ეცინებოდა.

— კოსტა ქარქაშაძე, — განაგრძო ნიკომ, — ჩვენი შესახტის ერთ-ერთი უბნის გვარიანი ხელმძღვანელია! გვარიანად საქმის გაკეთება, მოგხსენებათ, კარგია, მაგრამ, — ნიკო უცებ შედგა, მერე კვლავ რიხით განაგრძო, — მე ვუსურვებდი, თუ აქამდე გვარიანი იყო, ამიერიდან სახელოვანი ყოფილიყოს თავის საქმეში! ჩემსავეთ ეგვეც მოსწრებია იმ შეზენელ ხანას, ვილაც გადამთიელი წოვიანოვი რომ გეწოდებისხლს!.. ვმუშაობდით გათენებიდან დაღამებამდე, ჩვენი ხელით, საფლავით გათხრილ სანგრევებში, ჰრაქის შუქზე, ყოველ წუთს აფეთქების, ჩამონგრევის და დაღუპვის მოლოდინში. ვღებულობდით რალაც გროშებს. ასე არ იყო, კოსტა?

— ასე იყო, — დაუდასტურა კოსტამ, მას ეტყობოდა, წარსულის გახსენება რომ ახლაც გულს უღონებდა.

— ეცხოვრობდით, — განაგრძო ნიკომ, — ჩვენი ხელით მოწულ და ტალახით შეთითხნილ-შელესილ, ფარეხივით სადგომში, ოცი, ოცდაათი კაცი ერთად. ვიწვევით ერთმანეთის მიყოლებით, ხის ნარებზე, უქვეშაგებოდ, ასე არ იყო, კოსტა?

— ასე იყო.

— ღამით, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, ვარჩევდით ლობიოს და ჩვენი ჩვენი ქოთნით ვებარებდით დაქირავებულ მზარეულს, რომელიც გვიხარშავდა და მეორე დღის საღამოსათვის გვახვედრებდა. ასე არ იყო, კოსტა?

— ასე იყო. რატომ შეკითხები, ვინმეს ეკვი ხომ არ ეპარება?..

— სადგომში, ლობიოთი კექს რომ ამოვივსებდით მაშინ-ღა ვიგრძნობდით, ჯერჯერობით კიდევ გვედგა გაძალღებული სული. ზოგი მოკვებოდა ჭიდაობას და ხან ერთ მხარეს გააგდებინებდა ფერდს ჩვენს სადგომს, ხან მეორე მხარეს. ზოგი კიდევ ძალღონეს „იზოგავდა“ თავისი ჯიბის ხარჯზე — ქაღალდს თამაშობდა გროშებზე. ხშირი იყო გაფიცვები, რაც შეგვეძლო, ვიბრძოდით ადამიანური პირობების, ადამიანური ცხოვრების მოპოვებისათვის. ახლა კი... უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, ორდენები, სამ-ოთხ ათას მანეთამდე ხელფასი, მექანიზებული საშახტო სამუშაოები, მოწყობილი ბინა სამ-ოთხ სართულიან სახლში ან, თუ გნებავთ, კოტეჯი, ბინაში რადიო და ტელეფონი; ცალკე — კლუბი, ბიბლიოთეკა, აგარაკი; ყოველი თვის ბოლოს პრემია, წლის ბოლოს ფულადი ჯილდო ნამსახურობის მიხედვით, კულტურული დასვენება, შრომა — სახელისა და დიდების საქმე, ცხოვრება-ბედნიერი! ვინმე ჩვენგანს დაესიზმრებოდა მაინც ასეთი რამე რევოლუციამდე! ჩვენმა კოსტამ გვარიანად იგემა ძველი დროის სიდუხჭირე და ახლაც ერთი იმათგანია, რომელიც მოესწრო ჩვენი ბედნიერი ცხოვრების დღეებს.

როცა კოსტა ყველამ ადღეგრძელა, ახლა თვითონ წამოიწყო ნიკომ სიმღერა ბელადზე. კაცებმა, რომლებმაც ისე აუწიეს ხმას, სულაც რომ არ გცოდნოდათ სიმღერა, მაინც გაგაბედვინებდათ, აგიტაცებდათ. ყველა მღეროდა. მეგვიმაც შეაშველა თავისი ხმა. იგი მალიმალ შატბიას უცქეროდა, ატყობდა, რომ მას სმენა ღალატობდა. სწორად ვერ მღეროდა. თითქოს მის გასაგონად მეგი ხანდახან ხმას განგებ აუწევდა ხოლმე. შატბია გრძნობდა თავის გასაჭირს და დარცხვენილი იძულებული იყო, სიმღერა შეეწყვიტა. ახლა ტურემბოკეშული, მხოლოდ გაბმული ზუსტით ეხმატებილებოდა მომღერლებს. მეგი სიმღერის ტაქტზე ქუთუთოებს ახამხამებდა თავსაც ნელა უქნევდა შატბიას, შატბია კი გაშეშებულივით შესცქეროდა და უაზროდ უღიმოდა თავის იდუმალ გამწბილებელს. კაკო დროდადრო წამოიჭრებოდა ხოლმე ზეზე, სუფრას შემოურბენდა და, ვისაც კიქაში ღვინო ჩაეტოვებინა, ათასი ხვეწნით და თხოვნით აიძულებდა, რომ კიქა დაეცალა. ყველაზე მეტი ხვეწნა სულიკოს სჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს ისიც ვეღარ უტებდა ხათრს მასპინძელს.

— კოსტა! — გადასძახა ნიკომ ამხანაგს სუფრის თავიდან ბოლოში. — როგორ იქნება სამთო სკოლელების საქმე? შენ მიგყავს, თუ ერთ-ორს მაინც მე მითმობ?

— არა, ძმაო, მე მაგათი თავი არა მაქვს, თუ გინდა, სულ წაიყვანე!

ნიკომ გაიცინა.

— შენ აგრე ამბობ და შახტის უფროსს კი დაუვინია, ყველანი უკლებლად კოსტას უბანში უნდა გავუშვაო!

— საბალახოდ თუ უშვებს, იქ ბალახი არ არის, სხვაფრივ არ ვიცი...

— რატომ, ბიჭო, რამ შეგაშინა?... მაგათ ახლა ჩვენზე მეტი იციან. ნასწავლები არიან, ბიძია!

— ეგეც ვიცი... მარტო ნაკითხი შახტში რომ არ გამოდგება, ჩემო ნიკო?

— რატომ, ბიჭო! რასაც თეორიულად სწავლობდნენ, იმას პრაქტიკულად სინჯავდნენ, ეუფლებოდნენ! აბა, რა გეგონა?

— მე ის ვიცი, მაგათანა ახალგამოჩეკილებსათვის, შახტში მუშაობა ადვილი არ იქნება... ვის სცალია ახლა... სხვა დროს კიდევ ჰო..

— ეგ ჰო, კო მაგრამ, თუ წაიყვან, ნახე, შენ როგორ ამოგიდგებიან მხარში!

— კაცო, რას ჩამაცხედი?! — იყვირა კოსტამ, — თუ აგრე მოგწონს, შენ გყავდეს, შენ ამოიყენე მხარში, მე კი, — ზორხომელიძეზე და ოდელიაზე ანიშნა თვალით, — მასეთი მეშახტეები მომწონს!

— კოსტა, მოდი, მაშინ გავცვალოთ უბნები! შენ დაწინაურებულს გაუძეხი, მე ჩამორჩენილს, ის ათი ახალგაზრდაც მაშინ მე მერგება... რას იტყვი?

— თანახმა ვარ! — სიცილით მიუგო კოსტამ, რადგან ეგონა, ნიკო ხუმრობდა.

— სოცშეჯობრებაშიაც გამოიყვები? — გამოგყვები. — კვლავ დაეთანხმა კოსტა.

ოდელია, ზორხომელიძე და ზიბზიბაძე გულსყურით არ უსმენდნენ ნიკოსა და კოსტას. ნიკოს სიფხიზლეშიაც უყვარს ხუმრობა და ახლა, როცა გადაკრულშია, ვის გაუყვირდება ეს ამბავიო, ფიქრობდნენ ისინი. მეგისტან ბაისით ვართულ ქაბუცებს მისი გონება-მახვილური პასუხებიც ისევე მოსწონდათ, როგორც მისი თულ-წარბი.

ნიკო თუ კადრის მუშებს დიდ პატივს სცემდა, დასაყრდენს მაინც ახალგაზრდობაში ეძებდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ძლიერია ის, რაც იზრდება.

ძველი, გამობრძმედილი, დადინჯებული და ახალი, ძალ-ღონე დაუოკებელი აღმანიების შეხმატებილებული შრომა მისი უბნის წარმატების „საიდუმლოებათაგანი“ იყო.

ნიკოსავით არავის შეეძლო სხვადასხვა ასაკის და ხასიათის ადამიანთა ისე შერჩევა და დაჯგუფება, როგორც მათი შრომა ნაყოფიერი ყოფილიყო.

უცებ კიბეზე გიტარის ხმა გაისმა. სუფრაზე მსხდომთ ყური სცქვიტეს, ყველამ ქვემოთ იწყო ცქერა. მათ ახლა, თითქმის ლენინის დასასრულს, შემოემატა სამი კაცი: შახტის მოლარე — ბრაჭული, სასადილოს გამგე — ბუაძე და ნიკოლოზა დალაქი. მოუნახეს თუ არა შემოსწრებულთ სუფრაზე ადგილი, შესმული სადღეგრძელოების ანგარიშში სამსამი ქიქა სულმოუთქმევლად გამოაცლევინეს.

— კაცო, წყალი მოდიდებულაო და... აქაც ზომ არ მოგვადგა?! — გაკვირვებით შენიშნა ნიკომ.

— რაზე კითხულობთ, ნიკო ბიძია? — ეშმაკურად, თანაც გამომწვევად, იკითხა ზორხომელიძემ.

— რაზე და, აგერ, ჩვენს ბრაჭულს რომ შეგხედე, ვიფიქრე, სახლკარიანად თუ წამოუღია-მეთქი! წელან არა თქვეს, წყალმა ბრაჭულის სახლს უწიაო?

— რაც არ უნდა უწიოს, ჯერ ბრაჭულს წყალს როგორ გაეატანთ... ხელფასი არ დაურიგებია!..

ოდელიას სიტყვებზე ბრაჭულსაც გაეცინა. აქამდე მუხლებზე გადადებული გიტარა მან უმაღლ გადააწოდა იმ მხარეზე ჩამწკრივებულ ქალიშვილებს, საითაც თვითონ იჯდა. ქალიშვილები ჯერ უარს ამბობდნენ, იშვლენებოდნენ, ინაზებოდნენ, ცალ მხარს მაღლა სწევდნენ, მაგრამ მერე მაინც დაჰყვნენ ბრაჭულის ნებას; გიტარა მორცხვად ჩამოართვეს; სუფრის თავიდან ნიკომ შეუძახა, გაამხნევა, სხვებმაც სთხოვეს და ქალიშვილებსაც უარი აღარ გაუვიდათ. გიტარის სიმების ნელ-ნელა უნებურად შეხმატებილებულად დაამღერეს. ქალიშვილებს ისე მოეღერებინათ ყელი, ისე ნაბადენენ დროდადრო თვალს, ისეთი ნეტარებით მღეროდნენ, რომ მეგისტ

და სულიკოს უნებლიეთ ელიმებოდათ. ეს სიმღერას კი არა, ჩიტების ჰიკიკის უფრო ჰგავდა. ამ ჰიკიკიში გიტარის ხმაც ტყის გამოძახილივით მოისმოდა. დაასრულეს თუ არა სიმღერა, გაისმა ტაში. ნიკომ ქალიშვილებს ერთი წუთით გიტარა სთხოვა, გვერდით მჯდომ სულიკოს რაღაც წასჩურჩულა და გიტარაც გადასცა. სულიკომ თავაზიანად გაუღიმა, წამოდგა, სუფრას თავი დაუარა და მოულოდნელად გიტარა თავის დას მიაწოდა. მეგიმ ძმას ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა — „ეს რა ჰქენი, შე უსინდისო“. თან გიტარისთვის ორი თითი მოველო და აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა. აქა-იქ ტაშიც გაისმა, შეძახილიც: ერთი, თქვენებურადაც გვიმღერე ქალიშვილო! მეგის ვერ წარმოედგინა, რით შეიძლებოდა დასრულებულიყო ეს უსიამოვნო ამბავი, კაკო ზიზზობდა რომ არ მოშველებოდა. ის მკვირცხლად წამოხტა ზეზე, მეგისთან გაჩნდა, გიტარა მოწიწებით ჩამოართვა და, თითქოს სხვების მაგივრად ბოდიშს უხდისო, ხმაშალა შენიშნა:

— რა ქალაქელი მომღერლის საქმეა გიტარა! ნიკოლოზა დალაქი ხომ არ გგონიათ?..

— რას ჰქვია ნიკოლოზა! — იყვირა პარიკმახერმა და უღვაშის მადლა აქნეულ ბოლოზე თავმოწონედ აიკრა საჩვენებელი თითი, წამოდგომაც დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს, ძლივს დააშოშმინეს.

— თუ ლხინის დასამშვენებლად და ჩვენი სმენის საამებლად სიმღერას არ დაგვამადლით, დიდი მადლობელი ვიქნებით! — უთხრა კაკომ მეგის და ამ სიტყვებზე სწრაფად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ოთახის კარებს ორივე ხელით უბიძგა და ფართოდ გააღო, — აგერ, როიალი და... რახან სიმღერა იცით, დაკვრაც გეცოდინებათ!..

მეგის, ცოტა არ იყოს, ეოცა, ოთახის სიღრმეში როიალის შავად მოლაპლაპე სახურავს რომ მოჰკრა თვალი:

როიალის ერთ კუთხეს და ფეხს აინების ელნათური ანათებდა.

მეგიმ არ იცოდა, რა შემტრანკონტკამან შატბიასაც შეხედა, უმაღ გადაწყვიტა, ისეთი რამ ემღერა, რაც უპირველეს ყოვლისა მას მოეწონებოდა. ახლა მეგისათვის ეს იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. უცხო ქალიშვილის წასაქვებლად და გასამხნეებლად ტაშიც გაისმა. მეგიმ მოხდენილად დაუკრა თავი სტუმრებს, სწრაფად წამოდგა... ქალიშვილს ყველა მოწიწებით უთმობდა გზას, თავისუფლად რომ გაევილო. ყველას გაუკვირდა, როდესაც მეგიმ ოთახს კი არ მიაშურა, კიბის ბაქანზე გავიდა, თემოთი ხის მოაჯირს ფრთხილად მიეყრდნო, ცალი ხელი მკერდზე ნაზად მიისვენა, მეორე კი ვაზს მოსჭიდა. ეტყობოდა, ამ წუთში მეგი ღელავდა. ადვილად შეამჩნევდით, როგორ ირხეოდა ჰრელი ჩრდილით დაფარული მკერდი. მეგი ახლა კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა.

მან ცალი წარბის მოხდენილი შეტოკებით ძმას რაღაც ანიშნა, ტუჩების მოძრაობითაც მიახვედრა, რისი მღერაც ეწადა. სულიკომ ჩაიციხა, თავიც ოდნავ გაიქნია და ისე წამოდგა, თითქოს ძალას ატანენო. ნახევარი წუთის შემდეგ ოთახიდან როიალის ხმაც მოისმა. მეგი ერთხანს გარინდებული უსმენდა როიალს, შემდეგ ნელა, თანდათანობით ასწია აქამდე დახრილი თავი და ღამის მომხიბლავ მყუდროებაში ჯერ ოდნავ გასაგონად გაისმა მეგის ხმა, მერე სიმღერა თანდათან გაძლიერდა. თვალი რომ დაგეხუჭათ, გეგონებოდათ, რომ შორიდან მოისმოდა ჯადოსნური და ამ ღამის იღუმალეზასთან შეხამებული მანგი. მეგი ხან ყელაზიდული, ოდნავ უკან თავგადაწეული მღეროდა, ხან სახეს შეაბრუნებდა აქეთ-იქით, თავსაც გაიქნევდა, დროდადრო წარბსაც მარჯვედ შეატოკებდა, ის ამას ბუნებრივად, ნამდვილი ხელოვანის ზომიერებით აკეთებდა, სიმღერით ტყვედქმნილი მაცუ-

რებელი არ შეიძლებოდა არ მოეხიბლა მისი სახის მოძრაობას და ამ სახესა და მკერდზე ვაზის ფოთლების ჩრდილთა თამაშს.

შატბია გვიან მიხვდა, „გინდ მეძინოს“... მეგი რომ მისთვის მღეროდა; ვაჟი გაოცებული უსმენდა, რა განცდით, რა სიყვარულით მღეროდა ყმაწვილი ქალი, რამდენი სინაზე, სილამაზე და აღმაფრენა იყო ამ სიმღერაში, ამ ბროლივით გამჭვირვალე ბგერებში. მეგიმ დამთავრა სიმღერა. სიმღერის დასრულების შემდეგაც, მოჯადოებულებით უძრავად იყვნენ სტუმრები, მერე ტაყით და მოწონების გამოხატველი შეძახილებით შეეგებნენ მეგის.

ჯერ კიდევ შუა სიმღერის დროს ფეხზე წამომდგარმა მესახტეებმა — ნიკომ, კოსტამ და ხუთიოდე ახალგაზრდამ სიმღერის დასრულებისთანავე სტუმრებთან ბოდიში მოიხადეს, კიბეზე სწრაფად დაეშვნენ. მასპინძელს არ გაჰკვირვებია ეს, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და წყენით გასძახა მიმავალთ:

— კ-ცო, რას იტყვიან, სტუმრები?! — ნიკომ მოიხედა.

— მართალია, ქართულ სუფრას არ შეჰფერის, მაგრამ... რას იზამ! ზოგჯერ კაცს არ უნდა და, სუფრას კი არა, წუთისოფელს სტოკებს ხოლმე!

კაკომ უცხო სტუმრებს აუხსნა, როცა მესახტეს შახტში სამუშაოდ წასვლა უწყევს, ისევე ვერაფერი შეაჩერებს, როგორც ბრაჰოლაში მიმავალს. ისევე ზუსტად, თავდადებით ასრულებს იგი თავის მოვალეობას, როგორც მეგრბოლი.

სადღეგრძელოები თამადის თანაშემწემ დაასრულა. მეგის შემდეგაც ეხეწნენ, მაგრამ მან არ იმღერა. შატბიას თუმცა გულით ეწადა სხვა სიმღერის მოსმენაც, მაგრამ მეგისთვის თხოვნა ვერ გაუბედა, ვაითუ უნებლიეთ ვაწყენინოო, და თავს იკავებდა. შატბიას ახლა მარტო იმაზე მოსდიოდა გული,

რომ მის ახლოს მჯდომი ბრაჰულა და ნიკოლოზა თავიანთი უგვანი ხმით ცდილობდნენ ემღერათ — „გინდ მეძინოს...“. ნიკოლოზა რომ აუწყევდა, მეორე მოულოდნელად დაუწყევდა ხმას, ყელი ჩაეხრინწებოდა; ხან ნიკოლოზა უსწრებდა წინ, ხან ბრაჰული და მთვრალი კაცის ეს უთავბოლო სიმღერაც მათებურ ალთა-ბალთა სიარულს ჰგავდა.

მასპინძელი დიდად კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო დღევანდელი დღით — ნახშირის მონგრევის დღით — რი გეგმა 115 პროცენტით შეასრულა, გურამი და თამარელა ხიფათს გადაურჩა. მეგის სიმღერაც მოისმინა და სტუმრებსაც გვარიანი პატივი სცა.

სტუმრები რიგრიგობით დაემშვიდობნენ მათს, კაკოს და ქალიშვილებს, წელან ასე მიამიტად გიტარაზე რომ დაამღერეს. ახლა ყველა ბორძიკობდა და ერთმანეთს კიბეზე ჩასვლაში უფრო უშლიდნენ, ვიდრე შეელოდნენ.

სტუმრები კიბის ბოლოსაფეტურზე ხელმეორედ დაემშვიდობნენ მასპინძლებს. ბრაჰულმა, ნიკოლოზამ და ჭიკოლა ბუაძემ მხოლოდ კიბის ზედა ბაქნამდე მიაცილეს წელან ისინი, მერე შინაურულად კვლავ სუფრას შემოუსხდნენ, მაგრამ ეზოდან მოესმა თუ არა ბრაჰულს საცეკვაოდ გახურებული ტაშის ხმა, უმალ ზეზე წამოიჭრა, ნიკოლოზასაც გულმა ველარ მოუთმინა, მკლავებგაშლილი, კიბეზე ცეკვით ჩავიდა და ეზოში სტუმრების წინ ჩამოუარა. ბრაჰული თან უკრავდა, თან ყივილით გასძახოდა წამალაუწუმ პარიკმახერს.

— ფიგურა, ნიკოლოზა, ფიგურა!.. — ნიკოლოზაც ყოველ „შესხენებაზე“ ჩაბუქნავდა, ან შემობზრიადლებოდა ხოლმე და ისე უხეიროდ აკეთებდა — სტუმრებს სიცილისაგან, უკვე ყბები სტკიოდათ; სიცილმა და მზიარულებამ უფრო იმატა, როცა ბრაჰულმა სკამი ქიკოლას გადასცა და თვითონ ნიკოლოზას ჩაეგება. ტაშიც უფრო გახურდა.



ახლა, თითქოს სამაგიეროს უბნისო, ცეცის დროს უეცრად შესძახებდა ხოლმე ნიკოლოზა ბრაჭულს და ისიც შეუსრულებდა თუ არა წადილს ნიკოლოზას, ახლა თვითონ დაიყვილებდა — „ფიგურა, ნიკოლოზაო!“ თან ნიშნის მოგებით დააყოლებდა — „პლანეტას ვფიცავ, გაჯობე“. ბრაჭული იქამდე იძახდა „ფიგურას“, ვიდრე ხორხომელიძემ არ შენიშნა — შენი ფიგურით რა „ფიგურა“ უნდა გააკეთო. ბრაჭულს თითქოს ფეხი დაუდესო, ამ შენიშვნაზე ერთი-ორჯერ გადაქანდა წინ, თავი ძლივს შეიმაგრა. დაღლილი, გაბრუნებული ძლივს-ლა სუნთქავდა. მეგამ ერთხელ კიდევ უნებლიეთ შეავლო თვალი ბრაჭულს და გაოცდა — ასეთი მანხი ადამიანი ჯერ არც კი დასიზმრებოდა. შეწყდა ცეკვა და ტაში. სტუმრები კვლავ გაიშალნენ ეზოში, თითქოს სეირნობენო, ჭიშკრისაკენ წყვილ-წყვილად გაეშურნენ ნელი ნაბიჯით, მართლაც სასეირნო და სანეტარო მყუდრო ღამე იყო. მთვარე ღრუბლებში სეირნობდა, ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ მიიმალებოდა, და მაშინ ღრუბლის ნაპირებზე ოქროს ვარაყით მოვლებული ნათელი არშია ამხელდა მის ადგილსამყოფელს.

შატბია მალულად იცქირებოდა აქეთ-იქით, უნდოდა, ერთხელ მაინც მოეკრა თვალი, მიეკვლია, სად იმალებოდა თამარელა, მაგრამ ისე გაიარა ეზო და ისე გავიდა შარავნაზე, რომ ეს წადილი ვერ შეისრულა.

## XII

შატბის პარტორგანიზაციის მდივანი ნიკოს გზაში შეხვდა, როცა სახელგანთქმული უბნის უფროსი თავის საგანრიგოსაკენ ეშურებოდა.

ნიკოს აღარ დასჭირებია თავიდან იმ ამბების მოყოლა რაც სამთო სკოლელთა განაწილებას შეეხებოდა. ელიზბარს უკვე შეეტყო ტრესტის

მმართველის, შატბის უფროსის და თვით ქარქაშაძის მოსაზრებაც. მან ახლა პირდაპირ, მოულოდნელად შეხვედრით მიმართა ნიკოს.

— შენ რას ფიქრობ?

ნიკომ თვალეში შეხვდა ელიზბარს, ეშმაკურად გაუღიმა.

— უკვე ყველაფერი გაგიგია და... არც ჩემი აზრი დაგარჩებოდა შეუტყობელი!

— იმათ რომ ჰკითხო, — შენ სცდები!

ელიზბარმა გამომცდელის თვალთ დაუწყუო ცქერა უბნის უფროსს.

— რახან სამი ერთ აზრს ემხრობა, თუ ამით შეიძლება ჩემი გამტყუნება... ნება თქვენია! ისე კი... მე მგონია... ჭკვიანმა შეიძლება სამსაც არ დაუჯეროს, ანგარიში არ გაუწიოს იმას, რომ სამია და... ერთის სწორი აზრი გააზიაროს!

— რამდენადაც ვიცი, არც იმ ერთს ჰქონია სწორი აზრი და წარმოდგენა!

— მე? — თავისდაუნებლიეთ წამოიყვირა ნიკომ. — ამხანაგო ელიზბარ თუ ჩემი სიტყვები ერთის მხრივ სხვის გაბიაბრუებათ მიიღეთ, მეორეს მხრივ, თავის ქებად...

— მე ჯერ არაფერი არ მიმიღია!

მხრების ოდნავ აჩეჩვით და გაკვირვებულის ღიმილთ მიუგო ელიზბარმა. პირის კუთხეში გაჩრილი პაპიროსი სიბნელეში დროდადრო წამით გაანათებდა ხოლმე მის სახეს, რომელიც ახლა, ოდნავ მწყრალი ეჩვენებოდა ნიკოს.

ბოლოს, არაბიძემ, იმის შიშით, ვაი თუ ელიზბარსაც ისეთი შიშბეჭდილება შეექმნეს, რომ ეცდებო, თავი გამოიღო, პარდაპირ მოახსენა — როგორც თვითონ ფიქრობს, კოსტას უბანს გამოცდილი ხალხის მომატება კი არ უშველის, შრომისა და საქმის სწორი ორგანიზაციაა საქირი! და დაწვრილებით ჩამოუთვალა პარტორგანიზაციის მღვანის ის ღონისძიება, რასაც თვითონ

გაატარებდა, იმ ჩამორჩენილი უბნის უფროსი რომ თვითონ ყოფილიყო.

ელიზბარი ყურადღებით უსმენდა ნიკოს და, თანდათან ჰკუთხდა უჯდებოდა მისი გონივრული მოსაზრებანი.

შახტში რომ მივიდნენ, ნიკო საგანრიგოსაკენ გაეშურა ახალი ცვლის მოსამზადებლად და გასასტუმრებლად, ელიზბარი კი შახტის უფროსის კაბინეტში შევიდა.

ცვლის გასტუმრების შემდეგ, როცა ნიკომაც შეალო შახტის უფროსის კაბინეტის კარი, გაოცდა, ელიზბარი იქ აღარ იყო.

ლუკა ბრაზმორეული შეხვდა არაბიძეს.

— ელიზბარს ქარქაშაძის უბანში უნდა შენი გადაყვანა!

— უკვე ითათბირეთ? — გაკვირვებით მიმოიხედა. ნიკომ ცარიელ კაბინეტში.

თათბირი რომ მძაფრი და მღელვარე ყოფილა, არაბიძე ამას იმ დაკუმუქვნილი ნაძწვევების დანახვამაც მიახვედრა, რომლებიც ლუკას მაგიდაზე საფერფლეში აღარ დატეულიყო.

— რით ასაბუთებს ელიზბარი ჩემი გადაყვანის აუცილებლობას? — იკითხა ნიკომ.

— ბევრი რამით.

— მაინც?

— ჯერ ერთი, შენც თანახმა ყოფილხარ...

— მე ვყოფილვარ?... ამხანაგო ლუკა!

— აქ ესწრებოდა ქარქაშაძე. იმან სთქვა.

ნიკო გაიყურსა. გუნებაში კი გაიფიქრა — ერთი უყურეთ ქარქაშაძეს, ჩემი წინადადება — მოწინავე უბანში რომ გადმოიყვანონ სამუშაოდ, მოსწონებიან იფ, ტყუილი არა სთქვასო.

— კიდევ?

— კიდევ. — უგუნებოდ, მწყრალად გაიმეორა ლუკამ, — კიდევ იმ სამთოსკოლელებსაც რომ ისე ჩაებლაუქე.

ნიკომ გაიღიმა

— რაც საქმისთვის სასარგებლოა, ყველაფერს უნდა ჩაებლაუქოთ, ლუკა!

— მე ჯერ არ ვიცი, გუშინდელი მოწაფეებისათვის ჩაბლაუქება რას მოგეცემს. ქარქაშაძის უბანში შენი გადაყვანა კი ჩვენს შახტს დანარჩენების კულში მოაქცევს.

— ელიზბარს თუ დაუტუჯერებთ, სწორედ ახლა, გადამწყვეტ დღეებში, გარდატეხას რომ მივალწოთ, გეგმის შესრულება, რომ გავადიდოთ, საჭიროა შენი გადაყვანა ქარქაშაძის უბანში, ქარქაშაძისა კი შენს უბანში. ქარქაშაძის ხელშიაც კიო, მოწინავე უბანი თავის დონეზე დარჩება, არაბიძის ხელში კი, ჩამორჩენილი უბანი უსათუოდ წინ წაიწეოსო!..

— ეგ აზრი დაუფიქრებლადაც მიუღდება ჰკუთხდა და, რომ დავუფიქრდე, მაშინ ზომ აღბათ... — ნიკომ წამით შუბლი შეიკმუხნა, სუფთად გაპარსულ ნიკაპზე საგონებელში ჩავარდნილივით მოისევა ხელი. — რას ერჩი კაცო ელიზბარი მართალია! ამ, ნახევარი წლის გეგმას კი პირნათლად შევასრულებთ და უკეთესად გადაჯგუფება ხალხის უბანში, მერეც შეიძლება... საქმე ახლა!.. ზომ აძლევი იმ ათ ყმაწვილს ქარქაშაძეს?... თუ მე კოსტას უბანში ვიმუშავებ, ისინიც ჩემთან იქნებიან და ჩაზე...

— ნახვით, ვიცი, ვნახავ, მაგრამ კარგს კი არაფერს! აქამდე ჩვენს შახტს, შენი უბნის წყალობით მაინც ანათებდა ვარსკვლავი და ახლა, როგორც ვატყობ, ჩაგვიქრება...

— ჩვენი ვარსკვლავი არ ჩაქრება, ამხანაგო ლუკა! — ბეჯითად, ამყვი კაცის ღმილით შენიშნა ნიკომ.

არაბიძე შინაგანად ჯერ კიდევ ყოყმანობდა. უბანი შეილივით ჰყავდა ნათათუთევი და ეშნელებოდა მისი დატრეკება.

ერთი რამ. რაც მას ამხნევებდა, იყო რწმენა ელიზბარის გონებაგამპრიახო-

ბისა. ნიკო ძალიან სწყუხდა, რომ ელიზბარი ხვალ მიემგზავრებოდა შვებულე-ბაში, მაგრამ იმედი ჰქონდა, წასვლამდე კიდევ შეხედებოდა მას და საბოლოოდ მოეთათბირებოდა.

## XIII

მეგის ახლა შატბიასა და სულიკოსათვის წინ გაესწრო, რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურებულყო, იგი კისერზე ხელზე შემოჭობილი, თავაწული აკვირდებოდა ღამის პეიზაჟს. ის თავიდანვე მოხიბლა ორღობის უცნაურმა სანახაობამ. გზა ისე ჩანდა, თითქოს ზედ ჰრელი ქსოვილი დაუგიათო. თუ ბაღლა აიხედავდით, ერთმანეთში ჩახლართული, უხვად შეფოთილი ხის ტოტებისაგან გაკეთებული ბუნებრივი თაღი სულ აკრელებული იყო. ხის ფოთლების მუქი სილუეტი და მათს მრავალფეროვან, უსწორმასწორო კონტურებს შორის ნათელი ლაქები, ძალუნებურად იპყრობდა მზერას. როცა დახტული ორღობე — „ჰრელი გვირაბი“ (როგორც მეგიმ უწოდა გუნებაში) უკან მოიტოვეს, მათ თვალწინ ახლა უფრო დიდი და ლამაზი სანახაობა გადაიშალა. შორს მოჩანდა ღრმა ხეობით შუაში განკვეთილი დიდი ქედი, რომელიც რძის ქაფივით აფოფრილ ნისლის ოკეანედან თითქო თანდათან მალა იწევედა. როგორც ქედს, ისე გორაკების ფერდობებს ალაგ-ალაგ მთვარე დაჰნათოდა, ალაგ-ალაგ ღრუბლის ჩრდილი ეფინა მუქად. გორაკების ფერდობებზე შეფენილი ტყე, ვენახი. სიმინდის ყანა, თუ ჩაის პლანტაციაც მთვარის სინათლეზე ისე ჩანდა, ისე შეხამებოდა ერთმანეთს ჩრდილში მოქცეული თუ განათებული მიდამო, რომ დახატული გეგონებოდათ. მეგი მალამალ შემობრუნდებოდა ხოლმე შატბიასაკენ და ეკითხებოდა — რა ერქვა ამ გორაკებს, ან აქ დაცული ძველი შენობის ნაშთებს. შატბიას

საუცხოოდ ჰქონდა შესწავლილი თავისი კუთხე. რაც გეოგრაფიის, თუ ისტორიის ძველ და ახალ წიგნებში ეპოვა, ღრმა მოხუცების დახმარებით შეეცყო. შატბიას და მის ამხანაგებს მშობლიური მხარის ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლის ორიგინალური ხერხი ჰქონდათ მომარჯვებული: როცა ერთად შეიკრიბებოდნენ და ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, ესა და ეს სოფელი, ქედი ან მდინარე სად არის, ან ესა და ეს პიროვნება როდის მოღვაწეობდაო, ერთი თავის აზრს იტყოდა, მეორე თავისას. პირობისამებრ სხვები ერთ-ერთი ამხანაგის აზრს უნდა მიმხრობოდნენ. თავის შეკავება არ შეიძლებოდა — უცოდინარობად ითვლებოდა.

მეგიმ ხეგვალმა, მალღობზე, შატბიას სახლი შენიშნა. შემდეგ იმ გორაკიდან მთავარი ქედისაკენ თვალი გააყოლა სხვა გორაკებსაც. როცა ერთი მათგანის თავზე რალაც დიდ თეთრ ლაქას მოჰკრა თვალი, შედგა და შატბიას მიუბრუნდა.

— იქ რაა?! — იკითხა მან. შატბიას გაეღიმა.

— ძველი ნაციხარი... ასწლოვანი მუხები, ცაცხვები, — შატბიას კიდევ უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

მეგის თითქოს ყური აღარ უგდია შატბიას ბოლო სიტყვებისათვისო, უცებ ჟინიანდ შეიშმუნა.

— შემცივდა, — შემდეგ შატბიას შეხედა, შიშველი მკლავები მკერდში ჩაიკრა.

— დიას, ცოტა აგრილდა, ვერ მოვიფიქრე, მეთქვა, რამე წამოგელოთ.

— სოფელია, ქალბატონო, აქაც ისე ხომ არ გეგონა, დღისით მზეზე გახურებული ქვის შენობები და ასფალტი ნაშუალამევამდე რომ „ათბობს“ ქალაქს, — დაცინვით შენიშნა სულიკომ.

— დედაქალაქს არა ჰგავს, მაგრამ აქაც ქალაქია, მესაჩუქრთა ქალაქი, — თავაზიანი ღიმილით, თანაც სიამაყის

ფარული გრძნობით, უთხრა შატბიამ სულიკოს.

მეგამ ეს შენიშვნა ისე მიიღო, როგორც გამოსარჩლება, უცებ ძმასა და შატბიას შუა ჩადგა, მარჯვენა ხელი შატბიას მკლავს მოსჭიდა, მარცხენა სულიკოს მკლავს.

— თქვენ მართლა შეგციენიათ, — უთხრა შატბიამ მეგის.

— რას კანკალებ, გოგო! ბევრი აღარ დარჩენილა, მივალთ შინ და... — დაუფიქრებლად წამოიძახა სულიკომ. „გოგოს“ გაგონებაზე მეგამ გამგმირავად შეხედა ძმას.

— თუ ისურვებდით, შემძლია, ჩემი პიჯაკი... — ყოყმანით შესთავაზა შატბიამ პიჯაკი მეგის, რადგან დარწმუნებული იყო, ქალიშვილი უცხო ვაჟის სამოსს არ წაიკარებდა.

— მერე? — უმალ შესცინა მეგამ, — რას ემგვანება... თქვენ შეგციედებათ. — მეგი ღიმილით შესტკეპროდა შატბიას.

მეგის ღიმილი შატბიასათვის უფრო ძვირფასი და მწველი იყო, ვიდრე პიჯაკის სითბო. ახლა მას სიცივიტ სულიკო რომ ამოხდომოდა, თავს ბედნიერად ჩათვლიდა, ოღონდ ეს მომხიბლავი ქალწული რითიმე მისი მადლიერი ყოფილიყო.

შატბიამ მოხდენილად გადაიძრო პიჯაკი და ფრთხილად მოასხა მეგის მხრებზე.

მეგამ კვლავ გაუყარა მკლავში ხელი შატბიას, სამივემ ისევ უდარდელად განაგრძო გზა.

— მაშ იქ ძველი ნაციხარია? — კვლავ იკითხა მეგამ და გორაკის ქორორს ცნობისმოყვარეობით მიაპყრო თვალი, — შენი ნამუშევარი სად არის?

— მანდ გახლავთ. — შატბიამ ხელი ისე ჩაიჭინა, თითქოს მეგის ეუბნებოდა — „რა მნიშვნელობა აქვსო“.

— აქაო... სულიკო, გესმის? რა ახლოს ყოფილა შატბიას ნამუშევარი. — მერე შატბიასაც მიუბრუნდა, — რატომ

არაფერს გვეუბნებოდით? მე მეგონა სადღაც შორს იყო...

— ასე გეჩვენება, თორემ არც ისე ახლოს იქნება!

— უფრო შორსაც რომ იყოს, მაინც წავიდოდი!

— სადა?! — დაფეთებულივით წამოიძახა სულიკომ.

— აი, იქ, შეხედე, ჩემს თითს უსწორე თვალი! — თითქოს ძმას აბრაზებდეს, ისე წარმოთქვა მეგამ და გორაკისაკენ ხელითაც ანიშნა.

— ხომ არ გაგიფიქრებ?!!

— მე გთხოვ, ასე ნუ მელაპარაკები, თორემ ხმას აღარ გაცემ, — მკაცრად მოუტრა მეგამ.

— ოჰ! თუ შენს ხმას არ გავიგონებ, ნერვები უფრო დაწყნარებული მექნება!

— რა სჯობს ამ მთვარიან და მყუდრო ღამეში, ამ გორაკებზე, ამ ბილიკებზე ხეტიალს, — წამოიძახა მეგამ. — რაც მთავარია, სწორედ ამ დროს მიყვარს ქანდაკებების თვალიერება. თუ ცაზე ღრუბლებიც მოძრაობენ, მაშინ ხომ ქანდაკებებიც თითქოს გაიცოცხლებიან ხოლმე.

შატბიასაც მოეწონა მეგის აზრი. უნებლიეთ თვითონაც მოენატრა თავისი ქანდაკების ნახვა.

მეგამ გორაკის ბილიკზე მოხდენილად აირბინა, მერე მიუბრუნდა შატბიას და სულიკოს, ხელი დაუქნია, — თუ ვაკაცები ხართ, მომყევით, გული გაიმაგრეთო, — ისევ დაუქნია ხელი და ახლა ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

— სულიკო, ქალს როგორ ჩამოვრჩეთ, სირცხვილია! — დაიძახა შატბიამ.

— სირცხვილს არ დავეძებდი, სისულელეა, რა მინდა ამ შუალამეში იქ?

შატბია საგონებელში ჩაეარდნილიყო, მეგის ხმა და თავისი ქანდაკების ნახვის სურვილი ზემოთ უხმობდა, სულიკოს დაღრეჯილობა და წუწუნის მისი იდუმალ წადილს წინ ელოებოდა.

— წავიდეთ, კაცო, ქალს მართლა მარტო ხომ ვერ გავუშვებთ, — მიუბრუნდა შატბია სულიკოს, მკლავში ხელი გამოსდო, ორიოდ ნაბიჯი ძალით გადაადგმევინა. რაკი ერთი დასაქრა ადგილიდან, მერე სულიკო თავისთავად მიჰყვა შატბიას, თუმცა ბუზლუნს არ იშლიდა. მეგი მოსახვევთან შეჩერებულიყო და ჩამორჩენილებს ელოდა. აქ ბილიკი ტყეში შედიოდა. სულიკომ ისე ჩაუარა გვერდით მეგის, მისთვის არც შეუხედავს. შატბია სულიკოს ჩამორჩა და მეგისთან ერთად განაგრძო გზა. როცა მეგის დაქანებულ ფერდობზე ასვლა გაუჭირდებოდა, შატბიას მაჯაში ორივე ხელს ჩააქვებდა და ვაჟიც მარჯვენდ აიტაცებდა მას მაღლა.

მეგი დროდადრო ისევ გადმობედავდა ხოლმე უკან ბუზლუნით მომავალ ძმას და გადმოსმახებდა:

— სულიკო, თუ ბიჭი ხარ, დაგვეწიე!

შატბიას კიდევ უფრო მეტ ძალას და ხალისს მატებდა მეგის მხიარული განწყობილება. მზად იყო აეტაცა მეგი და, ერთი შეხედვით ბუმბულივით მსუბუქი, ცაში აწვილილი ხელებით სულ ციმციმ ეტარებინა გორაკის თავამდე.

გორაკის თავზე მცირე ვაკეს მიადგნენ. სანახაობა მყის შეიცვალა. თუ აქამდე ფერდობებზე უფრო ხშირად ნორჩი ხეები და ბუჩქები ხედებოდათ, ახლა მათ წინ ერთბაშად აღიმართა ლაღად ტოტებგადაშლილი უზარმაზარი ხეები. თითქოს სიბერეს მათთვისაც გაუღრეკია ქედით, ყველა ხე, ზოგი მთელი, ზოგიც ფულუროიანი თავისი უზარმაზარი ტანით უცნაურად წახრილწამოხრილი იდგა.

სულიკოს უცებ გუნება შეეცვალა, გამოცოცხლდა. გზის ახლოს, სულ განაბირა, უზარმაზარი ხის დაღარულ ქერქს ხელი დაჰკრა, მაღლა ტოტებში შეიჭვრიტა.

— რა უხვია მიწის ძუძუ! რა გოლია.

თებს ზრდის და კვებავს!.. შეგი, ხედავ, რამხელაა?!

— მოხუცები ამბობენ, მესხე ქუთუბუნი სი წლის იქნებაო, — თქვა შატბიამ.

მეგიმ გაოცებით დაახამხამა თვალები.

— იქნებ მეტისაც იყოს! — შენიშნა სულიკომ. — ჩვენ გვებევრება, თორემ ოთხასი წელიწადი მუხისთვის რაა!

უცებ მეგიმ შეჰყვირა.

შატბიამ და სულიკომ მყის მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ მეგი ახლომახლო არსად ჩანდა. შატბია გაიჭრა ნანგრევისაკენ, რომელიც ფარივით ამართულიყო გორაკის ჩაკვეთილი ფერდობის ნაპირზე. შიშით გაიფიქრა, მეგი უცაბედად ხომ არ გადაიჩხვია. შემოუარა თუ არა კედელს, დაინახა, რომ მეგი მის მიერ ქვაში გამოკვეთილ კაცის თავს ზედ წასდგომოდა და გაოცებული ახლა შატბიასა და სულიკოსაც უხმობდა თავისკენ.

თუ მეგი ნახვისთანავე აღტაცებაში მოიყვანა მოხუცის პორტრეტმა, სულიკო ისე დიდხანს და ისე გულგრილად ათვალთვრებდა შატბიას ნახელავს, კაცს ეგონებოდა, არ მოსწონს, თავისი აზრის გამხელა კი ვერ გაუბედავს, გამოსავალი ვერ უპოვნია და ამიტომაც აყოვნებსო...

ერთხანს სამივენი ასე მდუმარედ შესცქერიოდნენ ციხის კედლის მოზრდრლ ქვაში გამოკვეთილი მოხუცის სახეს.

მოხუცს თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული, თითქოს შორს იშვებოდა. მოქანდაკეს შთაგონებით გამოეკვეთა მოხუცის მეტყველნაკეთებიანი სახე.

შატბია, მართალია, ჯერ კიდევ არა ფლობდა ქვაში კვეთის ოსტატობას, პორელიეფი ერთი ღრმა ამოსუნთქვით შექმნილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. რომელი სახელმძიმევილი ოსტატი იტყოდა უარს, ასეთი ნაწარმოებისათვის თავის ატელიეში ერთი კუთხე მიეჩინა.

საკმაო დრო გასულიყო. მეტხანს აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა. სახლშიაც უთუოდ მოუთმენლად ელოდნენ მათ. ახლა ისე ცივად მზირალ და დამუნჯებულ სულიკოს რომ ხედავდა შატბია, არ იცოდა, რით აეხსნა ეს ამბავი: და რა შეება იგრძნო, როცა ბოლოს სულიკომ ხმა ამოიღო.

— თავი სიზმარში მგონია, — ღიმილით თქვა მან და ჯერ მეგის, მერე შატბიას გადახედა.

— მოგეწონა? — იკითხა მეგამ.

მცირე დუმილის შემდეგ სულიკომ იღუმალის ხმით შენიშნა დას:

— აქ მე ახლა ყველაფერი მაკვირვებს, მომწონს და თითქოს მაშინებს კიდევ. — მერე ხელები გაშალა და შატბიას მიუბრუნდა, — თვითონ ეს კაცი სადღა მარხია? — თანაც ცალი ხელი ჰორელიეფისაკენ გაიშვირა.

შატბიამ უმალ ხელით ანიშნა.

სულიკომ ერთი ნაბიჯით უცებ მოწიწებით უკან დაიხია, მხოლოდ ახლა შენიშნა პატარა მოგრძო ბორცვი, რომლის ნაპირზედაც წელან ფეხი ედგა. ბორცვა სწორედ კედლის ნანგრევის წინ იყო, პატარა მოედანზე და იგი ახლა ისე დაეფარა ბალახბულახს, რომ კაცი ვერ იფიქრებდა, თუ აქ ვინმე იყო დამარხული. თვითონ კედელი, ვეებერთელა ფარივით ახიდული, თავში განიერი, სამირკველთან შევიწროებული და შენგრეული იყო, ალაგ — მოშავო ალაგ — მოწითალო, თუ ღია მომწვანო ფერის ხავსის ლაქებით.

მას შემდეგ, რაც შატბიამ მენშევიკების დროს მოხუცი მემხატის დახერტის ამბის თხრობა დაასრულა, სულიკო ერთხანს ისევ უკირკიტებდა. გულმოდგინედ აკვირდებოდა ჰორელიეფს, თითქოს კიდევ დარჩა მასში რაღაც ამოუცნობიო. მერე უსიტყვოდ გამობრუნდა, ხელები დაიბერტყა და შეშფოთებულის კილოთი იკითხა:

— არ წავიდეთ?..

— რახანია, გელოდებით, — თავა-

ზიანად მიუგო შატბიამ და მეგისაც გადახედა.

მეგის შატბიასათვის <sup>მეგის</sup> ~~მეგის~~ უთქვამს, მძას მიუბრუნდა, გაკვირვებით კითხვა:

— მაინც როგორია შენი აზრი? კაცი გელოდება, რატომ არაფერს ეუბნები!

— ამაზე გზაში ვილაპარაკოთ, — მოკლედ მოუტყრა სულიკომ და გზა განაგრძო.

— ახლა სულ არ არის საამისო დრო... ზვალ, ზეგ, როცა ეზოში, მუხის ჩრდილში, დავსხდებით! — დაუმატა შატბიამაც.

სულიკოს გონებაში ღრმად აღბეჭდილიყო ქვაში გამოკვეთილი მოხუცის სახის ნაკეთები, ის ედგა თვალწინ. წედან, გარცეხული რომ იყო იმ უზარმაზარი ხეების ხილვით, ახლა ისე უვლიდა მათ გვერდს, თითქოს ვერც კი ამჩნევდა. ბევრი ოსტატის ნამუშევარი უნახავს სულიკოს გამოფენებზედაც. ატელიეშიაც, ოჯახებშიაც, მაგრამ ასე არაფერი მოსწონებია. ჯერ კიდევ არ იცოდა, ვერ გარკვეულიყო, რატომ მოხდა, მისი ბრალი იყო ეს, მთვარიანი ღამის, პოეტური განწყობილების, თუ შატბიას ნამუშევრის მხატვრული ღირსებისა.

მან თავისი პირობა არ შეასრულა. გზაშიაც მეტწილად სდუმდა.

სულიკო ახლა მარტო იმაზე ფიქრობდა, როგორ მოხერხდებოდა იმ ჰორელიეფის ლოდიდან მოხეტქვა და წამოღება, ან რა მიზეზი მოენახა, რით დაესაბუთებინა შატბიასათვის ამის აუცილებლობა.

#### XIV

ასმათი მუხის ძირას სკამზე იჯდა. შატბიას და სტუმარი ქალ-ვაიკის მოსულას ელოდა. მეგი და სულიკო მას დიდი ხანია არ ენახა და ძალიან აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდნენ ახლა ისინი. დაბრუნდა თუ არა ასმათი მეზობელი სოფლიდან, სადაც

ავადყოფი ნათესაის სანახავად იყო წასული, როგორც კი გაიგო სტუმრების მოსვლა, მიუხედავად დაღლილობისა, როგორც მარჯვე დიასახლისს შეეფერება, დატრიალდა, მოხუცი დედამთილი — დარეჯანიც მოიშველია და ვახშიში — ტაბაკები, ვენახის ფოთოლგადაკრული თხელ-თხელი ქაღები, ხაჭაპურები სულ მალე მზად იყო. ჩაისთვის წყლის ადუღებაც არ დაეწეებოდა. ალუბლის, ლეღვისა და კაკლის მურაბის ქილებსაც მოხადა თავი. შუათანა, მრგვალი მაგიდა ნიკოს გამოატანინა, კაკლის ძირას დაადგმევინა, სკამებიც ჩამოიტანეს. ნიკო სიამოვნებით და კმაყოფილებით ადევნებდა თვალს ასმათის დაუხარელ გარჯას. ის თავმოყვარე კაცი იყო და ოჯახის ღირსებას, მასპინძლის სახელს, პირველყოვლისა, სტუმრის პატივისცემით ზომავდა.

ასმათმა რამდენჯერმე შეახსენა ნიკოს — „ერთი, დაურეკე იმ შენს ზიბზიბაძეს, გვანებებს თუ არა ამდამ ჩვენს სტუმრებსო“, მაგრამ ნიკო უარზე იყო, ასმათსაც აწყნარებდა — რაღა დარეკვა უნდა, სადაცაა გაჩნდებიანო. იგი სტუმრების მოსვლას აღარ დალოდებოდა. დღეს ორჯერ მოუხდა შახტში ჩასვლა, უბნების დათვალიერება, „ბიჭების“ გამხნეება, ზოგან წახმარება, ზოგან ცოტა ხმამალლა შეძახება, სადაც საქმე ისე არა კეთდებოდა, როგორც საქირო იყო. ახლა იმდენად დაღლას არა გრძნობდა ნიკო, რამდენადაც, დილაუთენია ადგომაზე ფიქრი და ზრუნვა აიძულებდა ჯან-ღონე დაეზოგა, ადრე დაწოლილიყო, ძილი და მოსვენება რომ მოესწრო. ესეც რომ არ ყოფილიყო, ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი ნიკოს გამოძახება, ამიტომაც ის მუდამ ეშურებოდა „თვალის მოტყუებას“. ლოგინი აივანზე, კუთხეში გაფენილ ნოხზე გააშლევინა. სტუმრების მოლოდინში მარტო ასმათი ფხიზლობდა. ის არ იყო დაჩვეული გვიან

ძილს, ღამის ტეხვას, მაგრამ, თუ სკირო შეიქნებოდა, არც ეს უჭირდა. სხვების მიმართ აგრერივად თავიზიანდა და ლმობიერი, თავისი თავისადმი მუდამ მკაცრი და დაუთმობელი იყო.

ქიშკართან ლაპარაკი და სიცილი გაისმა, ასმათი ყმაწვილივით ზეზე წამოიჭრა, ეზოში შემოსულ სტუმრებს შეეგება. პირველად მეგიმ შენიშნა ასმათი. უმალ შატბიას გადახედა და მერე უცებ ლაღად, მსუბუქად, თითქმის სირბილით, გაეშურა ასმათისაკენ. მიახლოვებისას ერთი კი შესძახა — „დეიდაო“, და ასმათი გაშლილ მკლავებში მოიმწყვდია, მოხვია. ასმათს ისე ესიამოვნა მეგის შეგებება, უნებლიეთ სიხარულის ცრემლი მოერია. ასმათს ერთი ხელი რომ მეგის წელზე ჰქონდა მოხვეული, მეორე სულიკოს გაუწოდა, ისიც მოიზიდა, გულში ჩაიკრა, საფეთქელთან ორჯერ აკოცა და შემდეგ დაძმა ასე წელზე ხელშემოხვეული მაგიდისაკენ წაიყვანა. მეგი ისე ნასიამოვნები და თანაც გაბრუებული იყო დღევანდელი შთაბეჭდილებებით, რომ ამდენი სიამის ერთად დატევას მისი გული არც იყო ჩვეული. არ იცოდა, ვისთვის დაეთმო თავისი გული და რისთვის მიექცია ყურადღება. მეგი ასმათმა გვერდით მოისვა, დროდადრო საუბარში ფრთხილად მოიზიდავდა თავისკენ, გაუცინებდა. ასმათის სახის ტიპიურმა ქართულმა ნაკეთებმა და იერმა დაძმა ისე მოხიბლა, რომ მისთვის თვალი ვეღარ მოეშორებინათ: მეგისა და სულიკოს დაკვირვებით, შატბია საოცრად ჰგავდა დედას. ამ ქალის ჯერ კიდევ ნახ, კეთილშობილურ, თანაც ტიპიურ ქართულ იერს, ვაგაკურთ ვლფერიც დაჰყრავდა. საუბარში მეგი ხან დედას აკვირდებოდა, ხან შვილს და გაოცებული იყო მათი მსგავსებითაც და მათი სილამაზითაც. ასმათმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეგიზე, რომ ახლა მას სულაც აღარ აკვირვებდა მისი შვილის თვალტანადობა.

ცოტა გაისაუბრეს თუ არა, ასმათმა, როგორც წესია, სტუმრებს დედ-მამის ამბავი გამოჰკითხა. ამ ამბებზედაც რომ მორჩინენ ლაპარაკს, ასმათმა ბოდისი მოიხადა, წელან სტუმრებს შინ რომ არ დაუხვდა. სტუმრები მიუხვდნენ განზრახვას, მეგობ უცებ თვალით ანიშნა სულიკოს და ერთი მარჯვენა მჯავანი სწვდა ასმათს, მეორე მარცხენა მჯავანი — ერთ ლუქმას ვერ შეეკამთო, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ასმათი თავისას არ იშლიდა, ძალით იწვედა, არ უნდოდა, ასე საგულდაგულოდ მომზადებული ვახშამი ჩაშლოდა. სულ ნიკოს აბრალებდა ყველაფერს: ნიკო რომ აქ იჯდეს, მას ხომ ვერ გაუბედავდითო, — იცინოდა ასმათი და სიცილში თანდათან თავისკენ შეუმჩნევლად იბირებდა სტუმრებსაც.

— ნურადერს მიირთმევთ, მე მაგიდაზე დავაწყოვ, რაც მომეძევება, თქვენ კი უცქირეთ, — ეხვეწებოდა, ეფერებოდა, არწმუნებდა იგი სტუმრებს.

— სულ ჩემი ბიჭის ბრალია, — საყვედურით თქვა ასმათმა, — ჩემ მოსვლამდე ასე როგორ დამიფანტა სტუმრები? ან ნიკო რას აკეთებდა.

— დედა, როგორ ლაპარაკობ?! კაკო ზიზზიბაძე მტერს შეუჩნდა! როცა საამისო მიზეზი აქვს, მაშინ ზომ...

— შეილო! ხომ ხედავ, არ მიშვებენ, ხილი მაინც მოგვიტანე. — თან აუხსნა, სად ეწყო თეფშები, დანები და ხილი.

შატბია მყის წამოიჭრა ზეზე, მაგრამ მეგის სიტყვებმა შეაჩერეს.

— დაიცა, მეც მოგვხმარები, შატბია. ყველაფერს მარტო როგორ წამოიღებ! — მეგი მკვირცხლად წამოდგა და შატბიასთან ერთად ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა. მიისწრაფოდა და თან მალა აზიდული მხრების რხევით ცდილობდა ვაჟის ყურადღება მიექცია.

კიბეზე სწრაფად აირბინეს. ნიკოს ხვრინვის გაგონებაზე მეტიმ უცებ ფეხის წვერებზე აიწია. მარჯვენა ხელის სალოკი თითი მიაპიტურად ტუჩზე მიიღო, მარცხენა ხელი კი მაგრად ჩასკიდა შატბიას ხელს და ორივემ ასე ფეხაკრეფით, გაიარეს აივანი. ოთახში, სადაც ძველებური ვეებერთელა მოჩუქურთმებული კარადა იდგა, ბნელოდა. მხოლოდ მთვარის შუქი ადგა ფანჯრის ქვედა ნაპირს და ჩარჩოს სილუეტი დასჩენოდა იატაკს.

შატბიამ ხელჩაკიდებული მეგი ფრთხილად გაატარა ოთახში. მეგი ბრმად მისდევდა მას. შატბიამ კარადასთან შორიახლო დააყენა მეგი, თვითონ ხელის ფათურით მიაგნო და გამოიღო კარადიდან ერთი ვახა, სიბნელეში მეგის ფრთხილად გაუწოდა. თან ნაბიჯიც გადასდგა მისკენ; მეგიმ ვერ დაინახა, თუ არ დაინახა, წინ გაწვდილი ხელებით თვითონაც ერთი ნაბიჯი წაღდა წინ და უცებ იგრძნო, ისე ახლოს მისულიყო შატბიასთან, რომ თავისი მკერდით უკვე ვაჟის მკერდს ეხებოდა. მისი სუნთქვაც იგრძნო, შატბიას ლოყას უნებლიეთ მეგის თმაც შეეხო. ისინი ვერ ხედავდნენ, მაგრამ გრძნობდნენ ერთმანეთს. ერთი წამით ქალ-ვაჟს ისე მოეჩვენა, თითქო სახლიც კი შებარბაცდა. უცებ ოთახში ჰქეპსავით გაისმა იატაკზე დაცემული ბრძოლის ლარნაკის ხმა. შემკრთალი, ჯერ კიდევ ბურუსში მყოფი, ქალ-ვაჟი მყის გაშორდა ერთმანეთს. ახლა მიხვდა შატბია, როგორ გაუვარდა ხელიდან ლარნაკი, როგორ დაიმსხვრა ის და იმ ერთმა წამმა როგორ შესძრა და შესცვალა მისი შინაგანი არსება.

ლარნაკის დამსხვრევის ხმა აივანზე ნიკოსაც ჩაესმა ძილში. მან ერთი კი წამოიწია, თვალები მიმოაცეცა და დაიძახა — „რა იყოო“. რაკი პასუხი არავის



გაუცია, იფიქრა — მომეჩვენოს, და ისევ მისდო თავი ბალიშზე. მეგი და შატბია ერთხანს სულგანაბული იდგნენ ერთმანეთის შორიასლოს და აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, წამისწამს ელოდნენ ნიკოსთან ასმათის შემოსვლას. მიწყნარდა თუ არა ყველაფერი, შატბიამ ესლა თვითონ გაიწია მეგისაკენ. ვაჟის ხელის დაკარებისთანავე მეგიმ სწრაფად დაიხია უკან და ოთახის კარებთან შედგა. ვაჟი გონს მოვიდა, კვლავ კარადისაკენ მიბრუნდა, ხელის ფათურით თაროს სიღრმეში მერე ლარნაკი მონახა. აიღო თუ არა იგი, მხოლოდ ახლა იგრძნო, რა საშინლად დელავდა. მეგის ხმადაბლა უხმო, მაგრამ ის აღვილიდან არ დამრულა, ვაჟს ახლო აღარ ეკარებოდა. შატბია იძულებული იყო, თვითონ მისულიყო მეგისთან, ლარნაკი და თეფშები მიეწოდებინა. შუშის ნამსხვრევებს ხრამაზარეში გაუდიოდა შატბიას ფეხქვეშ.

მეგი შატბიას აღარ დალოდებია, ვიდრე ის დანა-ჩანგალს მონახავდა, ფეხაკრეფით გაიარა აივანზე, თან ნიკოსაკენ იხედებოდა, ხომ არ ღვიძავს, ხომ არ გვითვალთვალებდაო. კიბეზე ფრთხილად ჩავიდა. გული ახლაც ისე უტემდა, თითქოს ვინმე დასდევსო, ყურშიაც კვლავ იმ დამსხვრეული ბროლის ხმა ჩაესმოდა; მეგი ახლა გაუბედავად მიაბიჯებდა ეზოში. დიდ საგონებელში იყო, არ იცოდა, რით დაეწყოს თავის მართლება. მაგრამ ლარნაკი მაგიდაზე დადგა და თეფშები კონტად ჩამოარიგა. შატბიაც მოვიდა. ხილის გასათლელი დანები და სამკუთხედად მოკეცილი ხელსახოცები დედას მიაწოდა.

ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

შატბიას გუნებაში გაეხარდა, როცა მეგიმ დაასწრო და თავისთვის აბლო ერთი მსხალი, მაგრამ უცებ გაოცდა და სახეზედაც წამოწითლდა, როცა მეგიმ მერე, უფრო დიდი და მწიფე მსხალი შატბიას დაუდო თეფშზე.

— გაჯობა სტუმარმა! — სიცილით შენიშნა ასმათმა და სულიკოს გაუმასპინძლდა. ახლა შატბია <sup>მეწყნარდა</sup> და მორაცხვი ჩანდა.

სულიკომაც გადაუხადა სამაგიერო, ლარნაკზე ორი, საუკეთესო მსხალი შეარჩია, გათალა და ჯერ ერთი მიაწოდა ასმათს, შემდეგ მეორე.

ცოტახანს დემილი ჩამოვარდა. მეგი და შატბია განაბულიყვნენ, წელანდელი „გაუგებრობის“ ბურუსიდან თავი იჯერ კიდევ ვერ დაეღწიათ.

რადიო უკანასკნელ ამბებს გადმოსცემდა. მთელი ქვეყნიერება ისმენდა ახლა ამ უკანასკნელ ცნობებს: სად რა აშენდა ჩვენს ქვეყანაში, ვინ რა საქმეში ისახელა თავი, სად რომელი საწარმო თუ გიგანტი რამდენი პროცენტით ასრულებდა გეგმას... სხვებთან ერთად მეგიც და შატბიაც უსმენდნენ ამ ახალ ამბებს, მაგრამ ახლა მათთვის ის ამბავი იყო ყველაზე ახალი, რომლის შესახებაც მხოლოდ მათ იცოდნენ, რამაც ასე აუჭგერა გული და ააფორიაქა მათი სული. შატბიას გულით ეწადა მეგისთვის შეეხება, მაგრამ ვერ ბედავდა. თავი რომ აეწიო, დედაც შემომხედავს და ჩემს თვალებში ყველაფერს ამოიკითხავსო, ფიქრობდა გუნებაში.

როცა ასმათი და-მმას სტუმრის მისაღებად ოთახში შეუძღვა, მეგიმ სიამოვნებით გადახედა ოთახის ერთ კუთხეში ნიკელის საწოლზე გაშლილ ლოგინს, თავში ნახევრად კუთხე გადაკეცილ, თხელ, აბრეშუმის ვარდისფერპირიან საბანს, ქათქათა ზეწარს და დიდ ფაფუკ ბალიშს.

ოთახის მოპირდაპირე კუთხეში სულიკოსთვისაც ასეთივე ლოგინი იყო გაშლილი, მხოლოდ მის საბანს ღია ცისფერი პირი ჰქონდა გადაკრული.

შატბიას მიბაძვით სულიკომაც აივანზე მოისურვა დაწოლა. ასმათმა ერთხანს უშალა, არ გაცივდეთო, მაგრამ მერე მინც შეუსრულა წადილი.

როცა ყველანი დააბინავა, მეგის ძილი ნების უსურვა და ოთახიდან გავიდა, კარი ფრთხილად გაიხურა. მეგიმ ერთხელ კიდევ მოაქვს თვალი ოთახს, მერე გამორთო ელნათური, ტანთ გაიხადა და, როცა წვებოდა, სულაც არ უგრძენია, არ უღიქრია, რომ სხვის სახლში ათევედა ღამეს, ეს შატბიას სახლი იყო და ეს ლოგინიც ასმათის ხელით იყო გაშლილი.

მეგის არ ეძინებოდა. ლოგინში გულდაღმა მწოლარეს მკლავები ბალიშისათვის შემოეჭდია და, თუმც ღია სარკმელში იცქირებოდა, სამყაროს უსასაზულობა, ცის ღამეული სილაყვარდე, ვარსკვლავების ციმციმი და აქა-იქ ღრუბლების ნაირფერობა სრულებითაც არ მოქმედებდა მასზე ისე მომჯადობელად, როგორც ეს სხვა დროს უგრძენია. ახლა მისი სმენა, მთელი გულისყური აივნისაკენ იყო მიპყრობილი. მეგის მკაფიოდ ესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ იქ შატბია და სულიკო. ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულიც მიწყდა.

განთიადზე, როცა მამლებმა ყვირის მოუხშირეს და ცაც შესამჩნევად გაბაცდა, მეგის ძლივს ჩაეძინა.

## XV

ჩიერაქზე, რამდენიმე წუთის წინ ჩათვლემილ შატბიას უეცრად გაეღვიძა. აივნის ახლოს, ალვის ხეზე შემოსეული ბელურები გამაყრუებლად ეჩვიეებდნენ. აბუზულები ოდნავ აწეულ ფრთებს აძიგძიებდნენ და თითქოს სიგრილე ხმასაც უთრთოლებსო, განთიადის საგალობელს არეულად გასძახოდნენ. საოცარია, რა თავდავიწყებით და სიყვარულით უმღერის ბუნების გაღვიძებას ეს პაწაწინა არსება, მისთვის ბუნებას არც მომხიბლავი ხმა მიუმაღლებია და არც, მით უმეტეს, მიმზიდველი გარეგნული მორთულობა. მაგრამ მაინც უმღერის და უხარია, ეტრფის სიცოცხლეს ისევე, როგორც მთების და ველების ძლიერი და თავმომწონე არ-

სებანი. შატბიამ ერთი კი დააწყვიტა თვალი, შემდეგ სწრაფად წამოიწია, ძილს რომ ხელახლა არ წაეტყუებინა, ცალი იდაყვით მოაჯირს დაეყრდნო და ჯერ ეზოს, მერე ცას გახედა. ერთხანს ასე გარინდებული, თითქოს ოცნებას გაუტაციაო, უსმენდა ჩიტების ეჩვიევის, სიოს ნელ სისინს, დროდადრო ხეებს რომ ჩამოუჭროლებდა და ფოთლებს სასიამოვნოდ ააშრიალაფართატებდა. როცა კარგად ინათა, აქამდე ჩამუჭებული ცის კიდურიც გაბაცდა, ბელურების ეჩვიევიც მინელდა მათი ხმა აქა-იქ ისმოდა კანტიკუნტად. პირველი საგალობლის შემდეგ, თითქოს ვალი მოიხადესო, აქამდე ალვის ხეზე შემოსეულნი, ნელ-ნელა იფანტებოდნენ, „ღლიური ლუქმის“ საშოვნელად ეშურებოდნენ. წელან ასე გატაცებით მომღერალნი, ახლა ეზოში თუ აივანზე ერთმანეთს ნამცეცებისათვის ეცილებოდნენ.

შატბიამ ერთხანს უსმინა, მერე მთქნარებით წამოდგა. კეფასთან, შემდეგ საფეთქელთან ღრმად შეაცურა თითები აშლილ თმებში და ისე გულმოდგინედ მოიფხანა თავი.

ძალიან ფრთხილობდა შატბია, სტუმარი არ გაეღვიძებინა, მაგრამ ხის საწოლმა ერთხელ მაინც ისე გაიკრაჭუნა, როცა შატბია ნაპირზე ჩამოჯდა, გეგონებოდათ, ეანგიან ლურსმანს აძრობენო. სულიკოს გაეღვიძა, გულადმა მწოლარემ ჭერს თვალი მოაქვს და შატბიასაკენ გაღმობრუნდა.

— გათენდა?! — იკითხა, მკლავები გაჭიმა და ნებიერად დაამთქნარა.

— თქვენ ძილს ნუ დაიკლებთ, მე სამუშაოზე უნდა წავიდე.

— ასე ადრე? — სულიკომ ბალიშის ქვეშ ხელი შეაცურა, საათი გამოიღო, — ხუთის ნახევარია! რა ამბავია?! ჯერ, კაცო, მგონი, მამლებსაც არ უყვილიათ.

— მამლები ახლა ნასაუხმებიც არიან, — ღიმილით შენიშნა შატბიამ, — შეიღზე შატში უკვე ღამის

ცვლას უნდა შევეგებოთ, უბანი ჩაეიბა-  
როთ.

— შეიძლე? როდის-ღა გამოხვალ?

— ნაშუადღევს, სამ საათზე. დღეს  
აღბათ თქვენი საქმეების მოგვარებას  
მოუნდებით, უჩემოდ არ მოგწყინდებ-  
ათ.

— ტრესტის მმართველს და შახტის  
უფროსს უკვე ველაპარაკე, ავუსხენი  
ჩემი ჩამოსვლის მიზანი. ზომ იცი, რო-  
გორც იციან ხელმძღვანელებმა, ხელ-  
გაშლილი მიმიღეს და მერე ვნახოთ,  
როცა გულსაც გავუსინჯავ... — სული-  
კომ სიტყვა არ დაასრულა, შატბიას  
გაუცინა. — დღეს თუ რაიკომის მდივ-  
ნის ნახვაც მოვახერხებ, ხვალიდან უკვე  
მუშაობას შევუდგები.

სულიკოს ოდნავ წამოწეული თავი  
ბალიშის შუაგულში იდაყვით ჩაფლუ-  
ლი ხელით ეჭირა, მეორე ხელი კი სა-  
ბანზე ედო და ხანდახან ლაპარაკში  
იშველიებდა. გუშინ სულ სხვანაირად  
ეჩვენებოდა იგი შატბიას — ჩაცმული,  
დავარცხნილი, თითქოს უფრო მკაც-  
რადაც გამოიყურებოდა, ახლა კი ის  
უბრალო და უდარდელი ჩანდა.

შატბიას უკვე ჩაეცვა და კვლავ სა-  
წოლის ნაპირზე იჯდა. სულიკოს მას-  
თან ლაპარაკი ეხალისებოდა, შატბიას  
კი სამუშაოზე აგვიანდებოდა. არ უყ-  
ვარდა გვიან მისვლა.

დღეა უკვე სამზარეულოში საქმი-  
ანობდა. ის, მართალია, სამუშაოზე არ  
ეშურებოდა, მაგრამ ბავშვობიდანვე  
მიჩვეული იყო აღრე ადგომასაც და  
ოჯახის საქმეების დროზე მოთავებასაც.

ქასთან მდგომი ნიკო დაბანილ ხელ-  
პირს იმშრალეზდა და თან დროდადრო  
სახლისაკენ იცქირებოდა; უკვირდა,  
შატბია რომ აქამდე არა ჩანდა. დღეს  
პირველი შემთხვევა იყო, რომ მამამ  
შეიღს პირის დაბანა მოასწრო.

თითქოს ახლა მოაგონდაო, შატბიამ  
სტუმრის გასაგონად უცებ წამოიძა-  
ხა — „არ დამავიანდესო“, სწრაფად  
წამოღვა, ლოგინი ზერელედ გაასწორა

და ხელ-პირის დასაბანად გაეშურა.  
გრძელი, ჩინჩლიანი პირსახოცი წელზე  
ჩაქურის ზონარივით შემოიხვია. შატბია  
რომ ეზოში ჩაეიდა, სულიკომ გვერდი  
იბრუნა, თავი მოიძინარა, შინაურები  
რომ არ მორიდებოდნენ და თავისუფ-  
ლად ევლოთ აივანზე, თუ ამოსვლა და-  
სკირდებოდათ.

## XVI

შპურების აფეთქების შემდეგ შატბია  
და მისი ამხანაგები ათიოდე წუთის  
კიდევ იცდიდნენ საფარში. როდესაც  
აფეთქებელმა მათ აცნობა, რომ ყველა  
შპური თავის დროზე აფეთქებულიყო  
და სანგრევში ჰაერიც ქვანახშირის ბუ-  
ლისაგან უკვე გაიწმინდა, განიავდა,  
ყველანი ლავისაკენ გაეშურნენ. ლავში  
შესვლისთანავე შატბიას ყურადღებას  
უპირველესად ვენტრაციის მუშაობა  
იპყრობდა და, თუ დარწმუნდებოდა,  
რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო,  
უმალ მუშაობას იწყებდა; გულმოდგინ-  
ედ ამოწმებდა სანგრევის ჰერს, და  
ნაჩვევი ხელით ჰკრავდა მას აქა-იქ  
წერაქვს.

როცა სანგრევში ამხვეტებმა შატბიას  
აღგილე მიუჩინეს, ის მაშინვე შეუდგა  
მუშაობას. სანგრევის „ჰერი“ უკვე  
მოსინჯული ჰქონდა. პასპორტის მი-  
ხედვით დამზადებული ჩარჩოები ად-  
გილს ისე მოერგო, გამაგრების შემდეგ  
ბოძებს ოდნავაც ძვრას ვერ უზამდით.  
შატბიას გამართული ჩარჩოები მუდამ  
საიმედო იყო. თუ იგი შეატყობდა,  
რომ სარტყელი ჰერს მჭიდროდ არ ეკ-  
ვროდა, სოლებით მარჯვედ გაჭეკავდა  
მას; სოლს არასოდეს სარტყელის შუა-  
გულში არ მოაჭეკვდა, რომ ფენის და-  
წოლისაგან ყუაფიცარი არ გამობილ-  
იყო. შატბიას არასოდეს არა სჩვეოდა  
ფუსფუსი და აჩქარება. ერთი შეხედ-  
ვით შეიძლება კიდევ მოგჩვენებო-  
დათ, რომ ზანტად მუშაობსო, მაგრამ ამ  
საქმეში მისი საკმაოდ გაწაფული ხე-  
ლის მოძრაობას თუ კარგად დააკვირ-

დებოდით, დარწმუნდებოდით რომ, შატბიაზე უფრო ნაყოფიერად უბანში ბევრი არ მუშაობდა. კაცი იფიქრებდა, შატბია ასე გულმოდგინედ იმიტომ მუშაობს, ალბათ ეს საქმე განსაკუთრებით იზიდავს და ემარჯვებაო, მაგრამ სხვა საქმეში გართულიც რომ გენახათ იგი, უნებლიეთ დარწმუნდებოდით, რომ შატბიას მართო მეზიგეობა არ ეხერხებოდა. შატბიას თავიდანვე ბიგების გამართვაზე უფრო მეტად იზიდავდა შპურების ხერცა და მზგრეველები კიდევაც ანდობდნენ მას ამ საქმეს. შატბია მაშინ ნამდიელ მებრძოლს ჰგავდა. ლონემოქარბებული ქაბუკი დინჯად, მაგრამ მთელი თავისი შეუპოვრობით, უნარით, ისე ებრძოდა ამ ქვესკნელში მომწყვდეულ შავ ფენებს, როგორც დაუნდობელ მტერს. და როცა დატენილი შპურები ზედიზედ ყრუ გუგუნით შეარყევდა შტრეკებს, შუროებს, ჯურღმულებივით ამოღებულ გამო-ნამუშევრებს, ქვერშლაგებს, გუზენკს, თითქო მტერს სძლიაო, სხვებთან ერთად საიმედო ადგილს მოფარებული შატბია შეუძნეველად გაიღიმებდა; ის დაძაბულობაც გაუვლიდა, რომლითაც შეპყრობილი იყო აქამდე შპურების აფეთქების მოლოდინში.

შატბიას მეშახტის შრომაში უპირველესად ხიბლავდა ის დაძაბულება, სიმკაცრე, რაც მუდამ თან ახლავს ამ საქმეს. მაგრამ სულ სხვა იყო ის გრძნობა, რომელიც დიდი ხანია მძლავრობდა შატბიას გულში. ხელოვნების სიყვარულს ვერსაით გაქცეოდა, ძერწვის სურვილი ვერაფრით დაეთრგუნა. არავის ჩაუნერგავს მისთვის ეს მისწრაფება, არავის უსწავლებია თიხაში ძერწვა, მოქანდაკის თვალით ქვრეტა ყოველი საგნისა. ეს ისევე თანდაყოლილი უნარი იყო, როგორც იხვის ჭუჭუტისათვის გამოჩეკის უმაღლეს წყალში ცურაობა; და რაც უფრო ცდილობდა შატბია, წინ აღდგომოდა ამ მისწრაფებას, ამ წადილს, მით უფრო მეტად

იმორჩილებდა მის არსებას ეს უძლეველი და უცნაური გრძნობა.

პირველ ცვლას ერთი საათი-ღამე დიხენოდა სამუშაოდ. მზგრეველებიც, მეზიგეებიც, ქვანახშირის მტვირთავებიც უკვე საკმაოდ დაღლილი იყვნენ, მაგრამ ყველანი მაინც შეუპოვრად მუშაობდნენ, ლაპარაკს, მით უმეტეს ხმამაღალ სიტყვას, იშვიათად გაიგონებდით. ყველა თავისი საქმით იყო გართული, ყველამ ზედმიწევნით იცოდა, რა ევალეობდა, რა უნდა გაეკეთებინა. ერთი წადილით, ერთი მისწრაფებით იყვნენ ისინი გამსკვალულნი: რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი მოენგრიათ თავიანთ ცვლაში და, როცა შახტიდან მზის სინათლეზე ამოვიდოდნენ, დღევანდელი წარმატების მაუწყებელ დაფის წინ ისე ჩაეველოთ გამურულ-გაღაფულებს რომ თავი ამაყად სკეროდათ.

## XVII.

შტოლნიდან თავით ფეხამდე გამურული და ამოღებული კაცი გამოვიდა. მზის სინათლეზე მან ისე მოხტვა და აახამხამა თვალები, გეგონებოდათ ახლახან გაუღვიძიაო. ზარის წკრიალზე შტოლნიდან მომავალ ელმავალს გზა უტია. რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე შედგა, ნახშირით დატვირთული ვაგონების მწკრივს თვალი გააყოლა. ზოგ ვაგონში ნახშირს ზემოდან წყალი მოსდგომოდა, მისი ზედაპირი შავად ლივლივებდა. საყიროზე მომუშავენი ბუნკერში ვაგონის ჩაცლამდე ნახშირის თავზე მოყენებულ წყალს გულმოდგინედ ხაფადნენ თუნუქის ჯამით. უბნის უფროსმა, როგორც იყო, მოწყვიტა ხარბი მზერა ვაგონეტების მწკრივს და საათს დახედა, გზა ჩაფიქრებულია კაცის ნაბიჯით განაგრძო. ახალ ცვლაში გასასვლელად მეშახტეების შეკრების დროც მოახლოვებულ იყო.

აღმათ ბევრს არ მიუტყევია ყურადღება, რა საოცარი გაყურების ეპი დება ხოლმე ყოველი ახალი ცვლის დაწყების წინ, სულ ერთია, სისხამი დილაა, როცა პირველი ცვლა ეშურება შახტში, შეუადღეა, თუ შეუ-ღამე. ამ დროს მემახტებები გზატკეცილზე ჯერ კიდევ არა ჩანან. კომბინატის ეზო უკაცრიელ ადგილს ჰგავს. შახტიდან ახლახან გამოსული უბნის უფროსი — ნიკო არაბიძე კომ-ბინატის ეზოში საწარმოო გეგმის შეს-რულების მაჩვენებელი დაფის წინ შედ-გა, თვალი ცოცხლად გადაავლო ცარ-ცით დაწერილ ციფრებს; შემდეგ ორი თითის აკვრით კეფიდან ქული შუბლზე წამოსწია და თავი მოიფხანა. თუმცა გეგმა ასერთი პროცენტით შეესრულე-ბინათ, მაგრამ თავისი უბნის მუშაობით ის მაინც არ იყო კმაყოფილი.

უბნის უფროსი იქვე, დაფის წინ, ცემენტის ვიწრო მოედნის ნაპირზე ჩა-მოჯდა. წვივებს შუა ჩადგმული ნათუ-რის თავი ნახევრად შემოაბრუნა, სი-ნათლე ჩააქრო, მერე შორიახლოს მიმა-ვალი ვენტილაციის უფროსი მოიხმო და პაპიროსი სთხოვა. ასე, ცემენტის ფი-ლის ნაპირზე ჩამომჯდარი უბნის უფ-როსის დანახვაზე კაცი იფიქრებდა, მო-ცლილიაო, ნამდვილად კი ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში და არ იცოდა რა ელონა, რა გზას დასდგომოდა. უპირ-ველეს ყოვლისა, ცხადია, ის უნდა გა-ზანდილიყო, გამურულ-დალაქავებული ბრუნენტის სპეცსამოსი და ბოტები გამოეცვალა. მაგრამ თან იმისაც ფიქ-რობდა, ვითუ ამ ცვლაშიაც საქმემ შახტში ჩემი ჩასვლა მოითხოვოს და ცვლის გასტუმრებამდე რაღა აზრი აქვს გაბანებას და ტანსაცმელის გამოცვლა-სო. შიოდა, მაგრამ სასაიდილოდ დრო აღარ ჰქონდა.

გუშინ მას მომხვეტი ტრანსპორტე-რის თავის სახელდახელო შეკეთების დროს მოადგილე დაუშავდა, დასხლე-ტილი რკინის ნაქერი თავში მოხვდა.

მის მაგივრად ნიკოს სამ ცვლაში რა-ჯერ უკვე მოუხდა შახტში შესვლა. ესეც რომ არ ყოფილიყო, შენს მხტო-რიცხვებში ყოველთვის მეტი დაძაბუ-ლობა და ფუსფუსია. ყველა ცდილობს თავიც ისახელოს, უბანიც ასახელოს, შახტიც, კომბინატიც, ტრესტიც. ამ სა-წარმოო გეგმის შესრულების ციებ-ციხელების დღეებში ტელეფონების წკარუნიც განშირდება ხოლმე, შახტის უფროსს ტრესტის უფროსი ხშირად დღის განმავლობაში რამდენჯერმე დაესხმის თავს მანქანით, ხანდახან შახტშიაც შეიხედავს, სამუშაო წერ-ტებს დაივლის და ათისთავებსაც გაე-საუბრება. შახტის უფროსი თავის მხრივ უბნის უფროსებს ეკამათება, აფრთხილებს და ლელავს, კაბინეტში გული აღარ უჩერდება. უბნის უფრო-სები კი სულ იმის ცდაში არიან, ცალკე მიმდინარე თვის, ცალკე დღიური ნორ-მის შესასრულებლად ხალხი ისე და-რაზმონ, რომ ლაგებში მეტი ქვანახშირი მოინგრეს, სამთო მოსამზადებელი მუ-შაობის ოსტატებმა მეტი მანძილით წაიწიონ თავიანთ ხაზზე, მეტიგეებმა, ამხვეტებმა, გამგორებლებმა, ელმავ-ლის მემანქანებმა, ვენტილაციის მე-თვალყურებმა კი მათი წარმატება უზრუნველყონ. ამ ცხარე დღეებში უბ-ნის უფროსებს ძილისთვისაც კი არა სცალიათ. საწარმოო გეგმის საბრძო-ლო დავალების შესასრულებლად ის ყოველ ოცდაოთხ საათში სამჯერ გზავ-ნის, ხანაც თვითონ მიუძღვის მემახტე-თა ასეულებს შტრეკებით, შუროებით, ქვერშლაგებით, დაღარული ქვესკელი-საკენ. მიაქვთ ამონალი, პნევმატური ჩაქუჩები, ბარ-წერაქვი, უშველებელი, ორ-სამ მეტრიანი საბურღავები, ხე-ტყე. ახალი ცვლისათვის სამუშაოების გადაბარების შემდეგ დიდი ხანი არ გავა, რომ აქა-იქ დაიღმეველებს ნახში-რის ფენის ზვრელებში მომწყვედელი ამონალი და ზღაპრული ცხოველის ვეე-ბერეთელა ნახასავით დაბჩენილი სან-

გრევიდან გამოვარდება მტვერის შავი ბოლქვები, შტრეკების პერიდან აფეთქების დროს უშიშარ ადგილას მოფარებულ მეშახტეებს აცვივთ ქვანახშირის ნამცეცები. დროდადრო ამ ძალუნ ბიძგისაგან შეტორტმანებულ სივრცეში, ტყეში დიდი ქარიშხლის დროს, ისე გაიჭრიალებს წელში გადრეკილი ფიჭვის ბიგა...

მას შერე რაც უბნის უფროსმა საგანრიგოს ფანჯრიდან გზაზე მომავალი მეშახტეები შენიშნა, ათი წუთიც არ იქნებოდა, გასული, მაგრამ კომბინატის ეზოში მეშახტეებს უკვე ბლომად მოეყარათ თავი. ვინც შახტიდან ორი-სამი კილომეტრის სიშორეზე ცხოვრობდა, ისინიც უკვე მოაქროლეს სარეისო მანქანით. კომბინატის მარჯვენა კარიდან საგარდეროზოში ჩვეულებრივი, საზაფხულო ტანსაცმელით შესული, მეშახტეები უკან ბრუნდებოდნენ უხეშ სპეცტანისამოსში გამოწყობილი. ეს ჩაცმულობა მათ ახლა თავისებურ მკაცრ იერს ჰქვნიდა. საგანრიგოები კომბინატის პირველ საათულში დიდი საკრებულო დარბაზის ორი მოპირდაპირე კედლის გასწვრივ იყო ჩარიგებული, როგორც შუა დარბაზიდან, ისე ერთმანეთისაგან ტიხარით განცალკევებული და გამოყოფილი. შუა დარბაზში ოც მწკრივად ეწყო სამ-სამი მეტრის სიგრძე შერხები. შერხების პირდაპირ კედლის წინ, მცირე შემადლებზე იდგა კათედრა. კედელზე ლენინისა და სტალინის პორტრეტები ეკიდა. მათ შუა გარეული იყო წითელი მატერია, რომელზედაც თეთრი საღებავებით და მსხვილი ასოებით ეწერა ლოზუნგი: ქვემოთ ეკიდა დაფა, აკრელებული სტახანოველ მეშახტეთა პორტრეტებით და მათი შრომითი წარმატებების მაჩვენებელი ციფრებით. დარბაზში შემოდოდნენ მეშახტეები — ახალგაზრდები, ხნიერები, მოსულთ თანდათან ემატებოდნენ ახლები. თავთავიანთ საგანრიგოს ახლოს შეკ-

რებილი მეშახტეები მზად იყვნენ გვარის გაგონებისთანავე საგანრიგოში უბნის უფროსთან გამოცხადებულიყვნენ. მართალია, ყველამ იცოდა თავისი საქმე, უბნის უფროსის მოადგილეს ყველა განაწილებული ჰყავდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდებოდა ერთი დავალების შეცვლა მეორით.

დარბაზში გარმონის ხმა გაისმა. გავრილიუკის გარშემო მსწრაფლ წრე შეიკრა. ერთმა მეშახტემ სიმღერა წამოიწყო. მას აჰყვნენ სხვებიც, გავრილიუკმა უცებ შეცვალა ჰანგი ქართული საცეკვაოთი, ახლა ტატაშის რიტმული ტაკა-ტაკო ატყდა, მკიდროდ შეკრული წრეც უმალ გააფართოვეს იდაყვების კერით და ბიჭებმაც ერთი-ორი შეკვივლების შემდეგ ფეხიც მარდად გაუსვეს. კრიკალებდა იატაკი, ხურდებოდა ტაში, ზრიალებდნენ ფანჯრის მინები.

ამ მხიარულებაში და ალიაქოთში შახტის კომიტეტის თავმჯდომარის ნაცნობ ხმაზე გავრილიუკმა გარმონი ხელა დააკნესა და ბოლოს სულ ჩააჩუმა: შეწყდა ცეკვაც. მეშახტეები დაიშალნენ, მერხებზე ჩამოსხდნენ. შახტკომის გვერდით, შემადლებზე, კათედრასთან, იდგა მსუქანი, შუახნის კაცი. ამ ლექტორს ყველა მეშახტე იცნობდა. ლექტორმა რიხიანად დაიწყო ლექციის კითხვა. მაგრამ მისი სიტყვა ახლა ნახევარსაც არ ესმოდა: ყველა, ცვლაში გასვლის მოლოდინში იყო. დამახებისთანავე ხან ერთი მეშახტე წამოიჭრებოდა ზეზე და საგანრიგოსაკენ ეშურებოდა, ხან მეორე. ლექტორი ყურადღებას არ აქცევდა ხმაურს, ფუსფუსს, ისევე ისე რიხით და გულმოდგინებით განაგრძობდა ლექციის კითხვას.

დაუძახეს თუ არა ზორხომელიძესაც, უმალ წამოიჭრა და საგანრიგოში განჩნდა. უბნის უფროსს არ ეგონა, თუ ზორხომელიძე უკვე მის უკან იდგა, დან დაიყვირა, სად არის ის ყმაწვი-

ლიო. მისი ყვირილი ეზოშიაც გაიგონეს. გარსემომხვეულთა სიცილზე უბნის უფროსმა გაცეებით მიმოიხედა და თვითონაც გაეცინა, როცა ვეფხვივით ფიცხი ჭაბუკის თვალებს შეეფეთა მისი მზერა.

— ხორხომელიძე, ბიჭო, როგორაა საქმე? ყველაფერი შეიგნე, რაც უნდა გააკეთო?

— როდის იყო, ამხანაგო უფროსო, რომ... — ცალუბა ღიმილით და ცალი მხრის შეტოკებით კითხულობს ხორხომელიძე, მაგრამ სათქმელს აღარ ამთავრებს, უბნის უფროსი რომ დავაში არ გამოიწვიოს და რამე საფათურაკო არ გამოუჩხრიკოს თავისთავს.

— სწორედ იმიტომ, რომ შენი ჩამორჩენა ჯერ არა თქმულა, მთავარ ინტენერს დილით დავენიძლავე — ხორხომელიძე ამ თვეშიაც თრასი პროცენტით შესარულებს გეზენკის გაქრის გეგმას-მეთქი. აბა შენ იცი, არ გამაწბილო!

აღელვებულმა და გახარებულმა ხორხომელიძემ ის-ღა მოახერხა, რომ მადლობის ნიშნად მარჯვენა ხელი მადლა ასწია, თითქოს უბნის უფროსს სალამს უძღვნისო, და მყის თვალს მიეფარა.

— თუ ამ უბნიდან გადამიყვანეს, ჰო, რა ბიჭები დახვდება მზამზარეულად ქარქაშაძეს!

აქამდე კობებშეკრულ ნიკოს სახე ერთბაშად გაებადრა. ხორხომელიძისაკენ აბზეკილი ცერით და თვალთ იქ მყოფთ ანიშნა და კმაყოფილებით დასძინა:

— მაგას ჰქვია მარჯვენა ხელი! ასპროცენტიათი მეშახტეა! — უბნის უფროსის მოადგილემ — გონტამაც თავი ასწია და თანხმობის ნიშნად ოდნავ გაუღიმა ნიკოს, მერე ისევ ქალღალს დააკერდა; თითქოს ეშინოდა, ძვირფასი წუთები ფუჭად არ დამეყარგონო. ისე დაეინებოთ აკვირდებოდა ის წარწერებით აქრელებულ ქალღალს,

იფიქრებდით, იზებირებსო. მართლაც ამ წუთში ის ამ გაურკვეველ წარწერებს დასცქეროდა, მაგრამ ფიქრით შახტში იყო და ყოველი მუშა, ვინ საით გაეშურა, სრული სიცხადით ედგათვალწინ.

— ანდრეი, დღეს სადმე გვაკლია მუშა, ყველა თავის ადგილზეა?

— ავადმყოფობის მიზეზით მარტო ორი კაცი არ გამოცხადებულა. — გონტამ დაუსახელა გვარები.

— გეზენკის გამყვან ბრიგადაში რომ მუშაობს, ის, არა? მეორეც — ხე-ტყის მიმწოდებელი... ეგენი ვიცი! შემცვლელებად ნაკლები ბიჭები არ გაგვიგზავნიან.

— რა თქმა უნდა.

— ჩვენი შეცვლა არ ხერხდება ზოლმე, თორემ... — ნიკო წამოდგა, ზურგს უკან ხელბეჭეფობილმა საგანრიგოში გაიარ-გამოიარა. უცებ კარებთან კუთხეში ატუზული შემახტე შენიშნა.

— რაღას უდგახარ აქა? — იყვირა ნიკომ, ახლოს მიეჭრა, დააკვირდა. მუშახტე ქერა, ჩია ტანის ყმაწვილი იყო, მისი მუშტისხედა თავი წარბებამდე შემალულიყო დიდი ზომის ქუდში. ნიკოს ყვირილზე ანდრეიშაც მოიხედა.

— ეგ ამხანაგი თხოულობს — მესამეს მაგივრად დღეს მეორე ცვლაში გამიშვითო.

ყმაწვილმა ისე გამომწვევად შეხედა ნიკოს, თითქოს უსაყვედურებდა — რა დიდი ფიქრი და გადაწყვეტა უნდა, რაღას მაგვიანებთ — ერთი სიტყვა და — უმალ შახტში გავჩნდებიო.

— გაიხედე! — მწყრალად მიმართა ნიკომ ყმაწვილს. შემდეგ გონტას მიუბრუნდა, — ანდრეი, ჩემგან იცოდე, ვინც უნდა იყოს, როცა თავის ცვლაში არ გამოცხადდება, შახტში ნუ გაუშვებ!

— ხომ ხედავ, არ ვუშვებ, მაგრამ სჯერათ?

ყმაწვილო მეშახტისთვის იმდენად მოულოდნელი იყო უბნის უფროსისა და მისი თანაშემწის ასეთი მკაცრი პასუხი, აღარ იცოდა, რა ეთქვა, — რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ თანხმობას მიიღებდა.

— თუ ზოგი ასიანია, — განაგრძო ნიკომ, — ზოგი კიდევ ოცდახუთპროცენტია მეშახტეც არ არის! ნაწილობრივ ამაში ჩვენცა ვართ დამნაშავე.

მეშახტემ შეატყო, რომ ნიკოსთან ვერაფერს გახდებოდა და უსიტყვოდ დასტოვა საგანრიგო. ნიკომ უყანასკნელ, ხე-ტყის მოთხოვნის ფურცელს ხელი მოაწერა და იქვე მდგომ მეშახტეს გაუწოდა, თან გააფრთხილა:

— ბიჭო, გუშინდელივით არ მოგივიდეს!

მეშახტემ თავი დაუქნია და საგანრიგოდან სწრაფად გავიდა.

— რა მოუვიდა გუშინ? — იკითხა გონტამ.

— მაგ ყმაწვილს ხე-ტყე კი დაუტვირთეს და შეუტანია შახტში, მაგრამ, ვისაც ეკუთვნოდა, არ გაუფრთხილებია — მივიტანეო. როცა მეზიგებმა ხე-ტყე მოიკითხეს, აღარსად აღმოჩნდა. თერმე დატვირთულ ვაგონეტებს „არ მოუცდათ“, სადაც ხე-ტყის მიმწოდებელმა დააყენა, თავისით წარიხინებულან, სხვას მისდგომიან კარზე.

### XVIII

მას მერე, რაც უბნის უფროსმა ახალი ცვლა გაისტუმრა, საგანრიგოში ფუსფუსი და ხმაურიც მიწყდა, სიწყნარე ჩამოეარდა. ახლა მარტო დამლაგებლის ნელი ლილინი და გრძელტარიანი ცოცხის იატაკზე ძალუმნი გასმის სმა-ლა ისმოდა შეადარაზიდან.

ცვლის გასტუმრების შემდეგ ნიკო მანამდე არ მოეშვა გონტას, სანამ შინ არ აიძულა წასვლა. დაშავებული გონტა თავს ჯერ კიდევ ცუდად გრძნობდა.

გონტას წასვლის შემდეგ მალე ქვესკნელში ნაომარი ეაკატებმაც წამოჩნდნენ. ისინი ნელი ნაბაჯის მსუქრებოდნენ კომბინატის იმ შესასვლელისაკენ, სადაც სალამფეს სარკმელებია კედელში მწყრივად გამოჭრილი. ზოგი მეშახტის კურტკის ფოლაქზე თუ კისერზე მავთულის კავით დაკიდული ნათურა ჯერ კიდევ კიაფობდა დღის სინათლეზე. კაცი ვერც კი წარმოიდგენს, თუ ამ ოდნავ მოკიაფე შექს რა ძალა აქვს მიწის გულში, როგორ ფანტაგე შტრეტში თუ გამონამუშევარში დამკვიდრებულ წყვილიას.

ზოგ მეშახტეს ახლა ძლივს მოჰქონდა მხარზე გადებული შპურის სახერტი ბურღი თუ ბურღის საბრუნავი მანქანა. მეზიგეები მოდიოდნენ თავიანთი ხერხით და ნაჯახით. ამფეთქებლებს მხარმარცხნივ ღვედით ეკიდათ შპურის ასაფეთქებელი მანქანა. ერთი შეხედვით, ეს აღამიანები არა ჰგავდნენ მათ, ვინც მიწის ზედაპირზე ეწევა შრომას. ამათგან ზოგს, ვისაც გეზენკის გაყვანაზე, ან სხვაგან, სველ-სამუშაოზე დაეყო რვა საათი, წყლით ისე ჰქონდა გაქლენთილი ბრეზენტის სამოსი, ხელი რომ მოგეპირათ, კურტკის კალთიდან წყალი აღბათ წურწურით წამოვიდოდა. მაგრამ ყოველგვარ ძნელ პირობებში მუშაობას შეჩვეული მეშახტეები ამას აინუნშიაც არ აგდებდნენ მური, ლაფი და, ზოგჯერ, დასველებაც ჩვეულებრივ ამბად მიიჩნიათ, და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ამ მდგომარეობაშიაც კი მეშახტეს უბრალოდ, ერთხელ მაინც ცხვირი დააცემინოს. რა სიძნელეც უნდა შეხედეთ, ეჯავრებათ წუწუნნი.

ნიკო ახლა, როგორც კარგი მასპინძელი, ისე ხედებოდა ყოველ მათგანს. თუ წელან უბნის უფროსი ახალ ცვლას რჩევა-დარიგებითა და მკაცრი დავალებით ისტუმრებდა, შახტიდან გამოსულებს ცნობისმოყვარეობით და გაფაციცებით ეკითხებოდა ჩატარებულ მუ-



შაობის ყოველ წვრილმანზე: სად, რომელ სანგრევში რა გაკეთდა, როგორ შესრულდა გეზენკის გაჭრის, თუ შტრეკების გაყვანის გეგმა, რა დაბრკოლებები შეხვდათ. თუ სამუშაოზე მიმავალი ცვლა სიტყვას ძვირად ხარჯავდა, სამუშაოდან დაბრუნებულნი, მიუხედავად დაღლილობისა, ხალისიანად, უპასუხებდნენ თავიანთი უბნის უფროსს. წარმატებები დაახლოებით უკვე ყველასათვის ცნობილი იყო. ამის შესახებ დაფა დაღებდა. მათ ახლა ის უფრო აღაპარაკებდათ, რა დაბრკოლებები შეხვდათ თავიანთ ცელაში. ზოგი მომხგრევი მებრეგს უჩიოდა—რა ღმერთი უწყრება, ჩარჩოს ჩადგმას ვერ ასწრებსო, ზოგი ამფელქებელს, დაბურღული შპურების აფეთქებას აგვიანებს, გამოძახებისთანავე არ ცხადდებო, ზოგიც მომხვეტის მუშაობით არ იყო კმაყოფილი, ზოგიც ვენტილაციისა, —სანგრევში დროდადრო სუფთა ჰაერის საკმარისი ნაკადი არ შედის და იჭაურობა დროზე არ ნიავდებო. უბნის უფროსი ყურადღებით უსმენდა მეშახტეთა შენიშვნებს.

ისინი ახლა ისე მამაშვილურად, გულახდილად, საქმისადმი სიყვარულით და გულსიტკივლით ლაპარაკობდნენ, გეგონებოდათ შახტის საგანრიგოში კი არა, სადმე დიდ ოჯახში არიანო. აჭაურობა მართლაც ოჯახივითაა მათთვის და ყველანი ერთი ოჯახის შვილები არიან, მხოლოდ, ეს არის, პურის საქმელად ყოველთვის ერთად არა სხდებიან.

ახალგაზრდა მეშახტეები — ანთაძე და ბერიძე კამათით შემოვიდნენ საგანრიგოში. ანთაძემ ზერხი და ნაჯახი იქვე, კუთხეში მიაყუდა. ის ისე იყო გაცხარებული, არც თავი ახსოვდა, არც იმას ერიდებოდა, რომ საგანრიგოში იმყოფებოდა და უბნის უფროსიც იქვე იჯდა.

— ამხანაგო ნიკო, — მიმართა ანთაძემ მეშახტეებთან მოსაუბრე უბნის

უფროსს, — თუ ეს ყმაწვილი ხელაღ ჩემს ბრიგადაში იმუშავებს, ნუგუჯის შესრულებას ვეღარ შეგძენს.

— რა ამბავია? — სკამზე სწრაფი შემობრუნებით იკითხა ნიკომ, წაყიდებულ მეშახტეებს ქვემოდან მწყარალად აპხედა.

— ხე-ტყეს დროზე არ მაწოდებს, — დაიწყო ანთაძემ, — რამდენი გოგოც შეხვდება გზაში, თვალს უშტერებს, ეთამაშება, საქმე კი არ ახსოვს.

— ტყუილია, მიჭარავს... მაშ ის ხე-ტყე ვინ მიუხიდა?! — დინჯი კილოთი მიუგო ბერიძემ უბნის უფროსს.

რაც უფრო ცხარდებოდა ანთაძე, მით უფრო დინჯად გამოიყურებოდა სახე მოღიმარი ბერიძე.

— რომელია თქვენი ათისთავი?

— შალამბერიძე, — გაბუტულივით, შემოხედა ფეხზე წამომდგარ ნიკოს ანთაძემ.

— დღესვე ყველაფერს გამოვარკვევ, — ისე მშვიდად მიუგო ნიკომ, რომ ანთაძემ უმალ წყენით გაიფიქრა, არ მემხრობო.

ანთაძე და ბერიძე ერთად გავიდნენ საგანრიგოდან. ანთაძე საგარდერობო-საქენ გაეშურა. ბერიძე ერთხანს დარბაზში წრიალებდა. საერთო საგანრიგოს კარებთან ატუზულს ვერ გაეგება შიგ შესვლა. საგანრიგოში მთავარი ინჟინერი მარქშეიდერს ეთათბირებოდა, მათ წინ, მაგიდაზე, შახტის ერთ-ერთი უბნის გეგმა იყო გაშლილი. იქვე, ხის შეუღლებავ გრძელ მერხზე, კოხტად ჩაცმული ორი მეშახტე იჯდა. ერთს სველი თმა, მსხვილკბილებიანი სავარცხლით ხნულებივით ზოლებად უკან ჰქონდა გადავარცხნილი. მეორეს ირიბად, დარღიმანდულად ეხურა კეფაზე მოგდებულ კრელი მალღის კეპი. მას ფეხი ფეხზე შემოედო, პაპიროსს სწევდა. დიდი ხანი არ იყო, რაც მეშახტეთა ქაღალქში შტრეკების ეს ორი ახალგაზრდა, მარჯვე გამთხრელი დასახლდა, მაგრამ მათი სახელი უკვე ყველამ იცოდა.

ბოლოს გარეთ ატუხულმა ბერიძემ გაბედა და ვარი შეაღო. მისთვის არავის შემოუხედავს. ბერიძე ამ ორი ცნობილი გამთხრელის შორიხლო, გრძელი მერხის ნაპირზე ჩამოჯდა. ბერიძეს უხერხულად მიაჩნდა, მათი თანდასწრებით ეთქვა მთავარი ინჟინრისათვის, რაც ეწადა, მაგრამ რაკი მისი მარტო მოხელთება თითქმის შეუძლებელი იყო (მას მუდამ გარს ეხვია ხალხი), გადაწყვიტა აღარავის მორიდებოდა, ახლა კიდევ ვინმეს შემომატების შიშით ადგილზე ველარ ისვენებდა, გული მოსდიოდა, მარქშეიდერი რომ ლაპარაკს აქიანურებდა მთავარ ინჟინერთან. თან დროდადრო ყურს აპყრობდა კარს, ხომ არავინ მოდისო.

როცა მთავარი ინჟინერი მარქშეიდერთან თათბირს მორჩა, საგანრიგოში მყოფთ თვალი სწრაფად მოავლო, პირველად ბერიძეს ჰკითხა, რა გინდაო. ბერიძე წამოდგა.

— ამხანაგო ლევან, სათხოვარი მაქვს თქვეთთან, — ქუდი მოიხადა, მიშლილ-მოშლილი, გაოფლიანებული თმა გამურული თითებით შეისწორა.

— გისმენ, გისმენ, — სწრაფად მიაცხა მავდასთან მოახლოებულ ბერიძეს და მავდაზე მოფენილი ქალაღდების გადალაგებას შეუდგა. ინჟინერი, თითქოს ბერტყავსო, ანარცხებდა ქალაღდების დასტას თუ ბროშურებს მავდის ერთ მხარეზე.

— ამხანაგო ლევან, — არ შეიძლება, სხვა უბანში გადამიყვანოთ?

ლევანმა სწრაფად გახედა მეშახტეს, ისევ დახარა თავი, მას ახლა უჯრა გამოეღო და იქ აფათურებდა ხელებს ქალაღდებში.

— რომელ უბანში ხარ?

— მესამეში.

— არაბიძესთან?! — ლევანმა გაკვირვებით გახედა მეშახტეს. — ჯერ კაცს არ უთხოვია, არაბიძის უბნიდან გადამიყვანეო!

— არაბიძე კარგი კაცი და კარგი ხელმძღვანელიაო, მაგრამ მის უბანში მარტო ის ხომ არ არის...

— მაინც, ვინ არ მოგდის თვალში?

ბერიძემ ყოყმანით მიუგო ლევანს:

— არავინ... ისე, სამუშაო არ მომიწონს.

— დიაცა! შენ, მგონია, ამასწინათაც მთხოვე გადაყვანა და... გადაგიყვანე კიდევ!

— მართალია. — მიუგო დარცხვენით ბერიძემ და თავი დახარა.

— რაზე მუშაობ?

— ხეტყის მიმწოდებელი ვარ.

— არ მუგწონს ეგ საქმე?

— არა უშავს, მაგრამ, თუ გადამიყვანთ, სხვაგან მომწგრევადაც შემიძლია ვიმუშაო...

— ამხანაგებს ვერ მონახავდა თავის შესაფერს, — შენიშნა ღიმილით კეპიანმა, ის აქამდე ყურადღებით უსმენდა ბერიძეს.

— მერე, უბნის უფროსი გაგიშვებს? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ლევანმა.

— გამიშვებს!

— ნამდვილად?!

— დიახ.

კეპიანს და მის ამხანაგს ხმამაღლა გაეცინათ.

ინჟინერსაც სახეზე ღიმილი მოერია.

— თუ ასეა, ძალიან ეწუხვარ, — თვალის თვალში გაყრით მიუგო ლევანმა ბერიძეს, — შესახედავად კარგი ბიჭი ხარ, გეტყობა, ჯანიც მოგდევს. მაგრამ... — თითქოს ეძნელება დანარჩენის თქმად, ლევანმა სწორედ აქ შეწყვიტა სიტყვა, ისევ ქალაღდებს მიუბრუნდა, რომელიღაც ფურცელს ეძებდა და ვერ ეპოვა. ბოლოს უჯრა გაჯაერებით მიაჯახუნა და წამოდგა. — ამხანაგო! უბნის უფროსი კარგ მუშას არასგზით არ შეელევა, შენ კი ისე თამამად მიცხადებ — გამიშვებსო, არც კი უფიქრდები...

მოულოდნელად შემოვიდა ნიკო არაბიძე.

თითქოს არ შეუნიშნავსო, ისე ჩაუარა ბერიძეს და ლევანთან მივიდა.

— კაცო, რა არის, აღარ უნდა გაიძრო? მაგ ბრეზენტში ხომ არ დაბადებულხარ? — ხუმრობით შენიშნა ლევანმა ნიკოს და, ვიდრე უბნის უფროსი რამეს ეტყოდა, მთავარმა ინჟინერმა ერთბაშად შეიცვალა კილოც და იერიც, საგონებელში ჩაეარდნილივით, თან ცნობისმოყვარეობით, იკითხა, — ამხანაგო ნიკო, ვინ არის თქვენთან, უბანში, საუკეთესო მეშახტი, გინდ მომნგრევი, გინდ გამთხრელი, გინდ მებიგე?

უბნის უფროსმა გაკვირვებით შეხედა ლევანს

— რომელი ერთი გითხრა?!

— მაინც?

— მე მგონია... — ნიკომ სიტყვა კი დაიწყო, მაგრამ დაბოლოება, ეტყობოდა, უქირდა.

— გარდა შენი ვაჟისა, — შენიშნა ლევანმა.

— ჩემი ვაჟი რა შუაშია! — ნიკომ თითქოს იწყინა კიდევ მთავარი ინჟინრის ეს შენიშვნა, — მაინც, მე მგონია, საქმე რომ გაჭირდეს, ხორხომელიძე წინ არავის გაუშვებს. ლევან, გახსოვს ალბათ, წინა თვეში გეზენკის გაყვანაზე რა წარმატება ჰქონდა?

— ვიცი. — ლევანმა ცალი ხელი მაგიდას დააყრდნო. წითელი ფანქრით რეზოლუციასწარწერილ ქაღალდის ფურცელს დააცქერდა. ერთ წუთს ისე დაჰყო. თითქოს რამეს ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტიაო, მერე ქაღალდის ფურცელი ხელში აიღო და დინჯად მიმართა არაბიძეს.

— ამხანაგო ნიკო, უნდა დაგვითხოვო ეგ ხორხომელიძე, შახტის უფროსმა დამაველა სხვა უბანში გა...

— ხომ არ გაგიყვებულხარ! — აფეთქდა ამ სიტყვებზე ნიკო. — მაშინ... ჯერ მე დამითხოვე ჩემი უბნიდან და

მერე იფიქრეთ ხორხომელიძის გადაყვანაზე.

მ. რ. მ. მ. მ.

ოთახში მყოფთათვის მდგომარეობის ვეღარი იყო უბნის უფროსის გულისწყრომა. გუნებაში ყველა მას უქერდა მხარს. კებიანმა და მისმა ამხანაგმა ლევანის გასაგონად ჩაილაპარაკეს — ასე არ შეიძლებაო. ბერიძეც გაცივებული გამოიყურებოდა, უკვირდა — ეს რა ამბები ხდებაო! უკვირდა, რომ არა თმობდა უბნის უფროსი ხორხომელიძეს.

მთავარი ინჟინრის წინადადება ამ ააღელვა და ააფორიაქა არაბიძე, სათქმელიც კი გადააიწყდა, რისთვისაც შემოვიდა.

— ამხანაგო ნიკო, შენ შენი უბნის ინტერესები გალაპარაკებს, ჩვენ კი... მთელი შახტისა!

— ამხანაგო ლევან, შახტი უბნებისაგან შედგება!

— რა რისგან შედგება ეს ჩვენც კარგად ვიცით, იმ საკითხს კი უთქვენოლაც მოვაგვარებთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკომ ისე შეხედა მთავარ ინჟინერს, რა გულმაგარიც უნდა ყოფილიყავით, ფერს გაცვლევინებდათ. ლევანის სიტყვებმა დანარჩენებიც ააღელვა. ახლა ყველას ნიკოს მხარე ეჭირა. ლევანმა მეტის მოთმენა ვეღარ შესძლო, უცებ ისე ხმამაღლა და გულლიად გადაიხარხარა, ყველა გაოცდა.

ასეთი მოულოდნელობით გაშტერებულმა ნიკომ ჯერ ქუთუთოები დააფახურა, მერე მიხვდა რა, რომ ლევანი ხუმრობდა, თვითონვე შერცხვა, ცალყბად, უხერხულად გაიღიმა.

— შე კაცო, რას შემართლებოდი? ახლა ეგ მეჭირვებოდა? — საყვედურით უთხრა ლევანს დღევანდელი მუშაობით მოქანცულმა უბნის უფროსმა და სკამზე მოსხლევით ჩამოჯდა.

როცა მთავარმა ინჟინერმა საგანრიგოში მყოფთ თვალი მოავლო, მათ შორის ბერიძე ვეღარ შენიშნა. მისი ასე შეუმჩინეველად გაპარვა ეწყინა, ლევანს

უნდოდა დაერწმუნებინა ეს ყმაწვილი მეშახტი: თუ კარგად იმუშავენ, ყველა უბანი კარგია, ყველა საქმე გასახლებს, გაგიმართლებს, ამხანაგებიც შეგიყვარებენ, მხარში ამოგიდგებიან, დაგეხმარებიან, თუ დახმარება დაგჭირდება, გაგამხნევენ, თუ გამხნელება დაგჭირდებაო, მაგრამ იფიქრა — ბერიძე ამას ყველაფერს ალბათ თვითონაც მიხვდაო.

მთავარი ინჟინერი თავის ვარაუდში არ ტყუვდებოდა.

— ნიკო! — მიუბრუნდა მთავარი ინჟინერი მცირე დუმილის შემდეგ უბნის უფროსს, — ერთი მეშახტის გადაყვანაზე რა დღე გინდოდა დაგეწია ჩემთვის... შენ უბანს დაუთმობ ვისმეს?

— ეგ სხვა ამბავია! უბანი იგივე ფრონტია...

ნიკოს სათქმელი მთავარმა ინჟინერმა თავისთვის, გუნებაში, დააბოლოვა. კარგ სარდალსაც სწორედ იმ ფრონტზე გაგზავნიან ხოლმე, სადაც მეტი გასაჰკირაო.

## XIX

შატბია, მართალია, ძნელ საქმეში იყო ჩაბმული, მაგრამ თამარელას ერთი წუთითაც ვერ ივიწყებდა, სულ თვალწინ ედგა.

შატბიდან გამოსვლის უმალ შატბია სალამფესაკენ გაეშურა; ლამფა პატარა სარკმელში ქალიშვილს გადააწოდა, მაგრამ ახლა მას ლამფის ჩაბარებისათვის კი არა სცხელოდა, თამარელა უნდოდა ენახა. თამარელა იქ არსად ჩანდა. იფიქრა, ალბათ ცოტახნით სადმე გავიდაო; თამარელა ამ დროს ყოველთვის აქ ხვდებოდა ხოლმე შატბიას. ერთხანს დერეფანში იყურყურტა, მერე ვინმე ახირებულის, ან ცნობისმოყვარის თვალს რომ არ შეენიშნა ხანგრძლივად მისი იქ ყოფნა, დერეფნიდან გარეთ გამოვიდა. დალონებული შატბია ისეთ გუნებაზე იყო, გუშინდელივით დღესაც კინალამ დაუბანელი და ტან-

საცემელგამოუცვლელი წავედა შინისაკენ. ჩაუარა თუ არა სანჯარდერეფოს, გზაში წამოწეულმა ამხანაგებმა შეხებულეთ თან გაიყოლიეს ის. ჩვეულებამაც სძლია, სხვების მაგალითმაც წააქნა; უმალ გაიძრო მან ჭუჭყიანი სპეტანსაცემლი, გაიბანა, სუფთა ტანსაცმელი გადაიცვა და ამხანაგებთან ერთად საგარდეროზოდან გამოვიდა. დღევანდელი წარმატების აღსანიშნავად ყმაწვილებმა წაქეიფება გადაწყვიტეს, შატბიასაც გადახედეს, სახეზე დაღვრემილობა რომ შეატყვეს, ჯერ გაკვირვებით ახედ-დახედეს, დაფარული ირონიით შენიშნეს — „შეყვარებულიაო“, და ისეთი სიცილი დააყარეს, იქაურობა გააყრუეს. შატბიასაც უნებლიეთ გაეცინა. ბიჭებს ხელმოებით მუშტი გაუქნა-გამოუქნია, აქეთ-იქით მიმოფანტა.

მერე ისევ განაგრძეს გზა. რამდენადაც შატბია მიმავალი კაცი საკუთარი თავისადმი მკაცრია და მისი გონება მართო ერთი წადილით არის შებოჭილი, რაც შეიძლება ფხიზლად იყოს და ცვლანაყოფიერად ჩაატაროს, შატბიდან გამოსვლის შემდეგ ცა ქულად არ მიიჩნია, უბრალო მიზეზია საჭირო, რომ შატბიდან გაპარჯვებით გამოსვლა ტოლბიჭებთან ერთად ლხინით აღნიშნოს.

შატბიას ახლა სამი ამხანაგი ახლდა — კაკო ზიბზიბაძე, სირბილაძე და ხაქაბერიძე.

დიღანდელი გადაწყვეტილება, რომ დღეს უსათუოდ ენახა თამარელა, შატბიას ახლა უკვე უაზროდ მოეჩვენა; ის ნაწილობრივ წუხანდელი განცდების ტყვეობაში იყო და არ იცოდა, რა ეთქვა თამარელასათვის, როგორ შეხვედროდა, როგორ შეეხედა თვალბში.

ამხანაგებმა სხვებს ისევ ჭიკოლას სასადილო არჩიეს და გორაკზე წაბლის ტყეში. ხის კიბეებს შეუყვანენ. სასადილოს შენობა გორაკის თავზე იდგა და თუ იქამდე მიღწევა, ორას ორმოცდაათი საფეხურის უკან მოტოვება, ცოტა ძნელი იყო, სამაგიეროდ, იქ რომ კაცი ავი-

დოდა, სულიერად ისვენებდა. იმ სიმალ-  
ლიდან ისეთი სანახაობა იშლებოდა  
თვალწინ, ისეთი სუფთა ჰაერი და სიგ-  
რილე იყო, სულაც რომ არა გშებოდათ  
და დაღლილიც არ ყოფილიყავით, მა-  
ღას უმალ გაგინსნიდათ. ჭიკოლას ბევრ-  
ჯერ უთქვამს — საჭმელს სხვაზე გემ-  
რიელს და უკეთესს ვამზადებინებ ჩემს  
არქიტო ლობჯანიძეს და, ასეთი მზარე-  
ულის ხელობა მეტიც ეღირებოდა, ეს  
კიბეები რომ საჭმელს არ მიჭირებდესო.  
აქ ამოსულ კაცს ფეხის ქირა ძალაუნე-  
ბურად უნდა გამოუქვითო, თუ გსურს  
რომ შემოიჩვიო. ეს, რა თქმა უნდა,  
მარტო სიტყვიერი შეღავათი იყო, გა-  
მოქვითვით არაგის არაფერი ექვითებო-  
და, მაგრამ სხვა სასაღილოებზე უფრო  
მეტად შეშახტეები, ვინც პირის გემოს  
პატიეს სცემდა, მაინც „ცაში დაკი-  
დულ“ ჭიკოლას ეტანებოდნენ.

გორაკს შეუამდე რომ უწიეს, შატბიამ  
უცებ წვემოთ, შარაგზაზე, თამარელას  
მოჰკრა თვალი და მყის შედგა.

— იარეთ, ბიჭებო, მეც მალე მო-  
ვალ! — უთხრა შატბიამ ამხანაგებს და  
თავქვე დაეშვა. კიბის სამ-სამ, ოთხ-ოთხ  
საფეხურზე ხტებოდა, იფიქრებდით:  
თავპირის დამტვრევა არ ასცდებო, მა-  
გრამ კიბე მშვიდობიანად ჩაირბინა  
და თვალს მიეფარა.

რაკი შატბიას ძახილზე თამარელამ  
არ მოიხედა, ცხადი იყო, ან ადრე  
შენიშნა იგი, ან ხმაზე იცნო და ახლა  
ამჟამად აგრძნობინა ჭაბუკს, შენთან  
ლაპარაკი არა მსურსო. ისე მარდად მი-  
დიოდა თამარელა, ისე მიარხევდა  
მხრებს და, წელში გამოყვანილ კაბა-  
შიაც ისეთი წერწეტი ტანი უჩანდა,  
შატბიას ახლა გულუბრყვილოდ უკვირ-  
და, — ასე, ერთ დღეში შეცვლილა,  
გაკოხტავებულა, თუ მე შეჩვენებო.  
გაუხვიეს თუ არა გზატკეცილიდან გო-  
რაკის ფერდობისაკენ, ორლობეში, კაკო  
ზიზზიბაძის ეზოსთან დაეწია შატბი  
თამარელას; ჯერ მკლავში ეწადა ხელის  
წავლება, მაგრამ გადაიფიქრა, გვერდ-

ში ამოუდგა, თამარელა შეჩერდა,  
მწყრალი თვალთ გადახედა ჭაბუკს და  
წასვლა დააპირა, მაგრამ შეტბიამ გზა  
მოუჭრა.

— თამარელა!

თამარელამ ისევე მწყრალად შეხედა.  
გაკვირვებით წამოიძახა:

— რა იყო?... გამიშვიო...

— რომ დაგიძახე, რატომ არ მოი-  
ხედე?!

— რა ვიცი!..

— მემდური, თუ რა?!

— რა ვიცი!..

თამარელამ კვლავ წასვლა დააპირა,  
მაგრამ შატბიას გაშლილ მკლავებს ვერ-  
საით გაექცა.

— მეჩქარება! — ისე წარმოთქვა და  
ისე შეხედა შატბიას, ადვილი მისახვედ-  
რი იყო, რომ გულში ნატრობდა — ნე-  
ტავი რ გამიშვასო.

— რა იყო, რა გეწყინა? — გაკვირ-  
ვებით და თითქოს გულგრილადაც იკი-  
თხა შატბიამ.

— არაფერი... რა უნდა მწყენოდა? —  
უპასუხა თამარელამ. მხოლოდ, როცა  
გაილიმა, შატბიამ ცხადად შეატყო, მისი  
პატარა გული რა დიდ ტკივილსაც მა-  
ლავდა. თავი ჩაღუნა, ხან მიწას დას-  
ცქეროდა ჯიუტად, ხანაც წინ წამოცუ-  
რებული ნაწნავის ხვეულებს აწვალებ-  
და თითქებით.

თამარელა ისე იბუხებოდა, თითქოს  
არც შატბიას სიახლოვეს ყოფნა სურდა.  
არც მისი ხმის გაგონება ესაიმოვნებო-  
და. თვითონაც არ იცოდა, რაზე მოს-  
დიოდა ასე გული. შატბიას, მართალია,  
მისთვის სიყვარული არ შეუფიცავს,  
მაგრამ გადაწყვეტილად თვლიდა ამ  
ამბავს თამარელა და თავისი გულის-  
სწორის უცხო ქალიშვილთან ახლოს  
გავლაც კი უკვე იღუპალი ფიცის და-  
რღვევა მიაჩნდა. რაც უფრო ცდილობდა  
თამარელა, თავისი გულისწყრომა დაე-  
თრგუნა და ვაჟისათვის ღიმილით შეე-  
ხედა, სახე მით უფრო ელუშებოდა.  
რაკი უფრო ცდილობდა, წუხანდელი ამ-

ბავი დაევიწყებინა, მით უფრო ცხადად ესახებოდა თვალწინ ყველაფერი და თავის სიყვარულსაც უკვე გამოტრეხულად თვლიდა. მისი ფიქრით, შატბიას თავს ახლა ძნელად თუ ვინმე გამოსტაცებდა იმ უცხო ქალიშვილს, რომელიც თამარელასთვის ასე საბედისწეროდ მოველინა აჭაურობას და გამოუცდელი ვაჟი სიყვარულის ქსელში გახვია. ჯერ კიდევ გუშინ რა ბედნიერად გრძნობდა თავს თამარელა როცა შატბიამ ის მდინარის ზვირთებს გამოსტაცა. რა ბედნიერად გრძნობდა თავს იმ წუთამდე, ვიდრე ლელა მეგის ჩამოსვლას და შატბიასთან მისი გალაციცების ამბავს შეატყობინებდა.

შატბიას სიტყვის თქმა უჭირდა. არ იცოდა რა ეთქვა თამარელასათვის, რომელიც ასე გამწყვრალი ჩანდა. მას ეგონა თვითონ თამარელა გამოიწვევდა სალაპარაკოდ; თამარელას კი ეგონა, შატბიას სურდა გუშინდელი საღამოსა და მეგის შესახებ ეთქვა რამე. ასე ელოდნენ ერთმანეთს რამდენიმე წუთს, ვიდრე ფეხის ხმა და შემდეგ გაკვირვებული შეძახილიც არ მოესმათ.

— აქ რას ელოდებით?!

ახლა შატბიას დიდად არ ესიამოვნა, ნიკოს ხმა რომ გაიგონა; თამარელამაც უხერხულად იგრძნო თავი, წასვლაც დააპირა, მაგრამ არც ამისათვის იყო ქალა და ნებისყოფა, ნიკოს ნაძალადევად გაუღიმა და მიესალმა.

— ბევრი გაქვთ სალაპარაკო? — იკითხა ნიკომ.

— რაზე კითხულობთ, ნიკო ბიძია?!

— შე ქალო, არ იცი თუ?! კაცი სამუშაოდან მოდის, დაღლილია, მოშინებულად. ნეტავი ერთი საათით გამოშავა სანგრევში... — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიჭინა, შატბიას მიუბრუნდა: — შე დალოცვილო, თუ ქალიშვილთან სალაპარაკო მოგუნატრა, იმაზე უკეთესს ვის ნახავ, შინ რომ გელოდება?!

შატბიამ უცებ განცვივრებით შეხედა მამას, მერე ისევ დაბრუნდა ურუ ხმით წარმოთქვა: *იხლონი თქვა*

— მე არავინ არ მელოდება.

თამარელას თავის სიცოცხლეში ჯერ ისე არაფერი სწყენია, როგორც ახლანდელს სიტყვები ეწყინა.

ნიკო სულ არ მოელოდა, თამარელაზე თუ ასე იმოქმედებდა მისი შენიშვნა. აშკარად დაინახა, როგორ ეცვალა ფერი ქალიშვილს.

— იქნებ... შენც წამოხვიდე? თუ საქმე გაქვთ, იქაც შეიძლება ილაპარაკოთ. რა სჯობს ახლა ჩემი მუხის ჩეროს! — ვითომ ამ ხერხით სცადა ნიკომ თავისი მწყვეტ შენიშვნის შემსუბუქება, მაგრამ გვიან-ლა იყო.

— გმადლობთ, ნიკო ბიძია! გმადლობთ. სახლში რომ არ მეჩქარებოდეს!

მიჩვეული არ იყო შემპარავი დაცინვით ლაპარაკს, მაგრამ ახლა, გაჭირვების წუთებში, კარგად მონახა საამისოდ მოხდენილი კილო თამარელამ, ნიკოს ნაძალადევად გაუღიმა; შატბიასავე რომ მიიხედა, ცალი წარბი მედიდურად აზიდა და თანაც ისე შეხედა, რომ მისი მხერა ჰბაბუკს უნებლიეთ გულში ჩაჩაჩა; მერე დინჯად დაუქნია თავი მამაშვილს და გზა განაგრძო. მამა-შვილის მხერა რომ ერთმანეთს შეხვდა, ნიკომ ვაჟის თვალეშში დიდი სინანული და გულისწყრომა ამოიკითხა.

„ძალიან კარგად მოხდა“... — თავის გუნებაში გაესაუბრა ნიკო მწყვრალად მზირალ შატბიას და სახლისაკენ გასწვია. შატბია ორიოდ ნაბიჯის დაშორებით გაჰყვა მამას. სახლამდე ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. მამის უადგილო ჩარევამ ძალიან გააბრაზა შატბია. ისეთ გუნებაზე იყო, ახლა ისე თანაუგრძნობდა თამარელას მისი გული, რომ თავმოყვარე ვაჟს უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა — დღეიდან, რამდენადაც შეიძლებოდა, მეგისაგან თავი შორს დაეჭირა.

დინახა თუ არა შატბია, სულიყო ისე გახარებული შეეგება მას, ყველას გაუყვირდა. როცა მუხის ჩრდილში ჩამოსხდნენ, სულიყომ შატბიას აუწყა: ცოტახნის წინ რაიკომში დავრეკე, ჩემს ნაცნობ გოგონას ველაპარაკე. რაიკომის მდივანი სასწრაფო საქმეზე სოფელში წასულა. აქედან შორსაა, თუ იცი? — სულიყომ სოფელი დაუსახელა. — რვა კილომეტრიაო — ისე მიუგო შატბიამ, თითქოს მისთვის ეს რვა კილომეტრი მხოლოდ რვა ნაბიჯი იყო.

— ბიჭოს! — გაოცდა სულიყო, — შორს ყოფილა, მაგრამ... მაინც უნდა წავიდე. როგორც ვატყობ, რაიკომის მდივანს კაბინეტში ვერასოდეს ვერ ნახავს კაცი.

— სოფლიდან რომ გამოგასწროს?

— ჩემმა ნაცნობმა, მდივანმა გოგონამ თქვა, ბეგლარი საღამომდე არ დაბრუნდებაო.

— მაშინ სასადილევს წავიდეო.

— შენც წამოხვალ?

სულიყოს უფრო ის გაეხარდა, რომ წაყოლის სურვილი თვითონ გამოსთქვა შატბიამ და სტუმარს თხოვნა აღარ დასჭირდა.

სოფელში წასვლა და რაიკომის მდივნის იქ მონახულება სულიყოს იმიტომაც აინტერესებდა — კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც ვაეცნობ და იქნება აქაც გამოვინახოთ რამე შესაფერისი სამუშაოო.

## XX

სასადილევს, სუფრა რომ ალაგავს, მეგი კვლავ წამოიწვა ნოხზე, მუხის ძირას და ბალახის ღერით დანიშნულ გვერდზე წიგნი გადაშალა, როცა სულიყომ და შატბიამ ჩამოუარეს, ერთი წუთით წიგნს თავი ანება, მშვიდობის მგზავრობა უსურვა მათ და თვალი მალულად გააყოლა შატბიას.

შატბიას ძალიან ეუცხოვა მეგის მოჩვენებითი გულგრილობა, მაგრამ ეს გოგონა ჯერ კიდევ ისე მოსწონდა, რომ

გულმა ერთი წუთით მაინც მიხედა/ გადასძლია და მის გულგრილობასაც უმალ მოუნახა გასამართლებელი მიზეზი — „დაღლილი იქნება, ან განგებინაზებაო“, გაიფიქრა თავისთვის. ეზოს კარი რომ გაიხურა, ერთხელ კიდევ გაიხედა მუხისაკენ, უნდოდა შეეტყო, მეგი მიუყრებს თუ არაო, მაგრამ აქედან მუხას ვაშლისა და მსხლის ხეები ეფარებოდა, ვერაფერი დინახა. დაწინაურებული სულიყო გზის პირას შეჩერებულიყო და ქვემოთ, ხეობაში — შახტის ცენტრალურ უბანს და გორაკის მოპირდაპირე ფერდობს ათვალიერებდა.

მთელი ეს მხარე ხეცებით და გორაკებით არის განთქმული. კრიალოსნის ქვებივით ერთმანეთზე მიწყობილი გორაკები განშტოებებივით მთავარი ქედის ვერტიკალურად მოემართებიან. ზოგი თანდათანობით ეშვება დაბლობისაკენ, ზოგიც ერთბაშად არის ჩამოკვეთილი. შახტის უბანში, ვაკეზე აგებულ შენობას ვერსად შენიშნავთ, რადგან აქ ვაკე ადგილი არსად მოიპოვება. სამსართულიანი კომბინატი დახურულ ხეობაშია ჩამჯდარი, ტრესტის შენობა კი ერთ-ერთი გორაკის სიმაღლიდან დასცქერის აქაურობას. შენობის წინ ხელოვნურად შექმნილი, ხის მოაჯირით შემოზღუდული ბაქანი ჩანს. გორაკის ჩამოკვეთილ ნაპირზე, სწორედ მოაჯირის შუა ადგილას, ციკლოპურად ნაწყობი მაღალი კვარცხლბეკია აგებული, კვარცხლბეკზე ბელადის მონუმენტი დგას. როდესაც მონუმენტს ხევაღამიდან უცქერით, იგი მთლიანად ცის ფონზეა ამართული და დიად სანახაობას წარმოადგენს. კვარცხლბეკის მარცხნით და მარჯვნივ, მოაჯირის გაყოლებაზე, ალიანდრის და აკაციის ხეებია გამწყრივებული, ბაქნის სიღრმეში ვარდებით დამშვენებული გაზონებია, გაზონების გასწვრივ ხის გრძელი სკამები დგას. მონუმენტის მარცხნივ, დაშორებით, ცაში აჭრილა რკინის მაღალი

ანდა, რომლის თავზე გამართულია პროექტორი და რადიო. დამდამობით რადიოს ხმა ხეობებს გუგუნით ეფინება, პროექტორი კი მუქ ლურჯ ცის ფონზე ზარნაშოსავით აბრალებს თვალს.

ერთმანეთზე წაბმული გორაკების ფერდობები, ქედიდან შახტამდე და შახტს აქეთაც აქრელებულია უწყსრივად შეფენილი, ფუტკრის ფიჭასავით დანაწევრებულ შეშაბანდიანი სახლებით. კრამიტით ახლადდახურული ზოგი სახლი უზარმაზარი ნიყვი გეგონებათ, ისე გამოიყურება აქა-იქ ხალვათად მდგარ წაბლისა და წიფლის ხეებს შორის. ზოგი სახლის თეთრ კედელში ვიწრო ფანჯარა შორიდან შავ ლაქასავით მოჩანს. სახლების წინ მწვანედ ქათათებს მოლი. აქა-იქ ხელის გულის ოდენა ფართობზე, ეზოს უკან შენიშნავთ სიმინდის ყანას, ვენახის მწკრივებს, ბოსტნის კვლებს. ქვემოთ, გორაკების გასწვრივ, ხევგალმა მოჩანს რკინიგზის ლიანდაგი. აქ ხშირად მიდი-მოდის საბარგო მატარებელი. ჩამოაყენებს თუ არა მემანქანე უსახურავო საბარგო ვაგონებს, უმალ ატყდება ბუნკერში ხრიალ-გრიალი. იესება ვაგონი ქვანახშირით, ორთქლმავალის თეთრი ფუნჩულა კვამლი კი ტაბათით მიილალება მღლა და ქედის გასწვრივ გაფაფრულ ნისლს უერთდება.

ნიკო არაბიძის სახლი რომ არის წამოქმედი, იმ გორაკის ძირში, გზატკეცილზე წამდაუწუმ დაქრიან მსუბუქი და საბარგო მანქანები, შახტბია და სულიკო სწორედ ამ, შახტიდან სადგური-საკენ მიმავალ გზატკეცილს დაადგნენ. დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე მარჯვნივ და მარცხნივ გზადაგზა ხედებოდათ ახალი დამთავრებული შენობები თუ ხარაჩოებში ჩასმული კედლები. ერთგან, გზის ნაპირას, ასფალტს ადუღებდნენ ვეებერთელა ქვაბში, აქვე შორიასლოს იდგა ტრაქტორზე გამობმული ასფალტის მოსატყეპნი საგორაკი.

დაახლოებით ორი კილომეტრის გზის შემდეგ შახტბიამ და სულიკომ გზიდან გადაღხევის, რკინა-ბეტონის სიღრმე გადავიდნენ, გაიარეს რკინიგზის გადაღმა შემახტეებით დასახლებული უბანი და ბილიკით ხეობაში შევიდნენ. მათ უცებ იგრძნეს სიგრილე და უჩვეულო მყუდროება, მცხუნვარე მზეც თითქოს მკრთალად ანათებდა აქაურობას. მისი შუქი აქა-იქ უხე ჩრდილთა შორის ოქროსფერ, ნათელ ლაქასავით აჩნდა მიწას. როცა ხეობის სიღრმეში საკმაოდ შეიჭრნენ, პირველად გაიგონეს ნაკადულის ხმა, რომელიც სასიამოვნოდ გაისმოდა აქ დამკვიდრებულ მყუდროებაში. ნაკადული აუარებელ ღორღში და ხის დამპალ ტოტების ნამტვრევებში მიიკვლევდა გზას; ათასნაირად ცდილობდა დასხლტომოდა, შემოეცლო. თავზე გადავლებოდა ქვებს, ტოტების ნამტვრევებს. ალაგ-ალაგ დაღმართებში აჩქარებული წყალი თითქოს მიიმღერისო, უცნაურ ხმებს გამოსცემდა. შეუძლებელი იყო. მგზავრის ყურადღება არ მიექცია და სმენა არ დაეტკბო. სადაც წვრილად მიედინებოდა, იქ მისი ხმაც ნაზად და სუსტად გაისმოდა, სადაც ერთი წაბით გულდებოდა, თითქოს ბუტბუტებსო. უფრო ბოხ, ფუყე ხმას გამოსცემდა. მარცხნივ და მარჯვნივ გორაკის კალთებზე შეფენილიყვნენ მუხის, წაბლის, წიფელის, თხილის და კაპარის ხეები, თითქოს გადმოხვეწილანო, ორ-სამგან თვალს მოჰკრავდით ნაძვის და ფიჭვის ხეებს, რომლებიც მკაფიოდ გამოირჩეოდნენ დანარჩენ ხეთა შორის. მუხის და წაბლის ხეები აქ უფრო ტანახოვანნი ჩანდა. თითქოს ერთმანეთს გაუვიბრებოდნენ მზისკენ სწრაფვაში. ნაძვის ხეები ატუზულ ნაბდიან კაცებივით გამოიყურებოდნენ, გორაკის ფერდობის დაქანებაზე შევეულად იდგნენ; ყურადღებას იპყრობდა მათ გარშემო ქვეწარმავლებივით დახლკანილი, მიწის ზედაპირზე განთხმული უამრავი ფესვები. იქა-იქ



გახვეწილი, ტანწერწერა ფიჭვები სვეტებით იღვანე მუხის და წიფლის ტყეში. ღეროზე გამოწვდილი, გამხმარ გადატეხილ ტოტის ნარჩენები საფეხურებით ასდევდა ხის ტანს. სულიყო ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ყოველ ხეს და ნატრობდა, დრო რომ იყოს, თვითულ მათგანს დაეხატავდით. განსაკუთრებით მოეწონა ფიჭვის ქოჩორი. სულ მალა, ჩვეულებრივ, კუნწუხის ადგილას გამოსხმული უცნაურად დაკლანკილი რტოები, ასეთივე უსწორ-მასწორო კეწეწებად დანაწევრებული და ნორჩი მწვანე ფერის წიწვებით დაფარული, ალაგ-ალაგ მზის შექტაკრული, მართლაც მიმზიდველი სანახავი იყო. გატაცებულ თანამგზავრს, კმაყოფილებით მოღიმარი შატბია ხანდახან ხელს შეაშველებდა ხოლმე, როცა მას ნაკადულის პირად ქვაზე დაუსხლტებოდა, თუ ნახერხებით გაფხვიერებულ მიწიდან ოდნავ ამოწვდილ და დამპალი ფოთლებით გაუჩინარებულ ფესვს ფეხით წამოედებოდა. ხეობაში ხან მარცხნივ უხვევდა ნაკადული, სან მარჯვნივ. გორაკის კალთები კონცხებით ეშვებოდნენ ნაკადულის ვიწრო კალაპოტისაკენ. შატბია და სულიყო ხან ამ კალაპოტის გასწვრივ ეშურებოდნენ წინ, ხანაც ფერდობზე აირბენდნენ. მიწა აქაც ნახერხმოყრილი გეგონებოდათ, ისე რბილად ეფლოზბოდა ფეხი წლობით ნაცვენ დამპალ ფოთლებში და წიწვებში. მიწას ნესტის და თავისებური სიმკვების სუნე ასდიოდა. სულიყოს ჯერ ეტუცხოვა იგი, მერე კი ისე შეეჩვია, რომ აღარც კი გრძნობდა. უცხო და მიმზიდველი სანახავი იყო სულიყოსათვის აქა-იქ მანქველათი გადაკრელებული კენკები თუ ბობოწვერათი შემკული ასწლოვანი ხეები. სულიყო უცებ შედგა, ცალი ხელი წიფლის ტოტს მოსჭიდა, დაწინაურებული შატბიაც შეჩერდა. ერთგან ნაკადულისთვის მცირე კლდეს მოეჭრა გზა, მაგრამ წყალს ეს დაბრკოლება დაეძლია. ვერ მიხვდებო-

დით, თუ კლდეზე წყალი გადმოდიოდა; მის გასიპულ ნაპირზე რაღაც ლივლივებდა და ხანგამოსვებებზე დაქრქმცირედ გაიბრკუილებდა, როცა ნიავისაგან შერხეულ ხეთა კეწეწებს მზის სხივი გამოუსხლტებოდა.

შატბიამ და სულიყომ ხეობაში ერთგან ფერდობზე აუხვიეს, ტყის სიღრმისაკენ აიღეს გზი. გორაკს რომ გადაივლიდნენ, იქიდან სოფლამდე უკვე აღარ იყო შორი. შუა ტყეში მიმავალით ახლა სხვა სანახაობა იტაცებდა. ტყე აქ უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა: ვეებერთელა, ტოტებდაშვეებული მუქ-მწვანე, ალაგ-ალაგ კი ჩაშვეებულ, ნაძვს უკან დაინახავდით უფრო ღია ფერის მუხის ფოთლებს, სადმე ახლოს, კიდევ უფრო ღია, ვერცხლისფრად ტანაფორაჯებულ რცხილის ან კობიტის ფოთლებს. მათ ამ უხე სიმწვანეში მოყვითალო ფერიც გადაკრავდათ.

რამდენიმე წუთში სულიყო და შატბია უკვე გორაკს თავში მოექცნენ. აქედან თვალწინ ჩვეულებრივი სანახაობა იშლებოდა — ვენახი, სიმინდის ყანები; ერთგან ფერდობის მოზრდილ მონაკვეთზე ნიადაგი ჩაის ბუჩქისთვის მოეშალდებინათ. შატბია და სულიყო ბილიკით თავქვე დაეშვნენ. გზატკეცილზე რომ ჩავიდნენ და ერთი წუთით შესვენებას აპირებდნენ, მოულოდნელად კოლმეურნეობის თავმჯდომარე საბა გამოენახე შემოეგებათ.

შატბიამ თავმჯდომარე სულიყოს ვააცნო. საბა დალონებული გამოიყურებოდა. მხარზე სანადირო თოფი ჰქონდა გადაკიდებული. გზაში საბამ ორიოდ სიტყვით უამბო შემოხვედრილით, ამ ათიოდე წუთის წინ როგორ მოკლა ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილი, თავისი ხელით შეილივით გამოზრდილი სეტერი. გზა რომ მოკლედ მოეჭრათ, ერთგან ბილიკით მდინარისკენ ჩაუხვიეს.

ისინი ჯერ კიდევ რიყის ქვით მოფენილი მდინარის ვრცელ ნაპირზე მიამიჯებდნენ, რომ გზიდან ძახილი მოესმათ.

— ამხანაგო საბა, იჩქარეთ, გელოდებიან!..

საბამ იცნო კოლმეურნეობის კანტორის თანამშრომელი გოგონა, ხელი აუქნია, ანიშნა — მესმის, მოვდივარო, და ისევ დინჯად განაგრძო გზა შატბიასა და სულიკოსთან ერთად. არ შეიმჩნია, მაგრამ ცოტა კი შეფიქრიადა, გაუკვირდა — „რა მოხდა, რისთვის მეძახიანო“. ვიღრე საბა ფერდობზე ავიდოდა, გოგონა თვითონ ჩამოეგება მას.

— რაიკომის მდივანი ამოვიდა მანქანით, კოლმეურნეობის კანტორაში იცდიდა, მე რომ აქეთ წამოვედი, ის მანქანაში ჯდებოდა, შეიძლება გზაში შეგბედეს.

— მერე რა მოხდა?! რაიკომის მდივანი ამის მეტად არ გინახავს?..

— მინახავს, მაგრამ...

— რა? — მწყრალად წამოიძახა საბამ.

— ასე აღელვებული არ მინახავს.

— რა მოხდა?..

— იმას უნდა წუხდეს, ხე-ტყე წყალმა რომ წაიღო.

— ხე-ტყე? წაიღო — რა, ჩემი ნებართვით კი არ წაუღია! მოვარდა და გაიტაცა. წყალი წყალი!

საბამ უცებ მწყრალად გადახედა გოგონას, თითქოს უნდა უსაყვედუროს, ამ ხალხის თანდასწრებით ასეთ ამბებზე რას მალაპარაკებო. უცებ შედგა, თანამგზავრებისაკენ სწრაფად შემობრუნდა და ხელუბიკ ვაოცებით გაასასვავა პაერში.

— მოდი ახლა შენ და, იმართლე თავი!.. კაცო, მდინარე ცხენი ხომ არ იყო, ლაგამი რომ მე მჭეროდა ხელში?! არა. ისე კი, რაც მართალია, მართალია, დიდი გლახა საქმე დაგვემართა, რა ხე-ტყე დაეკარგეთ, რა.

— მაგრამ... სულ არა, — მოულოდნელად გააწყვეტინა სიტყვა შატბიამ.

— სულ, სულ, ერთი მორიცი აღარ დარჩენილა!..

— საბა, მაშ ის თქვენი კლუბის ასაშენებლად გამზადებული ხე-ტყე იყო, გუშინ ჩვენმა მეშახტეებმა, რომ ვამოზიდეს?

საბამ, საკმაოდ მხარბეტიანმა ვაეკაცმა, უცებ ისე შეჰყვირა, თანაც ისე მსუბუქად შეხტა, გაოცდებოდი.

— გამოზიდეს?! — მხარზე მარცხენა ხელი მოსკიდა შატბიას, — მართლა, ბიჭო?! — ახლა მეორე ხელითაც მობლუჯა მისი მხარი, — რახან ასეა, — საბამ ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, გაოფლილო სახე შეიმშრალა. — პატივისცემა ჩვენს კოლმეურნეობაზე და მის თავმჯდომარეზე იყოს! წამობრძანდით, თქვენი ჭირიმე, კარგი ფეხით და კარგი ამბით მოსულხართ ჩვენს სოფელში!

საბამ შორიდან იცნო რაიკომის მდივანი, რომელსაც მანქანა ზემოთ დაეყენებინა, თვითონ კი ერთი კოლმეურნის თანხლებით გორაკის ფერდობზე ბილიკით ქვემოთ ჩამოდიოდა, დროდადრო შედგებოდა, მდინარეს, ან გაღმა, მოპირდაპირე გორაკებს, გახედავდა და კვლავ განაგრძობდა გზას.

საბა რაიკომის მდივანს რომ დაუახლოვდა, ნაბიჯს მოუჩქარა, სწრაფად მიეჭრა, მიესალმა, თვალეში ისე შესცქეროდა და შესცინოდა, როგორც მეტად ახლობელ და საყვარელ ადამიანს. საბამ იცოდა რა ახლა რაიკომის მდივნის მოსვლის მიზეზი, დაასწრო, თვითონვე მოახსენა თავისი მარცხი და გასაჭირი. მდინარისაკენ გაიხედა, ნაძლადევი ღიმილით უთხრა:

— ეს შეჩვენებული, მაინც რა მოულოდნელად მოვარდა, — უცებ იერი შეიცვალა, რაიკომის მდივანს უკიდურესად შეწუხებული და გაბრაზებული კაცის თვლით შეხედა, — რა დღე დაგვაყენა, სწორედ ჩასაფრებულივით გვეცა... წინა ღამით მაინც არ ჩამოეცურებინოთ ჩვენებს მორები.

საბა რამდენ სიტყვასაც იტყოდა, ხან რაიკომის მდივანს შეაუღებდა

თვალს, ხან მდინარეს გადახედავდა. მდინარე ახლა წყნარად მიედინებოდა, გუშინდელი გაშმაგებისა არა ეტყობოდა-რა. რაიკომის მდივანიც თითქოს წყნარად უსმენდა საბას, მაგრამ ეტყობოდა, ეს სიწყნარე დიდხანს არ გასტანდა; პაპიროსს ახლა მალიმალ სწევდა, კვამლი ნელა, თავისთავად მოედინებოდა მისი ოდნავ გახსნილი ზაგის კუთხეებიდან და ცხვირის ნესტოები-

დან: გეგონებოდათ, შიგნით ცეცხლი გასჩენია და სადაცაა ალიც, ეკარგებო. მართლაც, რაიკომის მდივნიც: გუუუსუსუუ ბას ლაპარაკზე ნელ-ნელა ეკიდებოდა ცეცხლი.

საბამ იცოდა მისი ხასიათი და ის მხნეობა, რომელიც აქამდე მოჰყვა, თანდათან ეკარგებოდა; თვალსაც ახლა ისე გაბედულად ვეღარ უსწორებდა.

(დასასრული იქნება)

## ანდამატიან მიდამოებში

★

ერთხელ წინ მედო მანძილი შორი —  
 დიდრონი მთებით გადაღობილი.  
 ეშხიან ლამით, ძლიერად მჭროლი  
 მომაქანებდა ავტომობილი.  
 გაჩაღებული ცეცხლის თვალებით  
 ბნელს ხევედა ხევის ყოველ ჩაელაზე.  
 მოულოდნელი დაბარბაცებით  
 მანქანა ოდნავ შედგა შარაზე.  
 თურმე იქ, სადაც ბინადრობს რკინა,  
 ჰფარავს რძიანი მდელოს ხავერდი.  
 შოფერმა უცებ გამაგებინა:  
 — ანდამატიან გზაზე გავედით. —  
 მჯერა, ჩაფლულმა მიწით და ქვიშით  
 მთების წიაღში რკინის მადანმა,  
 იგრძნო მანქანა — თავის ჯიშისა,  
 მისი ხილვისთვის ამოატანა...  
 მაშ ნურც გაოცებს, ახლა ამგვარად,  
 აქეთ მოხედვას თუ ვერ მოვეშვი.  
 გესმის? ჩერდება მძლავრი მანქანაც  
 ანდამატიან მიდამოებში.

## პასილ გიორკინი

★

აპტორისაბან

ომში, მტვერში, ლაშქრობისას  
უსასმელოდ ქირს ძალიან,  
წყალი იყოს — რა სჯობია,  
გუბისა თუ ჭის წყალია.  
ნაფლოქვარის თუ ყინულის,  
მდინარისა თუ მილისა,  
კოდის არის თუ ბზნლის,  
არ დაეძებ წყურვილისას.  
ცივი იყოს, — რა წყალია,  
გასარჩევად სად გცალია.  
სასტიკ ცეცხლში, მძვინვარ ცეცხლში,  
როცა ბრძოლა არის მკაცრი,  
თოვლში, წიწვნარ საფარველში  
კერძს მოითხოვს ჯარისკაცი.  
რა სჯობია ფრონტულ საქმელს, —  
ორთქლი რომ დგას ქვაბზე ღრუბლად,  
მთავარია, გყავდეს მარჯვე  
ჩვენი ბიჭი მზარეულად.  
არ ეწეროს ჯარში უქმად,  
არ მოგვაკლოს კერძი ცხელი,  
გვიშალებდეს ცხელ ულუფას,  
გვევლებოდეს თავზე მუდამ,  
როგორც ძველი მასპინძელი.  
რომ გახვიდე ცეცხლში მარდად,  
ძალა იგრძნო მტერს რომ ებრძვი,  
ღონე იგრძნო, ძმავო, მაგრამ  
როდი კმარა მარტო კერძი.  
რომ არ ჰამო შეიდ დღეს პური,  
რაც, ჰე, ხშირად ომში ხდება,  
სულ სხვა წამალს ითხოვს გული:  
ხუმრობა და კვიმატური  
სიტყვა უფრო მოგვიძვდება.  
გულს ხუმრობა აფოლადება,  
გულს ხუმრობა უნდა მხოლოდ.

და ბომბიდან — დაბომბვამდე  
ხომ ვერ გასძლებ უმაზორკოდ?...  
ვერც უშენოდ, ჩემო გმირო,  
ჩემო ვასილ ტიორკინო.

ყველაფერზე ძლიერ ომში  
კაცი მართალ სიტყვას ითხოვს,  
სრულ სიმართლეს ითხოვს გული, —  
რაგინდ შეკვხედ იყოს თქმული,  
რაგინდ მწარე, რაგინდ მძიმე,  
რაგინდ სამწუხარო იყოს.

ალარ დაგვრჩა სხვა სათქმელი...  
წიგნი ომის ამბებს ჰყვება.  
დასაწყისი, დასასრული  
ჰოემაში არ შეგხვდებათ.  
დასაწყისი რატომ არ აქვს?  
იმიტომ, რომ დრო მაქვს ცოტა.  
დასასრული რატომ არ აქვს?

— ჩემი გმირი შემეცოდა.  
ომის პირველ მწარე წლებში  
მტერს ეკვეთე მეომარი,  
დაემთავადით, გახსოვს, ცეცხლში,  
ტიორკინო, ენახე შენში  
გულითადი მეგობარი.  
უებრო ხარ ლხინში, ომში.  
შენთან ძმობას როგორ მოვშლი.  
დავიწყების არ მაქვს ნება,  
ის დღეები მახსენდება,  
სად და როგორ მომეც ხელი,  
სიკვდილისგან რომ მიხსენი.  
განა მივეც დავიწყებას.  
ძველი ძმობაც ავამღერე.  
წიგნის გული აქ იწყება, —  
თავისთავად წაგა მერე.

## შესვენებისას



საქმის მცოდნე იყო მართლაც  
ის ხელმძღვანელები, —  
სულ გზადაგზა გაამზადა  
მზარეულმა ცხელი კერძი.

დაარიგა სუბი, ფაფა,  
ფაფაც ბევრი, სუბიც ბევრი.  
ტრიალებდა ცოცხლად, სწრაფად  
ის მოხუცი გულმხიერი.

— გესმის?... კიდევ ერთი კოვზი  
დამიმატე, აი ასე...

ორი წელი დავყავ თმში,  
აჰა კოვზი, დამიფასე...  
ბერიკაცმა შეუბღვირა  
და თან ფაფა დაუმატა.  
ბევრს მიირთმევს ახალგაზრდა,  
აი, ამას ჰქვია მადა.

თან ხმადაბლა შეუტია:

— ჩემო შვილო, ასეთ მადლით  
აქ რა გინდათ, ფლოტში წადით.

— გამაღობთ, ფლოტში არ  
ვყოფილყარ...

ჯარისკაცი ეტყვის მამინ.

აქ თქვენსავეთ, მზარეულად  
მიჯობს დაერჩე ფეხოსანში.  
ჯარისკაცმა თქვა და ფაფას  
მადიანად დაეწაფა.

„ჩვენი ბიჭი“ არის თურმე...

ჩურჩულით თქვეს მებრძოლებმა.

„ჩვენი ბიჭი“... თქვეს და ერთ-ერთს

გადახედეს მეზობლებმა.

პოლკს დაქანცულს, ნასადილარს

სძინავს, სითბო ტანში უვლის,

ერთ ოცეულს არა სძინავს,

არ ედება თვალებს რული.

ფიჭვის ნაშორს მიყრდნობილი

წინგოსა სწევს, არა ზოგავს.

თმზე მსჯელობს ტიორკინი,

ამბებს ჰყვება განა ცოტას?..

— ბევრი რამ მაქვს დღეს სათქმელი,

დაიხსოვით, ძმებო, რაც ვთქვა.

ომის გზებზე ფეხსაცმელი,

ძმებო, ბევრი შემომაცედა.

აი, ფრონტზე თქვენც მიხვედით,

სროლაც იცით შაშხანისა,  
მაგრამ, აბა, თუ მიხვდებით  
საბანტუი რასა ნიშნავს.

— დღეობაა რომელიღაც...

— ვინ გაძალებს, რადა სტყუი!

ყური კარგად უგდე სიტყვას,  
ბევრგვარია საბანტუი.

აი, პირველ დაბომბვისას

თუ სიკვდილი აიცილე,  
თუ გადარჩი, ძმებო, ნიშნავს —

საბანტუი არის მცირე.

სულს მოითქვამ, გამოძლები,

მოსწევ, შიშიც გაიწყდება,

მაგრამ როცა ნაღმტყორცნების  
საბანტუი დაიწყება...

მიწას კოცნე, როგორც დედას,

თუ არა ხარ გაფატრული,

ამას ჰქვია, ჩემო მტრედო,

შუათანა საბანტუი.

მკუთისასწავლებელია,

მტერი დაგცემს, თუ არ ესერი,

მაგრამ სულ სხვა ოინია

საბანტუი უმთავრესი.

ტიორკინი შედგა წუთით,

მუნდშტუქს უწყო გამოწმენდა.

ერთს შეხედა თვალისკუთრით,

თითქოს მებრძოლს ამოწმებდა.

— აი, გახველ სისხამდილით,

გაიხედე. დარჩი სახტად:

მტრის ათასი ტანკი გივლის,

— ათასიო?... სტყუი ნაღდად.

— ძმებო, რატომ მოგატყუო,

შენც სარგებელს მაძლევ თითქოს,

— მაშ ათასი უსათუოდ?..

— დე ხუთასი ტანკი იყოს.

— ვერც ხუთასი დავიჯერო,

აბა, როგორ გეკადრებათ,

ნუ გვაშინებ, ძმებო ჩემო,

ნუ ჩაგვთვალე დედაბრებად.

— კარგი, სამასს, ორასს, არა,

ერთს დახვდები? გული გერჩის?..

— მერე რაა... დღეს ლოზუნგი

იყო სწორედ ჩვენს გაზეთში.

შიგ ეწერა: მტრის მანქანა  
შეკაშინებს, აუ არა იცნობ,  
გრუხუნა იგი თანაც,  
ბრუციანი, ყრუ არისო.

— ჰო, ჰო, ბრმა... თხრილში წევხარ,  
შემოგესმის ხმა ზანზარის,  
უცებ ტანკი რომ დაგწნებავს,  
მაშინ იგრძნობ, რა ბრმაც არის.  
ხელმეორედ უნდა გითხრა:  
რატომ ამბობ, რაც არ იცი,  
საბანტუი არის სიტყვა,  
ცნობილია ძალა მისი.  
ხშირად თავში იცის ჩარტყმა,  
შიგ კეფაში, ამხანაგო,  
აი, ერთი ბიჭი გვყავდა,  
ეპ, მომეტით, გაქვთ თამბაქო?

ყურს უგდებენ განაბულნი,  
სიტყვის ძალა აქ დაფასდა.  
კარგი არის, როცა სტყუი  
მხიარულად და ლამაზად.  
ყრუ კუთხეში, ტყის მახლობლად  
და აედარში, თავდაცვისას,  
კარგი არის გვერდით ყოლა:  
ამისთანა ვაჟკაცისა.

ბოლოს სთხოვენ მორიდებით:  
— სხვა ამბავიც თქვით რამეზე,  
კიდევ რამე მოგეიყვებით,  
ჩვენო ვასილ ივანეს-ძეე.

დგას წყვილიადი, სველ მიწაზე  
ძლივს-და ასდის კოცონს კვამლი.

— ძმებო, დროა ახლა დავწვეთ,  
წაბატყუოთ წუთით თვალი.  
თავი მისდო მკლავზე მშვიდად,  
მიწაყრილი იყო თბილი,  
მებრძოლთ შუა დაწვა ასე  
ჩვენი ვასილ ტიორკინი.  
ზედ კეთილი წვიმა აწვიმს,  
ფარაჯაა მძიმე, სველი.  
ქერი — ცაა, ქობი — ნაძვი,  
ნეკნებსა ტყენს ხის ფესვები.  
არად აგდებს ამგვარ ამბავს,  
სძინავს ვასილს, არ ცივდება.

კუთხე თუა ქვეყნად, სადაც  
არ შეეძლოს დაძინება.  
გადისურავს საბურს ზურგზე,  
ტკბილი რული თვალს ედებდა:  
მას ლუმელი მოგუზგუზე  
და ბულბული ახსენდება.  
ეხუტება მშობელ მიწას,  
დათენთილი წევს აედარში.  
ჩემს გმირს ისე მაგრად სძინავს,  
თითქოს იწვეს თავის სახლში.  
მაძლარია, მშვიერია,  
მარტოა თუ ხალხთან იგი, —  
სძინავს, რაც არ სძინებია,  
იცის ძილის თაღარიგი.  
ლამეს ისევ ღამე მისდევს,  
გმირი აღარ ხედავს სიზმარს;  
უკან, აღმოსავლეთისკენ,  
რომ იხვედა ჩვენ საზღვრიდან.

გაოფლილი მკერდით ასე  
მიჰყვებოდა ტოლებს ისიც,  
ფეხით განვლო მრავალ ასი  
კილომეტრი მშობელ მიწის.  
დედა-მიწა რა დიდია,  
დედა-მიწა უდიდესი, —  
მისთვის სისხლი დაგვიღვრია,  
გვიყვარს მიწა უტკბილესი.  
სძინავს გმირს და ხერინავს მძიმედ.  
არაფერი უკვირს ვასილს,  
ომი არის, არ ივიწყებს,  
იცის მშობელ მიწის ფასი.  
სძინავს ვასილს. ის ზაფხული  
გაღულოცა დაეიწყებას.  
დილით, ალბათ, კვლავ ახალი  
საბანტუი დაიწყება.  
წამოუსწრო ძილმა მებრძოლთ,  
წამოწოლილთ ნაძვის ძირას,  
ფხიზელ გუშავთ სამხრეებზე  
ბნელი ღამე აცრის წვიმას.  
თვალთან თითხაც ვერ მიიტან.  
კუნაპეტი ღამე მეფობს.  
გუშავს დარდი ჩამოსცილდა,  
გაეცინა უცებ მებრძოლს.  
გადეკარგა თითქოს ძილი  
და მოწყენას არ იმჩნევდა,  
— კარგია, რომ ტიორკინი  
ასეულში არის ჩვენთან.

ტიორკინის ვინაობას  
გულაზდილად ვიტყვი ახლა,  
იგი ჩვეულებრივია,  
სულ უბრალო ბიჭი გახლავთ.

— ვაჟკაცია რიგიანი,  
მისი მსგავსი კაცი, ალბათ,  
ყოველ ასეულში არის,  
ყოველ ოცეულშიც ნახავთ...

— ჩემი გმირი უბრალოა,  
ცნობილია თავმდაბლობით,  
იგი განა უბადლოა,  
სილამაზით, ტანადობით.  
არც გონჯია, არც მაღალი,  
მაგრამ მოსდევს საქმე გმირის.  
გადალახა სესტრის წყალი,  
ფრონტი განვლო კარელიის.

მაშ რილასთვის დაიფიქვს,  
რად გამორჩათ ეს მედგარი, —  
მაშინ ჯილდო რად არ მისცეს?  
ეკუთვნოდა მას მედალი.  
როგორც წესი ითხოვს მუდამ,  
გადეუბნით თემას უნდა,  
ალბათ, ზუსტად ვერ დაბეჭდეს  
სია დაჯილდოებულთა.  
წინ იყურე. რას დაეძებ,  
რომელ მებრძოლს რა აქვს მკერდზე!

### ბრძოლის წინ

მოგახსენებთ ახლა მოკლედ,  
იმ გამოვლილ ამბავს მოვყვით:  
ჩვენს ძმას კარგათ ახსოვს, როცა  
ფრონტს მოსდევდა გაღმა მხრიდან  
კვალს მოსდევდა სამშობლოსას,  
არწმენა ჰქონდა გზად და ხილად.

ძვლადქცეული, დამშეული,  
მოწყვეტილი კავშირის, ნაწილს,  
შურისგებით საესე გულით  
მოდიოდა ჯარისკაცი.  
ხან ასეულს მოჰყვებოდა,  
ხან ოცეულს, ახსოვს ყველა,  
ხან მგზავრებთან მოდიოდა,  
ხან თითოეით მარტოხელა.  
მინდორ-მინდორ, ტყის ბილიკით

ივნისიდან მწყობრში არის,  
ომში არის იელისიდან.  
გარეშემო მდგომი ხალხი  
ისმენს ჩემი გმირის სიტყვას.

— მზის ნათელი რომ ჩამიქროს,  
ისეთი რამ არსად არის.  
დავიპერი ცეცხლში ერთხელ,  
მოვრჩი. ხედავთ...არ ვარ მეკდარი.  
ალყა სამჯერ შემომარტყეს,  
გავარდვიე სამჯერ რკალი.

დღენი იდგნენ შფოთიანი.  
გამოვედი კვლავ უვნებლად,  
ცერა ცეცხლი შაშხანისა  
ცას და მიწას აყრუებდა.  
ლაშქრობისას განა ერთხელ  
კოლონების მტვერში, გზაში,  
დაბნეული ვიყავ ბევრჯერ,  
ნაწილობრივ მეკდარიც მაშინ.  
მაინც ვცოცხლობ, ხედავს ყველა,  
ომის ჰაჰანს ვზიდავ ასე.  
წეკოს წევა და სიმღერა  
მიყვარს ფრონტის წინა ხაზზე.  
გასაქირში მხნედ იყავი, —  
ეს ყველაზე მთავარია.  
ჯერჯერობით ეს იგავი, —  
წინ ახალი ზღაპარია.

მოჰყვებოდა წმინდა მიწას,  
შევიდოდა ხოლმე სოფლად,  
გვიან, ღამის წყევდიადისას,  
კონჩხოსავით თან დაჰქონდა  
ყუთი აირწინაღისა.

უფერული იყო მაშინ,  
წვეროსანი, თანაც შავი,  
შედიოდა ყოველ სახლში,  
მძინარ ოჯახს აღვიძებდა.  
იგი, როგორც დამნაშავე,  
იღვა ხოლმე მასპინძელთან.

ეს გაღქეცა ჩვეულებად,  
თუმც მას დიდი ჰქონდა რიდი,  
წყალს ითხოვდა ჯერ პირველად,  
მერე საქმელს სთხოვდა იგი.





განა უარს მიახლიდა  
 აშიერ მებრძოლს ვინმე მაშინ?  
 მასპინძლობდა მას დეიდა,  
 თითქოს ღვიძლი ნახა ვაჟი.  
 თან ლოცავდა: „ღმერთმა მშვიდად  
 დაგაბრუნოს, შვილო, სახლში“.

მოწოლილი დარდი გვლევდა,  
 გული ფეთქდა მწარედ ისევ,  
 მოვდიოდით დაღლილები  
 უკან — აღმოსავლეთისკენ.  
 გამხდრები და ფეხშიშვლები  
 მოვდიოდით ასე დიდხანს.  
 საღ თავდება ზღვარი შენი,  
 ჰე, რუსეთო, რა ვრცელი ხარ!  
 მივევებოდი გზას საზარელს  
 სხვებთან ერთად, განა ობლად,  
 მეთაურიც გვეყავდა ათ კაცს,  
 იმ მიდამოს კარგად ცნობდა.  
 კაცი იყო დახედული,  
 გვეჯობდა საქმის ცოდნით ყველას.  
 შე — ყველაზე იდეური  
 გამოვდექი პოლიტხელად.

მოყვებოდნენ ჩვენ კვალს მშანი,  
 ეშორდებოდით მხარეს ტყვედქმნილს,  
 ჩემი პოლიტსაუბარი  
 ერთი იყო:

— ნუ ღონდებით!  
 გაეიჭრებით, ფრონტს მივალწევით,  
 არ მოგვევლებით, გადავრჩებით,  
 დავიბრუნებთ მინატაკებს,  
 აქ გავჩნდებით  
 გამარჯვებით.  
 რომ გეკითხათ მაშინ ჩემთვის,  
 მეც ისევე, როგორც სხვანი,  
 ვერ გეტყოდით: ჩემი ქვეყნის  
 საღ თავდება კიდევ, განი.

მეთაური მოდის ჩუმად,  
 დარდი სტანჯავს, არას ამხელს.  
 მოღრუბლულა, მოღუშულა,  
 — ნუღარ ფიქრობ, — გადავძახებ.  
 — ნუღარ ფიქრობ რომელია, —  
 მეტყვის სევდით დანასეტყვი,  
 ახლოს ჩემი სოფელია,

პოლიტხელო, და რას მეტყვი?  
 მეთაურსაც, ვიცი, აზრი, <sup>ეროვნულში</sup>  
 ვიცი, სიტყვა უნდა ჩემზე, <sup>გინებლივით</sup>  
 დაღლილია, გასაპარსი,  
 წამოზრდია ულვაშები.  
 სოფელია მისი იქვე,  
 იქით იწევს კაცის სული.  
 რაც არ უნდა მკაცრი იყვე, —  
 აუსრულებ მაინც სურვილს.

შევარდენი გამოერკვა,  
 სულ სიმღერად გადაიქცა,  
 დარდი აღარ აწუხებდა,  
 წინ გაგვისწრო და გაგვიძღვა.  
 სოფლად გვიან რომ მივედით,  
 მეთაურმა ხელად, მაშინ,  
 დარბაისლურ მორიდებით  
 მიგვიწვია ყველა სახლში.  
 ჩვენს მძას ასე დაემართა,  
 სახლში მოხვდა ქარცეცხლიდან.  
 შედი ქოხში, გაიმართე,  
 შენი კერა ნახე წმინდა.

ბეერს ნუ ელი ოჯახისგან,  
 ეს იცოდე წინასწარვე,  
 რომ სოფელში შენს მოსვლამდე  
 ომის კვამლი იდგა მწარე.  
 დაღონდება ამით ქალი,  
 რომ მარტოდენ წამით ნახე,  
 წაატყუე, ძმოო, თვალი,  
 მერე ომის ძახილს გაჰყევე.

კერის ბურჯი — მასპინძელი  
 არხეინად, ფართოდ დაჯდა,  
 მაგიდაზე დასდო ხელი,  
 ისე, თითქოს ახლა ეახშმად  
 წისქვილიდან სახლში გაჩნდა.

— დედაკაცო, აბა ახლა  
 ჯერ ღუმელი გაახურე,  
 მერე ხალხი დააბურე, —  
 ქალს ხმადაბლა გადასძახა.  
 ბაღლებს სძინავთ. ცოლი იღწვის,  
 ეს ზეიმი მწარე არის,  
 და ხანგრძლივი ღამით მისთვის  
 მხოლოდ ერთი წამი არის.  
 ქალს შევეყურებ ხელდალოცვილს,

ხრაკავს, ხარშავს, ზრუნავს მარდი,  
თან ნაქარგი ხელსახოციც  
მოაქვს თითქოს სტუმართათვის.  
დაგვიანყრა. დასაწოლად  
მიგვიჩინა კუთხე თბილი,  
ისეთ ალერსს გვთავაზობდა  
ის ხელმარჯვე, გულკეთილი,  
თითქოს მოსვლას მის ოჯახში  
სხვადროსთვისაც ვაპირებდით,  
თითქოს სტუმრად ჰყავდა მაშინ  
ლომგულეები და გმირები.  
თვით უფროსი — მასპინძელი,  
გვერდს რომ გვეჯდა თანასწორებს, —  
იყო ცოლის მადლიერი  
ისე, როგორც არასოდეს.

არ მგონია, თუ ოდესმე  
იყო ასე ლაღი ქცევის,  
ისე სათნო, როგორც იმ დღეს  
ცოლი ჩვენი მასპინძლის.  
ქმარი სძლევდა დარდს და ვარაშს,  
გულში ბოლმა ენთო მაშინ:  
უპატრონოდ ასეთ ცოლ-შვილს,  
რომ სტოვებდა ტყვეობაში.

შეწყდა ბაას-სამზადისი,  
შინ დაგვიგეს დაღლილ მგზავრებს,  
დაწვა ქმარი, მაგრამ მისი  
ცოლი მისვლას აგვიანებს.  
წმენდას იწყებს ჰურჭელისას,  
ბოლოს კემსეას იწყებს ქალი,  
ქმარი უმზერს კუნჭულიდან,  
უხერხულად ვიგრძენ თავი.  
ძილი აღარ მომეკარა,  
დაიძინეს სხვებმა წამსვე,  
ვთქვი: გუშაგად გარეთ გავალ,  
ცოტას წავთვლემ აივანზე.

ხელი ვტაცე ჩემს ფარაჯას,  
დერეფანში გავიფრინე.  
არ წამსვლია უქმად გარჯა,  
ქვეშაგები გავიფინე.

ჰე, მაუღის უფერულო,  
ჯარისკაცის ფარაჯავ,  
ტყისპირ ცეცხლით ამომწვარო,

გაცვეთილო ფარაჯავ.  
ტყვიით კალთაგახვრეტელი,  
ომში, სისხლის წვიმში,  
და ნატყვიარგავერილო, —  
ვისთვის არ ხარ ძვირფასი!  
ჯარისკაცო, ცეცხლში დაჭრილს  
და მოცეცილს ფეტვისებერ,  
წაგიღებენ ამ ფარაჯით  
უკან — ლაზარეთისკენ.  
თუ დაეცი — ცხედარს მაშინ  
სხვებთან ერთად, იგივე  
გახუნებულ ფარაჯაში  
გაგახვევენ. იძინე!

დაიძინე, ჯარისკაცო,  
შენ გზა ისე განელე დღისა,  
რომ არც ცოლთან, არც მარტოკას  
ძილი კარგად არ გელირსა.

მასპინძელი გამოვიდა  
და კიბეზე რომ დაეშვა,  
კვითხე: — შენ ხარ?  
— მე ვარ, მინდა  
დავუჩხვო ოჯახს შეშა.

დაეკარგა ძილი ვეკაცს,  
შინ არის თუ ომში არის?  
ცულს სააბაზოზე მარჯვედ დაპკრავს  
თავს დანათის შუქი მთვარის.  
ცულის ცემა — ტაკატუკით  
ცისკარს ხვდება ეზო მისი,  
ხანმოკლეა, როგორც წუთი,  
ღამე ასეთ მებრძოლისთვის.

ცოლი უყვარს, — რით აამოს,  
დიასახლისს, აღარ იცის.  
მის ეზოში რიყრაქამდის  
შეშის ჩეხვის ხმა გაისმის.

დილის შუქი გააღვიძებს  
ძილგატეხილ კაცის ბავშვებს, —  
შეიცნობენ მამას მყისვე,  
სჭვრეტენ უცნობ ჯარისკაცებს.  
შეხვდავენ თასმებს, თოფებს,  
პატარები მაშინ, თითქოს  
მიხვდნენ, როგორც უფროსები.



იგრძნეს, საქმე რაშიც იყო, რომ ატირდნენ თვალისფშენებით, გაეფიქრე, ძმებო, მაშინ: ალბათ მერე ფაშისტები ცეცხლით შეველენ ამ ოჯახში.

და მას შემდეგ ის ტირილი გულში დარდად ჩამრჩა დიდხანს ის ტირილი ყოველ დღით ახლაც მიხშობს გაღმა მხრიდან. ქებას, სახელს არ დაგიდევ, ერთი რამე გამახარებს, მინდა ბრძოლით გადავიდე, ბრძოლით გავჩნდე გაღმა მხარეს. და სიმართლეს გეტყვით ახლა, ასე ძლიერ რატომ მინდა, რომ იმ კეთილ დიასახლისს შინ ვეწვია ლაშქრობიდან.

წყალს მოვითხოვე, არ გეგონოთ ჰამად დავჯდე მაგიდასთან, მისალმება მინდა მხოლოდ, საუბარი, როგორც დასთან. მან თუ რამე მკითხა ქმარზე,

— „კარგად არის, მაქვს იმედი“, დიასახლისს ვეტყვი ასე, რაღა ვუთხრა ამის მეტი. ჩემს ფარაჯას ვისერი განზე, დავუჩეხავ შეშას წამსვე. მისი ქმარი არ მინახავს, რა ვიფიქრო ამის გარდა. მიწაში თუ დაიმარხა, თავგანწირვით რომ იცავდა. დრო არ არის ახლა ფიქრის, მტერს დავარტყათ მაგრად უფრო. აი, სულ რაც ჩვენს ტიორაძინს ჰქონდა წელან სასაუბრო.

### ბასაცური

გასაცური, გასაცური!  
სანაპირო მარჯვნივ, მარცხნივ,  
ყინული და თოვლის ხრეში.  
ვის ხსენება ვაეკაცური,  
ვის უკვალოდ წყალში მარცხი  
და გაქრობა ცივ ტალღებში.

ღამით წყალი გაყინული  
ჩამატვრია ჯარმა მარდად  
და პირველი ოცეული  
პონტონებზე გადაბარგდა.  
დაიტვირთა, ნაპირს გასცდა,  
მას მეორე უკან მისდევს,  
მოემზადა ორის მსგავსად  
და მესამეც გაჰყვა ზვირთებს.  
პონტონები ტივებივით  
მიცურავენ წყალში ღამით,  
ხრიგინებენ ისე, თითქოს  
ფეხქვეშ იყოს სახურავი.  
და მიცურავს ჯარი სადღაც,  
ხიშტებს ფარავს ქარქაშები.  
გამოცვლილან თითქოს ახლა  
ეს ნაცნობი ვაეკაცები.  
ახლა თითქოს აღარ გვანან  
იმ ჩვენს ბიჭებს — ჯარისკაცებს.

უფრო მეგობრულნი ჩანან,  
უფრო მეტი აქვთ სიმკაცრეც.  
ყველა გიღირს უფრო ძვირად,  
ვიდრე ერთი წუთის წინათ.  
თვალს შეაველებ — აქვთ იერი  
უასაკო და ბავშვური;  
უცოლო თუ ცოლიანი  
მიდის ხალხი გაპარსული.  
გადაეშვნენ ცხარე ომში,  
გატაცებით, გამალებით,  
ვით ოდესღაც ცხრაასოცში  
მიიწვედნენ აქ მამები.  
ორასიოდ წლის წინ ასე  
ვაეკაცური შემართებით,  
კავიანი თოფით მხარზე  
მიდიოდნენ ამავე გზაზე  
ხველი რუსი შევარდნები.  
მათს ხუტუჭა საფეთქლებთან,  
ომში ბავშვურ მათ თვალებთან  
სიკვდილი რა ხშირად სტვენდა,  
ახლა რითი დამთავრდება?  
აწვებიან ნიჩბებს მარდად,  
გახვითქულნი, ოფლიანნი,  
ჩამოგზრეულ ხილქვეშ მძაფრად  
ღმუის წყალი შფოთიანი.

აი, უკვე შუაგულში  
შეაცურებს მათ მდინარე,  
შეაცურებს და მორევში  
ციბრუტივით ატრიალებს.

იწროებში წყალი შხუის,  
აქუცმაცებს ყინულს სწრაფად, —  
წამწეებს და კოჭებს შორის  
გადიქცევა იგი ქაფად.  
ის პირველი ოცეული  
ნაპირზეა ახლა აღმათ.

შენაკადი უკან გაქუხს,  
ხმაურია ბნელი ღამის,  
შორით მაშველს რომ გასძახო,  
მოშველებაც ძნელი არის,  
და მდინარის გაღმა მოჩანს  
გაუვალი ტყე უღრანი.

გასაცური, გასაცური,  
ნაპირები, ვით კედელი...  
ხალათები გასაწური,  
ფარაჯები მძიმე, სველი...  
ფერი მეფობს ირგვლივ შავი,  
ღამეს სახე შემურვია.  
სისხლიანი ღამის კვალი  
ზღვას მდინარემ შეურია.  
უცებ, ასეთ სიბნელეში,  
ზეცას ასწვდა ცეცხლის ენა,  
პროექტორის შუქმა შმაგი  
შენაკადი გადასერა.  
და ყუმბარამ წყალი სვეტად  
შეისროლა მყისვე ცაში,  
ჩვენი ძმები ჯგუფად, ერთად  
პონტონებზე იდგნენ წყალში.  
ის სურათი ვინც კი ნახა,  
დაივიწყებს სიცოცხლეში?  
ჯერ ცოცხალი, თბილი კაცი  
ეშვებოდა ძირს მორევში.  
ვერ მიაგნო ვეღარც კავშირს  
ხალხმა თავგზააბნეულმა,  
რომ დაშვებდნენ, მიხვდნენ მაშინ:  
გასაცური დანგრეულა.  
არ იციან ჯერჯერობით,  
ვინ იმხდალა, ვინ იმარჯევა.  
ვინ ყოფილა მჯობნის მჯობნი,  
ჯერ ასეთი გმირი არ ჩანს.

გასაცური, გასაცური,  
ცივა. სითბოს გთხოვს სხეულში  
გაღმამხარეს გადასული  
ნაწილს მოსწყდა ოცეული,  
მათი ბედი ჯარს აწუხებს,  
ყველას ერთი სტანჯავს ბოღმა,  
თითქოს იყოს დამნაშავე,  
ვინც კი დარჩა წყალგამოღმა.

აღარ უჩანს დასასრული  
ამ ღამეში დგომას, ვაგლახს,  
მყარი თოვლი და ყინული  
შეხელვია ღორღს და ტალახს.

და ლაშქრობით დაქანცული  
ხალხი მაინც უძლებს ყინვას,  
მათ ხელები სახელოში  
გასათბობად შეუყვიათ.

თელემს კუნაპეტ ღამით ტყეში  
ფეხოსანი მობუზული  
და ტრიალებს ცივ ჰაერში  
წიწვის, ჩექმის, ოფლის სუნი.  
გაღმა მხარეც ფხიზლობს ასე,  
ოცეული ცისკარს უცდის,  
გაწოლილან ცივ მიწაზე  
და ათბობენ მიწას მუცლით.  
მაშველს ელის ოცეული,  
წინ წყალია და ღრმა ხევი,  
არ ეცემა არვინ სულით,  
გზაც არა აქვთ დასახევი.  
მათ თვალეში ზეცა იქნებ  
ბარდნის ახლა თოვლის ფიფქებს,  
თოვლი, შუბლზე დაფენილი,  
აღარ ღნება, როგორც ფქვილი.

ცა თუ ფიფქებს ზედ აბარდნის  
სულერთია ცხედართათვის.

იქნებ მართლა წვანან მკვდარნი  
ვეღარ გრძნობენ სუსხს და ყინვას,  
მაშ სიკვდილი მკვდრისთვის უკვე  
საშინელი აღარ არის...

ნუთუ წვანან დაცემულნი,  
ნუთუ ყველა დაიღუპა,



თუმც ზემდეგი ასეულის  
ისევ უწერს მათ ულუფას.

კვლავ ულუფას უწერს იგი  
და ჯიბეში ჩარჩენილი  
შინ წერილი აღარ მიდის,  
ძველისძველი დაწერილი,  
დაწერილი განსაცდელში,  
დაწერილი ცეცხლის შუქზე,  
ვახშობისას, საღლაც ტყეში,  
ფანქრით ერთმანეთის ზურგზე...  
ყაზანელს თუ რიაზანელს,  
მოსკოველს თუ სტალინგრადელს,  
სძინავთ ასე ცივ მიწაზე,  
გაუწირავთ თავი მართლებს,  
საუკუნოდ მოუხდიათ  
უწმინდესი ვალი მართლებს.

სადა თქმულა გმირთ სიკვდილი,  
კვალი რჩება, ვით ქვიტყირი!

იქნებ მოხდეს საოცრება, —  
დაინახონ გაღმა ხალხი,  
იქნებ ნიშნის გამოჩენამ  
შეაბრუნოს წალმა ჩარხი?  
ღამეს მისდევს გრძელი ღამე:  
გარიერაზე ცივა, ყინავს,  
ჩვენი ორი მეთვალთვალე  
ჩამომჯდარა წყლის ნაპირას.  
ესიზმრათ თუ მოვლანდათ, —  
გაუნათდათ წამით სახე,  
წამწამებზე კირხლი აკრავთ,  
თუ შორს რამე დაინახეს.

შეამჩნიეს, წყალში ცხადად  
წერტილივით რაღაც ჩანდა,

- ან კუნძია, ანდა კასრი! —  
ამბობს ერთი ჯარისკაცი.
- მოგვლანდა, ძმაო, ალბათ, —  
მეგობარი ეტყვის სწრაფად.
- იქნებ ვინმე ცურავს წყალში, —  
ჯარისკაცი სიტყვას უჭირს.
- ზუმრობ, ძმაო, ასეთ დარში  
წყალში ცურვა თევზსაც უჭირს.

— იქნებ წუხელ დაღუპული  
ჩვენი ბიჭი ადგა მკვდრეთით,  
ჩამოეარდა წამს დუმილში  
— არა, ძმაო, ამბობს ერთი...

თუნდაც მკვდარი იყოს იგი,  
ამ ყინვაში, ძმაო, ახლა  
მაზარით და სრულ წესრიგით  
წყალს ნამდვილად გადმოლახავს.

თუმცა სცივით ახალგაზრდებს, —  
ყინვას არვინ არად აგდებს.  
სერჯანტს მოაქვს შორსაჭვრეტი  
და გახედავს შორით წერტილს.

- ცოცხალია, — იტყვის დინჯად,  
ფრიცი თუა — მოვრიგდებით,
- ტიორკინი არის ალბათ,  
ვიღაც ზუმრობს მორიდებით.
- ჰე, ბიჭებო, ნუ ეჩრებით.  
ეგ პონტონი რისთვის გინდა!
- ნება დამართეთ, მე ვეცდები.
- რას ეცდები, — გამოვიდა.

წყალი, ნაპირს მინაყინი,  
მომატრია მკლავით მარდად  
და ცოცხალი ტიორკინი  
ხალხის თვალწინ აღიმართა.  
თითქოს ახლა ტანშიშველი  
გამოვარდა აბანოდან,  
გაცრეცოდა მას ტუჩები  
და მთვრალივით ქანაოზდა.  
ხელი სტაცეს და შეფუთნეს,  
აშველებდნენ თექის ჩექმებს,  
— გაირბინე, აბა, უცებ! —  
მეთაური დაიკეჭებს.  
ბორცვის ძირას, შტაბის ქოხში  
დააწვენენ ვაჟკაცს ხელად,  
გასათბობად, გასაშრობად,  
სპირტით ტანის დასაზელად.  
ზილეს, ზილეს, — შველის ზელა...  
უცებ სხარტად, ვით სიზმარში  
დაიძახებს იგი ამას:  
— ჰე, ექიმო, შეიძლება,  
რომ გამათბოთ შიგნიდანაც. —  
გამოსცალა ჭიქა საფეხ,  
დაუდინჯდა წამსვე სუნთქვა,

გამოცოცხლდა იგი წამსვე  
და პოლკოვნიკს ასე უთხრა:

— ნება დამრთეთ, მოგახსენოთ,  
(გამიართა და გამხნევედა)  
გალმა იბრძვის ოცეული  
მტრების გულის გასახეთქად.  
მხოლოდ ცეცხლის გადმოსროლით  
დაგვეხმარეთ, მარტო ცეცხლით.  
ამას ითხოვს მეთაური,  
რაც მე ახლა ვადმოგეცით.

აბა, მტერმა ნახოს მაშინ  
ოცეული მხარს რომ გაშლის...  
გაგვიმარეთ ზურგი შებრძოლთ  
და გასაცურს უზრუნველყოფთ.

მოახსენებს ისე, თითქოს  
ახლავ გალმა გასვლას ფიქრობს.

— ყოჩაღ! — აქო პოლკოვნიკმა, —  
ყოჩაღ, ძმაო, გმადლობ, ძმაო!  
მას ღიმილით ტიორავდა.  
უთხრა: — რადგან ყოჩაღი ვარ,  
შეიძლება ერთი ჰქიპაც,  
ბოლო ჰქიპაც გამოეცალო?

უჯავრდება პოლკოვნიკი,  
გადახედავს იგი მკაცრად.

— ყოჩაღ, მაგრამ ზედმეტი  
უცხად ორი ჰქიპის დაცლა.

გასაცური, გასაცური.  
კუნაპეტი ღამე იძვრის.  
ზარბაზნების გრიალზე.  
ბრძოლა არის, მკაცრი ბრძოლა,  
ბრძოლა განა სახელისთვის,  
სიცოცხლისთვის არის ბრძოლა  
ღიად ღედამიწაზე.

### ომის შესახებ

— ნება დამრთეთ, მოგახსენოთ  
უბრალოდ და მოკლედ:

ძლიერ მინდა ოთხმოცდაათ  
წლამდე რომ არ მოვკვდე.  
ომი თუა, დაივიწყე  
საზრუნავი შენი,  
რაგინდ შორ გზას მიჰყვებოდე,  
ბრძანეს — დაეხსენი.

დადგა ჩვენი ბრძოლის ჯერი,  
ახლა ვაგებთ პასუხს  
რუსეთისთვის და ხალხისთვის,  
ყველაფრისთვის, რაც გსურს.  
ივანე და თომა, ყველა  
ცოცხალი თუ მკვდარი,  
ეს ჩვენა ვართ, დიდი რუსი  
ხალხი, თოფქვეშ მდგარი.  
ძმებო, რადგან ეს ჩვენა ვართ,  
სიტყვას გეტყვით ალაღს,  
ამგვარ ორომტრიალიდან  
ამ დროს განა გავალთ.  
აქ ვერ იტყვი მე — მე არ ვარ,  
აჩაფერი ვიცი,  
ვერავის ვერ დააჯერებ,  
ვერ გიშველის ფიცი.

შორს ვერ წახვალ ასეთ მაკდურ  
ფიქრთან მიჯაჭვული,  
ვინ რა იცის, ვის მოხედება  
ბრძალ ნასროლი ჭურვი.  
ომში თავი დაივიწყე,  
ღირსება-ღა გწამდეს,  
მკერდით მკერდზე გაიწიე,  
ბრძოლა ბრძოლას გავდეს.  
ახლა ისე აღარ არის,  
როგორც იყო ძველად,  
როცა ჯარი ორთავ მხარის  
იდგნენ კედელ-კედლად.  
იმარჯვებდა, ვისაც ჰქონდა  
მუშტი უმაგრესი,  
ახლა ბრძოლა სხვაგვარია,  
უფრო უარესი.  
განა ღირს-ღა ლაპარაკი,  
ეს სუყველამ ვიციით,  
ძმებო, უნდა ვანადგუროთ  
პიტლერელი ფრიცი.  
ომი თუა, დაივიწყე  
საზრუნავი შენი,  
რაგინდ გრძელ გზას მიჰყვებოდე,  
ბრძანეს — დაეხსენი.



რაც ვიცხოვრე — საკმაოა,  
ბევრ საზრუნავს მოვრჩი.  
ამას იტყვი, მაშინ, ძმაო,  
გამოდგები ომში.

შესარულე ბუციის ცეცხლში  
დავალებას სწრაფად?  
გადარჩები და იქცევი  
მაშინ ერთი ათად.

თუ სიკვდილთან ბრძოლა, ძმაო,  
აღარ გაგივიდა,  
სამშობლოში ვინმე, ალბათ,  
სახელს გაგიერთმავს.  
გინდაც ასმაგ მოიტყუოს,  
ამისთვისაც მზად ვართ,  
ოღონდ ჩვენი პატარების  
თავი გვეავდეს კარგად...

ტიორკინი დაზრილია

საფლავები და თბილები,  
მავთულები ჩაქანგული,  
გორაკები და სანგრები,  
მიწა დაჭრილ-დადაღული,  
ბუნჩნარები და ჩირგვები  
თოვლით არის დაფარული.

ქარმა ველზე თეთრ სასუქად  
სქელი თოვლი გადაფანტა  
და შერუჯულ მილში ბუქი  
გზის ნაპირას აგრაგანდა.

თოვლი. თოვლი გაუვალი...  
მშვიდ მხარეში გაჩნდა კვალ  
დაწვას, განადგურებისა  
ზარბაზნების ადის კვამლი  
ცაში, განა ღუმლებისა.

ბუციებში თუ დამზრალ ღორღზე,  
ცივ მიწურში იდგნენ ძმები,  
ტანკებთან თუ ზარბაზნებთან,  
შეციებულ ცხენთა გვერდით.  
გრძელ ღამეთა გათენებას  
მოელოდნენ მეომრები.  
ყინვას მაინც არ წყევლიდნენ,  
არ სჩვევიათ ჭირში მოთქმა.  
ოღონდ ფაშისტს გაუჭირდეს,  
საკუთარ თავს ვინ ჩიოდა.

გულკეთილი ბიჭი ნატრობს:  
მტერს მოყინოს ყინვამ ფეხი,  
სუსტში უჭირს ფაშისტ „ბატონს“,  
ყინვას იტანს რუსი გლეხი.  
სახელოთა რტყმევა — ტაშით  
და ყამირზე მებრძოლთ ბტუნვით

თენდებოდა გარიყრაფი,  
იწყებოდა დღე ფრონტული.  
აღიოდა მკრთალი კვამლი,  
ცეცხლი ერთო შექმნილუღვით,  
და ვედროთი ბიჭებს წყალი  
ამოქონდათ გაყინული.  
ღამისთევით დაქანცული  
ჯარი წამოიჭრებოდა,  
ქვიშასავით ხრეში თოვლით  
პირის ბანა იწყებოდა.  
ჯგუფდებოდა, მწყრივდებოდა,  
ხელს ავლებდა ქვაბებს, კოვზებს,  
გრძელი რიგით მიდიოდა  
ხალხი სამზარეულოსკენ.  
ბლომად წვენი, ბლომად ჩაი...  
ასკდებოდა სახეს ზეითქი.  
მერე ომი — სამუშაო:

— დაწყეთ!

ასეულის კვალზე, ტყისპირ,  
მეკავშირის ყუთით მხარზე  
მიდის ვასილ ტიორკინი,  
ახვევს, აბამს მავთულ-ხაზებს.

თავს დალუნავს ასეული,  
თოვლს აშავებს ჯერი ცეცხლის,  
ტიორკინი უხმობს: — ტულა!  
ტულა, ტულა, ჩემი გესმის?

თან ჩაუკრა თვალი ყველას:

— როგორ, ზურგს ვერ ვესაუბროთ? —  
წესისამებრ მილს ჩააბერა  
და გადასცა იგი უფროსს.

მეთაური ძირს გაწევა,  
სწრაფად, ფიცხლად მილს დასწვდება, —

ყველაფერი წესრიგშია,  
დაიძახებს ელვის უმალ:  
მხოლოდ ცეცხლი, ცეცხლი გეშია,  
მოგვეშველეთ, ტულა, ტულა..

იმ სიხარულს, აღტაცებას  
ვერ გადმოსცემ თავის დღეში,  
როცა ჩვენი ზარბაზნების  
ხმას გაარჩევ მტრების ცეცხლში.  
რომ დაახვევს პაერს მქისედ,  
ცეცხლი მიდის ცეცხლის ხაზზე,  
ჭურვი პოლკის ქვეშეხისა  
გადმოგიფრენს მღერით თავზე.  
შორიდან კი მძლავრ ძახილით  
მტრისთვის შიშის ზარდამცემი  
უცბად დაივრუხუნებენ  
დივიზიის ზარბაზნები.  
მოდის ცეცხლი — ქშინავს, ღმუის,  
ვით საბერვლის ცხელი ქარი,  
რომ გაკაფოს, რომ გაწმინდოს  
გასასვლელი ჩვენი ჯარის.

ურტყამს, ამსხვრევს, ბუგავს, სადაც  
გამაგრებულ უბანს ნახავს,  
დაეცემა შეხად სახლზე,  
მტერო, ვერა, ველარ გასძლებ.

თუ გადარჩა ვინმე კიდევ,  
თუ სანგარში ზის ფაშისტი, —  
დაიცადოს... ფეხოსანი  
ამოათრევს იმას ხიშტით.

მიდის მსროლელთ ასეული,  
ტიორკინი აბამს კავშირს,  
ოცეული წინ თუ წავა,  
ისიც მისდევს სწრაფად მაშინ,  
ცოცხალია, უვნებელი,  
მაეთულს თითქოს მარხავს წყალში.

გარეშემო დათხრილ, დახნულ,  
ეკლებიან ჯაგთან, იქვე  
ჩამოვარდა უცებ ჭურვი,  
ტიორკინი გაწვა პირქვე.

ძლივს-ღა სუნთქავს თოვლში მწოლი,  
ჩაუსახლდა გულში შიში,

იგი ზურგით და სხეულით  
უსმენს თოვლში ჭურვის შიშინს,  
ჭურვის ნაცვლად გული სკდება,  
ეთხოვება სული სხეულს,  
— დევს ოხერი, არ ფეთქდება,  
რა ტყუილად ვუცი ვწევს.

გვერდზე ცერად გადახედა,  
ჭურვი ეგდო ბლაგვი, მრგვალი,  
გამოუცნობ ზომის იყო,  
როგორც გოჭი დასაკლავი.

შიშინებდა, ასდიოდა  
ორთქლნარევი რუხი კვამლი.

ტიორკინი გულში იტყვის:  
— რამდენ მებრძოლს ჩაუჭრობდა  
ბრმადანასროლი ჭურვი ბრიყვი,  
მზის სინათლეს, კაბუჯობას.

მიიხედავს უკან ფრთხილად,  
გაიკვირვებს წამით იგი,  
ხედავს: თოვლში ცხვირჩარგული  
მებრძოლები წვანან ირგვლივ.

წამოვარდა იგი ცოცხლად,  
იღებს ამაყ სახის იერს,  
— მმებო, გეყოთ თოვლის ყნოსვა! —  
ტიორკინი დაიყვირებს.

თვითონ თხრილთან დგება ახლოს,  
მის საქციელს ყველა უმზერს;  
ცხადად, ყველას დასანახად  
მოისაქმებს ზედ იმ ჭურვზე.

მტრის მიწურის დანახვისას  
აუჩქროლდა მებრძოლს გული,  
სხვებს გადასცა მან კოლოფი,  
— თქვენ წინ გასწით, მე მოკვებით!

თქვა და იძრო ხელყუმბარა,  
გახტა კვამლში, გაქრა თითქოს,  
— ოფიცრებო, რიგითებო,  
სათითაოდ გამოდიეთ...

დაიძახა, მაგრამ პასუხს  
არეინ აძლევს, უცდის იგი.





ძველ მიწურში არვინ არ ჩანს,  
ტიორკინი შედის შიგნით.

ხმა ფეტქვისა, როგორც კასრში,  
მიწის გულში ისმის მკახედ,  
ვიცი, ყველა ჩვენი წერტი  
ცეცხლს პირდაპირ ისვრის აქეთ.

ვატყობ, საქმე მიდის ცუდად  
და იმითი მაინც ვტკბები,  
რომ უშენენ მიზანს ზუსტად  
ჩვენი არტილერიისტები.

ბელმიწური მკერივი არის,  
თავს არ იგრძნობ ცეცხლის ხაზზე,  
აქ მშვენივრად დაღევ ჩაის,  
გამოუშვებ კედლის გაზეთს.

ნახავ, ქოხი გეგონება:  
გვერდით თბილი ღუმელია,  
მოჩანს იქით პალატები,  
ძირს ქილები, ჩვრები ყრია.

უჩვეულო, უცხოური  
დატრიალებს მქისე სუნი:  
ჯარისკაცის ტანსაცმელის,  
საცვლის, ტყავის და თუთუნის.

კვლავ შემოვლენ? დე მოვიდნენ,  
ახლა მე ვარ თავდაცვაში,  
გასასვლელიც, შესასვლელიც  
აღებული მაქვს მიზანში.

თან მაქვს ორი ხელყუმბარა,  
ვეშაღებო, კარში ვღვებო.  
ცეცხლი ჩაქრა. გადის წუთი,  
პა, გამოჩნდნენ ფაშისტები.

აი, ერთი, ორი მოდის,  
გული ველარ უძლებს ლოდანს.

ტიორკინო, გაუმავრდი,  
მტერი ახლოს გამოუშვი.  
დაუმიზნე ზუსტად, სწორად.  
შისს რა უნდა, ძმაო, გულში!..

მეგობრებო, მოგიყვებით,  
მტერი მედგა მაშინ თვალწინ,  
ორ ნაბიჯზე დავინახე  
გერმანელი ჯარისკაცი.

მოხრილიყო, ცეცხლს უფრთხოდა,  
მოდითა ჩემსკენ მალვით,  
თითქოს საქმეს აკეთებდა, —  
მე, მე უნდა მოვეკალი.

იმ დროს, როგორც ღუმელიდან,  
ძირს საჯდომით ჩავსრიალდი.  
ტიორკინო, ნუ დააცდენ,  
ვინ გაცოცხლებს ხვალ დილამდის..

აფეთქების ხმას ველოდი,  
დადგა ბრძოლის დრო, ვიგრძენი.  
უცებ, ახლოს, რუხ ფარავით  
გადმომიხტა ოფიცერი.

დაუქრელი და ჯანმრთელი  
აღმეშართა წინ ფაშისტი,  
რევოლვერი დამიმიზნა,  
მე შიგ რბილში ვკარი ხიშტი.

იატაკზე დავჯექი ფრთხილად,  
ძლივს ვიყარე ჯავრი მისი,  
ბოლოს ვიგრძენ, რომ მხარიდან  
მძიმედ დაჭრილს დამდის სისხლი.

მუქი სისხლი ჩანს ხაზებად,  
ჩემი არის ის თუ სხვისი?  
უცებ მძიმე ზარბაზნებმა  
დაიქუხეს ისევ რისხვით,

ზარბაზნებმა იგრიალეს  
და მოადგა ბინდი თვალებს.

— ჩვენებია, — იგრძნო მაშინ —  
ტიორკინმა რეტდასხმულმა, —  
დაიძახა: — ცეცხლს ნუ მიშენ,  
ტულა, ტულა, გესმის ტულა!

ვასილს სისხლი დასდის მხრიდან, —  
ზის ცივ კედელს მიყრდნობილი,  
ტულა, ტულა, მეზარება  
ამნაირად აქ სიკვდილი.

იატაკზე, ცივ ორმოში  
არის მართლაც დასაზარი,  
დაიღუპო სველ ფეხებით  
და ნატყვიარ მტკივნეულ მხარით.

მენანება, ასე დაგთმო,  
სიცოცხლეო, მომეც ხელი,  
რომ საწოლზე გავთბე ოდნავ,  
რომ გავიშრო ფეხსახვევი.

შეღვა წუთით. დარდი მოხრის,  
ტულავ, არჩევ მტერ-მოყვარეს?  
ტულავ, — ამბობს იგი ოხვრით, —  
მე ვარ ტულავ, ჩემო მხარე.

და შორიდან იმ წუთებში,  
ყრულ, თითქოსდა მიწის ქვევით,  
მწყობრი, ძმური, მძიმე გრგვინვით  
მოიწვედნენ რკინის მთები.

შეხედვისაც გეშინია,  
როცა მიღის ტანკი ომში,  
ფსკერბრტყელი და მკერდდაბალი,  
ქვემეხით და რვალის კოშკით.

ამ გრუხუნში, ამ გრაგანში,  
უშფოთველად რომ ზის ტანკში,  
ჩვენი ოთხი ნაცნობია  
ახალ ფორმა გადაცმული  
ძმები — ქოჩორგაბარსული.

დღე, ბრძოლაში ხამად იყვნენ, —  
ყველამ თვისი იცის საქმე.  
საჭერეტ ხერელით შეამჩნევენ  
პაწაწინა მიწის ნაკვეთს.

რომ გამოჩნდა ჩვენი ჭურვით  
დანგრეული ძელმიწური, —  
— კარგად ურტყამთ, შიგ მიზანში...  
იტყვის მაშინ ეკიპაჟი.

იქნებ ცეცხლი შეწყდა აღრე,  
იქნებ ვინმე დარჩა საღმე?  
უცებ განზე მიღვა ტანკი,  
ცეცხლს გადმოღერის ჯავშანმჭერტი.

იქნებ ფრიცი ავტომატით  
დასახვედრად დარჩა ერთი,

მეთაური გადასტება,  
უკან ორი გადაპყვება.

ძელმიწურში ფრთხილად შევლენ,  
ხელუშმაბარებს იმარჯვენენ.  
ჩაპყვებიან კიბეს ნელა,  
სიხუმეა, ირგვლივ ბნელა.

— ბინა დაკაეებულა,  
შემოესმით მათ ძახილი,  
ცხადად ესმით, სიბნელეში  
მშობლიური ხმაა ტკბილი.

სისხლით მორწყულ იატაკზე  
წევს მებრძოლი არ ინძრევა.  
წევს მებრძოლი, არ ინძრევა.  
— ვინ ხარ? — პასუხს არ იძლევა.

მიწისფერი დაპკრავს ვაეკაცს,  
ველარ ახელს წამით თვალებს,  
ტანკისტებმა იგი დროზე  
აიტაცეს, წაიყვანეს.

მიჰქრის ტანკი თოვლის კვამლში,  
უგზოდ მიჰქრის ცეცხლის ხაზზე,  
მსროლელ ტანკისტს ტიორკინი  
ჩაუკერია მკერდში ძმასებარ.

დაიარე დედამიწა,  
და სავალი განელე ვრცელი,  
არსად არის, როგორც ომში  
მეგობრობა ასე წრფელი.



## ჯილდოს შესახებ

— ძმებო, განა ამაყი ვარ,  
ასე ვამბობ, რადგან ახლა  
მე ორდენზე არ ვოცნებობ,  
მედალზედაც ვარ თანახმა.

არც მედალის მიტერას ვჩქარობ,  
აი, დიდ ომს რომ მოვრჩებით,  
შვებულება მინდა, ძმაო,  
მინდა ვნახო კუთხე ჩემი.

ვინ რა იცის — ხვალ რა მელის.  
ბრძოლა არის ჩვენი ვალი.  
შინ რომ მივალ, სწორედ მაშინ  
ჩამომკიდე მე მედალი.

უზრუნველმყავ, ხომ ვარ ღირსი,  
იყოს თქვენთვის ცხადზე ცხადი,  
რომ დაგბრუნდი ქარცეცხლიდან,  
მშობელ მიწას მეც ვიცავდი.

ვთქვათ, მივედი ჩემს მხარეში,  
სოფლსაბჭოსთან დამხვდა ლხინი.  
თუ არ დამხვდა? სხვაგან წავალ,  
ნაცნობ სოფლებს მთლად დავივლი.

სხვაგან წავალ სასეირნოდ,  
ჩემსას მაინც არ დავიშლი,  
რომელიმე სოფლად, ძმაო,  
მეც მოვხვდები, ალბათ, ლხინში.

სხვებს არაფრით ჩამოვრჩები,  
არ დავდგები მორცხვად განზე,  
ეს მაზორკა რაღად მინდა,  
ამოვიღებ, მოვწევე „ყაზბეგს“.

ჩამოვჯდები მეგობრებთან,  
ალაგს ვნახავ კიდევ ერთხელ,  
მაგიდის ქვეშ, ბალღობისას  
რომ ვმაღავდი თიშველ ფეხებს.

თან პაპიროსს გავაბოლებ,  
ყველა ნაცნობს შევთავაზებ.  
ბასუხს განა უცებ გაცემ  
მათ ყოველგვარ შეკითხვაზე:

— ძლიერ ჭირდა ცეცხლის ხაზზე? —  
— გააჩნია, სად და როდის.  
— ბევრჯერ იყავ შეტევაზე?  
— ჰო, ხანდისხან, — ვეტყვი ასე.

გოგონები არ ჩასთვლიდნენ  
ბიჭებს ღირსად შეხედვისა,  
ყურს სიამით დაუგდებდნენ  
კრაქუნს ჩემი ღვედებისას.

სუყველასთან ვიზუმრებდი,  
დამრჩებოდა ერთზე თვალი.  
მეგობრებო, სწორედ იმ დროს,  
იმ დროს მინდა მე მედალი!

ეშხიანი გოგო მიმზერს,  
სხვებს არ ავდებს აინუშად.  
— ოჰო, ასეთ შემთხვევაში  
ძმაო, ორდენს არა უშავს...

აი, შენ და ის ლამაზი  
ერთმანეთის გვერდით მოხედით.  
— არა, — უჭრის ტიორკინი,  
არა — ისევ ეტყვის ოხვრით.

არა, ძმებო, არ ვამაყობ,  
ხელმეორედ ვამბობ ახლა,  
მე ორდენი ჯერ არ მინდა,  
მედალზედაც ვარ თანახმა.

ტიორკინო, ჩემო კარგო,  
ხუმრობ, მაგრამ გტარჯავს სევდა.  
მცირე რამეს კი არ ნატრობ  
ფრონტელებთან, ძმაკაცებთან.

ხე მრავალჯერ შეიფოთლა,  
თვეს თვეები მოსდევს ისევ,  
წერილები აღარ მიღის  
შენს მშობლიურ სმოლენსკისკენ.

სად-ღა არის მშობლიური  
სოფლის საბჭო და ასულნი,  
კარგად იცი, ჩემო ვასილ,  
მათკენ ვზაა ჩარაზული.

გზა ჩარაზეს. არ გაქვს ნება,  
მშობლიური კუთხე ნახო.  
საშინელი ბრძოლა არის  
მშობლიური სოფლის ახლოს.

ბრძოლა განა სახელისთვის,  
ბრძოლა არის რისხვიანი სიყვარული  
ბრძოლა არის სიმამრისთვის  
სიცოცხლისთვის დიდ მიწაზე.

### გარემონი

ფრონტიპირა გზატყეცილით  
მიდიოდა ჯარისკაცი,  
კონტად ქაშარშემორტყმული,  
ახალსამოსგადაცმული,  
ეწეოდა თავის ნაწილს.

მჩატედ მისთვის მოდიოდა,  
რომ საბაბი ჰქონდა ვაქცაცს,  
უხაროდა მარცხენასებრ  
რომ იქნედა მარჯვენასაც.

მას კრილობა მორჩენოდა.  
ტყეულობდა ყინვა ტყეში,  
ეწეოდა გზაზე მებრძოლს  
და ატანდა ილღებში.

უცებ მებრძოლს შემოესმის  
ხმა საბარგო მანქანისა,

— მოდი, დაჯექ, ფეხოსანო,  
სახე თოვლით დაიხილე! —  
კეთილ შოფრის ხმა გაისმა.

— შორს მიდიხარ?

— ისევე ფრონტზე.

— შორჩი?

— მოვრჩი — ეტყვის ისა.

— გმირი გახდი?

— არა, ძმაო.

— მას მოეწიოთ, მომე ქისა.

სამტონიან ავტომობილს  
წინ კოლონა დახვდა უცებ,  
ფეხოსანო თუ მხედარო,  
შესდექ ახლა, მათ გაუსწრებ?

არ დაკარგო წამი მაშინ,  
რადგან ძილი გიღირს ძვირად.  
იმ შოფერმა კაბინაში  
გულიანად მიიძინა.

მერამდენე კილომეტრი,  
მერამდენე ლამე ასე  
მან უძილოდ გაატარა  
ნამქერიან ტიალ გზაზე.

ტყისპირიდან დაწყებულ  
ვიდრე შორი მდინარემდის  
გზაზე დადგა მთელი წყება  
ზარბაზნების, თვითმავლების.

მანქანები და ტანკები,  
ზოგი განზე, ზოგიც გაღმა...  
მუხლუხები და ბორბლები  
ღკიალებენ თოვლში ახლა.

მინდვრად ავობს მძაფრი ქარი, —  
რკინასაც კი ყინავს მწარედ,  
სუსხი სულში, მკერდშიც ატანს,  
თავი თუ არ შეაფარე.

— აი, ბედი ამდენ ხალხში  
ნუთუ არვის აქვს გარემონი?  
ისე ცივა, კაცი ლამის  
გაიყინოს უქმად დგომით.

ორთავ ხელის გული სწრაფად  
დაიხილა თოვლით კაცმა,

— გარემონი კი არის, მაგრამ...  
ამოიღო ხმა ვილაყამ.

წვეწვე თუთუნს და მიჭკრიან,  
დაუფარავს ნამქერს შარა,  
ოდნავ გვერდზე თუ მიუხევევ,  
გაიხალე მყის მაზარა.

წაიღოდა საქმე შავად,  
კიდევ კარგი ვაქცის ნიჩბები.  
ყველა ხიფათს გადაელახავთ,  
ჩვენნიანი ვართ ბიჭები.



მარცვლის თოვლის ზელვით,  
თოვლის ტყეპნით, ხტუნვით, ციკვით,  
შარაგზაზე, ტანკის გვერდით  
ხურდებოდნენ ტანკისტები.

გარმონიო?.. რომელსა გაქვთ?

— ჩვენ გვაქვს, — ერთმა თქვა და  
შეღება,

თან მსროლელმა დამნაშავეის  
მსგავსად წამყვანს გადახედა.

— მაშ დავუკრათ, ძმებო, გზაზე?

— კი არ გვაწყენს, დაუკარი.

— ვისი არის ეგ გარმონი?

რალაცაზე წუხხართ მგონი...

ვისიც იყო — აღარ არი.

მას წამყვანი ეტყვის ახლა:

— კარგი მეთაური გვყავდა.

დაიღუპა. ჩვენ დავმარხეთ,  
ეგ გარმონი მას უყვარდა.

— ჰო... წარმოთქვა ჯარისკაცმა, —

გაეღიმა უხერხულად,  
ისე, თითქოს მათ რაიმე  
აწყენია უნებურად.

ფრთხილად იწყო განმარტება:

— არ ვიცოდი, შეგობარო,  
ბოლოს ეს თქვა: მე შეგონა,  
დაკერა შეიძლებოდაო.

კვლავ მსროლელი უბასუხებს:

— ის ამ კოშკში იჯდა გუშინ.  
ორნი დავრჩით. ჩვენს მეთაურს  
გუშინ მოხვდა ტყვია გულში.

რადგან საქმე ასე არი,  
არ დავუკრავ, ერთი სიტყვით.  
ორი წელი ცეცხლში დავყავ,  
ომს სახსოვრად მოუცია  
ჭრილობა და კონტუზია.

აბა, ახლა თქვენ განსაჯეთ,  
ისევე ომში გაეალ ხვალაც.

— დაუკარი, მოდი, დაჯექ.

დაუკარი, — თქვა წამყვანმა  
გინგლიოთეჯა

მან შეახო ხელი სამ მწყრის,  
კარგად უკრავს — მიხედნენ ხელად.  
თეთრ კლავიშებს, წესისამებრ,  
დაბლა ჩაჰყვა თავპირველად.

მივიწყებულ ძველ სიმღერას  
იწყებს იგი თვალისლულვით.  
სევედიანად დაირხევა  
ლექსი დარდით დანისლული,  
ქალწულების სასიმღერო,  
მშობლიური, სმოლენსკური.

ფრონტის გზაზე თითქოს დათბა,  
თითქოს სითბო გამოვიდა  
იმ გატრეცილ, დაძველებულ  
ობლადშთენილ გარმონიდან.

ხალხი მაშინ, ვით ცეცხლისკენ,  
მათვენ გამოემართება.  
ვის გარმონზე ვინ რას უკრავს —  
აბა ვის რა ესაქმება!

გვერდით ორი ტანკისტი ზის  
და უმზერენ მებრძოლს ხარბად,  
ემცნაურათ მეგარმონე,  
ვერ მიმხედარან, სად უნახავთ.

ახალგაზრდებს ჯარისკაცი  
ემცნაურათ წამით მართლაც.  
თითქოს სადმე შეხვედროდნენ,  
წაეყვანოთ ტანკით სადღაც.

და თითების შენაცვლებით,  
ლაზათით და ლალად ისევე  
მან გარმონი აამღერა  
სამ ძმა კაცზე, სამ ტანკისტზე.

თითქოს მართლა მათზე იყოს  
ეს სიმღერა გამოთქმული,  
მოიღუშნენ ტანკისტები  
ტყავის ქურქებგადაცმულნი.

მებრძოლის ხმა შორს მოუხმობთ,  
ორის გული ვერ ისვენებს:

ჰე, ბიჭებო, თქვენ როგორი  
ნორჩები ხართ ჯერ ისევე.

უფრო მეტსაც გეტყვით, მაგრამ  
სათქმელს ჩემთვის შევინახავ,  
უფრო კარგად დაეუკრავდი,  
რომ შემეძლოს მეტი ახლა.

თავი წუთით დავივიწყე,  
გარმონის ხმას რომ გავყვი.  
მოდით ახლა, წამოვიწყით  
საოხუნჯო, მოსალხენი.

გასათბობად წამოსული  
მებრძოლები გარს ერტყმიან.  
— ძმებო, ცოტა დამაცადეთ,  
ხელი ლამის გამეყინა.

სიცივისგან მას თითები  
გაუწითლდა, როგორც ვარდი.  
დაეხსენი, ძმავო, ვალსებს,  
ის დაუკარ, რომ უკრავდი.

კვლავ გაიძრო ხელთათმანი,  
გადახედა ბიჭებს ლალად  
და სამშფკრივი მეგარმონემ  
შეაბრუნა თითქოს დაღმა.

მივიწყებულ, განვლილ ამბებს  
არ ამღერებს, არ იხსენებს;  
ვინ დაწვება საუკუნოდ,  
ვინ სად დასცეს, სად ისვენებს.

ვინ შინ მივა — არ დახედება  
აღარც ცოლი, აღარც სახლი,  
ვის სიცოცხლე ეღირსება,  
რომ გაჯეგოს ხვალ ბალახი.

ტაში დაჰკრეს. წყვილი-წყვილზე  
საცეკვაოდ გადის სხარტად,  
სითბო ჩადგა მჭიდრო წრეში,  
ჯანშიც სითბო დატრიალდა.

— მხიარულად, ჰე, ქალებო!  
— არ დაადგათ ფეხი ფეხზე!  
უცებ მათკენ ის შოფერი  
გამოქანდა, მებრძოლს ეძებს.

ვისი ძუძუნაწოვარი,  
ვის ეზოში გადასულა? <sup>ეროვნული</sup>  
— არ მოდიხარ?! — <sup>დადამოქმუნეს</sup>  
ინ შოფერმა მოსვლის უმაღ.

მუშაობა გაახტრა  
მეგარმონემ სწორედ ამ დროს,  
ბევრჯერ ისე გაიხუმრა,  
ვერ გამოეთქვამ რომ ვეცადო.

თითქოს იყოს დიდ ზეიმზე  
და იატაკს ზნექდეს მართლაც.  
სასაცილო, საოხუნჯო  
ცოცხალ სიტყვებს ფეხქვეშ თანტავს.

ხალხს ზედიზედ მიაძახებს:  
— რად მაცვია თქვის ჩექმა,  
ჰე, მშობილო, ჰქონდეს ქუსლი,  
რომ ავტეხდი ჰეჰა-ქუხილს,  
ცას შესძრავდა ჩემი ჰეჰა.

ჰე, ბიჭებო, განი, განი,  
ლამის ფეხზე დავიხადო  
და ქუსლები დავიჭედო,  
ჩემებურად გავიშართო,  
ძველებურად დავიჭექო.

გარმონი კი უხმობთ შორით  
და მიაფრენს მათ ფიქრს სადღაც.  
ჰე, ბიჭებო, თქვენ როგორი  
საკვირველი ხალხი ჩანხართ.

ამ ჯანმაგარ ახალგაზრდებს  
ხვალ მოელოთ ცეცხლი, ომი.  
არ ფიქრობენ დღეს ამაზე, —  
რა სჯობს ახლა — ეღერს გარმონი.

ეღერს, გამოთქვამს სათქმელს წმინდად,  
გულს სიამით შეათრთოლებს.  
ემ ორივე ტანკისტს უნდა,  
რალაც ჰკითხონ მეგარმონეს.

— მეგობარო, იქნებ გვიცან,  
ან გეშლებით ალბათ სხვებში.  
გვახსოვს, მგონი, შენ იყავი, —  
დაგაწვინეთ ლაზარეთში.



ქარცეცხლიდან გაგიყვანეთ  
 მარჯვენამხარ გასისხლული.  
 იძახოდი: წყალი, წყალი,  
 როგორც მზისგან დასიცხული.

წუთით შედგა მეგარმონე,  
 — მერე რაა, სულ აღვილად  
 შეიძლება მოხდა ასე.  
 მან ტანკისტებს უთხრა ტკბილად.

— აქ კარგახანს შევჩერდებით,  
 ჩვენი გზები აქ იყრება,  
 — ეს გარმონი  
 შენ წაიღე, —  
 უთხრეს მებრძოლს ტანკისტებმა.

ოსტატი ხარ ამ საქმისა,  
 თან წაიღე, დაუკარი, —

და გაართვ ფეხოსანი,  
 დაუკარი სანუკვარი.  
 სიტყვას უკრის იგი წამსვე:  
 — როგორ, კმებო, როგორ ასე?..  
 — არა უშავს... — თქვა წამყვანმა, —  
 შენ გეკუთვნის, გაძლევთ გარმონს,  
 ჩვენს მეთაურს რომ უყვარდა  
 ვინახავდით ამის გამო.

უცხად შორი ტყის პირიდან,  
 ვით ძახილი ზარბაზნისა,  
 მთელ კოლონის გასაგონად  
 «მანქანებზე!» ხმა გაისმა.

კვლავ ბორცვები, კვლავ ნამქერი  
 თოვლში აეტო ახმაურდა.  
 გზას მისდევდა ტიორკინი, —  
 იგი იყო, რა თქმა უნდა...

ორი ჯარისკაცი

მინდვრად ბუჭი დამძვინვარებს  
 და გუგუნე შორით ისმის,  
 სარკმელთან ზის ბერიკაცი,  
 ღუმელზე წვეს ცოლი მისი.

ხმა ნაღმების, ხმა ნაცნობი  
 ხმა ფეთქვისა ისმის ქოხში,  
 სტუმრად არის ტიორკინი,  
 ამავე ღროს არის ომშიც.

და ნაღმების სკდომას არც კი  
 ისმენს თითქოს ბერიკაცი.  
 — ჰე, მოფრენენ. დაწექ ახლა, —  
 ბერიკაცმა ქალს გასძახა.

— ჰე, გაბრუნდნენ, — იტყვის იგი  
 და ბებია კრელთვალემა  
 შიშნაქამი თითქოს სიკვდილს  
 ღუმლის თავზე ემალება.

იგი რომ არ აფასებდა,  
 არ აგდებდა ანგარიშში,  
 უმაღლესადა ხშირად ბებერს  
 საკუჭნაოს გასაღებებს.  
 ქმრის ყოველგვარ მოძრაობას  
 აკვირდება ახლა შიშით.

ძველ ხერხს იღებს ბერიკაცი,  
 ქლიბით კბილის ლესვას უწყებს,  
 თითქოს ტულაში ედოს პირში,  
 იმნაირად მანკავს ტუნებს.

— ელესავ, ელესავ, მიიწე არ კრის,  
 გინდ წაუსვი თევზის ქონი.  
 ადგა მაშინ ტიორკინი,  
 — კბილგასაყარს ვერ იპოვნი?

ხერხს ეფერა იგი წამსვე,  
 კუნძს მივარდა, არ მოეშვა.  
 ხერხი ქარიულაბიასებრ  
 გაიმართა. გაჭრა შეშა.

თვალს ჩაუტრავს ჯარისკაცი  
 შორი-ახლოს მიმდგარ პაპას:  
 — ხედავ? უფრო კარგად გაკრის,  
 თუ იპოვნი კბილგასაყარს.

მარტო ნახვა მოგხიბლავდათ,  
 როგორ კრიდა ხერხი ძველი,  
 რა ლამაზად მუშაობდა  
 მეომარი გლეხის ხელი.

ტიორკინი ეტყვის მოხუცს:  
 აბა, ნახე, პაპავ, ახლაც.  
 კარგ იარაღს რად აძაგებ,  
 ეს აჯობებს მრავალ ახალს.

ბოლოს ვასილს მასპინძელმა  
 გამოართვა ხერხი რიდით.

— ვინ გვაჯობებს ჯარისკაცებს, —  
 რიხიანად იტყვის იგი.

— ჩემს ჯარისკაცს, — თქვა

დიდელად.

თვალს დააკლდა, დამიბერდა.  
 ეს საათიც შეილო, ნახეთ,  
 არ მუშაობს იმ ომს აქეთ...

საათს იღებს ტიორკინი,  
 ჩაიხედავს შიგ ღიმილით:  
 ზამბარაზე ქსელი აკრავს,  
 დამტვერილა წისქვილივით.

ის დაკიდა ახალ ქოხში  
 ჯარისკაცმა — ჩვენმა პაპამ  
 და უბრალო ფიჭვის კედელს  
 ძველისძველი შერჩა ლაქა.

ჯერ ვერაფერს ხედება კაცი,  
 ესეც ხერხი ზომ არ არის  
 რომ აუწყოს კლიბით პირი,  
 აკვირდება ყველა ნაწილს,  
 ბოლოს ჩუმად, ნაღვლიანად  
 დასტვენს ჩვენი ტიორკინი.

ტულად მიდის ახლა საქმე, —  
 იტყვის იგი, შეპყოფს საღვისს,  
 მტვერში რალაც შეამჩნია,  
 საათს სინჯავს ოსტატივით.

შეუბერავს, შეაფურთხებს  
 ქსელმოღებულ ნაწილს იგი,  
 გაიოცეს მოხუცებმა, —  
 შემოესმათ მათ წიკწიკი.

საათი რომ ამუშავდა,  
 ბერიკაცი დაიძახებს:

— შეხე, ჩემო ბებრუხანავ,  
 ვინ გვაჯობებს ჯარისკაცებს.

ხარობს პაპა და ბებიაც  
 ხელს მიიტანს ყურთან ფრთხილად,  
 განაბული უსმენს საათს,  
 — ამუშავდა! — იტყვის ტკბილად.

გაუკვირდა, თან შეაქო:

— ყოჩაღ, ბიჭო, შე ეშმაკო,  
 ჩაიღიმა ტიორკინმა  
 და ბებიას უთხრა მაშინ:  
 — შემიძლია დაგეხმაროთ  
 ღორის ქონის მოხრაკევაშიც.

ომი არის, შეილო ომი,  
 ქონს კითხულობ? სად მაქვს ქონი?  
 — ქონი რომ გაქვთ, კარგად ვიცი,  
 არ ყოფილა რადგან ფრიცი.

ოხვრა მორთო დედაკაცმა,  
 ტიორკინის გადაამკიდემ.  
 — ასე როგორ შეიძლება...  
 შე ეშმაკო, ხმა გაკმინდე.

ბერიკაცმა ეშმაკურად  
 ჩასწორჩულა ვასილს ყურში:  
 — ვინ გვაჯობებს ჯარისკაცებს,  
 ქონი არის ცხრაკლიტულში.

ძირს ჩამოდის დედაბერი,  
 გასაღებებს დიდხანს ეძებს,  
 ქონს გაადნობს და წუხილით  
 ზედ დაახლის ტაფას კვერცხებს.

ერბოკვერცხზე კარგი რაა,  
 ერბოკვერცხზე სასარგებლო,  
 ზედ არაფიც თითო ჭიქა  
 მოგვიხდება სანაქებო.

— მასპინძელო, შევევით ცოტა,  
 გამოვცალოთ თითო-თითო,  
 ჯანმრთელობას უხდებო.  
 ექიმებმა მითხრეს თვითონ.  
 ქურჭელს იგი მოხსნის საცობს:  
 — ჰა, გაამოს, ბერიკაცო!

ჭიქას დასცლის მასპინძელი,  
 აუტყდება მოხუცს ხველა,  
 პურის ნატებს რომ უყნოსავს,  
 დანაყრდება იგი ხელად.



ტიორკინი არყის ჭურჭელს შეანჯღრევს და ეტყვის პაპას:

— ვის ვაათობს ასე ცოტა, მებრძოლს უნდა არსებობა. გამოეცალოთ ერთიც, აბა, — მეტი რაღა გაეწყობა. ახალგაზრდას გვერდზე უზის ნაომარი კაცი ძველი, მეგობრულად, მეომრულად მსჯელობს სტუმარ-მასპინძელი. ცხარობს პაპა: — რისთვის მიქებ თქვის ჩექმებს, ამხანაგო? კარგებია? რომ დასველდეს სად გააშრობ, აბა, კარგო? მიწურში ხომ ვერ გააშრობ? რა სჯობს ტყავის ფეხსაცმელებს, შიგ რომ წყალი ვერ გაატანს და მალდის ფეხსახვევებს. რაღა მინდა ამის მეტი, მე ვიქნები მაშინ ღმერთი! სადღაც ჭურვით მკერდდაჭრილი მზრალი მიწა აზანაზრდა. ეს არაფრად არ ჩააგდო მოხუცმა და ახალგაზრდამ. ბერიკაცმა თქვა ტრამახით:

— ძველად ომში ვინ ჩიოდა, როცა ჭურვის ნამსხვრევები შიგ ფაფაში გვიცივოდა. შიგ ცვიოდა, — კოვხით ვკრეფდით, კაცს ხედებოდა, კლავდა წამსვე.

— ჯერ დაბომბვა არ გისინჯავს, მიტომ ამბობ, პაპავ, ასე. მართალია, თქვენ იწვნიეთ უფრო მწარე გაკვეთილი.

— შეილო, თუ გყავს, ეს მითხარი,

— რა თუ გყავსო, რაო?

— ტილი.

ერბოკვრცხს ჭამს ჯარისკაცი, ქონში ლუქმას დინჯად აწყობს. თან ღიმილით ამბობს იგი:

— ნაწილობრივ ეგაც მყავსო. ხომ გყავს? შენ ხარ მეომარი, ღირსხარ ჩემთან დაჯდუ...  
ძველ ჯარისკაცს ახალგაზრდა ჯარისკაცი უყვარს ძმასებრ. აბა, ახლა ამ შეეითხვას უპასუხე გულახდილად, თქვი, სამხედრო თვალსაზრისით დავამარცხებთ მტერს ნამდვილად?

— დამაცადე, გეტყვი, პაპავ, ბოლო ლუქმას გადავეყლაძავ. საქმელს სჭამდა იგი ბლომად, მადიანად, განა ხარბად, შეხედავდი და მაძლარიც ინდომებდი ჭამას ალბათ. რომ მოწმინდა ფართო ტაფა, მან სუფრიდან ადგომისას დაკეცილი ხელსახოცი ნიკაპისქვეშ გამოისვა. თითქოს სიგრძე მოემატა, თითქოს ფრთები გამოისხა. ბოლოს კი არ დავიწყნია თქმა გულწრფელი მადლობისა. გაისწორა ღვედი ხელად, გაემზადა წასასვლელად. მოხუცთ ხელი ჩამოართვა და სიჩუმე ჩამოვარდა. ქობი ირგვლივ მიმოზვერა, გაუსწორა საათს მზერა.

— იმუშავებს ას წელიწადს! თქვა და გვერდზე მდგარ ბერიკაცს ბოლოს უთხრა მოფერებით:

— მტერს ნამდვილად მოვერევით. მინდვრად ბუქი დამძვინვარებს, ომის ზარი შორით ისმის, ზის სარკმელთან ბერიკაცი, ლუმელზეა ცოლი მისი. და სამშობლოს შუაგულში ქარს მიაპობს გაშლილ მკერდით. თოვლს მიარღვევს ტიორკინი, რომ გაეუფოს ფამისტები.

თარგმანი **რუთარ ზელიძისა**

## ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ

★

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, რომელთა მეცნიერული შესწავლა უდავოდ ახალ შუქს მოჰფენს ჩვენი სახელოვანი მწერლის, როგორც დიდი მოღვაწისა და მოაზროვნის, შესანიშნავ პიროვნებას.

ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“ (სახელგამი, 1949 წ.) შეძლებისდაგვარად ჩვენ უკვე მოვხვებით იმ „სამართლიანი“ საზოგადოების დაახლოებითი კონტურები, რომლის აშენებისთვისაც იბრძოდა ი. ჭავჭავაძე. შემდგომი კვლევა-ძიების ამოცანა ისაა, რომ გაარკვიოს ამ საზოგადოების ეკონომიური შინაარსი, ე. ი. გამოიკვლიოს ის ეკონომიური საფუძველი, რომელზედაც ი. ჭავჭავაძის იდეალური საზოგადოება უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი.

სწორედ ამ ფართო ამოცანის ზოგირთი საკითხის გაშუქებას ეძღვნება წინამდებარე წერილი.

### I

უწინარეს ყოვლისა, მოკლედ შევჩერდებით ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ეკონომისტზე საერთოდ<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის

<sup>1</sup> თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ამ არ ვცხირობთ ი. ჭავჭავაძის, როგორც ეკონომისტის, სრული დახასიათება წარმოვიდგინოთ.

პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი არ არის თავმოყრილი ერთად, ავტორის ერთს რომელიმე ცალკე ნაშრომში; ეს შეხედულებანი გაბნეულია ი. ჭავჭავაძის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ-კაში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერჯერობით გამოცემული არ არის. განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვან მასალას ი. ჭავჭავაძის ეკონომიური აზროვნების დასახასიათებლად შეიცავს ავტორის ისეთი თვალსაზრისი მეცნიერული ნაშრომები, როგორცაა: „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმე“ (ორი ნარკვევი), «ირლანდია და ინგლისი (საისტორიო-საეკონომიო ნარკვევი)», «კერძო და სათემო მიწათმფლობელობა», „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“, აგრეთვე: მრავალრიცხოვანი წერილები ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების ირგვლივ, „შინაური მიმოხილვები“ და ა. შ.

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის გამოუცემელ ნაწერებს<sup>1</sup>, მათშიც ბევრია ისეთი,

<sup>1</sup> ამ ცოტა ხნის წინათ გამოირკვა, რომ არსებობს ი. ჭავჭავაძის მრავალი უცნობი პუბლიცისტური წერილი, რომლებიც არ შესულა ილიას ნაწერების არც ერთ წინანდელ გამოცემაში და დღემდე არც კვლევა-ძიების საგნად გამხდარა. ეს წერილები (დაახ. 40 თამაშამდე) დაწერილია უმთავრესად გასული საუკუნის 80-იან წლებში და თავის დროზე ავტორის ხელმოწერულად გამოქვეყნებულია გაზ. „ივერიაში“. მათი დიდი ნაწილი შეეხება და აშუქებს საქართველოს ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებების გამოსარკვევად. საკმარისია დავასახელოთ ავტორის ისეთი შესანიშნავი ნაშრომები, როგორცაა: „ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“<sup>1</sup>, „სატამოეხო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა“<sup>2</sup>, მიწაძმფლობელობის კრედიტი“ (კამათი გაზეთ „Новое обозрение-სთან)“<sup>3</sup>, „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“<sup>4</sup> და მრავალი სხვა.

შეიძლება დაწვრილებით შეგვესწავლა ი. ჭავჭავაძის ეკონომიური ნაშრომები და გამოგვერკვია, თუ რა სიმალღეზე ავიდა მათი ავტორი როგორც ეკონომისტი, რა მიიღო ან რა უარპყო მან ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გამოჩენილ წარმომადგენელთა ნაწერებიდან, შესძლო, თუ ვერა შემდგომ განევითარებინა მათი აზრები და ა. შ., მაგრამ ასე ფართო მიზანს არ ვისახავთ. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის, რომ დავანახოთ მკითხველს, თუ რა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გააჩნდა ჩვენს მწერალს მეცნიერების ისეთ სპეციალურ დარგში, როგორც პოლიტიკური ეკონომია.

ამ მიზნისათვის საკმარისია ახლოს გავეცნოთ ი. ჭავჭავაძის ერთ უაღრესად საინტერესო წერილს, რომელიც, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია ავტორის ეკონომიური აზროვნებისათვის.

ეს წერილი დაწერილია 1882 წელს, „შინაური მიმოხილვის“ სახით და მიძღვნილია ეგრეთწოდებული „მიხსენ-

რის პროექტისადმი“, რომელსაც თურს დროზე ჩვენს საზოგადოებაში ცხარე კამათი გამოუწვევია. ამ პროექტის მიზანი ყოფილა ჩვენში „ღვინის კეთების“ სააქციო საზოგადოების შექმნა, რომელსაც ორნახევარი მილიონი მანეთის საბრუნავი თანხა უნდა ჰქონოდა.

წერილის პირველ ნახევარში ილია დაწვრილებითს ანალიზს უკეთებს მეისნერის პროექტის როგორც მომხრეთა, ისე მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს და ასეთ დასკვნამდე მიდის:

„ღრმად რომ ჩავეკვირდეთ ყოველს თქმულს და დაწერილს ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზედ დაეინახავთ, რომ ორისავე მხრის მსჯელობა — მექომავეთა თუ მეწინააღმდეგეთა — უმთავრესად ერთს საგანს დასტრიალებს, სახელდობრ იმას თუ, — კარგი იქნება თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის მოვლენა ორ-მილიონ-ნახევარ ფულისა იმ დანიშნულებით, რომელიც უკისრებია მაგ ფულისათვის ბ-ნ მეისნერის პროექტს“.<sup>1</sup>

სწორედ აქ დასმული კითხვის გადაჭრისადმი მიძღვნილი ილიას წერილის მთელი მეორე ნახევარი, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა.

თავისი მსჯელობის დასაწყისში ავტორი მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რომლებიც მას აღებული საგნის საფუძვლიანად გარკვევაში წინ ეღობებოდა. იგი ამბობს:

„გაპირდება იი რაშია: აქ ისეთი მხარეებია მეცნიერებისა ხელშეხებელი, რომ მთელი ტრაქტატი საპოლიტიკო ეკონომიისა მოუნდება კაცს, რომ არ დაიბნან და თავის საკუთარის მსჯელობისათვის გზა გაიკვლიოს; სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ პირველი, ღონე არა გვაქვს ამ ტრაქტატს დასაწერად და მერმე, თუნდაც შეგვექ-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1876 წ., № 39.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1887 წ., №№ 112, 113, 115, 116 (სტატიის სათაური: პირობითია, ილიას მიერ ის დანათარებელი არ არის).

<sup>3</sup> გაზ. „ივერია“, 1887 წ., ივლის-აგვისტოს ნომრები (სტატიის სათაური: პირობითია).

<sup>4</sup> გაზ. „ივერია“, 1895 წ., ნოემბერ-დეკემბრის ნომრები (სტატიის სათაური: პირობითია).

ლოს, სად დაეტიოთ მაგოდენა ტრაქტატი, და მესამე, — თუნდაც დატევაც შეიძლებოდეს, რა სიტყვებით გამოვთქვათ. ჩვენდა სამწუხაროდ, — მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თითონ ევრეთწოდებულნი ფრაზეოლოგია. ამიტომაც, ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ „შინაურის მიმოხილვისას“, ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვიერებისა შეადგენს“.<sup>1</sup>

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, ქართულ ენაზე არც ერთი პოლიტიკურ-ეკონომიური თხზულება არ მოიპოვებოდა. ჩვენი ენა მაშინ მართლაც ჯერ კიდევ მუნჯი იყო პოლიტიკური ეკონომიისათვის და ილია ჭავჭავაძემ ერთმა პირველთაგანმა სცადა აემეტყველებია იგი ამ მეცნიერების სიტყვებით ჯერ კიდევ ამ სამოცდაათი წლის წინათ.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების ქართველი ინტელიგენცია მიესალმებოდა „მეისნერის პროექტის“ მსგავს წამოწყებებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოში სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის სწრაფი განვითარება. ეს ინტელიგენცია ქართველი ერის ხსნას, მისი გამდიდრებისა და ბედნიერების წყაროს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებაში ხედავდა.

ილია ჭავჭავაძე კი, რჩებოდა რა ერთგული თავისი პოლიტიკური კონცეფციისა, მხედველობაში არ იღებდნ კაპიტალისტთა კლასის (აგრეთვე კაპიტალიზმისაგან წარმოშობილი პროლეტარიატის) ინტერესებს და მხოლოდ გლეხობისა და თავად-აზნაურობის მორიგებასა და მათს კეთილდღეობაზე ფიქრობდა. ამასთან ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, როგორც ყოველთვის წი-

ნათ, ისე მც-იან წლებში, და შემდეგაც ილიას უმთავრესი ზრუნვეს უკანა იყო გლეხობა, — ქაჭთველი ერის ეს დაჩაგრული უმრავლესობა, ერის ეს „სული და გული“. ამ მხრივ დამახასიათებელია ი. ჭავჭავაძის მიერ ამ პერიოდში ნათქვამი შემდეგი სიტყვები:

„ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, მშად და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ საზოგადოებას (ლაპარაკია „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებაზე“ — პ. რ.) სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-აზნაურობა-კი გამოსულა და იძახის მეო და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე“ თუნდა იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის ძალიან არავინ შეიტკივებს“.<sup>2</sup>

საკითხის ამგვარ გაგებას სავესებით აღასტურებს ილია ჭავჭავაძის მიერ მეისნერის პროექტის მიმართ დაკავებული პოზიციაც. თავის წერილში ამ საკითხზე ილია გამოდის, როგორც გლეხთა ნამდვილი იდეოლოგი. სწორედ გლეხთა პოზიციებიდან და მათი ინტერესების თვალსაზრისით სწყვეტს იგი კითხვას: „კარგი იქნება თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის მოვლენა ორმილიონ-ნახევარ ფულისა იმ დანიშნულებით, რომელიც უკისრებია მაგ ფულისათვის ბ-ნ მეისნერის პროექტს“.

იმისათვის, რომ ბოლომდე ნათელი გახადოს მეისნერის პროექტის კაპიტალისტური, მტაცებლური ბუნება და დაამტკიცოს, რომ მეისნერის სააქციო საზოგადოება გამდიდრებას კი არ მოუტანს ქართველი ხალხის ძირითად ნაწილს, ღვინის უშუალო მწარმოებლებს — გლეხობას, არამედ კიდევ უფრო გაალატაყებს და გააჩანაგებს მას, — ილია ჭავჭავაძე იძულებულია

<sup>1</sup> იქვე, გვ. 279.

<sup>2</sup> „ნაწ. სრ. კრებ.“, ტ. VII, გვ. 294.

საკმაოდ დეტალურად შეჩერდეს პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების ძირითად საკითხებზე და განმარტოს მისი საკვანძო დებულებები.

თავისი წერილის უშუალო მიზანს ილია იმაში ხედავს, რომ გაარკვიოს ფულის ბუნება და ამით მეცნიერულად დასაბუთოს საქართველოსათვის მისინერის წამოწყების მიუღებლობა. აი რას ამბობს იგი თავისი მიზნის შესახებ: „რომ გულდაგვრებით და გულმართლად მიუღდეს კაცი ან ერთს აზრს, ან მეორეს, ყველაზედ უწინარეს საქირთა ვიცოდეთ, რა საქმე შეიძლება ვაკისროთ ფულს საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომიის მიხედვით და რა საქმე უკისრებია კერძოდ ბ-ნ მისინერს იმ ორ-მილიონ-ნახევრისათვის, რომელიც, როგორც უჩვეულებს, ისე ზორბად მიგვაჩნია, რომ ზოგს სიხარულით ფეხზე არ აყენებს, აბა ეხლა გავმდიდრდებითო, და ზოგს შიშით აკანკალებს, აბა ახლა დავიღუპებითო“<sup>1</sup>.

მაგრამ ილია ჭკვევაძემ ძალიან კარგად იცის, რომ ფულის ბუნების გამორკვევა შეუძლებელია, თუ წინასწარ არ გეცოდინება რა არის საქონელი და როგორ წარმოიშვა გაცვლა-გამოცვლის საჭიროება. ამიტომ იგი სწორედ საქონლის განმარტებით იწყებს.

„მეცნიერება საქონლის (товар) სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას უღებს, რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც პირდაპირ სახმარად პატრონისათვის საჭიროა. მაგალითებრ, თუ ჩემს პირდაპირ სახმარად თორმეტი კოდი პურია საჭირო და თუ მე ხუთმეტი მაქვს, მარტო სამს სამეტურს კოდს საქონელი ჰქვია“<sup>2</sup>.

სხვა ადგილას ილია ისევე უბრუნდება ამ საკითხს და საქონელს ასე განმარტავს: „ყოველი საგანი წარმოებისა

სარჩოა და მოჭარბებული სარჩო საქონელია“<sup>1</sup>;

ამის შემდეგ ილია ვეჭვობს დანაწილების შედეგად ადამიანთა სააღებო-მიცემო ურთიერთობის განვითარებას და იძლევა საქონლის მარტივი გაცვლა-გამოცვლის ფორმულას.

„ურთიერთობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის, — ამბობს იგი, — წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმანეთს შეხედებიან, ყოველი მათგანი ერთი-მეორის წინაშე ამღებიც არის და გამცემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც ერთი იღებს მას — რასაც მეორე გასცემს, და გასცემს მას, რასაც მეორე იღებს. მაგალითებრ, მე ღვინო მაქვს მეტი და მაკლია პური, თქვენ პური გაქვთ მეტი და გაკლიათ ღვინო. შეხვდით ერთმანეთს სააღებ-მიცემოდ, რა ვარ მე თქვენს წინაშე და რა ხართ თქვენ ჩემს წინაშე? მე ვარ თქვენს წინაშე გამცემი ღვინისა და იმავე დროს ამღები პურისა, თქვენ ხართ ჩემს წინაშე გამცემი პურისა და იმავე დროს ამღები ღვინისა, ესე, რომ ერთმანეთის წინაშე ორნივე ერთ და იმავე დროს ამღებნიცა ვართ და გამცემნიცა. ამ სახით, ყოველი კაცი ეკონომიურის თვალთ, ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ...“

ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც შეახვედრებს ზოლმე ერთმანეთს საქონლის პატრონებს, — მარტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმედებას ჩვენს ენაზე ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჭრილი სახელი ჰქვია: აღებ-მიცემობა (ინჟენ). აქ პირდაპირ საქონელი საქონელზე იცვლება, პირდაპირ, უა-

<sup>1</sup> „ნაწ. სრ. კრ.“, ტ. VII, გვ. 280.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 294.

რარაოდ ხელიდამ ხელში გადადის“.<sup>1</sup> მწელი არ არის იმის დანახვა, რომ აქ ილიას მსჯელობა არსებითად სწორია. განაგრძობს რა გაცვლა-გამოცვლის ანალიზს, იგი საქონლის მარტივი გაცვლა-გამოცვლის ფორმას განიხილავს, როგორც ისტორიულ კატეგორიას, რომელიც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო ეკონომიური ცხოვრების განვითარებასა და წინსვლასთან ერთად. იგი ამბობს:

„ხოლო ეს მარტივი სახე ალებ-მიცემობისა ყოველთვის არ არის სახერხო ადამიანისათვის, ზოგჯერ დიდ ხანს და დიდს ჯაფას თხოულობს, რომ მოხერხდეს, ნამეტნავად მაშინ, როცა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთულად მოეწყობა ხოლმე პროგრესის ზედმოქმედების გამო. აქ საჭიროა ორი პირობა: ერთი — რომ ჩემი საქონელი სხვას უჭირდეს და მეორე — რომ სწორედ იმ სხვის საქონელი მე მიჭირდეს...“

ეს მიზეზი, რომელიც, მაგალითებრ, ლეონის გამცემს და პურის ამღებს აიძულებს უსათუოდ ისეთი კაცი იპოვოს, რომელიც პურის გამცემია და ლეონის ამღები, ძალიან აძნელებს საქმეს, აგვიანებს და აფერხებს საქონლის ხალხში მორიგებას, მიმოსვლას, ხელიდამ ხელში გადასვლას“<sup>2</sup>.

აქედან, ილიას აზრით, ის დასკვნა გამოდის, რომ აუცილებელი იყო საქონლის გაცვლა-გამოცვლის მარტივი ფორმის შეცვლა და ისეთი საშუალებების გამოჩნება, რომელიც გააადვილებდა ალებ-მიცემობას. ასეთ საშუალებად მას ფული მიაჩნია.

აი ფულის როლისა და მნიშვნელობის საინტერესო განმარტება, მოცემული ილია ჭავჭავაძის მიერ:

„იმ საშუალებას, რომელიც ამისთანა ალებ-მიცემობას შესაძლოდა ხდის, უსა-

თუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი, — საქონლს ღირებულების (ценности) ცხადი გამოჩვენების და მით შესაძლო პყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან; იმითომ რომ ალებ-მიცემობაში უსათუოდ სხვადასხვა სახის, თვითების და თვისების საქონელი იგულისხმება, და რადგანაც ალებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორედ აიღება და მოიცემა, და რადგანაც სხვადასხვა-გვარ საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულების რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა ალებ-მიცემობისათვის. მეორე, — ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის ალებისა კი არა, არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალას სყიდვისას (всеобщая покупательная сила).

მაგისთანა საშუალება ფულია.

აი ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა... ფული საყოველთაო ეკონომიაში ყოველად უფარგისი საგანია ყოველისფერში, გარდა იმი-სა, რომ საშუალებაა ალებ-მიცემობისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდება ალებ-მიცემობის საქმეს“.<sup>1</sup>

თავის შესანიშნავ მსჯელობას საქონლის გაცვლა-გამოცვლასა და ამისთანა დაკავშირებით ფულის წარმოშობაზე, ილია ასე ამთავრებს:

„ჩვენ ვიცით ესლა, რომ ალებ-მიცემობის სახე ორგვარია. ერთი მარტივი, როცა ერთი სახის საქონელი სხვა სახის საქონელზე იცვლება პირდაპირ და მეორე რთული, როცა საალებ-მიცემო საქონელთ შორის სხვა საგანი, ესე იგი, ფული მოქმედობს. პირველის სახე

<sup>1</sup> იქვე, გვ. 281 — 282.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 284.

ასეა: საქონელი-საქონელი; და მეორისა: საქონელი-ფული-საქონელი...

ამ სახით, ფული ეკონომიებრივ იმისთანა საგანია, რომლის საშუალებითაც უფრო ადვილად და ხერხიანად საქონელი საქონელზე იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანეთში სააღებ-მისაცემოდ მოქმედობენ; ესე იგი, ეკონომიებრივად ერთმანეთში მიიქცევა-მოიქცევიან. საცა მაგვარი მიქცევა-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი (рынок) ჰქვიათ და მთელი ჯამი აღებ-მიცემობისა, მთელი რიცხვი მაგ-გვარის მიქცევა-მოქცევისა საქონლის პატრონთა ერთმანეთში — შეადგენს მას, რასაც მეცნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას (обращение товаров).<sup>1</sup>

ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე უშუალოდ გადადის მეისნერის პროექტის აგვარვიანობის განხილვაზე და უდიდესი დამაჯერებლობით არკვევს მის მტაცებულურ, კაპიტალისტურ ბუნებას. მეისნერის დაპირებას იმის შესახებ, რომ ღვინით ვაჭრობას გაემართავ და მხარეს გაემადიდებო, ი. ჭავჭავაძე გამანადგურებელ კრიტიკას უპირისპირებს:

„იყიდი ღვინოს, რომ ისევ გავყიდლო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო...“

ღვინოს იყიდის, რომ ისევ გაჰყიდოს. რას ნიშნავს ეს? აქ ფული რა მოქმედებაშია? აი რა მოქმედებაშია: აქ ფული თითონ ზღბა აღებ-მიცემობის საგნად და ღვინოს ამის საშუალებად ხდის. აქ ფული გადის ფულისვე შემოსატანად ღვინის შემწეობით, ესე იგი ფული ფულზედ იცვლება. აქ აღებ-მიცემობა არ არის, იმიტომ — რომ აღებ-მიცემობაში გასაცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სახე საგანი კი არა, როგორც აქ ფული ფულზედ, არამედ სხვადასხვა-გვარი, სხვადასხვა-სახე საგანი, მარტო ღირებულების რა-

ოდენობით შეტოლებული, მაგალითურ, რომ ჩაფი ღვინო და ერთე კლდო მჭრი. მაშ რა არის, თუ არა აღებ-მიცემობა ვაჭრობაა, რომელიც ბუნებითად ერთ-გვარი სახეა ფულის გასესხებისა, იმიტომ რომ ფულით ფულის შოვნა სესხებაა. ამ შემთხვევაში, როგორც სესხებაში, ფული ისე არ გაიცემა, რომ სარგებლით უკუე არ მოიქცეს, მაშასადამე, აქ ფული გადის, რომ მეტი ფული შემოვიდეს. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვიჩვენებს, რომ ყოველი მანეთი ღვინის სყიდვით — მანეთსა, ექვს შაურს და ოთხ კაპეის შემოუტანს აქციონერებსაო. აი, მაშასადამე, როგორი სახე ექნება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის მოქმედებასა: ფული-ღვინო-ფული +34%. აქ ფული ეძლევა ღვინის მკეთებელს იმისათვის, რომ ღვინის მსმელის კისრიდამ ამოიღოს იგივე ფული +34%. ამ სახით აქ ღვინო თითქოს ვექსილია ღვინის მსმელისაგან ჩამორთმეული სასარგებლოდ ფულის პატრონისა. აქ ფული საშუალება აღარ არის აღებ-მიცემობისა, თავის ეკონომიურს მნიშვნელობას ჰკარგავს, აქ თვითონ ფული აღებ-მიცემობის საგნად ზღბა.<sup>1</sup>

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძე აქ მეცნიერულად ხსნის ფულის კაპიტალად გადაქცივის პროცესს. იგი იძლევა არა მარტო კაპიტალის ფორმულას ფ—ს—ფ („ფული გადის ფულისვე შემოსატანად“), არამედ აგრეთვე ზედმეტი ღირებულების ფორმულასაც ფ—ს—ფ + ნამატი ფული („ფული გადის, რომ მეტი ფული შემოვიდეს“).

განსაკუთრებით საინტერესოა ი. ჭავჭავაძის დასკვნითი მსჯელობა:

„ფული რაკი თავის პირდაპირ დანიშნულებას გადასცდება ხოლმე, რაკი გასყიდვას სყიდვისათვის არ მოაზღვნს, არამედ სყიდვას გასყიდვისათვის... მა-

შინ ფული საქონლის სააღებ-მისაცემო საშუალებად კი არ ზღვება, არამედ სააღებ-მისაცემო სავანად საქონლის საშუალებითა. ამ ყოფაში ფულს ქვეყნის გამდიდრება კი არ მოსდევს, არამედ იმისი, ვის ჯიბიდანაც ამოდის, რათა იმის ჯიბეშივე უკანვე ჩავიდეს. უბარტყებლად ჯიბიდან ფულის ამოსვლა და ჩასვლა ტყუილი ნაცარქექიობა იქნებოდა. ამიტომაც, ფული ამ შემთხვევაში მარტო იმის სიხარბეშია, რომ რაც შეიძლება დიდის მოგებით დაუბრუნდეს იმავე ჯიბეს, საიდანაც ამოვიდა. მაგ სიხარბეს საზღვარი არა აქვს, მაგ გზაზე დამდგარი ფული ისეთი კრუხია, რომ რამდენი კვერცხიც გინდათ შეუწყოთ, იმდენს ბარტყს ეცდება გამოუჩეკოს თავის პატრონს“.<sup>1</sup>

ან კიდევ:

„აი ყოველთვის ამისთანა შედეგი აქვს, როცა ეგრეთწოდებული კაპიტალიზმის წარმოება თავს ამოკყოფს ხოლმე ქვეყანაში და ფებს მოიკიდებს. აი სწორედ ამის გამო ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ „კაპიტალიზმის წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ზელში არ შეარჩენს წარმოების საშუალებასა და ცდილობს მარტო მისის მარჯვენის ანაბარას დაადგოს და სხვა ყოველისფერი ჩამოართვასო“.<sup>2</sup>

აი ასეთ ყოველმხრივ შესანიშნავ მეცნიერულ დასკვნებამდე მიდის ი. ჰავკვაძე.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ილიას აზრები ღირებულებისა და ფასის შესახებ. მოვუსმინოთ:

„ღირებულება (ценность) და ფასი

(цена) ერთი და იგივე არ არის. ღირებულება არის ის რაოდენობა სხვადასხვა-გვარ საქონელთა ერთმანეთის წინაშე, რომელიც შესაძლოა ხდის საქონლების ერთმანეთზედ ცვლასა. მაგალითებრ, ვთქვათ, ორი თუნგი ღვინო ერთს კოდს პურზედ იცვლება, ეს რაოდენობა (ღვინისა ორი თუნგი და პურისა ერთი კოდი), რომელიც შესაძლოა ხდის ღვინის გაცვლას პურზედ და პურისას ღვინოზედ, მათი ღირებულებაა ერთმანეთის წინაშე. ფასი კი იგივე ღირებულებაა საქონლისა, მხოლოდ ფულის რაოდენობით გამოთქმული...“

როცა ღირებულების რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და ფასის რაოდენობა კი ხან მატულობს, ხან კლებულობს, — ამით არც არაფერი აგებს, არც არაფერი იგებს... მეცნიერებაში დადგენილია კანონი, რომ თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს — ერთიორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთიორად აიწევს მხოლოდ, და რასაც მწარმოებელი ამით მოიგებენ გასასყიდში, იმდენსავე წააგებენ სასყიდში. ეგვევ მოხდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი-ორად დაეცემა და მწარმოებელი რამოდენსაც წააგებენ გასასყიდში, იმოდენსა მოიგებენ სასყიდში. არც ერთს შემთხვევაში სასწორი გაცემისა და აღებისა არ შემოიღება“.<sup>3</sup>

განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ ილია ჰავკვაძე საქონლის ღირებულებას მასზე დახარჯულ შრომას უკავშირებს. საშუალო მუშის ძალღონეს იგი მიიჩნევს საქონლის ღირებულების შემქმნელად, ხოლო მის მიერ დახარჯულ დროს — ღირებულების სიდიდის საზომად.

„თუ რომელსამე ქვეყანაში, — ამბობს იგი იქვე, — სიმრავლე და საქო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 302 — 303.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 307. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ეს ციტატი ეკუთვნის კ. მარქსს (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“ № 4 — 5, გვ. 230). ჩვენ ვერ ვიპოვეთ პირდაპირი საბუთი ამ აზრის დასადასტურებლად, თუმცა ციტატი თავისი შინაარსით მართლაც უთუოდ მარქსის ტულია.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 290 — 291.



როგა ღვინისა და პურისა ერთსა და იმავე ღონეზედ დგას, ესე-იგი უცვლელია, და თუ ამასთან ორის თუნგის ღვინის მოსავალი ერთს შუათანა მუშის ღონესა და დროს ინდობებს და ამდენსავე ღონესა და დროს ერთის კოდის პურის მოყვანა, მაშინ მათის ღირებულების შემლა არაფერს არ ძალუძს: ასწევთ, თუ დასწევთ ერთს, აიწვევა და დაიწვევა მეორეც, ერთსა და იმავე ზომით“<sup>1</sup>.

დაბოლოს, აი კიდევ ფრიად საყურადღებო აზრი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ბაზრის როლისა და მნიშვნელობის შესახებ:

„ბაზარი... როგორც საერთო, საყოველთაო სასწორი საქონლის ღირებულებისა თვითოეულის სურვილს კი არ ემორჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ზოლმე, ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სივრცეზე. ტყუილია, თუ ეკონომიური ვითარება საზოგადოდ ისეთია, რომ ორ თუნგ ღვინოზედ მარტო ერთი კოდი პური იშოვება, რაც უნდა მაღლა ასწიოთ თქვენის ღვინის ფასი, მაინც იმოდენას მოგცემენ, რამოდენადაც ერთი კოდი პური იყიდება იმავე დროს და იმავე ბაზარში... ფულის სიმრავლე, უკეთუ რიცხვი ერთობ საქონლისა ჩვენს ქვეყანაში იგივეა, არაფერს შეგვმატებს“<sup>2</sup>.

ამრიგად, იხილავს რა პოლიტიკური ეკონომიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორცაა: საქონელი, გაცვლის პროცესი, ფული, კაპიტალი, ღირებულება ფასი და სხვ., — ჩვენი სასიქადულო მწერალი ყველგან ამგვარებებს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შესანიშნავ ცოდნას, და რაც მთავარია, იძლევა ნიმუშს ამ ცოდნის გამოყენებისას საკუთარი ქვეყნის ეკონომიური

ცხოვრების პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ი. შავჭავჭავაძის ეკონომიური ნააზრევები სრულიადაც არ არის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დებულებათა უბრალო განმეორება, მათი ასლი. ილია ჭავჭავაძე უადრესად ორიგინალური მოაზროვნეა და როგორც სხვა დარგში, ისე პოლიტიკურ ეკონომიაშიც მის ნაწერებს მძლავრი და დამოუკიდებელი გონების მუშაობის ბეჭედი აზის.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა თვალი დაგვეხუჭა და ამასთანავე ერთად არ დაგვენახა ილია ჭავჭავაძის ეკონომიური აზროვნების სერიოზული ნაკლოვანებანი. ზემოთ ჩვენს მიერ გარჩეული, „მეისნერის პროექტისადმი“ მიძღვნილი წერილი მით არის დამახასიათებელი და, მაშასადამე, საინტერესო, რომ მასში, როგორც სარკეში, მოჩანს ი. ჭავჭავაძის როგორც ეკონომისტის არა მარტო სიძლიერე, არამედ აგრეთვე სისუსტე, მოჩანს მისი აზროვნების სუსტი მხარეები.

ავიღოთ, ფულის წარმოშობის საკითხი. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ ი. ჭავჭავაძეს აშკარად აჩნია იმ შეზღუდულობის კვალი, რომელიც დამახასიათებელი იყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მამამთავარის ა. სმიტისათვის<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, სმიტისათვის გაუგებარი დარჩა ფულის წარმოშობის ნამდვილი პროცესი, მას ფული გამოჰყავდა ცალკეული ინდივიდების, „გონიერი ადამიანების“ მოქმედებიდან, რომლებიც ცდილობდნენ გადაელახათ ის წინააღმდეგობა და უხერხულობანი, რაც აფერხებდა პროდუქტების პირდაპირ გაცვლას ერთი-მეორეზე. ამიტომ ის ფულში ხედავდა მხო-

<sup>1</sup> დამახასიათებელია, რომ ადამ სმიტს ი. ჭავჭავაძე ყველგან უდიდესი პატივისცემით იხსენიებს; მას იგი უწოდებს „სახელგანთქანიან პოლიტიკურ-ეკონომს“ (იხ. „ივერია“, 1887 წ. № 115).

<sup>1</sup> იქვე, გვ. 291.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 300 — 301.

ლოდ გაცელის მოხერხებულ საშუალებას, იარაღს. სმიტის თეორიიდან შორი მანძილი არ არის იმ აზრამდის, რომ ფული „გონიერი ადამიანების“ გამოგონებად ჩაითვალოს.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ი. ჭავჭავაძის იმ ციტატებში ფულის ირგვლივ, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ იყო მოყვანილი, გამოსკვივის ა. სმიტის შეხედულებათა გავლენა. ეს გავლენა კიდევ უფრო აშკარად ჩანს წერილის სხვა ადგილას. აი სათანადო ციტატი:

„ესეთი ალებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცელა ერთის საქონლისა მეღრუხედ, ეს უხერხო, დამავიანებელი მოქმედება თავისის საქონლის გაცემისა და სხვის ალებისა, იმ დრომდე სუფევდა ქვეყნიერებაზედ, ვიდრე კაცობრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებითი საშუალება. ეს საშუალება იმისთანა რამ არის, რომ ოლონდ ჩემის საქონლის ალები კი ვიპოვო და იმას აღარ ვზრუნავ, ეჭნება თუ არა ის საქონელი, რომელიც სახელდობრ მე მიჭირს პირდაპირ მოსაწარად. რაკი ამისთანა საშუალება იპოვეს, მას შემდეგ ალებ-მიცემობის მოსახდენად საჭიროა მხოლოდ ორში ერთი იმ პირობათაგანი, რომელნიც მარტივს ალებ-მიცემობაში ორნი ერთად და ერთ დროს საჭირონი იყვნენ, იმიტომ რომ ამ საშუალების შემწეობით ალება ჩემთვის საჭირო საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა ჩემის საქონლის გაცემა სხვისთვის ერთსა და იმავე დროს და პირდაპირ საჭირო არ არის. აგრეთვე გაცემაც ჩემის საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა ალება სხვის საქონლისა არ არის ჩემთვის საჭირო იმავე დროს და პირდაპირვე...“

აშკარაა, ამისთანა საშუალების შემწეობით ალებ-მიცემობა გაადვილებული იქნება, საქონელი უფრო სწრაფად

გადავ-გადმოვა, საქონლის მიმოსვლა ფეხს აიჩქარებს“. <sup>1</sup> *ეროვნული*  
აქ ა. სმიტის თეორიის მიზნად პირი გავლენა სრულიად უდავოა.

ი. ჭავჭავაძემ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ ფული იგივე საქონელია. მაგრამ, როგორც კ. მარქსი გვასწავლის, „სიძნელე იმის გაგება კი არ არის, რომ ფული საქონელია, არამედ ის, თუ როგორ და რატომ ხდება საქონელი ფულად“.<sup>2</sup>

ეს სიძნელე, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ვერ დაუძლევია.

ავილოთ მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ საკითხი ღირებულებისა და მისი საზომის შესახებ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძის ეკონომიური ნააზრევის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად ჩვენ მიგვაჩნია მის მიერ შრომითი ღირებულების თეორიის აღიარება. მაგრამ ამ საკითხშიც მის ნაწერებს აშკარად ემჩნევა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სერიოზულ ნაკლოვანებათა კვალი.

როგორც ცნობილია, შრომითი ღირებულების თეორიის ჩანასახს ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ უილიამ პეტთან,<sup>3</sup> რომელმაც პირველმა სცადა საქონლის ღირებულება სამუშაო დროსთან დაეკავშირებია. შემდგომში მოაზროვნეებმა, სახელდობრ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორც იყვნენ: ბენ. ფრანკლინი, ა. სმიტი და განსაკუთრებით კი დ. რიკარდო, წინ წასწიეს და საგრძნობლად განავითარეს შრომითი ღირებულების თეორია, რომელიც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის უდიდესი მონაპოვარია.

<sup>1</sup> „ნაწ. სრ. კრებ.“, ტ. VII, გვ. 282 — 283.

<sup>2</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 57.

<sup>3</sup> მე-XVII საუკუნის ინგლისელი ეკონომისტი, რომელსაც კ. მარქსი პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლად სთვლიდა.



ი. ჯავახიანი კარგად იცნობს შრომითი ღირებულების თეორიას, თანაც იცნობს მას მისი განვითარებული სახით, ე. ი. სწორედ იმ სახით, რომელიც ამ თეორიამ დ. რიკარდოს ხელში მიიღო. ამით უნდა აიხსნას, რომ ი. ჯავახიანი არ იმეორებს ამ საკითხში ა. სმიტის შეცდომებს. მას მიაჩნია, რომ საქონლის საცვლელი ღირებულება განისაზღვრება სწორედ მასზე დახარჯული შრომით, ხოლო ღირებულების საზომს წარმოადგენს დრო, ანუ შრომის ხანგრძლივობა.

ამრიგად, უდავოა, რომ ამ საკითხში ი. ჯავახიანი სავსებით რიკარდოს სიმალღეზე დგას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით რიკარდომ, ისევე როგორც საერთოდ კლასიკურმა პოლიტიკონომიამ ვერ შეძლო ბოლომდე მიეყვანა შრომითი ღირებულების თეორია და მეცნიერულად აეხსნა მისი უმთავრესი საკითხი, სახელდობრ: რატომ გამოიხატება შრომა ღირებულებაში, ხოლო შრომის ხანგრძლივობა, როგორც მისი საზომი, შრომის პროდუქტის ღირებულების სიდიდეში? აი რას ამბობს ამის შესახებ კ. მარქსი:

„მართალია პოლიტიკურმა ეკონომიამ (ლაბარაკია კლასიკურ პოლიტიკონომიაზე — პ. რ.) ღირებულება და ღირებულების სიდიდე გამოიკვლია, — თუმცა არა საკმაოდ და ამ ფორმებში დაფარული შინაარსი აღმოაჩინა. მაგრამ მას არც კი წამოუყენებია ოდესმე საკითხი, თუ რად იღებს ეს შინაარსი ამ ფორმას, ე. ი. რად გამოიწვევა შრომა ღირებულებაში და შრომის ხანგრძლივობა, როგორც მისი საზომი, შრომის პროდუქტის ღირებულების სიდიდეში“<sup>1</sup>.

ეს უკანასკნელი კითხვა, როგორც ჩანს, ილია ჯავახიანისთვისაც არ არსებობდა. მისთვის ბოლომდე უცნობი

დარჩა, თუ სახელდობრ როგორია შრომა ქმნის ღირებულებებს უწყობთ აიხსნება, რომ არამეცნიერულად მისი მსჯელობა ბუნდოვანი და არათანმიმდევრულია. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე ციტირებული ადგილი ილიას წერილიდან „მეისნერის პროექტის“ თაობაზე.

„როცა ღირებულების რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და ფასის რაოდენობა კი ხან მატულობს, ხან კლებულობს, — ამით არც არავინ აგებს, არც არავინ იგებს. ამას ცხადად დავინახავთ შემდეგს სასწორზე: ორი თუნგი ღვინო = X ფული = ერთი კოდი პური. აქ მაგ X-ის მაგიერ გინდა ასი დასვით, გინდა ათასი, ღვინოსა და პურის შუა სასწორი არ მოიშლება.“

სულ სხვა იქნება, რასაკვირველია, თუ რომ ფულის მოცუენამ შესალა ღირებულება საქონელთა შორის. მაგალითებრ, ვსთქვათ, მარტო ღვინის ფასი ასწია და პურისა კი ისევ ის დაარჩუნა. ჩვენ ვამბობთ, რომ ფულს, როგორც საშუალებას აღებ-მოცემობისას, ამის მოხდენა არ შეუძლიან. შორს რომ არ გავაბათ ლაბარაკი, საკმაოა ესთქვათ, რომ თუ რომელსამე ქვეყანაში სიმრავლე და საჭიროება ღვინისა და პურისა ერთსა და იმავე დონეზედ დგას, ესე იგი უცვლელია, და თუ ამასთან ორის თუნგის ღვინის მოსავალი ერთს შუათანა მუშის ღონესა და დროს ინდომებს და ამოდენსავე ღონესა და დროს ერთის კოდის პურის

<sup>1</sup> ამ ძნელი თეორიული კითხვის გადაწყვეტა წილად ზედა მეცნიერული კომუნიზმის მამამთავარს კ. მარქსს, რომელმაც თანმიმდევრობით განავითარა და ყოველშორი დასაბუთა შრომითი ღირებულების თეორია. მან დამტკიცა, რომ ყოველგვარი საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს რაოდენობით, რომელიც საქონლის დასამზადებლად არის საჭირო.

მოყვანა, მაშინ მათის ღირებულების შეშლა არაფერს არ ძალუძს“<sup>1</sup>.

საკითხავია, რა აზრი უნდა ჰქონდეს აქ სიტყვებს: „თუ რომელსამე ქვეყანაში სიმრავლე და საჭიროება ღვინისა და პურისა ერთსა და იმავე დონეზედ დგას, ესე იგი უცვლელია“? გამოდის, რომ დახარჯული შრომა ღირებულებას განსაზღვრავს არა ყოველთვის, არამედ რაღაც გარკვეულ პირობებში. მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ „სიმრავლე და საჭიროება ღვინისა და პურისა“ ერთსა და იმავე დონეზე არ დგას, ესე იგი არ არის უცვლელი, არამედ ცვალებადია? ნუ თუ მაშინ მათი ღირებულება და ღირებულების სიდიდე აღარ იქნება დამოკიდებული შუათანა მუშის ღონესა და დროზე“? ავტორი ხომ ღირებულებაზე ლაპარაკობს, და არა ფასზე.

ცხადია, აქ თავს იჩენს სმიტ-რიკარდოს თეორიის ნაკლოვანებანი.

„ღვინის კეთების“ წარმოება, რომლის შექმნა მეისნერის პროექტით იყო გათვალისწინებული — კაპიტალისტური წარმოებაა. ი. ჰავჰავაძე კარგად ხედავს მის მძარცველურ, ექსპლოატორულ ბუნებას და ესარჩლება რა წვრილი მწარმოებლის (გლეხის) ინტერესებს, ბრძოლას უცხადებს მილიონერ მეისნერს და მის პროექტს. მაგრამ ილია ცდილობს კაპიტალისტის დამარცხებას იმე იარაღით, რომელიც სწორედ კაპიტალისტების სამსახურისათვის იყო შექმნილი. აქ არის სათავე იმ ნაკლოვანებებისა, რომელიც ილიას ზემოდსხენებულ ღრმა-აზროვან და უაღრესად საინტერესო წერილს გააჩნია. ა. სმიტის მოძღვრება, რომელსაც ი. ჰავჰავაძე ბევრ შემთხვევაში ემყარება, სწორედ კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარების აპალოგიაა, ჩვენი მწერალი კი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ის „საერთო“ საკაპობრიო

მეცნიერებაა, რომელიც თითქმის ცალკეული კლასების (ილიას ტერმინოლოგიით — „წოდებების“) ინტერესებზე მალა დგას<sup>1</sup>. აი რას ამბობს ი. ჰავჰავაძე 1887 წ. დაწერილ ერთ-ერთ წერილში:

„საპოლიტიკო ეკონომიას საყოველთაო კეთილდღეობა აქვს სახეში და არა ცალკე კაცის, ან თუნდა ერთის რომელსამე წოდების მეტნაკლებობა. ეს რომ არ იყოს, საპოლიტიკო ეკონომია ცალკე კაცის, ანუ წოდების მსახური იქნებოდა და არა მსოფლიოდ თავის სფეროში გზის მაჩვენებელი, როგორც ყოველივე სხვა მეცნიერება“.<sup>2</sup>

ი. ჰავჰავაძე აქ მხედველობიდან უშვებს, რომ მისი დროის პოლიტიკური ეკონომია — ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიაა, და როგორც ასეთი სწორედ ცალკე კლასის, სახელდობრ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება. ი. ჰავჰავაძეს გულწრფელად სწამდა, რომ თვითონ ის, როგორც მოქალაქე, მწერალი და მოაზროვნე მთელ თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა არა ერთ ცალკე წოდებას თუ კლასს, არამედ მთელ ქართველ ხალხს. სწორედ ასევე მას მიაჩნდა, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, ისევე, როგორც ყოველი ნამდვილი მეცნიერება ემსახურება ხალხს, კაცობრიობას, განურჩევლად კლასისა და წოდებისა. ასეთ განმანათლებლურ შეხედულებას, რომელიც ი. ჰავჰავაძემ ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეითვისა, რა თქმა უნდა, თავისი ისტორიული გამართლება

<sup>1</sup> ესეც ვიპოე ი. ჰავჰავაძემ კარგად იცის, რომ სწორედ ა. სმიტის მამამთავარი ე. წ. ფრიტ-რედერობისა, ანუ იმ მოძღვრებისა, რომელიც ქადაგებდა ეკონომიურ თავისუფლებას, — ვაჭრობისა და კონკურენციის თავისუფლებას და ა. შ. (იხ. ამ საკითხზე ი. ჰავჰავაძის წერილი „სატაშოვნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტ-რედერობა და პროტექციონიზმი“, „ივერია“, 1887 წ. №№ 112, 113, 115, 116).

<sup>2</sup> „ივერია“, 1887 წ. № 143.

<sup>1</sup> „ნაწ. სრ. კრებ.“, ტ. VI, გვ. 290 — 291.

აქვს, მაგრამ ეს როდი სცვლის საქმის ვითარებას: შეცდომა — შეცდომად რჩება.

ი. ჭავჭავაძის როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი წერილები-სა და კონსპექტების შესწავლა, აგრეთვე მისი პირადი ბიბლიოთეკის ყურადღებით გადათვალიერება გვარწმუნებს, რომ ჩვენი ავტორი ცდილობდა ევროპის ცნობილ ეკონომისტთა ნაწერებში ეპოვნა პასუხი იმ კითხვებზე, რომელსაც მისი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება დღის წესრიგში აყენებდა, ამიტომ ის არ ზოგავდა ძალასა და ენერჯიას იმისათვის, რომ ზედმიწევნით შეესწავლა კლასიკური და მისი მომდევნო პერიოდის პოლიტიკური ეკონომიის გამოჩენილ წარმომადგენელთა უმნიშვნელოვანესი თხზულებანი.

აღამ სმიტსა და დავით რიკარდოს გარდა, ილიას განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობდნენ სისმონდი და ჯონ სტიუარტი მილი. ამის გამო ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვა ვთქვათ ამ მოაზროვნეებთან ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზეც.

ის დიდი ინტერესი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე შეეცდარეოდა ეკონომისტის სისმონდი დე სისმონდის მოძღვრებისადმი იჩენდა, საეხებით გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ სისმონდი, ეს გარდამავალი ეპოქის მოაზროვნე, წერილი მწარმოებლის დამცველად გამოდიოდა და კაპიტალიზმის კრიტიკას წერილბურჟუაზიული და წერილგლეხური პოზიციებიდან აწარმოებდა.

„ისეთ ქვეყნებში, — სწერდნენ მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, — როგორც საფრანგეთია, სადაც გლეხობა მოსახლეობის ნახევარზე გაცილებით მეტს შეადგენს, ბუნებრივი იყო, რომ მწერლები, რომლებიც პროლეტარიატის

მხარეს იჭერდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული წყობილებების წინააღმდეგ კრიტიკაში ამეც წყობილებას წერილბურჟუაზიული და წერილგლეხური საზომით უდგებოდნენ და მუშებს წერილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ. ამნაირად წარმოიშვა წერილბურჟუაზიული სოციალიზმი, სისმონდი ამ ლიტერატურის მეთაურია არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიაც“.<sup>1</sup>

ი. ჭავჭავაძის დროის საქართველო კიდევ უფრო მეტად იყო გლეხური ქვეყანა, ვიდრე სისმონდის დროის საფრანგეთი. და სწორედ ეს გლეხურობის მომენტი იყო გამსაზღვრელი იმ სიახლოვისა, რომელიც მთელ რიგ საკითხებში უთუოდ არსებობდა ი. ჭავჭავაძის შეხედულებებსა და სისმონდის მოძღვრებას შორის<sup>2</sup>. მაგრამ აქედან არავეითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთი შეუწყნარებელი დასკვნის გამოტანა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ხსადის, თითქოს ილიას მთელი პოლიტიკური და მხატვრული კონცეფცია სისმონდის მოძღვრებაზე იყოს აგებული. სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის ძირითადი საზოგადოებრივი შეხედულებანი არსებითად და პრინციპულად განსხვავდება სისმონდის შეხედულებებისაგან. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ სრული უაზრობა იქნება ვილაპარაკოთ, თითქოს ი. ჭავჭავაძე „პროლეტარიატის მხარეს იჭერდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ“, — რა არის არსებითად საერთო ი. ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკურ იდეალებსა და სისმონდის

<sup>1</sup> „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1948 წ., გვ. 83.

<sup>2</sup> სისმონდის ლექტრინა გაცილებით უფრო ახლოს იდგა რუსი ნაროდნიკების ეკონომიურ მოძღვრებასთან, ვიდრე ი. ჭავჭავაძის კონცეფციასთან (ამ საკითხზე იხ. ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, თხზ. ტ. II).

რეაქციულ მოძღვრებას შორის? გავიხსენოთ, როგორ ახასიათებენ მარქსი და ენგელსი იმ მიმართულების შინაარსს, რომლის მეთაურადაც მათ სისმონდი მიაჩნდათ:

„თავისი დადებითი შინაარსის მიხედვით ამ სოციალიზმს სურს ან აღადგინოს ძველი საწარმოო და სააღმშენებლო საშუალებანი და მათთან ერთად ძველი საკუთრების ურთიერთობანი და ძველი საზოგადოება, ან მას სურს თანამედროვე საწარმოო და სააღმშენებლო საშუალებანი კვლავ ძალად ჩასტენოს ძველ საკუთრების ურთიერთობათა ჩარჩოებში, რომლებიც მათ ააფეთქეს და აუცილებლად უნდა აეფეთქებიათ. ორსავე შემთხვევაში იგი რეაქციულიც არის და უტოპიურიც ერთსა და იმავე დროს.

ამქრული ორგანიზაცია მანუფაქტურაში და პატრიარქალური მეურნეობა სოფლად — აი მისი უკანასკნელი სიტყვა.

თავის შემდგომ განვითარებაში ეს მიმართულება მხალ წუწუნზე ჩამოქვეითდა“.<sup>1</sup>

აქედან ამჟამად ვინც ოდნავ მაინც იცნობს ი. ჰავჰავაძის შეხედულებებს, ის დაგვეთანხმება, რომ სისმონდის მოძღვრებასთან მისი გაიგივების ცდები მოკლებულია ყოველგვარ რეალურ საფუძველს.

რაც შეეხება ჯონ სტიუარტ მილს, ყველაფრიდან ჩანს, რომ ი. ჰავჰავაძეს იგი მიაჩნდა ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ერთგულ მოწაფედ და მათი მოძღვრების ღირსეულ გამგრძელებლად. რა თქმა უნდა, ეს იყო შეცდომა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჯ. სტ. მილთან ილიას ერთ-ერთი იდეური მასწავლებლის, გამოჩენილი რუსი ეკონომისტის ნ. გ. ჩერნიშევსკის და-

მოკიდებულებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ი. ჰავჰავაძისათვის კომუნისტურიდან თავის დაღწევა ადვილად მოხერხდებოდა.

როგორც ცნობილია, ნ. გ. ჩერნიშევსკი დიდად აფასებდა ჯ. სტ. მილს. მან რუსულ ენაზე სთარგმნა მილის ძირითადი თხზულება „Основания политической экономии“, რომელსაც ვრცელი კრიტიკული შენიშვნები და განმარტებები დაურთო. ამ შენიშვნებში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, გააკრიტიკა რა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, კერძოდ კი ჯ. სტ. მილის მოძღვრების მთელი რიგი მხარეები, გამოსთქვა მრავალი უაღრესად საინტერესო და ორიგინალური აზრი, რომელმაც კ. მარქსის აღტაცება გამოიწვია. „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში მარქსმა ჩერნიშევსკის უწოდა „რუსეთის დიდი მეცნიერი და კრიტიკოსი“, რომელმაც ჩინებულად გააშუქა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკატრება, თავის თხზულებაში: *Очерки политической экономии по Миллю*“.

მაგრამ, მიუხედავად მთელი თავისი გენიალობისა, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ვერ შესძლო ბოლომდე დაედგინა ბურჟუაზიული ეკონომისტების შეზღუდულობა და ამადლებულიყო პოლიტიკური ეკონომიის ძირითად პრობლემათა მარქსისტულ გაგებაზე. ცხადია, ამის მიზეზი იყო ჩერნიშევსკის დროის რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ჩამორჩენილობა.

შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმის განვითარებლობა თითქმის არც ერთ მეცნიერებას ისე არ დაეტყობა, როგორც პოლიტიკურ ეკონომიას. პოლიტიკური ეკონომია თვითონ კაპიტალისტური ეპოქის შვილია, ამიტომ მისი ნამდვილი წინსვლა და აყვავება შესაძლებელია მხოლოდ განვითარებული ბურჟუაზიული ურთიერთობის პი-

<sup>1</sup> „კომუნისტური პარტიის მინიფესტი“, 1948 წ., გვ. 63 — 64.

რობებში. ფ. ენგელსი, იკვლევდა რა იმ მიზეზებს, რომლებმაც განსაზღვრეს გერმანიაში პოლიტიკური ეკონომიის ჩამორჩენა, ამბობდა:

„მეცნიერების ყველა დარგში გერმანელებმა დიდი ხანია დამტკიცეს, რომ ისინი დანარჩენი განათლებული ხალხების თანასწორი არიან... მხოლოდ ერთ მეცნიერებას არ მოეპოვებოდა გერმანელის სახელი თავის კორიფტებს შორის; ეს მეცნიერებაა პოლიტიკური ეკონომია. ამის მიზეზი ადვილი გასაგებია. პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების თეორიულ ანალიზს, და ამასთან იგი განვითარებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას გულისხმობს, ურთიერთობას, რომელიც რეფორმაციულმა და გლეხთა ომებმა, განსაკუთრებით კი ოცდაათწლიანმა ომმა, შეუძლებელი გახადა გერმანიაში მთელი საუკუნეების მანძილზე... ვიდრე მიმდინარეობდა ბრძოლა შუა საუკუნეების ისეთი სასაცილოდ მოძველებული ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც 1830 წლამდე გერმანიის მატერიალურ ბურჟუაზიულ განვითარების ბოჯაკედნენ, — არავითარი გერმანული პოლიტიკური ეკონომია არ იყო შესაძლებელი“<sup>1</sup>.

მეფის რუსეთი კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით გერმანიასთან შედარებით კიდევ უფრო ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ეს იყო მიზეზი, რომ ისეთმა დიდმა მოაზროვნემ, როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო, ვერ შესწლო გაკოტრებული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დაძლევა და ახალი პოლიტიკური ეკონომიის შექმნა. ახალი პოლიტიკური ეკონომია მხოლოდ მუშათა კლასის იდეოლოგია შეიძლებოდა ყოფილიყო და, ცხადია, გლეხთა იდეოლოგს ჩერნიშევსკის არ შეეძლო მისი შემქმნელი გამხდარიყო.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“ ტ. I, გვ 411 — 412.

ასე დგას საკითხი გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთისა და მისი ერთ-ერთი უბირველესი მღვიმურეფენეს მიმართ. მაგრამ რაღა ითქმის მაშინდელი საქართველოს მიმართ?

უდათა, საქართველო გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთთან შედარებით ეკონომიურად კიდევ უფრო ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ასეთ პირობებში, ე. ი. კაპიტალიზმის განვითარებლობის პირობებში არც ილია ჭავჭავაძეს და არც სხვა ვინმეს, რაგინდ გენიალური აღამიანიც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეეძლო მეცნიერულად გამოეკვლია კაპიტალისტური წარმოების ბუნება და გაეკეთებინა აქედან რეეოლუციური დასკვნები, როგორც ეს სათანადო პირობებში მოიპოქმედა მეცნიერების დიდმა კორიფემ კ. მარქსმა.

ამით უნდა აიხსნას ი. ჭავჭავაძის როგორც ეკონომისტის სუსტი მხარეები და მისი ეკონომიური ნააზრევის სერიოზული ნაკლოვანებანი. ამითვე აიხსნება, რომ ისეთ ეკლექტიურ მოაზროვნეს, როგორც ჯან სტ. მილი<sup>1</sup> იყო, იგი მეტისმეტად მალლა აყენებდა და საკმაოდ ხშირადაც სარგებლობდა მისი აზრებით.

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მილის კრიტიკაში, ისევე, როგორც საერთოდ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკაში, ილია ჭავჭავაძე არ წასულა ისე შორს, როგორც ჩერნიშევსკი. თუმცა ესეც კია, რომ ილია დიდი მეცნიერის ალღოთი ამჩნევდა იმ წინააღმდეგობებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მილის ნაწერებში და უდიდესი

<sup>1</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ რუსულ ენაზე ნათარგმნი სტ. მილის თხზულება „Основания политической экономии“ (1865 г. т. I, II), რომელიც ილიას გულდასმით დაუკონსპექტებია და მრავალრიცხოვანი ხაზებით აღუტრელებია.

სიფრთხილით იღებდა მისგან მხოლოდ ისეთ აზრებს, რომლებიც თვით ილიას შეხედულებებს ასე თუ ისე შეეფერებოდნენ.

## II

ახლა შევეხოთ კითხვას: რა ეკონომიურ საფუძველს უნდა დაყრდნობოდა ი. ჭავჭავაძის „სამართლიანი“ საზოგადოების შენობა?

ი. ჭავჭავაძემ მშვენიერად იცოდა, რომ ვერავითარი სახელმწიფო, ვერავითარი საზოგადოება, რაგინდ სამართლიანი პრინციპების მიხედვით არ უნდა იყოს იგი მოწყობილი, ვერ იარსებებს და ვერ უზრუნველყოფს თავისი ხალხის კეთილდღეობას, თუ მას არ ექნება მატერიალური დოვლათის სათანადო წარმოება. ასეთ წარმოებად მას, უპირველეს ყოვლისა, მიაჩნდა კარგად მოწყობილი მიწათმოქმედება. ე. ი. სოფლის მეურნეობა.

„თავდაპირველი შემომქმედი, — ამბობს იგი, — ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდევ... საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფაცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს“.<sup>1</sup>

გმყარება რა ასეთ თვალსაზრისს, იგი არაერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ — „ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი — იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის მოქმედებასთანა“.<sup>2</sup> მაშასადამე, ვისაც სურს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, მისი უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი, ილიას აზრით, უნდა იყოს მიწათმოქმედება და მიწათმოქმედთა ურთიერთობის სამართლიანი მოწესრიგება საერთოდ და მიწათმოქმედთა (გლეხთა) მდგომარეობის გაუმჯობესება კერძოდ.

„ბუნებამ, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — რაც უნდა სიმდიდრით ქვეყნის რაიმე ლიმე მხარე, ანუ ქვეყანა; რაც უნდა ჯანმრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც-და-მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შევლის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველ-გვარის წარმოებისა, თუ კი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისო უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ... რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცალოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწეეს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენი ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთაშორისო განწყობილება“.<sup>1</sup>

აი სწორედ ამ „ურთიერთაშორისო განწყობილების“ მოგვარებისაკენ არის მიმართული ი. ჭავჭავაძის მთელი მეცადინეობა. მან კარგად იცის, რომ ადამიანთა ის საწარმოო ურთიერთობა, რომელიც მის დროს არსებობდა, იყო უკუღმართი და უსამართლო ურთიერთობა, ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრის შედეგად, ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის შედეგად. ი. ჭავჭავაძე არა ერთგან მიუთითებს, რომ „პირ-

<sup>1</sup> „წიგნების სრ. კრებ.“, ტ. VI, გვ. 238.

<sup>2</sup> „წიგნების სრ. კრებ.“, ტ. VIII, გვ. 3-5.



ველ-კამური მფლობელობა, ანუ ხმარება მამულებისა, — სათემო მფლობელობა და ხმარება იყო“<sup>1</sup>; მაგრამ „დროთა მიმავლობაში ეს წყობა შეიცვალა და კერძობრივმა საკუთრებამ ძირი გაიკეთა“.<sup>2</sup> ილია ძირითადად სწორად მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც ეს პროცესი გამოიწვია და დაასკვნის: „რაკი კერძო საკუთრება შეებარა სათემო მფლობელობას, მას მერამეთ — დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაციობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემო საკუთრება კერძობითი. ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლეს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა... ამ სახით, თუ ცოტა მეტნაკლებობით, ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა“.<sup>3</sup>

ყოველივე აქედან თითქოს ბუნებრივი იყო, რომ ავტორს სათანადო რევოლუციური დასკვნები გაეკეთებინა. მაგრამ ი. ჭავჭავაძე, ვერ სცილდება რა განმანათლებლის და ჰუმანისტის პოზიციას, არ აყენებს ძალმომრეობით შექმნილი უფლებების ძალითვე წართმევის, „ამ უსწორ-მასწორო წუთისოფლის“ რევოლუციური გზით გასწორების საკითხს. იგი ფიქრობს, რომ ისტორიული უკუღმართობა, — ე. ი. აღამიანთა შორის დამყარებული უსამართლო ურთიერთობა შეიძლება გასწორებული იქნას მშვიდობიანი საშუალებებით: თანდათანობითი საკანონმდებლო რეფორმების გატარებით, სწავლა-განათლების გავრცელებით, სა-

ზოგადობაში პატრიოტული გრძობების გაღვივებით და სხვა მსგავსე ღონისძიებებით. ასეთ პერსპექტივას ეძებს იმ რევოლურ საყრდენს, რომელზედაც უნდა აშენებულიყო მისი საზოგადოების ძირითადი კლასების სამართლიანი საწარმოო ურთიერთობა.

ი. ჭავჭავაძის იდეური საზოგადოების კეთილდღეობა დამყარებული უნდა ყოფილიყო თავისუფალი გლეხის შრომაზე. ეს იყო ამ საზოგადოების საფუძველთ — საფუძველი, მისი საიშედო და უმთავრესი საყრდენი. „მიწა და გუთანნი“ — იმეორებს ხშირად ჩვენი მწერალი და თითქმის ყოველთვის ეს „გუთანნი“ ნიშნავს გლეხს, გლეხის შრომას. სწორედ გლეხს და მის შრომას, მის ურთიერთობას მიწათმფლობელთან და მისი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას დასტრიალებს ი. ჭავჭავაძის მძლავრი გონება, რომლის უმაღლესი მიზანია იხილოს თავისი სამშობლო ძლიერი, ხოლო თავისი ხალხი — მდიდარი და ბედნიერი.

როგორც ცნობილია, რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში გლეხობის სამი ძირითადი კატეგორია არსებობდა: ნაყმევი, ანუ ე. წ. „დროებით-ვალდებული“ გლეხები, სახელმწიფო (სახაზინო) გლეხები<sup>1</sup> და ხიზნები. ი. ჭავჭავაძის ნაწერებში ჩვენ ვხვდებით უდიდეს თავგამოდებას გლეხთა სამივე ამ ჯგუფის პირობების გაუმჯობესებისათვის, მიწათმფლობელ კლასთან (თავადაზნაურობასთან) მათი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

გავეცნოთ ახლოს ი. ჭავჭავაძის უნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს, რომლებიც ხსენებულ საკითხს შეეხებიან.

1 სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებში იმ დროისათვის გაერთიანებული იყო ყოფ. სახაზინო და საეკლესიო გლეხები (ამ საკითხზე იხ. 3. გუგუშვილი „თემური მიწათმფლობელობა აზიურ კავკასიაში“, ეკონომ. ისტ. შრომები, 1. გვ. 13).

1 იქვე, გვ. 337.

2 იქვე, გვ. 135.

3 იქვე, გვ. 138, 140.

დროებით ვალდებული (ნაყმევი) გლახობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საერთოდ ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები განსაკუთრებით რელიგიურად გაშუქებულია ი. ჭავჭავაძის იმ წერილებში, რომლებიც ცნობილია საერთო სახელწოდებით: „ცხოვრება და კანონი“. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის წინააღმდეგ ამ წერილებში ილიას იერიში მიაქვს ესაა ე. წ. მეოთხედობის საკითხი. ლაპარაკობს რა გლახთა განთავისუფლების ისტორიულ მნიშვნელობაზე და იმ პირობებზე, რომელშიც ეს განთავისუფლება მოხდა, ი. ჭავჭავაძე წერს:

„რადგან გლახის აღრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლახს სახმარისად დაუტოვეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განვსაზღვროთ უფლება და მოვალეობა გლახისა და ნაბატონარის შორის. აი ჩვენი ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა... მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისე სჯობიო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამედურავისა და დავიდარების მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლახი მისის ნაჭერის მიწების მუპატრონად არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო...

ჩვენი საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედა აზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლახსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჯ-გამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეო-

რისაც. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონებზე სადავიდარაბო და ორფეულე წესების თავში საცემი... ატყდა ბატონსა და გლახს შორის აუარებელი საჩივარი და დავიდარაბა... გაიმართებოდა ხოლმე ძალმომრეობითი ტაცება, დარბევა და სხვა ამგვარი. ამ დანაშაულობას შეუდგებოდა ხოლმე ახალი საჩივრები და დავიდარაბები. ამეების გამო ცხოვრების ილაჯი გლახსაცა და მუპატრონესაც გაწყვეტილი ჰქონდა. რასაკვირველია, გლახს უფრო, ვიდრე მუპატრონესა, იმიტომ, რომ გლახი დღიური მუშა-კაცია და იმისათვის საჩივრებისა გამო აქა-იქ თრევა და ტანტალი ლუკმა-პურის დაკარგვაა“<sup>1</sup>.

აი, რა შედეგი მოჰყვა, ილიას აზრით, იმ შეუსაბამო, არასწორ პირობებს, რომელშიც ყმების განთავისუფლება მოხდა, კერძოდ კი მეოთხედობის დაწესებას. მაგრამ ი. ჭავჭავაძე მეოთხედობას სწუნობს და ჰგმობს არა მარტო ამ მიზეზით, არამედ წმინდა ეკონომიური თვალსაზრისითაც. აი მისი მოსაზრებანი:

„ეკონომიურის მხრით, წილხედ-ჭერას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ — მაინც-და-მაინც მავნებელი შედეგი მოსდევს. რადგანაც აქ ნაშრომის ნაყოფში, ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წილი უდევს, გლახს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგამომეტებით მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებაზედ მუშაობს, მაშასადამე, შრომა გლახისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამდენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი. მეორე — მიწის განაყოფებისათვის, მიწის გაკეთებისათვის გლახი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგება და წილი კი სრულიად მიაქვს“<sup>2</sup>. ამ აზრის დასამტკი-

1 „ნაწერების სრ. კრებ.“, ტ. VIII, გვ. 69.

2 იქვე, გვ. 16.

ცებლად ილია იმოწმებს ა. სმიტს, ჯონ სტ. მილს და სხვა ავტორიტეტულ ეკონომისტებს.

ამრიგად, მეოთხედობა ყოველმხრივ დაწუნებული და დაგმობილია. ამავე დროს ილია ცდილობს შეუმსუბუქოს მდგომარეობა დროებით-ვალდებულ გლეხებს, გამოიწვიოს მათი ეკონომიური დაინტერესებულება და აამაღლოს გლეხის შრომის ნაყოფიერება. მაგრამ როგორ? ილია ასე მსჯელობს: ნაყმევი გლეხის მიერ ნაბატონარის მიწის წილზედ-ჯერა დაკანონებული ფაქტია, რომლის შეცვლა ჩვენ ხელთ არ არის. მაშ ისევ როგორმე ამ წილზედ-კერის პირობები უნდა შეიცვალოს. მეოთხედობა გაუქმდეს და მის ნაცვლად დაწესდეს მოჭრითი, ერთხელდასამუდამოდ განსაზღვრული გადასახადი — ღალა მიწისა, რომელიც არ უნდა იცვლებოდეს. ამაშია ხსნა. ეს მდგომარეობას შეუმსუბუქებს „დროებით-ვალდებულ“ გლეხს და მისცემს მას იმპულსს შრომის ნაყოფიერების გადიდებისას. მოვეუძინოთ თვით ი. ჰავაზაშვილს:

„ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წილზედ-კერას შევლა არა აქვს, არსაიდან მოვევლება, შევლა აქვს და ძალიან ადვილიცა, ოღონდ კი მიემართათ ჩვეულებას და იგი დაგვანახებებს ხსნის გზასა... არ არის მხარე, არ არის მანრა, საცა დღიურზედ გადაწყვეტილის ზომისა და დადგენილის სახის დალა არ სწარმოებდეს. სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის დალა, — ეგ ადვილად საცნობია, იმიტომ რომ ეგ ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუცდომლად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ ჩვეულებით დადგენილი ღალის რაოდენობა და საზე, და ყოველ ამის კვალად გადაკეთონ აწინდელი წილადობილი დალა თავ-თავისის ადგილის მიხედვითა. არც გლეხი იწყენს ამასა და

არც ნაბატონარი, იმიტომ, რომ მათს გარეშემო მწარმოებელს ჩვეულებებზედ იქნება ყოველივე ეს დამყარებული და ამით არც მწვადი დაიწვის და არც შამფური“<sup>1</sup>.

ასე ადვილად, ასე ნახევრული ღონისძიებებით ფიქრობს ი. ჰავაზაშვილს მოსპოს მიწათმფლობელთა და დროებით-ვალდებულ გლეხთა შორის უთანხმოება, რაც უღრმესი სოციალური მიზეზით არის გამოწვეული. იგი ფიქრობს, რომ მეოთხედობის მოსპობასთან ერთად, მოისპობა „შფოთი და დავიდარაბა“ ორ წოდებას შორის, და ამავე დროს „არც მწვადი დაიწვის და არც შამფური“.

იმავე წერილებში ი. ჰავაზაშვილს განსაკუთრებით ჩერდება ვენახების კუთვნილების საკითხზე. იგი წერს: „ჩვენის ფიქრით, ვენახების თაობაზედ უფრო ადვილად შეიძლება საქმის გათავება, აქ ჩვეულებამ თავისი კქმნა კიდევ და, ამ ჩვეულებას თუ გარედამაც ხელი შეეწყოს, არ გავა ხუთი, ექვსი წელიწადი, რომ ნაყმევენი ვენახების პატრონად შეიქმნებიან. ჩვენში ჩვეულება იყო, რომ ვინც სხვის მიწაზედ ვენახს გააშენებდა, ნახევარი გამშენებელისა იყო და ნახევარი — მიწის პატრონისა. აქაც ჩვეულებამ დაგვიმტკიცა, რომ მიწის — კერაში უძლეველია. თითქმის მთელი კახეთი მოუტირდა გლეხობას ვენახების თაობაზედ მაგ ჩვეულების წინამძღოლობითა და ძალითა, თუმცა აქაც მეოთხედი იყო კულუხად დაწესებული მთავრობისაგან, მაგრამ არც ნაბატონარმა ინდომა ეგ და არც ნაყმევემა. აიღეს მათ და უღრტვირველად, უდავიდარაბოდ, მშვიდობიანად ვენახები შუაზედ გაიყვეს, და ამრიგად გლეხი ვენახის პატრონად შეიქმნა. ამ-გვარი მორიგება წყნარ-წყნარად გადადის ტუილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიცა. ამაში შესანიშნავი ის არის, რომ გლეხი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 22.

უფრო ეტანებოდა ამ-გვარად საქმის გა-  
თავებას, ვიდრე ნაბატონარი; დღესაც  
გლესს უფრო უნდა მაგ-გვარად საქმის  
გათავება, ვიდრე ნაბატონარსა“.<sup>1</sup>

მეისალმება და იწონებს რა ვენახე-  
ბის ამგვარი მშვიდობიანი გაყოფის  
ფაქტებს, ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, ყო-  
ველნაირად ხელი შეეწყოს ამ პროცე-  
სის დაჩქარებას; კერძოდ, მას აუცილებ-  
ლად მიაჩნია ნება დაერთოს სახასო და  
საეკლესიო გლეხებს საჭირო შემთხვე-  
ვებში გაუცვალოს ნაყმევს თუ ნაბა-  
ტონარს თავიანთი ვენახების ის ნაკვე-  
თები, რომლებიც ამ უქანასკნელთა ვე-  
ნახებშია შეჭრილი.

ასეთი ნიმუშები იმ ღონისძიებებისა,  
რომლებსაც ი. ჭავჭავაძე გეთავაზობს  
დროებით-ვალდებულ გლახთა და მემ-  
ბულეთა შორის ერთიერთობის მოსა-  
წესრიგებლად. ძნელი არ არის იმის  
დანახვა, რომ ასეთი ღონისძიებებით  
შეუძლებელი იყო დრ. ვალდებულ  
გლახთა მდგომარეობის რაიმე სერიო-  
ზული გაუმჯობესება. სამართლიანობა  
მოითხოვს ითქვას, რომ თვით ი. ჭავჭა-  
ვაძეც კარგად გრძნობდა მის მიერ რე-  
კომენდებულ ღონისძიებათა ნახევრუ-  
ლობას. მან მშვენიერად იცოდა, რომ  
ლაღაკულუხის მეოთხედობის შეცვლა  
არ არის ისეთი რადიკალური ღონის-  
ძიება, რომელსაც შეუძლია მოსპოს  
ყველა უკუღმართობა და ბოლომდე აღ-  
მოფხერას ბატონყმობის ნაშთები, ის  
პირდაპირ მიუთითებდა, რომ ეს „არ  
არის გვირგვინი ბატონ-ყმობის საქმი-  
სა“ და რომ ეს მხოლოდ შუა გზაა, უკე-  
თესი მასზედ რაც არის, და უარესი  
მასზედ, რაც სანატრელია“<sup>2</sup>.

მაგრამ როგორიღა უნდა იყოს შემ-  
დგომი ნაბიჯი, როგორ უნდა მოხდეს  
დროებით-ვალდებულ გლახის მდგო-  
მარეობის ნამდვილი გაუმჯობესება და

მიწისმფლობელთან მისი ურთიერთო-  
ბის სამართლიანი მოწესრიგება“<sup>3</sup>.

ამ კითხვაზე ილია ასეთ-პასუხს მიიღე-  
ვა: „დღეს თუ ხვალე საჭიროება მოით-  
ხოვს, რომ გლეხი მიწისპატრონად შე-  
იქმნას“<sup>4</sup>. ამის შემდეგ საესებით ბუ-  
ნებრივია, რომ ი. ჭავჭავაძე გულდასმით  
იყვლევს იმ გზებსა და საშუალებებს,  
რომლებმაც დროებით-ვალდებულ  
გლახს უნდა გაუადვილონ მიწის შექენა.  
კერძოდ, ის ლაპარაკობს ისეთი საად-  
გილ-მამულა ბანკის გახსნის აუცილებ-  
ლობაზე, რომელიც გლეხობას იაფ  
კრედიტს მისცემს და ა. შ.

ი. ჭავჭავაძის სიტყვები — „საჭირო-  
ება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატ-  
რონად შეიქმნასო“, — სრულიად  
ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ილია  
მოითხოვდა, რომ მთელი მიწა მხოლოდ  
მიწის მუშას (ე. ი. გლახს) გადასცე-  
მოდა და სხვას არაფერს ჰქონოდა. აქ  
ილია გულისხმობს გლეხებისათვის მხო-  
ლოდ იმ მიწების გადაცემას, რომლე-  
ბიც მათ როგორც დრ. ვალდებულთ  
ეპირათ და რომლებიც რეფორმის დე-  
ბულების ძალით გლახს უნდა გამოეს-  
ყიდა. მაგრამ ამას გარდა, ხომ იყო  
კიდევ მიწები, რომლებიც მემამულეებს  
თავიანთ საკუთრებად ჰქონდათ? ვის  
უნდა დაემუშავებია ეს მიწები, —  
თვითონ თავად-აზნაურებს ხომ არა?

ასეთი კითხვის დასმა მით უფრო  
მართებულია, რომ, როგორც უკვე ვი-  
ციით, ი. ჭავჭავაძე საზოგადოების ყველა  
წევრისაგან სავალდებულო შრომას  
მოითხოვდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ  
საინტერესო კითხვაზე ილია პირდაპირ  
პასუხს არ გვაძლევს. მიუხედავად  
ამისა, თუ გავითვალისწინებთ ილიას  
კონცეფციას მთლიანად, ძნელი არ იქნე-  
ბა ამ კითხვას ეუპასუხოთ: ილია ჭავჭა-  
ვაძისათვის სრულიად არ იყო უცხო  
ის აზრი, რომ თავადებსა და აზნაურებს  
თავიანთ მეურნეობაში საკუთარი ხე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 22-23.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>3</sup> იქვე.

ლით ემუშავათ;<sup>1</sup> მას არაერთხელ მიუძღვნია შესანიშნავი სტრიქონები შრომისაღმ, რომელიც მას ადამიანთა ღირსების საქმედ მიაჩნდა<sup>2</sup>, მაგრამ ამის მიუხედავად, ი. ჰავაზავაძე თავად-აზნაურობის, როგორც კლასის ძირითად ამოცანას ხედავდა არა იმაში, რომ მას, გლეხობის მსგავსად, ფიზიკურად ემუშავნა და ქვეყნისათვის მატერიალური დოვლათი შეექმნა, არამედ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და გარეშე მტრებისაგან მის დაცვაში. მისი აზრით, ქართველი თავად-აზნაურობა უნდა გარდაქმნილიყო, მიეღო განათლება, აემღლებოდა შეგნება და გამსჭვალულიყო იმ რწმენით, რომ ყოველი ქართველი, — გლეხი იქნება ის, თუ თავადი, ერთი დედის — საქართველოს შვილია, მაშასადამე, ერთმანეთის ძმია. ასეთი შეგნებულნი, ამღლებული და პროგრესული თავად-აზნაურობა, რომელსაც კანონის წინაშე არავითარი პრივილეგიები არ ექნებოდა, უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის მმართველი და დამცველი; ის უნდა ყოფილიყო ფარი და ხმალი იმ მშვიდობიანი, ყველასაგან პატივცემული და დაფასებული გუთნისა, რომელსაც ქვეყნის მატერიალური დოვლათის წარმოება ჰქონდა მინდობილი.

აი რა დასკვნები გამოიმდინარეობს ი. ჰავაზავაძის იმ წერილებიდან, რომლებშიც გაშუქებულია რეფორმის შემდეგ დროინდელ საქართველოში შემამულეთა და დროებით ვალდებულ

გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულების აწმყო და მომავალი. დაახლოებით ასეთივე სურათს ვხედავთ გლეხთა დანარჩენი კატეგორიების მიმართაც.

გადავიდეთ ი. ჰავაზავაძის იმ ნაწერების მოკლე განხილვაზე, რომლებიც სახელმწიფო (სახაზინო) ანუ, როგორც ილია ამბობს, სახასო გლეხების მდგომარეობას შეეხება. გლეხობის ამ კატეგორიის პირობების გაუმჯობესებისადმი არსებითად მიძღვნილი ი. ჰავაზავაძის შესანიშნავი წერილი „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, რომელიც დაწერილია 1886 წელს. ამ წერილში ავტორი დაწვრილებით იკვლევს იმ სოფლების ეკონომიურ ვითარებას, რომლებშიც მკვიდრთა მეტი ნაწილი სახელმწიფო გლეხაკობაა, იგი მიესალმება და ყოველმხრივ მხარს უჭერს სათემო მიწების ხელახალ დაყოფას და ამასთან მოითხოვს, რომ პირველ რიგში დატული იქნას ღარიბი და უმიწაწყო გლეხების ინტერესები. ი. ჰავაზავაძე ძვირფას ცნობებს გვაწვდის მაშინდელი ჩვენი სოფლის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ამასთან იგი ამკლავნებს პირველყოფილი თემური წყობილებისა და მასში კერძო საკუთრების ჩასახვა-განვითარების ისტორიის ღრმა ცოდნას.

„ვინც ჩვენებურს სოფლებს და მათს ეკონომიურს განწყობილებას და ვითარებას დაკვირვებია, — ამბობს იგი, — ერთს დიდს ნაკლს შეჰქონინავდა. ეს დიდი ნაკლი უფრო ძლიერ თავს იჩენს იმისთანა სოფლებში, საცა მომეტებული ნაწილი მკვიდრთა სახელმწიფო გლეხაკობაა, ანუ, როგორც უწინ იტყოდნენ, სახასო. ამისთანა სოფლებში მიწათმფლობელობას ორ-გვარი თვისება შეჰპრჩენია დროთა განმავლობაში: და რამოდენადაც დიდი ხანი გასულა, იმოდენად ეს ორ-გვარი თვისება მიწების მფლობელობისა უფრო განთვითეულებულა და განმტკიცებულა გლეხაკობის თვალში. ეხლანდელი სო-

<sup>1</sup> ამ საკითხზე საინტერესო მსჯელობას ვხედებით ი. ჰავაზავაძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის ი. ჯოგებაშვილის წერილში „დღევანდელი კვრეცხი თუ ხელანდელი ქათამი“, რომელიც, ჩვენის აზრით, არსებითად ი. ჰავაზავაძის კონცეფციის ვალმოცემია (იხ. იაკობ ჯოგებაშვილი, „ჩრეული ნაწ.“, ტ. II, გვ. 319).

<sup>2</sup> ამ აზრის დასამტკიცებლად შეიძლება მივუთითოთ თუნდაც ი. ჰავაზავაძის წერილებზე, რომელიც ნინო ბაგრატიონისადმი მიძღვნილი (იხ. თბრ. სრ. კრებ., ტ. II, გვ. 525 — 528).

ფელი რომ გაშინჯოთ მიწათმფლობელობის თვალთ, ჰნახავთ, რომ თითქმის ყოველი სახასო სოფელი მიწათმფლობელობის კვალობაზედ ორს დიდს ნაწილს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკეთესნი, უფრო შემუშავებულნი და უფრო მომკემნი, მკვიდრთა გლეხთაგან სათვითოოდ დაჩემებულნი არიან, კერძოდ განსაკუთრებულნი და საშვილიშვილოდ დაკვირილნი. ამგვარს მიწებს ზოგან ნაფუძრებს ეძახიან და უფრო ხშირად კი მამულებს. ამგვარი მიწები ჩვენთა გლეხკაცთა თვალში არაფრით და არანიშნებით არ განირჩევიან კერძო საკუთრებისაგან, თუმცა კი, გლეხს რომ ჰკითხოთ, იგი მიწები სახასონი და სახელმწიფონი არიან... საიღამ წარმოსდგა სასოფლო მამულებში ეს ამგვარი მიწათმფლობელობა სრულის კერძო საკუთრების ნიშნებითა, როგორ გამოცალკევდა იმ საერთო მფლობელობიდან, რომელიც უძველად ცნობილია მეცნიერებისაგან, როგორც პირველყოფილ კაცთა საზოგადოების ეკონომიური ჰეაკუთხედი, — ესე ყოველი შორი და რთული ამბავია და ამჟამად ამას ჩვენ ვერ გამოვუდგებით.

ხოლო ამას კი გულდაჯერებით ვიტყვი, რომ ეს საერთო მფლობელობა ჩვენთვისაც უცხო არა ყოფილა, როგორც არა ყოფილა უცხო მთელს ქვეყნის კაცობრიობისათვის. ამისი ნიშნები დღესაც თვალსაჩინოდ შერჩენია ჩვენს სოფელს, და მეორე-გვარი სოფლის მიწებისა აშკარად გვეუბნებიან. ეს მეორე-გვარი მიწები, ზოგან „სასოფლოდ“ წოდებულნი, ზოგან „საზოგადოდ“, ზოგან „სათემოდ“ და ზოგან „სახასოდაც“, იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველზედ ნაკლებია, სოფელს მოშორებული და არავისაგან არდაჩემებული. აქ ვინც პირველად და ყველაზედ უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია, მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს

და ჰხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა ვერ სტყვას დაასწრობს, იქ მოხნას და ჩამლენს მის და, იმოდენა მოხნას“, <sup>1</sup>.

მაგრამ რაში მდგომარეობს ის ნაკლი, რომელზეც ავტორი ციტატის დასაწყისში ლაპარაკობდა? ეს ნაკლი და ჩვენი სოფლის მაშინდელი ტკივილი ილიას მშვენიერად აქვს შენიშნული. იგი წერს:

„რაკი ამ სათემო მიწებში ყველა მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა ჰხნას, რა თქმა უნდა — მდიდარი და შემძლებელი გლეხი შეუძლებელსა სჩაგრავს, იმიტომ რომ შეძლებული ყოველთვის შეუძლებელსა დაასწრობს ხოლმე გუთანსაც და ფარცხსაც. გარდა ამისა, ეიწროობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსავეთ გაისაკუთროს, დაიჩემოს. აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულს გლეხს აძლევს უპირატესობას შეუძლებელის წინაშე. იშვიათი ამბავი არ არის, რომ შეძლებულს გლეხს სათემო მამულში უკეთესი და კარგა ბლომა ადგილები დაეპაროს და დაეჩემოს საშვილიშვილოდ. ამ სახით, სხვანი ზელსარიელნი დარჩენილან და იმა შეძლებულისაგან თავისივე სათემო მამულს დალით იღებენ, რომ როგორმე თავი იჩინონ.

აი ის დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის ეკონომიურ განწყობილებისა, რომელიც დღეს ჩვენის სოფლის ტკივილს შეადგენს და რომელიც მიწათმფლობელობის საქმეს ერთის მხრივ ძლევა-მოსილად კერძო საკუთრებისაკენ მიეზიდება. და მეორეს მხრით შესანიშნავის მარცხით — სათემოსაკენ. ამას, რასაკვირველია, შველა უნდა.“ <sup>2</sup>

აქ ილია სავსებით სწორად გადმოგვცემს მაშინდელი სოფლის ვითარების სურათს. მან იცის, რომ გლეხთა

<sup>1</sup> იქვე გვ. 207 — 209.

<sup>2</sup> იქვე გვ. 209-210.

დიფერენციაცია უკვე შორს არის წასული და ღარიბი გლეხის მჩაგვრელად გამოდის არა მარტო თავადი ან აზნაური, არამედ აგრეთვე შეძლებული გლეხი. მაგრამ რაში ხედავს ჩვენი მწერალი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს და ყოველმხრივ შევიწროვებული ღატაკი გლეხის საშველს? ამ შემთხვევაში „მხსნელის“ როლი დაკისრებული აქვს სათემო მიწების ხელახალ დაყოფას. ი. ჭავჭავაძე აღფრთოვანებულია იმის გამო, რომ გლეხებმა ბევრგან თვითონ გამოიჩინეს ინიციატივა და დაადგინეს, მოხდეს სათემო მამულების გადანაწილება.

„ამისთანაებში ყოველთვის გამჭირვანა და მგრძნობიერმა გლეხკაცობამ იგრძნო ეს ტკივილი და წამალიც უპოვნა. ბევრგან განაჩენებია დღეს შემდგარი, რომელშიაც გლეხკაცობამ აშკარად აღიარა, რომ სახასო სოფელი — სოფლისაა საერთოდ და არა თვითეული მკვიდრისა საკუთრივ. დაულო რა თავის განაჩენს ეს დედა-აზრი საფუძელად, დაადგინა, რომ ყველა მკვიდრი იმოდენად მონაწილეა მთელს სოფლის მამულში, რამოდენის მსურველიც არის, თუ სასოფლო მამული ყველას სურვილს გასწედა. და რაკი დღეს მეტ ნაკლებობაა ერთმანეთში და დიდი უსწორ-მასწორობა, განაჩინა — ხელახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქნას სასოფლო მამულები. ამისთანა განაჩენები უკვე შემდგარია ქართლსა, კახეთსა, სომხეთსა და ტფილისის მაზრის სოფლების მიერ... აღვნიშნეთ რა ეს სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო ფაქტი, ჩვენის მხრით ვიტყვი, ბატონყმობის მოსპობის მერმეთ ამისთანა დიდ-მნიშვნელობიანი და ერთობ დიდი საქმე, ჩვენის შინაურის ცხოვრების შესახებ, არა ყოფილა, და არ მომხდარა“<sup>1</sup>.

იკვლევს მიწების გაყოფის სხენებულ წესის დედააზრს და გზა და გზა გამოუსთქვამს მეტად საინტერესო და მარტო რადლებო აზრს. საკითხის თეორიულ გამუქებასთან ერთად ილია იქვე იძლევა პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ მიწების გაყოფისას. ამასთან, იგი ყველგან გამოდის ღარიბი და უმიწა-წყლო გლეხების მეგობრად, მათი ინტერესების დამცველად. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ აუცილებელია დაწესდეს საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრული ნორმები და მდიდარ გლეხებს, რომლებსაც ამ ნორმაზე მეტი ნაკვეთები აღმოაჩნდებათ, ჩამოეჭრას ნაკვეთის ნაწილი და გადაეცეს იგი მცირე საკარმიდამოს მქონე გლეხებს. აი, ილიას სიტყვები:

„ამ შემთხვევაში (ლაპარაკია კარმიდამოზე — პ. რ.) მეტისმეტი ნაკლებობა და უსამართლობაა ჩვენებურს სოფლებში. ზოგი ისეთი კომლია, რომ მთელს დღიურზე გადაქმნილია, ზოგი იმისთანა, რომ იქვე გვერდით სული ეხუთება ვიწროობისაგან. ამის გამო სოფელს უნდა ჰქონდეს ნება, და მოვალეობაც, წინათვე განაჩენში მოიხსენიოს რამოდენაზედ მეტი სასახლე არ უნდა ეჭიროს თვითეულს კომლსა და რამოდენაზედ ნაკლები, და ვის რამდენი უნდა ჩაეჭრას, რა მხრით ჩაეჭრას და ვის მიემატოს... ჩვენის ფიქრით საჭიროა და აუცილებლადაც სოფელმა წინათვე გადასწყვიტოს, სიით აღწესსოს, — ვის, სად, რამდენი და რა მხრით ჩაეჭრას ცარიელი სასახლე ადგილი, ვის, სად, რამდენი და რა მხრით ჩაემატოს. სოფელი. სადაც ყოველს მკომურს და უფროსს კომლისას ნება აქვს თავისი სთქვას, ძნელად შესცდება ამ-გვარებში“<sup>1</sup>.

მაგრამ ესეც ვკითხოთ: ის მდიდ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 210.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 222 — 223.

რები, რომლებიც თვით ილიას სიტყვით, ღარიბებს ავიწროებდნენ და სათემო მიწებს იტაცებდნენ, როგორ დაუშვებდნენ, რომ სოფელს მათთვის ცხვირ-წინ მდებარე საკარმიდამო მიწები ჩამოერთმია და ღარიბებისათვის დაერიგებია? განა სოფლის საერთო

საქმეების გადაწყვეტისას მდიდრებს შეუტი გავლენა და ხმა არა უმეტესად? საკმარისია ეს უბრალოდ უხეშბრთვი კითხვა დავსვათ, რომ სათემო მიწების დაყოფაზე რაიმე სერიოზული იმედის დამყარება უიმედო საქმედ მოგვჩვენოს.

(დასასრული იქნება)



## გაბაღალი იბნ-სინა

★

გაბაღალი იბნ-სინა, ანუ უკეთ აბუ ალ-აბდულ-ჰუსეინ იბნ აბდულაჰ იბნ-სინა, რომელიც მსოფლიოში ავიცენას სახელითაა ცნობილი, ტაჯიკი ხალხის შვილია. მამამისი, აბდულაჰ იბნ-სინა, ბალხელი ყოფილა. დედა, სოთარაბანუ, აფშანელი გლეხის შვილი იყო. დაბადებულია აბუღალი იბნ-სინა 980 წელს<sup>1</sup> სოფელ აფშანაში ქ. ბუხარას ახლოს. აბუღალის მამა შაჰის მოხელე, ვადასახადთა ამკრეფი ყოფილა. მალე იბნ-სინას ოჯახი ბუხარაში გადასულა და პატარა აბუღალიც სკოლაში მიუბარებიათ. „მე იქ სკოლაში შევედი და ათი წლისამ უკვე შევისწავლე ყურანი და ლიტერატურა“, — წერს აბუღალი თავის ავტობიოგრაფიაში.

ბუხარა იმ დროს აღმოსავლეთის ერთ-ერთი დიდი კულტურული ცენტრი იყო. პატარა აბუღალი ცნობილ სწავლულებისათვის მიუბარებიათ. ცოდნის ძიებით გატაცებული ბავშვი დაწაფებია ფილოსოფიას, ლიტერატურას, მათემატიკასა და მედიცინას „...მამაჩემმა მე მიმაბარა ერთ კაცს, რომელმაც მათემატიკა და გეომეტრია იცოდა. მისგან შევისწავლე მე ეს მეცნიერებანი“., გვიამბობს იგი. მალე პატარა აბუღალის იმდენი ცოდნა შეუძენია, რომ მას მასწავლებლები ვერ აკმაყოფილებენ. „ბუხარაში მოვიდა აბუ აბდულაჰ ბაჰილი. ის თავისთავს ფილოსოფოსს უწოდებდა. მამაჩემმა მე მას მიმაბარა. მისგან

ლოგიკა უნდა შემესწავლა, მაგრამ მან ამ მეცნიერების არაფერი იცოდაო,“ — წერს იბნ-სინა. იგი იძულებულია დამოუკიდებლად განაგრძოს სწავლა. არაჩვეულებრივი ენერჯითა და თავდადებით სწავლობს ავიცენა თავისი დროის მეცნიერების ყველა დარგს, ეცნობა ანტიკურ ფილოსოფიას და თვითონვე უკეთებს კომენტარებს. „ლამით სანთლის წინ ვკითხულობდი და ვწერდი. როდესაც ძილი მომეპარებოდა, შარბათის კაბხას ავიღებდი, ვსვამდი სასმელს, ძალას ვიბრუნებდი და ისევ წიგნებში ვეფლობოდი... თუ ძილი თავს წამართმევდა, სიზმარშიც იმავე საკითხებზე ვფიქრობდიო,“ — წერს ავიცენა.

არაჩვეულებრივმა ნიჭმა და გასაოცარმა ნებისყოფამ ნაყოფი გამოიღო. როგორც თვითონ აბუღალი ამბობს, 18 წლისამ მან უკვე იცოდა თავისი დროის მეცნიერების ყველა დარგი მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იგი მედიცინას აქცევდა. 15 წლის ბავშვს ჰიპოკრატესა და გალენის შემკვიდრობა შესწავლილი ჰქონია, ხოლო 16 წლის ქაბუკი იმდენად პოპულარული ექიმი გამხდარა, რომ იგი ბუხარას ემირს ნუჰა ბენ-მანსურს მიუწვევია მკურნალად. უეცრად დაავადებული ემირის წარმატებით მკურნალობამ სენსაციის გამოიწვია მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. „და გაიღო ჩემს წინ მკურნალობის საიდუმლო კარები... მე ვი მაშინ 16 წლის ვიყავიო“, — ამბობს აბუღალი.

18 წლის ქაბუკმა დაამთავრა მეცნიერებათა შესწავლა და მისი მკურნალობა

<sup>1</sup> ავიცენას დაბადების ათასი წლისთავი ვ. წ. მთავრის წელთაღრიცხვითაა ნა. ნგარისშვილი. მთავრის წელიწადი მხისაზე 1/38-ით ნაკლებია.

ცხოვრების წლებიც ამ დროს დამთავრდა. აბუალიმ ჯერ მამა დაკარგა, ხოლო შემდეგ თავისი მფარველი ნუჰა ბენ-მანსური. დიდი მეცნიერის ცხოვრებაში გასვლა სამანიდების დინასტიის დაცემის წლებს ემთხვევა. ამ დროს შუა აზიაში ერთმანეთს ებრძოდნენ სამანიდის ტაჯიკური და კარახანიდების თურქული დინასტიები. სულთანმა მაჰმუდ ლაზნევიმ აიღო ბუხარა და სამანიანთა დინასტიას ბოლო მოუღო. იბნ-სინა სხვა მეცნიერებთან ერთად იძულებულია გაექცეს მაჰმუდს და შამამუნის სასახლეს შეაფაროს თავი ხორეზმში. აბუალი დიდის პატივით იქნა მიღებული ხორეზმ-შაჰის სასახლეში, სადაც მეცნიერებასა და ხელოვნებას აფასებდნენ. ხორეზმ-შაჰის კარზე იბნ-სინა დაუახლოვდა თავისი დროის დიდ მეცნიერებსა და ფილოსოფოსებს—აბუნასლი ერაციუს, აბულხაირი ხამარს, აბულსაჰლი მასჰუმის და დაწერა პოლემიკური ხასიათის ფილოსოფიური წერილები. მაგრამ მაჰმუდ ლაზნელმა იბნ-სინას დევნას თავი როდი დააწება (სხვათაშორის, ეს ის მაჰმუდია, რომელიც თავის დროზე ფირდოუსის სდევნიდა და რომელზედაც გენიალურმა ტაჯიკმა პოეტმა თავისი საქვეყნოდ ცნობილი სატირა დასწერა). განრისხებულმა სულთანმა ხორეზმ-შაჰს მუქარა შეუთვალა და ბუხარელი ემიგრანტი მეცნიერები უკანვე მოსთხოვა. ზოგი მეცნიერი (მათ შორის აბურაიხანი ბირუნი) იძულებული გახდა მაჰმუდს დამორჩილებოდა, ხოლო აბუალი იბნ-სინამ და ფილოსოფოსმა აბუსაჰლი მასჰუმმა სულთანის სამსახურზე უარი განაცხადეს და ღამით ხოვრემიდან გაიპარნენ. აბუსაჰლიმ უდაბნოში წყურვალ ვერ აიტანა და გზაზე დაეცა, ხოლო ავიცენამ აბეგარდს შეაფარა თავი. იწყება გაუთავებელი ხეტიალის წლები. ხოვრეში, აბეგარდი, გურგანი, რკი, ყაზვინი, ჰამადანი, ისპაჰანი და ისევ ჰამადანი, აი პუნქტები, სადაც

დროებით ახერხებდა დევნილი მეცნიერი სულის მოთქმას და აზიის უდაბნოებში ქარავენებოთ მოგზაურობის დროს მოფიქრებული შრომების ქალღმებზე გადატანას. ავიცენას მეცნიერული მოღვაწეობის წლები მისი დევნისა და ხეტიალის პერიოდს ემთხვევა. საყოველთაო გაოცებას იწყებს იბნ-სინა განსაცვიფრებელი ნიჭი და მეხსიერება უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ასეთი კაპიტალური შრომები მეცნიერების სხვადასხვა რთული დარგებიდან ამგვარ პირობებში შეექმნა. ზოგი წიგნი აბუალიმ ციხეში ჯდომის დროს დაწერა ყოველგვარი წყაროების გარეშე.

აღსანიშნავია ავიცენას მოღვაწეობა ჰამადანში, სადაც მან ვეხირობა მიიღო და საყოველთაო პატარისცემა დაიშახურა. აქ შეუდგა დიდი მეცნიერი თავისი ცნობილი წიგნების „ალ-კანუნ ფი-ტ-ტობისა“ („მედიცინის კანონი“) და „ქითაბ უშ-შიფას“ („სამეყრნალო წიგნი“) დაწერას. ჰამადანში ავიცენა მარტო მეცნიერულ მუშაობას როდი ეწეოდა. მეცნიერმა ვეხირობა იზრუნა ხალხის კეთილდღეობისათვის. კაცობრიობის ისტორიაში იბნ-სინა პირველი ექიმი და პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც როგორც მედიცინის, ისე ხალხის ინტერესებისათვის საპროოდ სცნო ავადმყოფთა ე. წ. ჰოსპიტალიზაცია და ჰამადანში კიდევაც დააარსა დარილ-შიფა — კლინიკა — საავადმყოფო. აქ ჰეურნავდა ის ჰამადანელ მოქალაქეებს და აქვე ახდენდა სწავლებას დაკვირვებას. იმდროინდელი ჰამადანის ირავაცია და ქალაქის კეთილმოწყობა ავიცენას სახელთანაა დაკავშირებული, მისი უშუალო მოთხოვნით ჩატარდა მიწის რეფორმაც. აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს დიდი უზბეკი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალიშერ ნავოი. რომელმაც ასეთივე ღონისძიებები ჩატარა პერთში, ორივენი, ავიცენა და ნავოი, თავიანთი ხალხის საუკეთესო შვილები იყვნენ და

ბალხის კულტურისა და კეთილდღეობის სამსახურში იღვწენ.

ავეიცენას პოლიტიკური მოღვაწეობის ხანა სამწუხაროდ დიდხანს აუ გაგრძელეზულა. მალე ჰამ. დანის მფლობელი — შამსუდავლათი გარდაიცვალა და მისი ვაჟი სამოუდავლა გამეფდა. სამეფო კარზე ავეიცენას ინტრიგები მოუწყვეს და დიდი მეცნიერი დილეგში ჩააგდეს. ავეიცენას მეცნიერული მოღვაწეობა ციხეშიც არ შეუწყვეტია. აქ დაამთავრა მან „ქითაბ უშ-შიფა“ („სამკურნალო წიგნი“), თავისი ერთ-ერთი კაპიტალური შრომა. ერთი წლის შემდეგ ისპაჰანის მფლობელი ულოუდავლა ანთავისუფლებს მეცნიერს ციხიდან, თან ზიკყავს ისპაჰანში და ვეზირობას ანიჭებს მას. ისპაჰანში წერს ავეიცენა თავის ცნობილ შრომას „დანეშ-ნამეს“ („ცოდნის წიგნი“) ტაჯიკურ ენაზე. მყუდრო ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელდა: ახლა სულთან-მაჰმუდმა მიაგნო აბუალის. მაჰმუდ ღაზნელი მოდის ისპაჰანის დასაღაშქრავად, ულოუდავლა და ავეიცენა ისპაჰანიდან გარბიან, მაჰმუდი ისპაჰანს დაიპყრობს, მას თავის ვაჟს მასუდს ჩააბარებს, ულოუდავლასა და აბუალი იბნ-სინას დასაჭერად მდევრებს დაგზავნის და თვითონ ღაზნას ბრუნდება. მალე მაჰმუდი გარდაიცვალა, მისი მემკვიდრეები მასუდი და მაჰმადი ერთმანეთს აეშლებიან, მასუდი ღაზნას გაემართება ტახტის ხელში ჩასაგდებად და ულოუდავლაც ახერხებს ისპაჰანის დაბრუნებას. ავეიცენა ისევ შეუდგა სახელმწიფოებრივ და მეცნიერულ საქმიანობას, არაადამიანურმა შრომამ, მძვინვარე შუასაუკუნეების ემირებთან და სნეულებებთან შეუსვენებელმა ბრძოლამ ფიზიკურად მოტემა დიდი მეცნიერი, ფილოსოფოსი და მკურნალი. ერთხელ ჰამადანში მიმავალმა ელოუდავლამ თან იახლა სნეული მეცნიერი. ჭაში იბნ-სინას ავადმყოფობამ მოუარა და ჰიჯრის 428 წელს (1037 წ.) გარდაიცვალა ჰამადანში, დაბადებიდან 57 წლისა.

როგორც კხედავთ, იბნ-სინას მოღვაწეობა მოუხდა მეტად არეულ ეპოქაში, მთელი მისი ცხოვრება ამ ეპოქის დასს ატარებს. იმ დროის დიდი ჰუმანიტის ბიოგრაფია სხვანაირი არც შეიძლება იყოფილიყო. ტაჯიკი ბალხის საუკეთესო შეილებს — ფირდოუსის, რუდაქის, ნასირ ხოსროვასა და სხვებს ასეთივე ბიოგრაფია აქვთ. უსამართლოებისა და ტრანაიის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღიეს მათ მთელი სიცოცხლე; იღვენებოდა პროგრესული იდეა, კემ-მარიტების ძიება სიცოცხლის ფასად ჯდებოდა. მეცნიერებას პატივს არ სცემდნენ, აღმოსავლეთის ქვეყნებს უხიაჯი და უვიცი შაჰები და ემირები განაგებდნენ.

„ამ ბრძევს და მეტრუქს თავში ჰქუა რომ არ ჰქონია და იბლიძება, თუ რამ ცოტა გაუჯონია, რა გაეწობა, გაუწივ, მობილო, ხათრი, თორემ ჰკვიანი მას რეგენი კაცი ჰქონია!“

რამდენი ხელის შეშლა, დამცირება და აღშფოთება უნდა განეცადა ამ რობაის ავტორს — აბუალი იბნ-სინას!

„ამ ქვეყანაზე თუშვა ცოდნით სხეებზე წინა ვარ, ვერ გამიჯია რისთვის მოველ, რა ვაო, ვინა ვარ. ან გამახარა ამქვეყნორ ბედნიერებით, ანდა ამ ქვეყნად, ნეტა, სულ არ დამახინავა!“

ჰგოდებს სასოწარკვეთამდე მისული დიდი მეცნიერი.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, ავეიცენა საოცრად ნაყოფიერი მეცნიერი იყო. ის კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის ძანძილზე დაუნჯებული მეცნიერების ყველა დარგს შეეხო, შეისწავილა იგი და ახალ საფეხუოზე აიყვანა. ტყუილად როდი უწოდებდნენ მას „მეცნიერთა მეფეს“ და „მეორე არის-

ტოტელს“. ავიცენამ ასზე მეტი წიგნი დაგვიტოვა დაწერილი არაბულ და ტაჯიკურ ენებზე. სამოცამდე შრომა მიუძღვნა ფილოსოფიისა და ლოგიკის საკითხებს, 20-მედიცინას, 11 — ბუნებისმეტყველებას. აქვს პოეტურ თხზულებათა რამდენიმე წიგნი თუ კრებული. ამათგან ყველაზე ძვირფასი შრომა „კანონი“ იმდენად დიდი მოვლენა იყო მედიცინის ისტორიაში, რომ იგი ლათინურად ითარგმნა, 35-ჯერ გამოცა, და ექიმთა სახელმძღვანელო წიგნად დარჩა XVII საუკუნემდე. „კანონი“ ხუთი ტომისგან შედგება და შეიცავს ტრაქტატებს ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის, ფარმაცოლოგიისა და ჰიგიენის საკითხებზე. რა თქმა უნდა, ეს წიგნი სავსებით ორიგინალური კმნილება არაა, მაგრამ მასში ბევრია ავიცენას წვლილი სწავლებათა შესწავლისა თუ მათი მკურნალობის საქმეში. ავიცენამ ღრმად შეისწავლა ტუმბერკულოზი, მალარია, თვალის სნეულებანი, ტიფი. აღმოაჩინა მიკრობები და დაადგინა, რომ ბევრი ავადმყოფობა მათგანაა გამოწვეული. ავიცენა აღნიშნავდა სპორტის მნიშვნელობას ადამიანის ჯანმრთელობისათვის. თავის უზარმაზარ შრომაში — „სამკურნალო წიგნი“ — კი განიხილა ფილოსოფიის, ლოგიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, ზოოლოგიისა და მუსიკის საკითხები. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე ავიცენას წიგნებს: „ტრაქტატი პულსზე“, „ტრაქტატი გულის შესახებ“, „ტრაქტატი ციებაზე და სიმსივნეებზე“.

ავიცენა არ ყოფილა კარჩაეტილი მეცნიერი, რომელსაც მხოლოდ თავისი ლაბორატორია და საექიმო პრაქტიკა აინტერესებდა. ავიცენა არც მხოლოდ თეორეტიკოსი იყო. „მედიცინა ფილოსოფიის ჰგავს. ერთსა და იმავე დროს იგი თეორიულიცაა და პრაქტიკულიცა“, — ამბობს აბუალი იბნ-სინა. მაგრამ მეცნიერი თეორიისა და პრაქტი-

კას ერთმანეთისგან როდი აყოფდა. „თეორიული და პრაქტიკული მედიცინა წარმოადგენს ერთ მთლიანს და მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ“, — განაგრძობს დიდი მეცნიერი.

ავიცენა დიდი მკურნალი და ქირურგი იყო და ამის გამო, რა თქმა უნდა, კრიკაში ედგა ისლამს. ალაჰი, როგორც ღმერთი, მის არ სწამდა.

მთელს აღმოსავლეთში გავრცელებულია ავიცენას აფორიზმი — „ჩემს ურწმუნოებაზე უფრო დიდი რწმენა არ არსებობს“.

რა თქმა უნდა, პოეტის ასეთი აზრები კიდევ ვერ ამტკიცებს მის მატერიალისტობას, თუნდაც ათეისტობას. ავიცენა, როგორც მეცნიერი, ზოგჯერ მიდიოდა სამყაროს მოვლენების მატერიალისტურ გაგებაზე, მაგრამ როგორც ფილოსოფოსი, იგი იდეალისტი იყო. მისი მსოფლმხედველობის გაორება გამოწვეული იყო ეპოქის პირობებით. იბნ-სინა ყოველთვის ფაქტებსა და ცდებს ეყრდნობა, უფრო ხშირად იგი ბუნების მოვლენების მიზეზს ისევე ბუნებაში ეძიებს, „სრულქმნილების გზას სიბრძნის ჩირაღდნით ეძებს“, ასტროლოგებსა და ალქიმიკოსებს დასცინის (მათი მტკიცება ცდებს არ ემყარება), სწამს, რომ მატერია ღმერთს არ გაუჩნია, მაგრამ იქვე სიზმრების ახსნას იძლევა, თილისმის მაგიური მოქმედება სჯერა და მაგიური ციფრი და „ავი თვალი“ სწამს.

როგორც აღვნიშნავდით, ავიცენა კარჩაეტილი მეცნიერი როდი ყოფილა. ის იყო თავისი დროის დიდი მოქალაქე და პატრიოტი, ავიცენა დიდი ჰუმანისტი იყო. სპეციალური ტრაქტატები მიუძღვნა მან პიროვნების თავისუფლებისა და ხალხთა სოლიდარობის საკითხებს. „სამკურნალო წიგნში“ იგი აღნიშნავს, რომ საზოგადოების არსებობისათვის საჭიროა ადამიანთა თანამშრომლობა, საამისოდ კი უნდა არსე-

პობდეს კანონი და სამართალი. პამადანში ვეზირად ყოფნისას იბნ-სინას უმიზეზოდ როდი ჰქონია განხეთქილება სამხედრო წრებთან, ფეოდალურ კლასთან, იგი ყოველგვარი ტირანიის მტერი იყო. „თუ მეფე ტირანია, ხალხი სამართლიანად აღსდგება მის წინააღმდეგ“, — აფრთხილებს ავიცენა ხელისუფალთ.

იბნ-სინამ სიცოცხლეშივე მოიხვეჭა დიდება. მას აფასებდა უბრალო ხალხი, მის წიგნებს იწერდნენ და ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ. თვითონ იბნ სინაზე, როგორც უებარ მკურნალზე, ბევრი ლამაზი ლეგენდა შექმნილა აღმოსავლეთში. ქართულ სამედიცინო წიგნში — „წიგნი სააკიმოი“ — შეტანილია სინაის ძის (ასე იხსენიება ავიცენა ქართულ წყაროებში) სამკურნალო მეთოდები და რჩევანი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, დიდ მეცნიერს დევნიდნენ და ავიწროებდნენ მაშინდელი აღმოსავლეთის მმართველი წრეები. თვითონ მეცნიერს ბორკილს ადებდნენ, ხოლო მის წიგნებს წვაუხენ. მაგალითად, 1160 წელს ბაღდადში ქალაქის მოედანზე საჯაროდ დაწვეს იბნ-სინას ფილოსოფიური წიგნები. ბაღდადის ხელისუფალთა ეს სა-

მარცხვინო საქციელი სამი საუკუნის შემდეგ ისპაჰანშიც გაიმეორეს. ავიცენას გენიალური შრომები აუტოდაფე მესამეჯერაც იქნა მოწყობილი. რა თქმა უნდა, ამით მაინც ვერ გაუსწორდნენ ავიცენას ქმნილებებს, ყოველი კოცონის შემდეგ მისი წიგნები უფრო პოპულარული ხდებოდა და ფენიქსივით აგრძელებდა სიცოცხლეს.

ავიცენა იყო ხელოვნების დიდი მესვეურიც. მან სპეციალური შრომები მიუძღვნა მუსიკას, წერდა ლექსებს. შემოახატულია ავიცენას რამდენიმე რობაი. დიდი პოეტი ომარ ხაიამი თავის თავს ავიცენას მოწაფედ მარტო მეცნიერებაში როდი თვლიდა. ომარ ხაიამმა უსაფუოდ პირდაპირ აბუალი იბნ-სინასგან მიიღო რომაის ბრწყინვალე ტრადიცია.

„ომის გამჩალებელნი რომ რაიმეს ქმნიდნენ, დარწმუნდებოდნენ, თუ რა საშინელებაა ომი... მოვა დრო და ორები აღარ იქნება“.

ეს სიტყვები დიდ მეცნიერს ეკუთვნის მშვიდობისმოყვარე პროგრესული ეპოქობრიობა არ დაივიწყებს ამ სიტყვების მოქმელს, თავისი დროის დესპოტიზმისა და რეაქციული ძალების წინააღმდეგ მებრძოლს, დიდ ჰუმანისტს აბუალი იბნ-სინას.

## პ. ნ. რალიშვილი

ბარდაცვალებიდან 150 წლისთავის ბავშვ



რადიშჩევი! თვალწინ გვიდგება ნათელი სახე ადამიანისა, რომელიც მუდამ დარჩება უკეთილშობილეს სულიერ თვისებათა მავალითად. იგი ეკუთვნის იმ საუკეთესო რუსი ადამიანების რიცხვს, რომლებშიაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი რუსი ხალხის გოლიათური ბუნება.

ვ. ი. ლენინს რუსი ხალხის დიდ ეროვნულ სიამაყედ მიაჩნდა სწორედ ის, რომ თვით უსაშინელები დესპოტიზმის შავბუნელ დროშიაც კი ამ ხალხმა წარმოშვა თავისუფლებისათვის ისეთი უანგარო მებრძოლნი, როგორიც იყვნენ რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების [რევოლუციონერი-რაზნოჩინეები.

რადიშჩევი დაჯილდოებული იყო ნათელი გონებით, სულის კოლოსალური ენერჯით და დაუტყობელი სიმართლისმოყვარეობით. მან ბატონყმობის მძვინვარების პირობებში გაბედულად აიმაღლა ხმა იმ გაბატონებული წოდების წინააღმდეგ, რომელსაც თვითონვე ეკუთვნოდა.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რადიშჩევი დაიბადა 1749 წელს მემამულის ოჯახში. მან ფართო და მრავალმხრივი განათლება მიიღო. სხვადასხვა დროს ის მსახურობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში (სენატში, პეტერბურგის მთავარსარდლის შტაბში და სხვ.) და ამავე დროს ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას.

რადიშჩევი 22-25 წლის ახალგაზრდა

კაცი იყო, როდესაც 1773-1775 წლებში თვითმპყრობელურ ბატონყმური რუსეთი შესძრა გლეხთა სტიქიური რევოლუციური მოძრაობის ძლიერმა ტალღებმა. ამ მოძრაობას სათავეში ედგა ემელიან ჰუვაჩოვი. თვითმპყრობელობამ გლეხთა აჯანყება ბარბაროსული სისასტიკით ჩაახშო სისხლის მორევში. რეაქციის უკუნმა წყვდიადმა მოიცვა მთელი რუსეთი. თითქოს გაქრა ყოველგვარი იმედი ადამიანთა ჩაგვრისა და მონობის მოსპობისა. მაგრამ რადიშჩევი თავისი ნათელი გონებით განსკვრიტა გარდუვალობა ადამიანთა დიდი მომავალი განთავისუფლებისა ყოველგვარი ტირანიისაგან. აუცილებლად მოვა დრო, — ამბობდა ეს დიდი ჰუმანისტი, — როდესაც გაიფანტება შავი ღრუბლები და დაიბადება ყოველგვარი ჩაგვრისაგან ადამიანის განთავისუფლების აკაშკაშა დღე... ეს არ არის ოცნება, არამედ მხედველობა არღვევს დროის იმ სქელ ბურუსს, რომელიც თვალთაგან გვიფარავს მომავალს; მე ამ მომავალს ვხედავ მთელი საუკუნის იქით“. დღეს ჩვენ თვალნათლივი მოწმე ვართ იმისა, თუ რა დიდებულად გაცხადდა ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში ეს შესანიშნავი წინასწარმეტყველება. მაშინ ამისათვის საჭირო იყო აზრის საოკარი გაბედულება და წინასწარხედვის უდიდესი ნიჭი.

რადიშჩევი თავისი ცნობილი ოდა „თავისუფლება“ დასწერა 1781-1783 წლებში, ხოლო თავისი შესანიშნავი

ნარკვევი „მოგზაურობა პეტერბურგი-დან მოსკოვს“ ხელმოუწერლად გამოაქვეყნა 1790 წელს. ამ ნაწარმოებებში, რომლებიც იმ დროს მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე რევოლუციურ ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ, მკაფიო გამოხატულება ჰპოვა გლეხობის რევოლუციურმა სულიკვეთებამ.

ოდა „თავისუფლება“, ერთის მხრივ, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული მრისხანე საბრალმდებლო აქტი და, მეორეს მხრივ, თავისუფლების სადიდებელი ჰიმნი იყო. ამ ლექსით რადიშჩევი ხალხს მოუწოდებდა რქითკენ, რათა მას შური ეძია მჩაგვრელებსა და მკვლეფელებზე. მეფე, მწერლის სიტყვებით, ყველა ბოროტ-მოქმედზე უსაზიანელესი ბოროტმოქმედი და ყველა დამნაშავეზე უმეტესი დამნაშავეა, იგი მემამულეებთან და ეკლესიასთან ერთად ხალხის სულთანხუთავია. სარწმუნოება მეფის ხელისუფლებას იცავს, — ამბობს მწერალი, — მეფის ხელისუფლება სარწმუნოებას ნერგავს ხოლო ორივე ერთად ხალხს ჩაგვრისა და მონობის უღელს ადგამს. თავის სა-ნუკვარ რევოლუციურ ოცნებას გამოს-თქვამს რადიშჩევი, როდესაც ხატავს აჯანყებული ხალხის მიერ მეფის თავის წარკვეთის სურათს.

თავისუფლება, რადიშჩევის აზრით, არის უმაღლესი სიკეთე, რომელსაც ვერ შეედრება სხვა ვერცერთი ამქვეყნიური სიკეთე. თავისუფლების ერთი წუთი აიწონის სხვა ადამიანურ ნეტარებათა მთელ საუკუნეს. და ყველა ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლება სრულად ისარგებლოს ამ უმაღლესი სიკეთით — თავისუფლებით. ამიტომ ადამიანებმა უნდა მოსპონ, გაანადგურონ ყველა ტი-რანი. ყველა მეფე და მემამულე, ვინც კი მათ თავისუფლებას ართმევს ასე-თია რადიშჩევის რევოლუციური აზრის მიმართულება.

როდესაც რუსეთის თვითმპყრობელი დედოფალი ეკატერინე მეორე გაეცნო

რადიშჩევის ოდას, — „თავისუფლებას“, მან აღშფოთებით დასწერა: „ოდა სრუ-ლიად აშკარად და ცხადად მემამოხუ-რია, აქ მეფეებს ემუქრებიან თავის წაკვეთით... მისი შემთხვეული პუგაჩოვ-ზე უარესი მემამოხეა“.

წიგნში „მოგზაურობა პეტერბურ-გიდან მოსკოვს“ — რადიშჩევი ხატავს ყმების აუტანელი ცხოვრების, მემამუ-ლეთა აღვირაბსნილი ძალადობისა და მეფის მოხელეთა განუკითხავი თარე-შის შემადრწუნებელ სურათებს. მწერ-ლის სიტყვებით, ბატონყობა ეს არის საზარელი ურჩხული, რომელიც ნათქავს გლეხების შრომასაცა და სიცოცხლე-საც, ხოლო მემამულე — ხარბი მზეცია, გაუმადლარი წურბელა, რომელიც ყმებს ართმევს ყველაფერს, გარდა ჰაერისა. მაგრამ რადიშჩევი არ კმაყოფილდება ფაქტების აღნუსხვით, ხალხის დუხჭირი ცხოვრების სურათების ხატვით. იგი ღრ-მა მოზაროვნის მახვილი თვალთახედვით აზოგადებს ფაქტებს და მწყობრ სისტე-მაში მოჰყავს თავისი სოციალ პოლი-ტიკური და ფილოსოფური შეხედულე-ბანი. მისთვის აშკარა იყო გლეხობისა და მემამულეთა ინტერესებია შეურიგე-ბობის წინააღმდეგობა. ამ წინააღმდე-გობის გადაწყვეტის ერთ-ერთ სწორ და შესაძლებელ გზად მას გლეხთა მა-სობრივი აჯანყება მიიჩნდა. კლასობ-რივი შერისძიების იმ მეთოდებს, რა-საც მემამოხე ყმები სტიქიურად მიმარ-თავდნენ, რადიშჩევი საფუძვლად უდებ-და თავის რევოლუციურ თეორიას. მას კარგად ესმოდა, რომ შორიგებით და მშვიდობიანად თვითმპყრობელობა და მემამულეები არ დათმობდნენ თავიანთ ბატონობას და არ მისცემდნენ ხალხს თავისუფლებას. ამიტომ იგი პირდაპირ მოუწოდებდა გლეხობას: გაანადგურეთ მემამულის სამიწათმოქმედო იარაღები, დასწვით მისი ბელღები, საკუპნაოები და საწყობები, გამოაცხადეთ თვითონ იგი საზოგადოებრივ ქურდად, რათა ყველას ეზიზღებოდეს ის და ყველა

ზურგს აქცევდეს მას. რადიშჩევის აზრით, აჯანყებულ გლეხობას უნდა მოესპო ბატონყმობისა და მონარქიის ყოველგვარი ფორმა, თავისი წრიდან უნდა წაპოყენებინა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები და უნდა დაემყარებინა რესპუბლიკურ-დემოკრატიული წესწყობილება. შრომის ნაყოფი მხოლოდ მშრომელს, მიწა იმას. ვინც მას ამუშავებს, — აი ამ პრინციპს უნდა განესაზღვროს იმ საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება, რომელიც რადიშჩევის იდეალს შეადგენდა. ამავე დროს ამ საზოგადოებაში დაცული უნდა ყოფილიყო წვრილი კერძო საკუთრება. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი მოასწავებდა რადიშჩევის შეხედულებათა ერთგვარ შეზღუდულობასა და შინაგან წინააღმდეგობას, რაც ცხადია, გამოწვეული იყო იმ დროის პირობებით.

რადიშჩევის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი ერთგვარად უახლოვდებოდა XVIII საუკუნის ფრანგი და ინგლისელი განმანათლებლების შეხედულებებს, კერძოდ, რუსოს „ბუნებრივი სამართლისა“ და „საზოგადოებრივი შეთანხმების“ თეორიას. მაგრამ თავისი რევოლუციური აზრის გაქანებით რადიშჩევი დიდად უსწრებდა მათ წინ. თუ დასავლეთ ევროპის განმანათლებლებს ხალხი ერთგვარ ინერტიულ მასად მიაჩნდათ და აშინებდათ ხალხის მონაწილეობა რევოლუციაში, რადიშჩევის პირიქით, ხალხი, გლეხობა მიაჩნდა ისტორიის მთავარ შემოქმედად, რევოლუციის ერთადერთ მამოძრავებელ ძალად. თუ დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა დიდი უმეტესობის პოლიტიკურ იდეალს შეადგენდა „განათლებული აბსოლუტიზმი“, რადიშჩევის პოლიტიკური იდეალი იყო ისეთი დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც გამოიხატავდა მონარქიული მმართველობისა და ტირანიის ყოველგვარ შესაძლებლობას.

მგზნებარე ჰუმანიტის, ადამიანთა თა-

ვისუფლების დიდ ქომავს — რადიშჩევის მონარქიისა და დესპოტიზმის ყოველგვარი ფორმა მიაჩნდა ისეთ მდგომარეობად, რაც „ყველაზე მეტად საზიზღარია და ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას“.

იმის ღრმა რწმენიდან, რომ ყველა ადამიანის ბუნებრივ უფლებას შეადგენს ისარგებლოს თავისუფლებით. რადიშჩევის გამოკყავს ხალხთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის იდეა. იგი მკაცრად ილაშქრებს ყოველი სახის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. უსაშინელეს სიმბეცეს უწოდებს ინდიელთა გაელეტას ამერიკაში, ზანგებისა და სხვა ხალხების ჩაგვრას სხვადასხვა ქვეყნებში. დღესაც ინარჩუნებს მამხილებელ ძალას რადიშჩევის სიტყვები ამერიკის შესახებ, სადაც „ასი ჭედმაღალი მოქალაქე ფუფუნებაში ცხოვრობს, ხოლო ათასებს არც საიმედო საკვები და არც საკუთარი ქერი აქვთ, რომ თავი დაიფარონ სიცხისა და ყინვისაგან“.

როგორც ღრმა ფილოსოფიურმა მოაზროვნემ, რადიშჩევა უდიდესი გავლენა მოახდინა თავისი დროის ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე. მისი ფილოსოფიური შეხედულებანი მატერიალისტური იყო. იგი აღიარებდა ბუნების, ობიექტური სამყაროს არსებობას შეგნებისაგან დამოუკიდებლად. მთელ მის ფილოსოფიურ მსჯელობას წითელი ხაზივით გასდევს მტკიცება იმისა, რომ საგნები არსებობენ თავისთავად და აზრი წარმოადგენს მათ ასახვას. ამავე დროს მას ღრმად სწამს ადამიანის გონების ძალა. ის ასაბუთებს, რომ ადამიანს გააჩნია შემეცნების ძალა, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია ჩასწვდეს საგნების ქეშმარიტ არსს, გაარკვიოს და გაიგოს მათი თვისებები. ამრიგად რადიშჩევი უკუაჯდებს სექტიკურ და აგნოსტიკურ მიმართულებებს ფილოსოფიაში, რომლებიც უარყოფენ ადამიანის მიერ ობიექტური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას.



რადიშჩევი გაბედულად იბრძოდა რეაქციული საეკლესიო-ფეოდალური იდეოლოგიისა და იმ დროის არისტოკრატიულ წრეებში გავრცელებულ მისონთა მისტიკური მოძღვრების წინააღმდეგ.

ღირსშესანიშნავია რადიშჩევის ფილოსოფიური დებულება იმის შესახებ, რომ ბუნება ექვემდებარება საყოველთაო მოძრაობის კანონებს. საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართაც წინსვლითი განვითარების იდეას არ არის მოკლებული რადიშჩევის მატერიალისტური თვალსაზრისი. იგი გარკვევით ასაბუთებდა, რომ „კაცობრიობის ოქროს საუკუნე“ არის არა უკან — ისტორიის განვლილ გზებზე, როგორც ამას რუსო ჭადაგებდა, არამედ წინ — მომავალ ეპოქაში. მიუხედავად მრავალი ასეთი ღრმავაროვნის მიხედვრებისა, თავისი ეპოქის პირობების გამო, რადიშჩევის მატერიალიზმი საერთოდ მაინც მიტაფიზიკური იყო. რადიშჩევი ბევრ რამეში ეასცილდა თავისი დროის ფარგლებს, მაგრამ მთლიანად ამ ფარგლებიდან გასვლა არავის ძალუძს. რადიშჩევა უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციური საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე განვითარებაზე. მისი რევოლუციური საქმის პირდაპირი გამგრძელბლები იყვნენ დეკაბრისტები. რადიშჩევის დიდი მემკვიდრეობის მნიშვნელობა ნათლად იგრძნობა გენიალური რუსი პოეტის — პუშკინის სიტყვებში: — რადიშჩევის კვლდაკვალ ვადიდე მე თავისუფლებათ.

ისე როგორც რუსი ხალხის ყველა საუკეთესო შვილს, რადიშჩევსაც სულს

უხუთავდა ცარიზმი. 1790 წელს იგი პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს და სიკვდილი მიუსაჯეს. შემდეგ იგი შეტყვევალეს ციმბირში 10 წლით გადასახლებით.

ეკატერინე მეორის სიკვდილის შემდეგ, 1797 წელს, რადიშჩევი გადასახლებიდან დააბრუნეს. მაგრამ მეფის სატრაპები მას მოსვენებას არ აძლევდნენ. ახალი გადასახლებითა და წამებით ემუქრებოდნენ. ამ ჯალათებმა იმდენი ქნეს, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს. რადიშჩევა 1802 წლის 24 სექტემბერს თავი მოიკლა. ჯერ კიდევ აღრევე, საშინელი რეეიშით შეძრწუნებულმა რადიშჩევა იწინასწარმეტყველა: „შთამომავლობა იძიებს შურს ჩემს გამო“.

შთამომავლობამ შური იძია და ხელთუქნილი ძეგლიც დაუდგა თავის გულში თავის დიდ წინაპარს. ეს ძეგლია რევოლუციური ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომელსაც რუს ხალხში ნერგავენ ის, რომ „...გარდა რეაქციული რუსეთისა არსებობდა კიდევ რევოლუციური რუსეთი, რუსეთი რადიშჩევისა და ჩერნიშევსკებისა, ეელიაბოვეებისა, ულიანოვეებისა, ხალტურინებისა და ალექსეიეებისა“.<sup>1</sup> ამ გრძნობას კი, როგორც დიდი სტალინი ამბობს, „შეუძლია მთები დასძრას, შეუძლია სასწაულები მოახდინოს“.<sup>2</sup>

რადიშჩევის ბრწყინვალე მემკვიდრეობა ეკუთვნის არა მარტო დიდ რუს ხალხს, არამედ ყველა საბჭოთა ხალხს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას.

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თანხულებანი, ტ. 13, გვ. 26.  
<sup>2</sup> იქვე.

## კონფლიქტის საკითხი და თ ნამედროვე ქართული ღრამაგურები



ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „...ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება“.

ეს უმნიშვნელოვანესი დებულება საესებით შეესაბამება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებასაც. მთელი ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის მსგავსად საბჭოთა დრამატურგიისა და მისი თეორიის განვითარება წარმოებდა და წარმოებს ვულგარიზაციის, ფორმალიზმისა და სხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში. ამ ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს კონფლიქტის საკითხი წარმოადგენდა. თვით უკანასკნელ ხანებამდე ეს საკითხი დრამატურგიის ყველაზე უფრო გაურკვეველ საკითხად ითვლებოდა. ამიტომ 1952 წლის 7 აპრილს „პრაქტიკა“ სარედაქციო წერილი „დავძლიოთ დრამატურგიის ჩამორჩენა“. განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტია.

საბჭოთა დრამატურგიისათვის ერთ-ერთი შეუფერებელი და მტრული „თეორია“ იყო ე. წ. უკონფლიქტო დრამის თეორია. იგი განსაკუთრებით გავრცელდა სამამულო ომის შემდეგ, როცა ომის დამთავრებასთან ერთად მოისპო მძაფარი, დამაბული კონფლიქტი, რომლითაც ჩვენი ომისდროინდელი დრამატურგია იკვებებოდა. ომისშემდგომ დრამატურგიას კონფლიქტისათვის დაპირისპირებული ძალები თვით ჩვენს სინამ-

დვილესი უნდა მოენახა. ამისათვის საკირო ვახდა ამ სინამდვილის ზედმიწევნითი ცოდნა და ცხოვრების გმირულ ყოველდღიურობაში ახლის დანახვის უნარი, მომავლის ნათელი პერსპექტივა და ღრმა იდეურობა, დიდი მხატვრული აზრობა და მაღალი დრამატურგიული ოსტატობა.

ცნობილია, რომ ომის თემა ქმნის მძაფრ კონფლიქტს, იძლევა ხასიათების ჩვენების მდიდარ შესაძლებლობას. გმირობის, თავდადებისა და განსაცდელის დახატვით დრამატურგი ადვილად ახერხებს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო მორალურ თვისებათა გამომკვლავლებას, იოლად პოულობს ბუნებრივ, საინტერესო სიტუაციებს, დრამატიზმს. მწერალს ეძლევა ეფექტიანი სცენური ხერხების გამოყენების მდიდარი შესაძლებლობაც.

მაგრამ როგორ ავაგოთ მძაფრი კონფლიქტი მშვიდობიანი შრომის თემაზე, როგორ მოვახერხოთ ჩვენი ყოველდღიურობის ასახვა ყველაზე დრამატიზებულ, მახვილ წინააღმდეგობათა მომთხოვნი ეპიზოდით, რომელიც მოქმედებას ეყრდნობა და მასალისაგანაც შინაგან მოქმედებასა და მოძრაობას მოითხოვს?..

როგორ ვაჩვენოთ მალაროელის, მელითონის, ხარატის ან მევენახის შრომა ისე, რომ იგი ერთი მხრით, სწორად ასახავდეს სინამდვილეს, სპეციალური დარგის რომელიმე ტექნიკურ პრობლემ-



მას და, მეორე მხრით, გასაგები და საინტერესო იყოს ყველასათვის?

აღსანიშნავია, რომ მშვიდობიანი შრომის თემა არ არის საესეებით ახალი ჩვენი ლიტერატურისათვის. იგი მუშავედ მოდა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და პირველ ხუთწლედთა პერიოდშიც. მაგრამ იმდროინდელი ჩვენი დრამატურგია კონფლიქტის შექმნას საბჭოთა ადამიანების კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მასალაზე ახერხებდა. მავნებლებთან, ჯაშუშებთან განადგურებული კლასის წარჩენებთან ბრძოლა იყო კონფლიქტის მთავარი წყარო.

სამამულო ომის შემდეგ, პირველი ხუთწლედების დროინდელ კონფლიქტთა უმრავლესობამ დაკარგა თავისი საფუძველი. აშკარა კლასობრივ და იდეურ მტერთა გაცამტვერებამ, ერთის მხრით, სოციალისტურ საზოგადოებაში ანტაგონისტური კლასობრივი და სოციალური ხასიათის წინააღმდეგობათა ლიკვიდაციამ, მეორე მხრით, შეუძლებელი გახადა მათზე კონფლიქტის აგება.

სწორედ ამ ხანებში ზოგიერთმა დრამატურგმა და კრიტიკოსმა განავითარა უკონფლიქტო დრამის „თეორია“. უკონფლიქტო დრამის „თეორია“ არის უარყოფა და მივიწყება იმ უმნიშვნელოვანესი მარქსისტულ-დიალექტიკური დებულებისა, რომ განვითარება წინააღმდეგობათა დაძლევისა და გახსნის გზით მიმდინარეობს, რომ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. რაც მტკიცედ არა ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა სახით, არამედ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფორმით.

უკონფლიქტო დრამის „თეორია“ იყო უფულევებლყოფა მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვასთან შეუხელებელი ბრძოლის აუცილებლობისა.

დრამატურგიული კონფლიქტი დრა-

მის საფუძველია. იგი დრამატურგიული მოქმედების ამოსავალი და ძირითადი პირობაა.

კლასიკური მემკვიდრეობის ყოველი დიდი დრამატურგიული ნაწარმოები სინამდვილის ღრმა და მართალი ასახვით ხასიათდება და, მაშასადამე, ნებსით თუ უნებლიეთ ვადმოგვცემს კონფლიქტს, რადგან კონფლიქტი, ანუ შინაგანი წინააღმდეგობა, სინამდვილის არსებითი და აუცილებელი მხარეა. მართალია, იგი ხშირად ვუალირებული და ფარულია, მაგრამ ცხოვრების ღრმად შესწავლას აუცილებლად მიყვავართ მასთან, რამდენადაც ცხოვრების სინამდვილეში ქეშმარიტად ღრმად ჩაწვდომა შეუძლებელია ისე, თუ ვერ დაეინახავთ, ვერ ამოვიცნობთ იდეათა და ძალთა დაპირისპირებას, მათ შეტაკებას, მათ კონფლიქტს.

ცხოვრების მოვლენები გაყინული და უცვლელი კი არ არის, არამედ „დაუღვროველ მოძრაობასა და ზრდა-განვითარებაშია“. მაშასადამე, მათი ასახვაც უნდა მოხდეს ამ მოძრაობასა და განვითარებაში“. „ჩვენი ვალია — ცხოვრება მის მოძრაობაში განვიხილოთ“...<sup>1</sup> სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდი მოითხოვს სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიულ ასახვას მის რევოლუციურ განვითარებაში. მაგრამ რა არის განვითარების შინაარსი? „განვითარების პროცესის შინაგან შინაარსს“ შეადგენს „... დაპირისპირებულთა ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომავლადგასა და მზარდს შორის, დრომოქმულსა და განვითარებადს შორის“.<sup>2</sup> „განვითარება არის დაპირისპირებულთა ბრძოლა“, — ამბობს ლენინი, ხოლო დაპირისპირებულთა ბრძოლა შედეგია

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ნარჩენები თუ სოციალიზმი“, საბჭოთა, 1949 წ. გვ. 6—7.

<sup>2</sup> ი. სტალინი, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, სკკ. კ. 3 (2) ისტორია, გვ. 133.

იმ შინაგანი წინააღმდეგობისა, რომელიც საგნებსა და მოვლენებს ახასიათებს, „...ვინაიდან ყველა ამ საგანსა და მოვლენას აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარე, თავისი წარსული და მომავალი, აქვს ის, რაც კვდება და ის, რაც ვითარდება“.<sup>1</sup>

ცხოვრება განვითარების პროცესია. განვითარების პროცესი კი, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, არ არის განუღივლი უბრალო განმეორება. იგი არის „მომართობა წინსვლით“, „მომართობა აღმავალი ხაზით“. „მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან უმაღლესისაკენ“. ხოლო „...დაბლიდან უმაღლესისაკენ განვითარების პროცესი მოვლენათა პარამონიული გაშლის წესით კი არ მიმდინარეობს, არამედ იმ წინააღმდეგობათა გახსნის წესით, რომლებიც ახასიათებს საგნებს, მოვლენებს, ამ წინააღმდეგობათა საფუძველზე მოქმედ დაპირისპირებულ ტენდენციათა „ბრძოლის“ წესით“.<sup>2</sup>

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „...ცხოვრების ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს, კარგი და ავი, რომელთაგან პირველი უნდა დავიცვათ და მეორე უარყოთ“, რომ ახალი ყოველთვის ძველთან ბრძოლაში წარმოიშვება და რომ „ძველი“ ჯიუტსა და ძლიერ წინააღმდეგობას უწევს „ახალს“.

მაშასადამე, კონფლიქტი ძველსა და ახალს შორის ყოველი სინამდვილის აუცილებელი მხარეა. ამასთანავე: „დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ ცხოვრება სწორედ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს“.<sup>3</sup> ამიტომ სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომლისთვისაც მოვლენის დიალექტიკურად ასახვა უძი-

რითადესი პრინციპია, იმავეს ამბობს: ცხოვრება უნდა ავსახოთ, „როგორც ის სინამდვილეშია“, ე. ი. მართლად, კონკრეტულ-ისტორიულად და რევოლუციურ განვითარებაში.

და თუ რეალური სინამდვილე არ არსებობს წინააღმდეგობათა, დაპირისპირებათა და მათ შორის მწვავე ბრძოლის, ე. ი. კონფლიქტის, გარეშე, როგორ-ღა შეიძლება ამ სინამდვილის მართალი სურათი აისახოს რეალურად არსებულ შეტაკება - დაპირისპირებათა ჩვენების გარეშე?

ცხადია, უკონფლიქტო დრამის „თეორია“ არის წინააღმდეგობათა უგულუბელყოფის, მათი შეთანხმების იდეალისტური თეორია და ჩვენმა პარტიამ სამართლიანათ დაკგმო იგი, როგორც მორალური და პოლიტიკური კაპიტულიანტობის თეორია.

ექსპლუატაციიზზე დამყარებულ ანტაგონისტურ საზოგადოებებში განვითარების მამოძრავებელ ძალას კლასთა ბრძოლა წარმოადგენს. მასში კონფლიქტის წყარო ანტაგონისტური წინააღმდეგობებია. სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობენ ანტაგონისტური კლასები და, მაშასადამე, ანტაგონისტური დაპირისპირებანიც. მისი განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს განთავისუფლებულ მშრომელთა ძმური თანამშრომლობა, საბჭოთა პარტიოტიზმი, ხალხთა მეგობრობა და ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არის შინაგანი ბრძოლა, და რომ კლასთა ბრძოლაც ასევე მოხსნილია დღის წესრიგიდან? რათქმა უნდა, არა. საბჭოთა ხალხი აწარმოებს უდიდეს კლასობრივ ბრძოლას, ბრძოლას კომუნიზმისა იმპერიალიზმთან. მაგრამ ამ კლასობრივი ბრძოლის

<sup>1</sup> ს. სტალინი, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, საფ. კ. 3. (ბ) ისტორია, გვ. 133.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ს. სტალინი, „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“, სახელგამი 1949 წ.

მთელი სიმძაფრე, როგორც ამას აღნიშნავდა აშხ. მალეკოვი 1947 წ. ზოგიერთ კომპარტიათა საინფორმაციო თაბიზრზე, ახლა გადატანილია საერთაშორისო სარბიელზე, სადაც ხდება ორი სისტემის, კაპიტალისტურისა და სოციალისტურის შეჯიბრება.

ჩვენი საზოგადოების შიგნით კი უმთავრეს ბრძოლას წარმოადგენს ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, მხარდსა და მომაკვდავს შორის. ეს ბრძოლა ძველის წინააღმდეგ უმრავლეს შემთხვევაში არის ბრძოლა კაპიტალისტურ გადასაშთებთან ადამიანთა ჩვევებსა და შეგნებაში. ამ გადასაშთა არსებობას თავის მხრივ განსაზღვრავს ორი მომენტი: ცნობიერების ჩამორჩენა ყოფიერებისაგან და მხარდაჭერა მტრული ძალებისაგან (უმთავრესად ჩვენი ქვეყნის გარედან). ლენინი გვასწავლის: სოციალიზმის დროს ანტაგონიზმი იხსნება, წინააღმდეგობა რჩება. ახალსა და ძველს შორის არაანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გამოქვადენებისა და დამლევის ფორმას წარმოადგენს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ამრიგად, საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც მოსპობილია ანტაგონისტური კლასები, კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს ახლისა და ძველის შეუჩაგებელი ბრძოლა, როგორც განუწყვეტელი და მარადიული პროცესი. ეს ბრძოლა განვითარებასა და მომაკვდავს შორის წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების განვითარების საფუძველს, საზოგადოებისა, რომელშიც ბრძოლა ძველსა და ახალს შორის წარმოებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფორმით. კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების დიალექტიკური კანონზომიერებაა. იგი საშუალებაა ძველის დათრგუნვისა, გადალახვისა და ახლის დამკვიდრება-განვითარებისა.

საბჭოთა დრამატურგი, რომელმაც უნდა ასახოს ცხოვრების სინამდვილე

მის რევოლუციურ განვითარებაში, გვერდს ვერ აუვლის ამ ძირითადი პროცესის — ძველისა და ახლის განუწყვეტელი ბრძოლისა და მისი კონკრეტული გამოხატულების ასახვას. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი სრულად და ღრმად აღვიქვათ თანამედროვეობის რთული მოვლენები, სწორად გვერკვეთ მათ მნიშვნელობაში, თუ მუდამ გვემახსოვრება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ეს უმნიშვნელოვანესი დებულება.

მაგრამ ახლის ძველთან ბრძოლის პროტოკოლურ-ობიექტივისტური ასახვა, არსებითად ცხოვრების რეალური შინაარსის დამახინჯებაა. ეს ბრძოლა მხოლოდ მაშინ ნათლდება ძლიერი სხივით, მაშინ ემსახურება მარგანინზებელსა და აღმზრდელიობით მიზნებს, როცა მას მარქსისტული პოზიციებიდან დავყურებთ: როცა იღეურად დაინტერესებული, პარტიულად მოაზროვნე ადამიანის თვალთ ვაფასებთ და ვხატავთ მას, რათა ხელი შევეწყოთ ცხოვრებაში კომუნისტური საწყისის გამარჯვებას, მშრომელთა სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდას. ობიექტივისტური მომთხრობელობა დრამაში არის იღეურ-მხატვრული პოზიციების დათმობა.

საბჭოთა დრამა უნდა იყოს დიდი და ჭეშმარიტი იდეების, ძლიერი პარტიული სულისა და მკაფიო პუბლიცისტური ელერის დრამა.

მაგრამ პუბლიცისტიკა ჩვენს დრამაში არ უნდა იყოს რეზონერული, ნაქერ-ნაქერ ჩაკერებული, თავისთავადი, იგი არ უნდა ვენბდეს მხატვრულობას. პუბლიცისტიკის პრობლემა დრამის ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური პრობლემაა. მოწინავე საბჭოთა დრამატურგებმა სწორად გადაწყვიტეს იგი.

რითი ხასიათდება ამ მხრივ, მაგალითად, შ. დადიანისა და ი. მოსაშვილის პიესები? იმით, რომ პუბლიცისტური ელემენტი აქ ჩაწნულია პიესის მხატვ-

რულ ქსოვილში, ჩადუღებულია ხასიათებში, რომ პუბლიცისტიკა არის არა პიესის რაღაც დამოუკიდებელი „ხაზი“, არამედ იგი შედგენდება კონფლიქტშიც, სიუჟეტშიც, ხასიათებშიც, რომ პუბლიცისტიკით გაკლენთილია მთლიანად ნაწარმოები და არა მისი რომელიმე ნაწილი, რომ პუბლიცისტიკა „უფასო დამატების“ როლს კი არა თამაშობს, არამედ მხატვრული ნაწარმოების სამშენებლო მასალის ორგანული შემადგენელია.

\*  
\*  
\*

იდეათა, გრძნობათა, ხასიათთა შეტაკების გარეშე არ არსებობს დრამატურგია. თუ პიესაში კონფლიქტი არ არის, ასეთი პიესა უფრო დილოგის ფორმით დაწერილი მოთხრობაა, ვიდრე დრამატურგიული ნაწარმოები. მაგრამ თავის მხრივ კონფლიქტი წარმოუდგენელია მკვეთრად გამოხატული ხასიათების გარეშე, რადგან იგი არსებობს სწორედ ამ ხასიათების შეტაკება-დაპირისპირების მეშვეობით.

დრამატურგიული ნაწარმოები კონფლიქტისა და ხასიათების დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. კონფლიქტის გადაწყვეტა ხდება ხასიათების წყალობით. ხასიათები კი სრულად და მკვეთრად მხოლოდ კონფლიქტის დროს და მისი მეშვეობით ვლინდებიან. კონფლიქტის და ხასიათის ერთმანეთისაგან გათიშვა — მეტაფიზიკური შეცდომა იქნება. მათი ერთმანეთისაგან იზოლირებული განხილვა დაუშვებელია. ყოვლად შეუძლებელია რეალურად არსებული კონფლიქტის შენიშვნა და ასახვა ისე, რომ არ შენიშნო ამ კონფლიქტში ჩაბმული, მასში მონაწილე ადამიანები — ხასიათები. ამასთანავე, რა თქმა უნდა, შემოქმედი ამ ხასიათებს აყალიბებს თავისი იდეისა და მსოფლმხედველობის შესაბამისად, ახდენს მათ ტიპიზაციასა და ინდივიდუა-

ლიზაციას ისევე, როგორც კონფლიქტის გაღრმავებას, მასში მეტაფიზიკური რელიეფურობისა და სიმკვეთრის შეტანას.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გიჟი მოქმედების, შეტაკების გარეშე, გორკი ამბობდა: თუ არის მკვეთრად გამოხატული ხასიათები, მათი შეტაკება აუცილებელია. შეუძლებელია ასეთი ხასიათები ცხოვრებისაგან გამოვეყოთ და განყენებულ კატეგორიაში ავიყვანოთ. ასევე შეუძლებელია შევქმნათ რეალური კონფლიქტი ისე, რომ გარკვევით არა ვხედავდეთ იმ ადამიანებს, რომელთა შეტაკება წარმოშობს მას. ამ შემთხვევისათვის შეგვიძლია შევაბრუნოთ გორკის დებულება: თუ კონფლიქტში არ მონაწილეობენ მკვეთრი, ბუნებრივი ხასიათები, კონფლიქტი სქემატური, არაბუნებრივი და ყალბი გამოვა.

ვფიქრობთ, ხელოვნურად შექმნილი, არარეალური კონფლიქტები აიხსნება კონფლიქტისა და ხასიათის ამ ზემოაღნიშნული სპეციფიკის გაუთვალისწინებლობით.

არიან დრამატურგები, რომლებიც კონფლიქტის პირველადობას აღიარებენ. ასეთები ჯერ მოსძებნიან საკონფლიქტო თემას, შემთხვევენ კონფლიქტს, შემდეგ აგებენ სიუჟეტურ სქემას, რომელშიაც ეს კონფლიქტი უნდა განხორციელდეს; ბოლოს კი იწყებენ ხასიათების შეთხზვას, მათ „მისადაგებას“ წინასწარ გამოგონილი სიუჟეტური სქემისადმი, რომელიც თავის მხრივ წინასწარ აღებული კონფლიქტის თარგმნა გამოპრილი. ცხადია, ასეთი ხასიათები ყალბი, არაბუნებრივი, სქემატური და უსისხლხორციანი იქნებიან. მათი სიყალბე მთლიანად პიესასაც იმავე დაღს დაასვამს.

ასეთი ნაკლით ხასიათდება ნაწილობრივ ი. მოსაშვილის პიესა „სადგურის უფროსიც“. აქ აშკარაა, რომ ავტორმა ჯერ დახლართული, „დამიან-

ტერმინები“ სიუჟეტი შექმნა და მერე მას ხასიათები გამოუნახა. ამიტომაც, რომ მთელ რიგ ღრამატურებთან ერთად ამ პიესის გმირები სქემატურნი არიან და მათ მოქმედებას დამოუკიდებელი ლოგიკა კი არა, ავტორის ტენდენცია, ავტორის ნებასურვილი ხელმძღვანელობს.

ვ. პატარაიას პიესა „სანაპიროზე“ ისეა გააზრებული, რომ იგი ბუნებრივსა და რეალურ კონფლიქტს უნდა ასახედეს. მაგრამ იმის გამო, რომ სიუჟეტი მთავარი კონფლიქტის გადაწყვეტას კი არ ემსახურება, არამედ ვოდევილური ხასიათის, ჩართულსა და შეორეხარისხოვან ამბებს გვიხატავს, მთავარი გმირი ავთანდილ რატიანი, რომელიც ბიოლოგების საბჭოურ სკოლას უნდა გამოხატავდეს და ძველი სკოლის პროფესორს გოლეთიანს უპირისპირდებოდეს, პრინციპული მეცნიერის ნაცვლად ვოდევილურ შეყვარებულს დაემსგავსა. დ. ანთაძისა და შ. დუმბაძის პიესა „უბრალო ადამიანები“ ყველაზე მკერძოვანი ნიმუშია იმისა, რომ ავტორებს მართო ერთი სურვილი ამოძრავებთ, სურვილი, „საინტერესო“, „სცენური“, დახლართული სიუჟეტის შექმნისა.

არაირან ღრამატურებში, რომლებიც ხასიათების პირველადობას აღიარებენ. ისინი, აიღებენ რა ცოტად თუ ბევრად გარკვევით მოხაზულ ხასიათებს, იწყებენ „წასაჩხუბებელ“ მიზეზთა გამოძებნას და ამ საფუძველზე ხასიათების „შეჯახებას“, ე. ი. კონფლიქტის ნაძალადევად შექმნას. „აჩხუბებენ“ ხასიათებს მაშინაც, როცა საჩხუბარი თითქოს არაფერია, და ეს ხასიათები, განსხვავებულობის მიუხედავად, არაფერს შეიცავენ ისეთს, რაც შეიძლებოდა მათ შორის კონფლიქტის საგნად გამხდარიყო. ასეთ შემთხვევაში გამოსავალს პოულობენ შემთხვევითობაში და ძველი ღრამატურის სხვა ამის მსგავს ატრიბუტთა დახმარებაში.

ასეთი „კონფლიქტების“ არაბუნებრივობა და ნაძალადევობა იწყებულს მთელ პიესას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხასიათები სიმართლითა და სიმახვილითაა დახატული.

რას ეყრდნობა, მაგალითად, კონფლიქტი, თ. დონეაშვილის პიესისა — „ახალი ქართლი“? არსებითს არაფერს. კონფლიქტს აქ ავტორი ჰქმნის იმით, რომ აჯახებს სოფლის მეურნეობის მუშაკს მრეწველობის მუშაკთან. ორივეს გატაცებით უყვართ თავისი საქმე, მაგრამ აი, მრეწველობის მუშაკი — ინჟინერი რამაზ ქარუმიძე განიზრახავს სოფლად საკომუნურნეო მოძრაობის ინიციატორის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ილო კვლიაშვილის „გადაკვლიფიცირებას“, სოფლიდან მოწყვეტას და მრეწველობაში ჩაბმას. ეს იმიტომ, რომ, თურმე, „ჩვენ ქვეყანას გამარჯვებას მოუტანს“ მხოლოდ „ყველა მოწინავე ადამიანის ქარხნებისადმი მიკუთვნება“. მ. ბარათაშვილის პიესა „მარინემ“, ავტორის განიზრახვით, უნდა მოგვეცეს საკომუნურნეო ცხოვრების სურათი — ახალი სოფლის ადამიანთა სულიერი სახის ცვლა და კომუნისტური მორალის გამარჯვება ბურჟუაზიული მორალის გადანაშთებზე. მაგრამ ავტორმა მთავარი პერსონაჟის — მარინე ფერაძის სულიერი გარდაქმნის მიზეზად გამოიყვანა არა იმდენად ჩვენი საზოგადოება და მისი შემოქმედება, რამდენად უბრალო შემთხვევითობა, რის შედეგადაც მთავარი პერსონაჟის, — მარინე ფერაძის „ფერიცვალებაში“ საზოგადოება, კოლექტივი განმსაზღვრებელი როლს არ თამაშობს. ამან გამოიწვია პიესის კონფლიქტის შესუსტება.

ამ მაგალითებს უპირისპირდება ი. მოსაშვილის პიესა „მისი ვარსკლავი“, როგორც ქართული ღრამატურის შესანიშნავი მიღწევა, როგორც ჰუმანიტარული მაღალიდუური და მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ავტორი აქ არა თხზავს არც კონფლიქტს, არც ხასიათებს. სინამდვილის ღრმად გაცნობამ, რეალური კონფლიქტის დანახვამ და ღრმად გააზრებამ, მისთვის დრამატული სიმკვეთრის მიცემამ, ისევე როგორც კონფლიქტში ბუნებრივად მონაწილე ადამიანების ყოველმხრივმა, ამომწურავმა შესწავლამ, — გამარჯვება მოუტანა ამ ნაწარმოებს. მოსაშვილმა კონფლიქტი ხასიათების ურთიერთობაში გამოსახა. თავის მხრივ რეალურმა კონფლიქტმა საშუალება მისცა ხასიათებს სრულად გამოძვლებულთაგან და თავიანთი ბუნებრივობა, სიმართლე შეენარჩუნებინათ. მაშასადამე, კონფლიქტის ხორცშემსხმელი, პიესის იდეის მაცურებლადე მიმტანი დრამატული ხასიათია. ამრიგად, კონფლიქტისა და ხასიათის საკითხები მტკიცედ და განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისინი ერთმანეთს ასხეულებენ, ერთმანეთს განაპირობებენ. დრამატული კონფლიქტი იქმნება სინამდვილიდან აღებული დასრულებული და ბუნებრივი ხასიათების შეტაკებათა შედეგად. შემდგომში იგი თვითვე იძლევა ამ ხასიათების სრული განხილვა-განვითარების ერთადერთ შესაძლებლობას. კონფლიქტი ეხმარება ხასიათის გაშლას, ხოლო ხასიათი კონფლიქტის გადაწყვეტას.

ჩვენი პარტიული პრესა აღნიშნავდა, რომ კოეფენიკოვის პიესაში „ცეცხლოვანი მდინარე“, დაშვებულია მრავალი ტექნიკური შეუსაბამობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ავტორმა კარგად არ იცის ფოლადის გამოდნობის პროცესი. იმისათვის, რომ გამოვხატოთ ტიპიური და შეეკმნათ მართალი პიესა, საჭიროა დიდი მუშაობა. დრამატურგმა უნდა შეისწავლოს არა მარტო რომელიმე ტექნოლოგიური პროცესი, არამედ ადამიანებიც. თუ პირველს ქარხანაში ორჯერ-სამჯერ სტუმრობა შესძენს, ხალხის გაცნობა-შესწავლა ასე ადვილი როდია. ამიტომ ხშირად პიესაში მრავალ-

მუშაობა, ინჟინერიც, მაგრამ „ნამდვილი“ მათში არცერთი არ არის. კონფლიქტის დანახვა ნიშნავს მასში მონაწილე ადამიანების დანახვასაც.

ხდება ისეც, რომ დრამატურგი აღწერს წარმოებას ან რაიმე სპეციალური შრომის სფეროს ისე, რომ ამ სფეროს სათანადო ცოდნა არა აქვს. ასეთია, მაგალითად, ლ. ქუბაბრიას პიესა „ჩვენი ფრთები“. აშკარაა, რომ ავტორი სათანადო არ იცნობს საავიაციო წარმოებისა და თვითმფრინავთა კონსტრუირების საქმეს და ცდილობს ცალკეული და, ხშირად, შეუფერებელი ტექნიკური ტერმინების ხმარებით ფონს გავიდეს.

ჩვენი დრამატურგია მეტად ღარიბი იყო ქართველი მუშათა კლასისა და ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის შრომა-ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებებით. ამ მხრივ პ. კაკაბაძის და ი. ვაკელის უკანასკნელი პიესები — „ბედნიერი სამქედლო“ და „რვალი“ ერთგვარად ავსებენ ამ ხარვეზს. „ბედნიერი სამქედლოს“ უდავოდ ემჩნევა გამოცდილი და ნიჭიერი ოსტატის ხელი, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ჩვენმა კრიტიკამ, ამ პიესის კონფლიქტი სუსტი და მოღუნებულია. ეს გარემოება სტატიკურობის ელფერს აძლევს ამ ნაწარმოებს.

საკმაოდ მძაფრი კონფლიქტით ხასიათდება ი. ვაკელის პიესა „რვალი“. ამით უნდა აიხსნას მისი მიმზიდველი სცენურობაც. ამ ნაწარმოებში არის ოსტატურად გამოქანდაკებული მკვეთრი ხასიათებიც. მაგრამ კონფლიქტის პრობლემის თვალსაზრისით ამ პიესას ახასიათებს ის ნაკლი, რომ კონფლიქტის მიზეზი „მსუბუქი“ და არატიპიურია. მართალია, ძველსა და ახალს შორის ბრძოლა სხვადასხვა ფორმაში ვლინდება, და ხშირად სულ მცირე, უმნიშვნელო საბაბია საკმარისი ამ ბრძოლის დაწყებისათვის, მაგრამ საზოგადოებრივი მნიშვნელობის კონფლიქტ-



თა მეტისმეტი „დახურდავებაც“ სახიფათოა.

მცდარი შეხედულებაა, ვითომ დრამატურგია არ თხოულობდეს ძლიერ შთაგონებას და პოეტურ აღმაფრენას, ვითომც მისთვის მთავარია სცენის მოთხოვნათა ცოდნა, პიესის „კეთების“ ტექნიკური ხერხების გამომუშავება და დრამატურგიული გამომგონებლობის უნარი.

დრამა პოეზიის დარგია. იგი ისევე ვერ იტანს სიცივეს და არაგულწრფელობას, როგორც ლექსი და, შეიძლება, მეტადაც. საუკეთესო დრამატურგიული ნაწარმოებები ხასიათდება არა მარტო დიდი აზრებით, დიდი იდეებითა და სიმართლით, არამედ ფორმის პოეტური მშვენიერებითაც. ასეთია შ. დადიანის, ს. შანშიაშვილისა, პ. კაკაბაძისა და ი. მოსაშვილის საუკეთესო პიესები. მდიდარი პოეტური წარმოსახვის გარეშე, ღრმა ძლიერი პოეტური ლირიზმის გარეშე, ხალასი უშუალობის მიმზიდველი ძალის გარეშე, შთაგონებისა და აღმადრენის გარეშე შეუძლებელია ემოციური ზემოქმედების ძალა. დრამა ავტორისაგან ღრმა პოეტურ ბუნებას მოითხოვს. შემთხვევითი როდია, რომ წარსულის დიდი დრამატურგები დიდი მხატვრები და პოეტები იყვნენ.

მრავალი თანამედროვე პიესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ეს პიესები ხშირად მეტისმეტად „გაანგარიშებულნი“, „რაციონალურნი“ და, ამიტომ, ცივი და არაპოეტურნი არიან. ხელოვნურად აბუხლავებული, თუნდაც გონებამახვილურად კონტრულირებული, მაგრამ სიმართლეს მოკლებული და პოეტური შთაგონების გარეშე დაწერილი პიესა ვერ იქნება ემოციური, ამაღლებელი და მიმზიდველი.

მაღალმხატვრული და მაღალიდებური პიესა პოეტური ხელოვნების უმაღლესი ნიმუშია. საგნის ღრმა ცოდნით, დრამატული ოსტატობითა და პოეტური შთა-

გონებით დაწერილი დრამატურგიული ნაწარმოები მკვეთრად უპირისპირდება „დრამატურგიის ინტელექსუალურ“ მიერ შეკოწიწებულ პიესებს. ეს ავტორები ცდილობენ ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრება ძველი სცენური სქემების თარგზე გამოსკრან და ამიტომ ამგვარ პიესებს ყოველთვის სიყალბე ახასიათებთ.

კონფლიქტზე დაფუძნებული დრამატურგია მოითხოვს ცხოვრების ზედმიწევნით, ფართო და ღრმა ცოდნას. კონფლიქტს, როგორც ძველისა და ახლის შეტაკების შედეგს, ფანტაზიით ვერ გამოიგონებ, მისი „შექმნა“ მხოლოდ რეალურ სინამდვილეში დანახულის საფუძველზე შეიძლება. მართებულია ის დებულებაც, რომ ჩვენი დრამატურგიის ახალი გმირი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად ნაჩვენები თავისი ადამიანური არსის მთავარ გამოვლინებაში — შრომაში, შემოქმედებითს მუშაობაში. საბჭოთა ადამიანის სრული და რელიეფური ჩვენება მხოლოდ შრომისაღმე ახალი დამოკიდებულების ჩვენების გზით შეიძლება. სტახანოველი ვერ აისახება სტახანოვერი შრომის გარეშე.

სწორედ ცხოვრების ღრმა ცოდნა, ახლის გრძნობა, ე. ი. უნარი მომავლის ნიშნებისა და სპეციფიკის სხვაზე ადრე შემჩნევისა იყო მიზეზი იმისა, რომ დიდ დრამატურგებს ყოველთვის თან მოჰქონდათ ახალი თემა, ახალი აღმოჩენები, ცხოვრების აქამდე უცნობი მხარის მხატვრული ასახვა. ასე მაგალითად, ოსტროვსკიმ პირველმა გაგვაცნო ვაქართა სამყარო, ჩეხოვმა — რეეოლუციის წინაღობინდელი ინტელიგენცია, გორკიმ — „მეშინები“, „ფსკერზე მყოფნი“ და მომავლის ახალი ძალა — რუსი მუშა, გ. ერისთავმა — საქართველოს კაპიტალიზაცია, დ. კლდიაშვილმა — გადატაკებული თავდაზნაურობა, შ. დადიანმა — ერთი მხრით „გუშინდელნი“ და მეორე მხრით

„დღევანდელი“ — რევოლუციური პრო-  
ლეტარიატის სახით.

ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამ  
მოიტანა თავისი თემა და თავისი გმი-  
რი — ესაა ჩვენი დიადი სოციალისტუ-  
რი თანამედროვეობის თემა და მისი  
გმირი — საბჭოთა ადამიანი.

საბჭოთა სინამდვილეში დამკვიდრე-  
ბული საზოგადოებრივი ცხოვრების  
ახალი შინაარსი განსაზღვრავს საბჭოთა  
დრამატურგიის არა მარტო ახალ შინა-  
არსს, არამედ მის ნოვატორულ ფორმა-  
საც. კრიტიკა და თვითკრიტიკა, რო-  
გორც საბჭოთა ადამიანის ახალი თვისე-  
ბების დამამკვიდრებელი და განმავითა-  
რებელი იარაღი, გახდა დრამატული  
კონფლიქტის ახალ ფორმად, წინააღმ-  
დეგობათა გახსნისა და დაძლევის  
ფორმა დრამატული კონფლიქტის პრინ-  
ციპულად ახალ ნოვატორულ გადაწყვე-  
ტად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუ  
კონფლიქტი საბჭოთა სინამდვილეში არ  
არის ანტაგონისტური, ეს სრულიადაც  
არ ნიშნავს, ვითომც მისი წინააღმდეგო-  
ბები უმნიშვნელოა და, ამიტომ, კონფ-  
ლიქტის სიმკვეთრე შესუსტებული.  
ჩვენს თანამედროვე კონფლიქტებში  
ასახული ბრძოლა ვერ იქნება დღე  
უკვე იმიტომ, რომ იგი არის ბრძოლა  
კომუნისმისათვის და, მაშასადამე, უაღ-  
რესად დაძაბული პოლიტიკური ბრძო-  
ლა. ჩვენი წინსვლითი მოძრაობის შემა-  
ფერებელი ძალები ობიექტურად იმ-  
პერიალისტური რეაქციის სასარგებლო  
საქმეს აკეთებენ და ამიტომ ბრძოლა  
მათთან უაღრესად ცხარე და უაღრესად  
გადამწყვეტ ხასიათს ატარებს.



უკვე აღენიშნეთ, რომ კონფლიქტი  
უნდა იქმნებოდეს არა უცნაური სიუჟე-  
ტური სვლებით, არამედ მკვეთრად  
ჩამოქნილი ხასიათების შეჯახებით.

კონფლიქტი უნდა ემსახურებოდეს მთა-  
ვარი იდეის გადაწყვეტას.

ზშირად მთავარი იდეის გამოხატე-  
ლი ძირითადი კონფლიქტის გარდა არის  
სხვა კონფლიქტებიც, რომელნიც მთა-  
ვარის კერძო შემთხვევებსა და ცალკე-  
ულ მხარეებს გამოხატავენ.

ამ შემთხვევაში აუცილებელია ცალ-  
კეულ ნაწილთა შესაბამისობა მთელ-  
თან. პიესა არ უნდა იშლებოდეს ცალ-  
კეულ ფრაგმენტებად, ცალკეულ სი-  
ტუაციებად და სიუჟეტებად, იგი ერთ  
ძაფზე, ერთ ლერწმზე უნდა იყოს ასხ-  
მულ-აეინძული. პიესის კონფლიქტი ამ  
ლერწმს, ნაწარმოების ხერხემალს უნდა  
წარმოადგენდეს.

საზოგადოებრივი ხასიათის კონფლიქ-  
ტი, რომელიც ყველა პიესის მთავარი  
კონფლიქტი უნდა იყოს, შესაძლოა,  
გართულდეს პირადული, ან რომან-  
ტიკული ხასიათის კონფლიქტებით, მაგ-  
რამ ისინი არ უნდა ეცილებოდნენ პირ-  
ველობაში მთავარს, არ უნდა ჩრდი-  
ლავდნენ მას, და უნდა წყდებოდნენ იქ,  
სადაც წყდება მთავარი. მთავარი კონ-  
ფლიქტის გადაწყვეტ სთან ერთად უნ-  
და წყდებოდეს მისგან წარმოშობული  
მეორე ხარისხოვანი კონფლიქტებით.

საბჭოთა ადამიანების პირადინტიმუ-  
რი და ყოფაცხოვრებითი სამყარო ისე-  
თივე რევოლუციური გარდაქმნის პრო-  
ცესშია, როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა  
მხარეებში. ამ სფეროშიც მიმდინარეობს  
დაუცხრომელი ბრძოლა კაპიტალისტურ  
გადანაშთებთან ადამიანის ჩვევებსა და  
შეგნებაში. ამიტომ საბჭოთა სინამდვი-  
ლეში ჯერ კიდევ არსებობს პირად-  
ოჯახური, მორალურ-ეთიკური, ინტი-  
მურ-საყოფაცხოვრებო ხასიათის კონ-  
ფლიქტები. მახინჯ მოვლენათა სახით  
აქა-იქ კიდევ არსებობენ გულცივი  
მშობლები, უპასუხისმგებლო შეილები,  
შოღალატე მეუღლეები, მორალურად  
თავაშვებული და სწორ გზას აცდენი-  
ლი ადამიანები.

1952 წ. 7 ივლისს „პრაედას“ სარე-

დაქცეო წერილი აღნიშნავდა; „ჩვენში ყველაფერი როდია იდეალურად, ჩვენში არიან უარყოფითი ტიპები, ჩვენს ცხოვრებაში ბოროტება ცოტა როდია, და ყალბი აღმამიანებიც ცოტანი როდი არიან. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ვაჩვენოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი. ნაკლოვანებებს მკურნალობა უნდა. ჩვენ გოგოლები და შინდრინები გვეპირდება. ნაკლი იქ არის, სადაც არ არის მოძრაობა, არ არის განვითარება. ჩვენ კი ვვითარდებით და წინ მივდივართ, მაშასადამე, გვაქვს სიძნელეებიც და ნაკლოვანებებიც“. ამგვარ სინამდვილეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად მძაფრ შეტაკებამდე მიდიან ჩვენი სოციალისტური საზოგადოების წევრები, მაგრამ ასეთი უმსგავსი ფაქტები გაქრობის პროცესში მყოფი მომავლადეი ნიშნებია. ამიტომ ამ მოვლენების მხატვრული ასახვისას საჭიროა თავდაპირველი, ზომიერება და ფაქტების მკაცრი შერჩევა. ეს გარემოება სრულადაც არ ნიშნავს ბრძოლის შერბილებას. საბჭოთა დრამატურგიამ დაუნდობლად უნდა ამხილოს ამგვარი სიმშინჯე, მაგრამ, ამასთან ერთად, საჭიროა ვაჩვენოთ, რა მცირერიცხოვან გამონაკლისს წარმოადგენენ ასეთი სენით შეპყრობილი აღმამიანები ჩვენი ჯანსაღი საზოგადოებისათვის, და რა წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა მთ. აღმოსაფხვრელად.

უმართებულო იქნება პიესის აგება მხოლოდ პირად-ინტიმური ხასიათის კონფლიქტზე. ეს იქნებოდა მეშინაური დრამის გაცოცხლება, საბჭოთა ხალხის ფართო ინტერესების და მრავალფეროვანი ცხოვრების დანამატლებრივი შეზღუდვა. ჩვენს სინამდვილეში საყოფაცხოვრებო ან ინტიმურმა სასიყვარულო თემამ არ შეიძლება მიღოს დამოუიდებელი განვითარება, რაღაც თვითმომზნური, განცალკევებული გადაწყვეტა, რადგან საბჭოთა აღმამიანის პირადული ცხოვრება ვითარდება მის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო

კავშირში. სწორედ ამ ორი ცხოვრების განუყოფლობაში, მათ შორის ერთიანობაშია საბჭოთა ყოფის სწეტიფიკა.

ზოგიერთ თანამედროვე პიესაში შემჩნევა ზედმეტი, ცალმხრივი გატაცება პირადინტიმური ცხოვრების დეტალებით საზოგადოებრივი შრომა-საქმიანობის ასახვის შესუსტების ხარჯზე. ზოგჯერ საზოგადოებრივი შრომა რაღაც მკრთალი ფონის როლს თამაშობს პირად-ოჯახური დრამისათვის.

მთავარისა და მეორეხარისხოვანის გაუმიჯნაობამ, ინტიმური, ოჯახური პრობლემებით ცალმხრივად გატაცებამ მკლარ გზაზე დააყენა გ. ქელბაქიანი, რომელმაც თავისი პიესის — „ჩვენი პირადი საქმის“ სიუჟეტურ ხერხემლად ოჯახური დრამა აქცია და მთავარ კონფლიქტად პირად-ოჯახური კონფლიქტი გახადა.

უმართებულოა პირადულისა და საზოგადოებრივის მკვეთრი დაპირისპირებაც, ასეთი რამ მხოლოდ ისტორიული წარსულის ამბავია. რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იყო შემთხვევები, როცა პირადული საწყისი — სწრაფვა სიყვარულისაკენ, ოჯახური ბედნიერებისაკენ ეწინააღმდეგებოდა საზოგადო საწყისს — რევოლუციონერის, თავისუფლებისათვის მებრძოლის მოვალეობას. დღეს, პირადულისა და საზოგადოებრივის ერთიანობის მომენტში, მოტივი პირადულისა და საზოგადოებრივის ზავსამით გამოიჯენისა შეუფერებელია ჩვენი სინამდვილისათვის და ბურჟუაზიულ-რეაქციული შეხედულებათა არსენალიდან მომდინარეობს. ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი რევოლუციურსა და სოციალისტურს უყურებს, როგორც „პირადული საწყისის“ გაქლევას, როგორც აღმამიანთა ნიველირებას, როგორც პიროვნების გამაღარიბებელ და შემავიწროებელ მდგომარეობას, ყოველად შეუფერებელსა და მტრულს აღმამიანური ინტერესებისათვის.

ამხანაგი სტალინი წერილში „ლენინის შესახებ“ იმოწებდა ლენინის სიტყვებს: „უბედურებაა, როცა ადამიანებს, რომელთაც სურთ რევოლუციონერები იყვნენ, ავიწყდებათ, რომ ყველაზე უფრო ნორმალურ წესრიგს ისტორიაში რევოლუციის წესრიგი წარმოადგენს“. კომუნისმისათვის ბრძოლის წესრიგი ყველაზე ნორმალური წესრიგია დღევანდელი ცხოვრებისათვის, მისი ისტორისათვის.

ახალ ადამიანთა სახის ყალბი გააზრების შედეგია მათი გამოყვანა გონებაშეზღუდულ, მელანქოლიურ პიროვნებად, გაუბედავ, ან მოუქნელ, უინიციატივო ადამიანებად, ისეთ ადამიანებად, რომელნიც საქვეყნო საქმეებს ეჭიდებიან, „მსოფლიო აზროვნების პრობლემებს ჭრიან“, მაგრამ პირად ცხოვრებაში ან თავიანთი ნოვატორული მონაპოვრის დაცვაში ყოველად უმწეონი, უსუსურნი ხდებიან.

ჩვენს ადამიანებს შესწევთ ძალა, უნარი, გამბედაობა და სიმტკიცე არა მარტო შექმნან ახალი, არამედ დაიცვან იგი შველის შემოტევისაგან და გაამარჯვებინონ ამ უკანასკნელზე; მით უმეტეს, რომ ახლის დაცვის, მისი გამარჯვების საქმეში საბჭოთა ადამიანებს ეხმარება და ზურგს უმაგრებს სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ნერგავს გამბედაობას და ინიციატივას, სიმტკიცეს და შრომისმოყვარეობას, ახლის ძიების გრძნობას და მარდ წინსწრაფვას. ამიტომ დადებითი პერსონაჟების გამოყვანა მოყოყმანე, მოუქნელ, ენაბლუ და საცოდავ არსებებად მეტად უმართებულოა. ზოგჯერ ასეთი „ფერებით“ ხატავენ ჯანღონით სავსე ახალგაზრდობას, ჩვენს ომგადახდილ ვაჟაკთა გმირულ თაობას.

ასეთია, მაგალითად, ახალგაზრდა ინჟინერი და ყოფილი კამიტანი კოტე მალალაშვილი „უბრალო ადამიანებიდან“, ასეთია ავიაციის ახალგაზრდა ინჟინერი, ომგადახდილი ვახტანგ კარ-

გარეთელი „ჩვენი ფრთებიდან“, ასეთივე უხერხემლო, ენაბლუ მოუქნელი და მოუხერხებელია აფრანსოვი მსტრინი „ახალი ქართლიდან“.

ბურჯუაზიულ ცრურწმენიდან მომდინარეობს აზრი, ვითომც საბჭოთა ადამიანები პირად ბედნიერებას მოკლებული ცალმხრივი და ასკეტური არსებებია, რომელთა სახელმწიფო საქმე, მოქალაქს მოვალეობა და საზოგადოებრივი შრომა-საქმიანობა გზას უხშობს პირადი ბედნიერებისაკენ. ჩვენი ხალხი ჰქმნის არა მარტო მომავალ თაობათა ბედნიერებას, იგი საკუთარი ბედნიერების შემოქმედიცაა.

ამრიგად, საკონფლიქტო თემის არჩევასა და დრამატურგიული კონფლიქტის აგებაში უნდა ვერიდოთ რომანტიკულ-საყოფაცხოვრებო მოტივებით ცალმხრივ გატაცებას. სიყვარული, ოჯახი, ინდივიდუალური თავისებურებანი — მნიშვნელოვანი და საპატიო თემებია, მაგრამ დრამატურგიული ნაწარმოების მარტო ამ თემებით შეზღუდვა, მათი ყურადღების ცენტრში დაყენება, ამ საკითხების საზოგადოებრივი შრომისაგან, ჩვენი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრებისაგან მოწყვეტილად განხილვა შეცდომა იქნებოდა.

ასევე შემცდარია მეორე უკიდურესობაც — საზოგადოებრივი ხასიათის კონფლიქტით გატაცება და ადამიანის პირადი სამყაროს, მისი ადამიანური ინდივიდუალობის მივიწყება. ჩვენი სინამდვილისათვის უცხოა მარტო საზოგადოებრივი შრომით შეზღუდული ადამიანი, რომელიც მოწყვეტილია ოჯახს, მეგობარ-ნათესაეებს, რომლისთვისაც უცხოა სიყვარული.

ხშირად ავტორი გვიხატავს გმირის საზოგადოებრივ შრომას, ხოლო პირადულის ჩვენებისათვის მკვეთრი საღებავები არ ყოფნის.

სამწუხაროდ, ასეთი ცალმხრივობის ელფერი დაჰკრავს გიორგი გიგაურს

ი. მოსაშვილის პიესიდან — „მისი ვარსკვლავი“.

თანამედროვე ქართულ დრამატურგიას არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ერთგვარი ტრაფარეტულობა კონფლიქტების აგებაში და თვით საკონფლიქტო თეშების შერჩევაშიც. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ქართველმა დრამატურგებმა, მცირე გამოწვევის გარდა, ვერ მოგვეცეს ორიგინალური და აქტუალური მნიშვნელობის კონფლიქტი, რომელიც მანამდე არ გადაწყვეტილიყოს და არ ასახულიყოს რუსულ საბჭოთა დრამატურგიაში. არ არის იშვიათი თემებისადმი კომპანიური მიდგომაც. ბრძოლა კოსმოპოლიტიზმთან, დასავლეთის „კულტურის“ წინაშე ქედმოხრასთან და სხვ. უთუოდ მხატვრული განსახიერების ღირსია, მაგრამ თემის ექსპროპრიული დამუშავება, მისი წამხედურობით არჩევა შტამისა და ხელოვნურობის მეტს არაფერს მოგვცემს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონფლიქტი ჩამორჩენილ, გონებაშეზღუდულ ხელმძღვანელსა და ნოვატორ ხელქვეითს შორის 20 — 30-იან წლებიდან მოდის და სრულიად არ შეეფერება დღევანდელ სინამდვილეს. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული პიესების უმრავლესობაში, სწორედ ეს კონფლიქტია ასახული. თუ თემად აღებულია წარმოება, ნოვატორი ებრძვის დირექტორს ან მთავარ ინჟინერს, რომელიც აუცილებლად გონებაშეზღუდული, პატივმოყვარე, მოკოსმოპოლიტო ან მობიუროკრატია ტიპია.

თუ მოქმედება სოციალისტურ სოფელში წარმოებს, აქაც სტახანოველი და ბრიგადირი კოლმეურნეობის უნიჭო თავმჯდომარეს ებრძვიან.

ინტელიგენციის ცხოვრების დრამატურულ ასახვაშიც ამასვე ვხედავთ. ძველი სკოლის მოკოსმოპოლიტო მეცნიერს ებრძვის ახალგაზრდა, ახალი იდეოლოგიით აღჭურვილი მეცნიერი.

სამივე შემთხვევაში იმარჯვებენ ნოვატორები, სამივე შემთხვევაში ისინი გამადახდებიან, დემოკრატული ღირებულებები არიან, რომელთაც ხშირად თავიანთი იდეური მოწინააღმდეგის შვილი უყვართ. სამივე შემთხვევაში ნოვატორებს პარტორგები ეხმარებიან. სამივე შემთხვევაში საქმე მთავრდება ქორწილით (ან მისი სამზადისით), დაჯილდოებით ან სამსახურში წინწაწევით. ასეთია ძირითადი სქემა, რომლის მეტნაკლები ვარიაცია პრინციპულად არაფერს არა ცვლის.



რა განსაზღვრავს კონფლიქტის სიმძლიერეს? უპირველეს ყოვლისა მისი სიმართლე და რეალურობა. კონფლიქტი ნამდვილად მძაფრია, თუ იგი ძალად შეთხზული არაა, თუ იგი უშუალოდ ცხოვრებიდანაა აღებული. კონფლიქტის სიმძაფრისათვის აუცილებელია საკონფლიქტო თემა იყოს მნიშვნელოვანი. ე. ი. განსაზღვრული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე. თუ საკონფლიქტო თემა წვრილმანი და უმნიშვნელოა, კონფლიქტი ნამდვილ სიმძაფრეს ვერ შეიძენს. ასეთი კონფლიქტი დაემსგავსება წყლის „ღელვას“ ლამაქზე. ხშირად საყოფაცხოვრებო დეტალები მძაფრ წინააღმდეგობებს შობენ, მაგრამ განა შეიძლება წვრილმან კონფლიქტს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მძაფრი კონფლიქტი ვუწოდოთ? „მძაფრი“ არ შეიძლება ვუწოდოთ კონფლიქტს, როცა უმნიშველო წვრილმანი ზრახვები და იდეები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

აგილოთ, მაგალითად, თ. დონეცაშვილის „გამარჯვებულთა ღიმილი“ და ვ. ჭავჭავაძის „თბილისელი ქალიშვილი“. ამ პიესებში კონფლიქტი არსებობს თავისთვის, ხასიათები კი თავისთვის. ისინი ერთმანეთს არც უშლიან, არც ეხ-

მარებიან. ასეთი ინდიფერენტიზმი, ასეთი განურჩევლობა ვნებს როგორც ხასიათების სიმკვეთრეს, ისე კონფლიქტის სიმძაფრეს.

ზოგი დრამატურგი კარგად გრძნობს პერსონაჟის ხასიათს, კარგადაც ავითარებს მას, მაგრამ რომ ორგანულად, მტკიცედ დააკავშიროს მთავარ კონფლიქტთან და შესაფერი ადგილი უპო-

ვოს ამ პერსონაჟის საქმეებს, მის „საკუთარ სიუჟეტს“ პიესის ~~საქმეებს~~ სიუჟეტში, საერთო კომპონენტში, ~~საქმეებს~~ სიუჟეტის ვერ ახერხებს. ამის გამო პიესაში ხშირია ზედმეტი პერსონაჟები, რომლებიც არავითარ იდეურ-თემატიკურ და სიუჟეტურ ფუნქციას არ ასრულებენ.

## რომანი ლავიელი ხალხის ცხოვრების შესახებ



ქურნალ „ზევზდის“ 1951 წლის 8-9-10 ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი ლატვიელი მწერლის ვილის ლაციისის რომანი „ახალი ნაპირისაკენ“, რომელსაც 1952 წელს პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა.

ვილის ტენისის-ძე ლაციისი დაიბადა 1904 წლის 12 მაისს, მეთევზეთა დაბა რინუეში, რიგის ახლოს, მუშის ოჯახში.

1917 წლის შემოდგომაზე ლატვიაში გერმანიის ჯარის შეჭრის გამო, ლაციისი და მისი მშობლები რუსეთში იქნენ ევაკუირებულნი. ბარნაულში და ალტაიში ლაციისი ახლოს გაეცნო რუსეთის ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი გორკის შემოქმედებას. აქ ლაციისი წერს თავის პირველ ნაწარმოებებს და აქვეყნებს გაზეთში „სიბირსკაია ბორბა“.

1921 წელს ლაციისის ოჯახი სამშობლოში ბრუნდება. მწერალი მკვიდროდ უკავშირდება თავისი ხალხის ცხოვრებას.

იგი ცეცხლფარეშად იწყებს მუშაობას გემზე, მოგზაურობს გერმანიის, დანიის, ბელგიისა და საფრანგეთის პორტებში.

1928 წელს ვილის ლაციისი ხდება პორტის მუშების პროფესული კავშირის წევრი და გულმოდგინედ ეწაფება ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს. მიუხედავად ულმანისის ფაშისტური რეჟიმის მძვინვარებისა, ლაციისი წერს მოთხრობებს, რომლებშიაც აღწერილია ლატვიელი მშრომელი ხალხის დუხჭირი ცხოვრება და გამოხატულია

რევოლუციური პროტესტი ბურჟუაზიული ლატვიის რეაქციული რეჟიმისადმი. ასეთი მოთხრობებია: „ქალი“, „ძალღური ცხოვრება“, „მოხუცი ცეცხლფარეში“, „მამის დაბრუნება“, „ედიკ“, „მოვალეობის გრძნობა“, „ყველაზე ძვირფასი“ და სხვ.

1932 — 1934 წლებში ლაციისმა დაწერა რომანი „მეთევზის შვილი“. ამ ნაწარმოებში ასახულია ლატვიელ მეთევზეთა ცხოვრების მძიმე პირობები, მათი უუფლებობა. ამ რომანის თარგმანი რუსულ ენაზე გამოვიდა 1947 წელს და ამ დროიდან ლაციისი ხდება ერთ-ერთი პოპულარული საბჭოთა მწერალი.

1940 წელს ლატვიელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ულმანისის ფაშისტური მთავრობა და ლაციისი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აირჩია ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. დიდი სამამულო ომის წლებში ლაციისი ლატვიაში პარტიზანული რაზმების ორგანიზატორია.

ლაციისის კალამს ეკუთვნის პიესა „საცოლე“ (1943 წელი), რომელიც მიძღვნილია პარტიზანთა ცხოვრებისადმი. 1945 წელს მწერალმა დაწერა პიესა „გამარჯვება“.

1945 — 1948 წლებში ლაციისმა დაწერა რომანი „ქარიშხალი“. ამ რომანში ავტორი ცხოვრების ღრმა ცოდნით ხატავს ლატვიელი იატაკქვეშელი კომუნისტური პარტიის ბრძოლას ულმანისის ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. რომანის პირველი ნაწილი მთავრდება ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების

დამყარებით. „ქარიშხლის“ მეორე ნაწილში ავტორმა გადაშალა ლატვიელი ხალხის ბრძოლა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იატაკქვეშ, პარტიზანულ რაზმებში და საბჭოთა ადამიანების გამორული შრომა ზურგში. წიგნის შესამე ნაწილში მოცემულია ომის შემდგომი პერიოდი, ლატვიელი ხალხის შემოქმედებითი შრომა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ ოჯახში.

რომანი „ქარიშხალი“ წარმოადგენს ლატვიელი ხალხის ტხოვრების მხატვრულ ენციკლოპედიას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.

საზოგადოების ყველა ფენის ათობით ადამიანს ვეცნობით ამ შესანიშნავი რომანის ფურცლებზე. აქ არიან ბოლშევიკი იატაკქვეშელები, მტაცებელი ექსპლოატატორები, ბურჟუაზიული ლატვიის შესვეურები, მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები. ავტორმა დამაჯერებლად დაგვიხატა ბოლშევიკების — ანდრეი სილენიევისა და იან ბურგაილისის სახეები, ისინი სიცოცხლეს სწირავენ საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ვილის ლაცისის ახალ რომანს — „ახალი ნაპირისაკენ“.

ამ რომანის შინაარსი მოკლედ ასეთია: ლატვიელი რევოლუციონერის პეტრე ლიდუმის ქალიშვილი ილზა თავისი სამი წლის არტურით სოფლის დახლართული გზებით მიდის თავის მამასთან — იან ლიდუმთან. რამ აიძულა იგი ყინვაში, დათოვლილ გზებზე პაწია მარხილით ეტარებინა თავისი შვილი — ბურჟუაზიულ სინამდვილისათვის დამახასიათებელი ამბავია: კულაკის ვაჟს ანტონ პაცეპლისს, შეუცდენია მეზობელი კულაკის მოსამსახურე, სილატაკეში აღზრდილი ილზა და შემდეგ თავი მიუწებია. ბავშვიანი ილზა სამუშაოდან დაითხოვეს. მან დაჰკარგა ჰერი, საარსე-

ბო წყარო და ახლა მარხილში გაშეული მიდის სადღაც, გზას ვე ვე ვე ვე არ უჩანს... მოქანცულ ელზა იტყუებულს მექორწინეთა მარხილი: ანტონ პაცეპლისი, ილზას გამაუბედურებელი, ჯვარს იწერს კულაკ მელდერის ქალიშვილ ლინაზე. ილზა ერთ წუთს შესდგა, მოაგონდა განვლილი მწარე დღეები: უბრალო ფიცრის კუბოში ჩასვენებული მამა, რომელიც დახვრიტა დამსჯელმა ექსპედიციამ; თავისი და თავისი ძმის — იანის ნაღვლიანი ბავშვობა, გატარებული ობლობაში.

ილზა ტანჯვა-წამებით ზრდის პატარა არტურს, მას სურს გამოვიდეს იგი უსამართლობის წინააღმდეგ ისეთივე მებრძოლი, როგორიც იყო ილზას მამა.

ილზა თავისი ბავშვით უკვე ძმის სახლშია. მას ცივად ეგებება რძალი ოლა. რომელიც ურჩევს მას გაჰყვეს იოლ გზას, ღამეები ათიოს მდიდრებთან, ილზას ძმა — იანი ხე-ტყის მეწარმე ლავერთან მუშაობს. იანი ბავშვობიდანვე ძალზე ნიჭიერი იყო.

ახალგაზრდა საბჭოთა ლატვია სისხლში ჩაახრჩო თეთრმა ტერორმა. იანს სურდა გაჰყოლოდა წითლებს, მაგრამ პარტიამ იგი იატაკქვეშ სამუშაოდ დასტოვა. იანი და ილზა სიყვარულით შეეგებნენ ერთმანეთს. იანი დიდხანს არ წეება, იგი კითხულობს ლენინის „სახელმწიფოსა და რევოლუციას“, რომელიც კონსპირაციის მიზნით ბულვარული რომანის ყდამია ჩასმული. იგი ამეცადინებნ იატაკქვეშ მომუშავე რევოლუციური წრეების წარმომადგენლებს. ერთ საღამოს მის სახლს გარს შემოვრტყნენ აიზსარგები (ფაშისტური გასამხედროებელი ორგანიზაციის წევრები ბურჟუაზიულ ლატვიაში). იანს აპატიმრებენ. ლავერი იანის ცოლშვილს სახლიდან ისტუმრებს, სხვის ჰერქვეშ კვდება რევოლუციონერის ცოლი. მის პატარა აივარს კი იშვილებს კულაკი ტაურინი.



შემდეგ რომანის ფაბულა ასე ვითარდება: ღონა მელდერი ანტონ პაცეპლისის ცოლი მშობიარობას გადაჰყვება; ქალის მშობლებს სურთ ბავშვის წაყვანა, მაგრამ ანტონს ეს ხელს არ აძლევს. ანტონს მოჰყავს მეორე ცოლი, ახალგაზრდა ქალიშვილი ქრისტინა, მოჯამავირის ოჯახიდან. ანტონის მშობლები რძალს ეუბნებიან, რომ იგი არაა არც მათი შვილისა და არც მათი ოჯახის შვილი. ქრისტინა ფაქტიურად მოსამსახურეა. ქრისტინასთან ანტონს შეეძინა ქალიშვილი ანა და ვაჟი ეანი.

მძიმე შრომით განაწამებელი იღზა ციხეში ნახულობს თავის ძძას იანს, რომელსაც შეატყობინებს თავისი ოჯახის უბედურებას. იღზა ამასობაში კითხულობს საბჭოთა მწერლების წიგნებს.

1933 წელი. ლატვიაში მძვინვარებს კულაკთა წარმომადგენლის — უღმანიისის რეჟიმი. ჰიტლერის მაგალითი მოსვენებას არ აძლევს ლატვიის ბურჟუაზიას. იწყება სასტიკი შეტევა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, მყარდება ფაშისტური რეჟიმი, 1934 წელს იანს გაუთავდა პატიმრობის ვადა. მას ათავისუფლებენ. აივარი, იანს ლიდუმის შვილი ცხოვრობს მამულ ურგის მეპატრონეებთან — ცოლ-ქმარ ტურინებთან. ბავშვს შთააგონებენ, რომ იგი ეკუთვნის მალალ წრეს. აიხსარგების ასეულის მეთაურს — ტურინს თავისი ნაშვილები შეჰყავს კულაკურ-ფაშისტური პარტიის საბავშვო ორგანიზაციაში. იღზს შვილს, რომელიც ფარულად კომკავშირული ორგანიზაციის მდივანდ მუშაობს, აპატიმრებენ.

დადგა 1940 წელი. ლატვიაში დაეცა ფაშისტური რეჟიმი, ლატვიელი ხალხი გაათავისუფლდა, იანი და არტური იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. იწყება სამამულო ომი. — იანს ლიდუმი ფრონტზე ხედება თავის შვილს — ლეიტენანტის სამხრეებში. არტურს უნდა იბრძოლოს საბჭოთა ლატვიისათვის, მას სურს კომუ-

ნისტურ პარტიაში შესვლა. მაგრამ იანი რომელიც პოლკის მეთაურის მოადგილეა პოლ. ტნაფილში, ეუბნება ვერაძრეო. ანა პაცეპლისი დემონიზაციით ბრუნდება სახლში. მისი ძმა — ეანი კოფილა არტურ ლიდუმის პარტიზანულ რაზმში. ანა თავისისავე სოფელში იწყებს მუშაობას პარტიული ორგანიზაციის მდივანდ. მისი წინადადებით სოფელ პურევისკში არსდება მელორაციული ამხანაგობა ქაობების ამოშრობის მიზნით. ღრმადდება უთანხმოება მამასა და შვილს შორის. ანას მამას ანტონს არ სურს პური ჩააბაროს სახელმწიფოს. ანა ცდილობს გარდაქმნას მამა, გახადოს იგი საბჭოთა ადამიანად.

ანა პაცეპლისი ენერგიული და პრინციპული მუშაეია. ანა ებრძვის კულაკებს, რომელთაც სწადიათ ჩაშალონ ხეტყის დამზადება. ამას მხარში უდგას მისი ძმა — კომკავშირელი ეანი, აივარი სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში სწავლობს, იგი ენთუზიაზმით ჰყიდებს ხელს ანას წინადადების განხორციელებას, ჭაობის ამოშრობას. ტარდება საცდელი სამუშაოები. აივარს უყვარს ანა. აივარის მამობილი — რეინის ტაურინი ფიქრობს თავი შეაფაროს შევეციას და იმუშაოს ამერიკელ-ინგლისელების სასარგებლოდ, სორს დაარსოს ფარული ორგანიზაცია. მას ეხმარებიან ყოფილი აიხსარგები — სტელპი და პიკოლი. ტაურინი წერილს წერს თავის შვილობილს აივარს, რათა ჩაითრიოს იგი უმუშურ მუშაობაში. აივარი აპატიმრებს მამობლის მ-გზავნილს. იწყება შეურიგებელი ბრძოლა. აივარი და ანა ხშირად ღებულობენ ანონიმურ წერილებს, — კულაკები ემუქრებიან მათ. ლატვიის სოფლებში ჩაღდება ბრძოლა საკოლმეურნეო არტელების შესაქმნელად. ანა აარსებს პირველ კოლმეურნეობას — „სტალინურ გზას“. ანა და ეანი კატეგორიულ წინადადებას აძლევენ მამას შვიდეს საკოლმეურნეო არტელში, ანტონ პაცეპლისი სასტიკ უარ-

ზეა. მესამე ცოლის სიკვდილის შემდეგ პაცეპლისი გადასწყვეტს შეურიგდეს ილზას, არტური და ილზა არ მიიღებენ მას. ახალი ცხოვრების წინააღმდეგ იბრძვის ბანდა რეინის ტაურინისა და სტელპის მეთაურობით. აივარი შეიპყრობს თავის გამზრდელს და გადასცემს სათანადო ორგანოებს.

რომანის უკანასკნელ თავში ასახულია საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება. აივარმა მიზანს მიღწევა: ჰაობი „ზმეინოე ბოლოტო“ ამოაშრეს, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტს აივარს აირჩევენ არტელის თავმჯდომარედ. ანა პაცეპლისი და აივარ ლიდუმი კვლავ ერთად არიან. ისინი ამყავდ გაპყურებენ საკოლმეურნეო ველებს. რომანი მთავრდება ბუნების გარდაქმნელი საბჭოთა ადამიანების შთაგონებული სიტყვებით მის შესახებ, რომ არ არსებობს სიძნელე, რომლის წინაშეც ქედი მოიხაროს კომუნისმის მშენებელმა საბჭოთა ადამიანმა..

ვ. ლაცისი ნათელ ფერებით ხატავს ლატვიელი გლეხების მოძრაობას საკოლმეურნეო წყობილებისაკენ — ახალი ნაპირისაკენ. იან ლიდუმის, ილზას, არტურისა და ანა პაცეპლისის სახით ავტორი იძლევა კომუნისტების — მასების დამპრაზმელების, ხალხის ბედნიერებისათვის უშიშარი მებრძოლების დამაჯერებელ სახეებს. წარმავალი, ექსპლოატატორული სამყარო, მისი მტაცებლური არსი რომანში მოცემულია მდიდარი კულაკის რეინის ტაურინის სახით, რომელსაც საბოლოოდ თავისი გზიდან გადაარცხავს ლატვიური სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობა. ასახავს რა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, ვილის ლაცისი სწორად სწყვეტს კულაკური ოჯახების რღვევის საკითხს საკოლმეურნეო მოძრაობის აზვითების პირობებში.

რომანი „ახალი ნაპირისაკენ“ უღაველ მოწმობს მწერლის კონსტატობის ზრდას.

გიგელიძე

რომანში ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს. თითოეულ მათგანს ცხოვრების თავისი გზა გააჩნია, პერსონაჟების ინდივიდუალურ თვისებებში ავტორი იძლევა ცხოვრების ტიპიურ მოვლენებს. მწერლის დამსახურება იმაშია, რომ მან შექმნა ლატვიელი კომუნისტების დაუვიწყარი პორტრეტები. ასეთია პირველ რიგში იან ლიდუმი. მან განვლო ცხოვრების რთული გზა — მოჯამაგირიდან მინისტრამდე. ეს ადამიანი გამოიწრთო რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, იგი თორმეტ წელს იჯდა ციხეში. მაგრამ, როცა ლატვია შევიდა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, პირველივე დღეებიდანვე მკაფიოდ გამოვლინდა ლიდუმის ორგანიზატორული ნიჭი. იან ლიდუმი ლენინურ-სტალინურ ტიპის მოღვაწეა.

ახალი ცხოვრებისაკენ პირდაპირი გზით მიდიან ახალგაზრდები — მუშებისა და გლეხების შვილები: არტურ ლიდუმი, ანა და ეანი პაცეპლისები და სხვ.

ფრიალ საინტერესოდ გაშალა რომანის ფურცლებზე ავტორმა იან ლიდუმის შეილის აივარის ცხოვრება. იგი იშვილა კულაკმა ტაურინმა. ბავშვობიდანვე მას ზრდიდნენ ფაშისტურ-ნაციონალისტური სულისკვეთებით, მაგრამ ჰაბუკობაში იგი დაუახლოვდება ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანებს. იგი თანდათანობით ჩაწვდება ბურჟუაზიული წესწყობილების უსამართლობას, იცვლება მისი მსოფლმხედველობა.

აივარი სტოვებს ოჯახს, იგი ხდება ნამდვილი საბჭოთა ადამიანი. რომანის ფურცლებზე ჩვენ ვხედავთ აივარის ზრდას, მისი სულიერი სამყაროს თანდათანობით ჩამოყალიბებას, გარდაქმნას, იგი მამაცი საბჭოთა მეომარია, გამირულად იცავს სამშობლოს, ამიტომ

მას მიიღებენ კომუნისტურ პარტიაში. ეს იყო მისი ოცნება.

რომანში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სოფლად გაჩაღებულ კლასობრივი ბრძოლის ჩვენებას.

ვილის ლაციის მალალი მხატვრული ოსტატობით ხდის ნიღაბს ლატვიელი ხალხის მტრებს.

ჩვენ ვხედავთ, ლატვიელი გლეხობა

სახელმწიფოს დახმარებით როგორ აშრობს ჭაობებს, კულეკეჭოვნეზრქოლის ქარცეცხლში რბივსა და მხატვრულ პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელები.

ვილის ლაციის „ახალი ნაპირისაკენ“ დიდი ეპიკური ტილოა. იგი თავიდან ბოლომდე ნამდვილი ხალხურობის სულისკვეთებითაა გაყენებული.

## ბიბლიოგრაფია

შ. ამისულაშვილი. „დარიალიდან ყარა-ყუმამდე“

„საბჭოთა მწერალი“ 1952 წ.



ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ შალვა ამისულაშვილმა მიიპყრო საბჭოთა მკითხველის ყურადღება თავისი ლექსების კრებულით „თალი“ (1947 წ.). ამის შემდეგ უფრო ღრმად და მკაფიოდ გამოვლინდა შ. ამისულაშვილის პოეტური ნიჭის თავისებურება. ახლანდელი ლექსების კრებულის „დარიალიდან ყარა-ყუმამდე“ პოეტის მეოთხე წიგნია.

ერთ-ერთ თავის ლექსში „კიდილი სიტყვასთან“, პოეტი აღიარებს, რომ მას დიდი შემოქმედებითი შრომის ჩატარება სჭირდება, რათა „დიდი ხნის განცდა სტრიქონებში დაბინავდეს“, თუმცა, „სიტყვასთან ბრძოლაში“ პოეტი „ყოველთვის იყო თამამი“, მაგრამ ზოგჯერ „გავლენ დღეები ძლიერ იპოვნე უბრალო სიტყვასი“. ასეთი მომთხონეა პოეტი თავისი შემოქმედებისადმი. პოეტს ერთდერთი სურვილი აქვს, „რომ სიყდილამდე სამშობლოსადვის ვიყო საჭირო“ და თავის პოეტურ ნაწარმოებებში იგი შეძლებისდაგვარად ცდილობს განახორციელოს ეს სურვილი.

ლექსების კრებული „დარიალიდან ყარა-ყუმამდე“, როგორც მხატვრული სიტყვის დაუფლების, ისე იდეურ-პოლიტიკურად შ. ამისულაშვილის წინსვლისა და ზრდის მაჩვენებელია. კრიბოლში დიდი ადგილი უკავია პოემას „გომეგრის ხეობაში“. ამ ნაწარმოებს პირობითად თუ შეიძლება პოემა ვუწოდოთ. იგი უფრო 18 თავად დაყოფილი ლექსების ციკლია, რომელთაც მოქმედების ადგილი და მოქმედი პირობები აერთიანებს. ამ პოემის შეიდი თავი პირველად ეყრდნობა „მწათობის“ 1951 წლის 16-7-ში დაიბეჭდა, როგორც ლექსების ციკლი საერთო სათაურით „თუშეთის მთებში“. კრებულშიაც თითოეულ თავს თავისი სათაური აქვს, რაც უფრო არღვევს პოემის, როგორც განსაზღვრული პოეტური ეპიკის, თავისებურებას. ვარდა ამისა, ნაწარმოებს აქვს პოემისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური მთლიანობა, ეპიკური თხრობა, მოქმედებას დინამიკურობა და გმირთა ხასიათების მკაფიო ინდივიდუალიზაცია.

თემატიკურად პოემა ეხება აღმოსავლეთ საზღვრებელს შთაინთოს, კერძოდ — თუშეთის

მხარეს. პირველი და მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ლამაზი და მომხიბლავი თუშეთის მთიანი პეიზაჟის საუცხოო აღწერით იწყება პოემა. საერთოდ შ. ამისულაშვილის პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პოეტს ემარჯება ბუნების აღწერა.

აგტორს უყვარს მთის ბუნება და ამ სიყვარულს შეიხვედრება უნებგავს გულში. ის, როგორ ჰიშნს ათქმევინებს პოეტი თავის ერთ-ერთ გმირს, ნათელა თილიძეს, გომეგრის ხეობის მიმართ:

„მომწონხარ მთვირიან ლამეში,  
მომწონხარ ღრუბლიან ლამეშიც,  
მომწონხარ, როდესაც წარბს გიკრავს  
ამარი ქარების თარეში...  
მომწონხარ წვიმების შემდეგაც,  
რომ ალაპაღდება მზის შუქზე;  
ან ცინარტყელების სარკვეში,  
რომ გადაღულავ ქვის გულ-მყარს“.

მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდება მხოლოდ ბუნების სიმშვენიერის აღწერით. ბუნებას უფრო მეტი სიმშვენიერე ეძლევა, როდესაც იგი დამორჩილებულია ადამიანის მიერ, როცა ბუნების სიმშვენიერე ემატება ადამიანის შიკრ შექმნილი მშვენიერება.

„ხვალ აქაც ამოვლენ თუშები,  
თბილისში ნაწრთობი თუშები,  
ნამდილი წაღოტის მშენებლებს  
შრომში მწვესსებოც ვუშევილით —“

— ამბობს ნათელა. გომეგრის ხეობაშიც გაჩნდება ელექტროსაწველი, ელექტროსაპარსი

„და შენი ველური ბუნება  
თავს დაიმარტოვებს ზღაპარში.“

პოემის იდეური მიზანდასახულება სწორედ ამ ახლის ზეენებაშია. პოეტს სურს გვიჩვენოს თუ რა ცვლილებები შეიტანა საბჭოთა ხელსუფლებამ ამ შორეულ მხარეში. „ჩვენ ვინა მარტოდენ მწვესსური ცხოვრების ტრეფილი

გვალაღებს" — აქმევიენებს პოეტი ერთ-ერთ გმირს. ახლის შემტანია თქმეთის მთებში პოემის მთავარი გმირი — ნათელა თიღიძე. იგი თბილისში სწავლობდა, „ღამეებს კითხვანი თუედა, რომ დიად სამშობლო ქვეყანას იმისი გარჯითაც ეხარა“. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი ვეტეკშიაღ მუშაობს ახმეტის რაიონში. აქ ნათელამ დამსახურება კარგი მუშაის სახელი. იგი ეხმარება ფერმებს, მწვემებს, მწველაეებს. აეტორი აღტაცებით აგვიწერს ნათელას პრაქტიკულ მუშაობას, თუ როგორ გადაარჩინა მან წველის დროს ცხვარი, ან როგორ წამოაყენა ფეხზე თორი მოხვერა, თუშეთის მთებში ისეთივე სისხტუარბი და მრავალფეროვანი ცხოვრება სჩქეფს, როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვა მხარეებში. ამ მხრივ ყურადღებას იმურობს სტოკჰოლმის მოწოდებაზე ზელისმოწერის სტენა. შორეულ თუშეთის მთებში მწვემების საპროტესტო ხმა „სიკედლის რსტატუბის“ წინააღმდეგ მძალერად გაისმის:

„ზორბალოს თოვლდამდნარ მწვერვალზე  
 •ტლასის ალაში ეღვარებს,  
 ჯვრუ-ჯავრუად შევრილი მწვემსები  
 ფეჭრს გაუტაცნია მღელვარეს...  
 ბრტყელ სიპზე გაუკრავთ განიერად  
 წარწერა: „დიდება დიდ სტალინს!“

ჭალარა პარტორგის სიტყვის შემდეგ ზელს აწერენ მწვემსები, სარქლები, მწველაეები...

„შვილობას ეკუთვნის სიმართლე,  
 სიმართლეს ვერაინი მოგვტაცებს.  
 ხალხს მაინც სიფრთხილე სჭირდება —  
 დაცეას თავისი დიდება.“

არა ნაელებ ამალელებელია სტენა „მწვემსები გლობუსთან“. სარქალი — ატიტორი განიძე „კვირა დღეს მოუხმობს ბრაეალებს, გაუბამს ათასგვარ საუბარს“ აღვანში ნაყიდ გლობუსთან:

„მწვემსები ლონდონს და ვაინეტონს  
 უცქერენ წარბების მოღუშეთი.“

განნიის საუბარს მწვემსები ყოველთვის დიდი ინტერესით უსმენენ, შეტადრე კრევის ამბების შესახებ:

„გამოინდა პატარა კორეა...  
 პატარა კი არი, მაგრამ, ეხ,  
 რამდენი დღეშინი პუილა...“

საბჭოთა ზელისუფლების დროს იცვალეს თავისი სახე სოფლებში და დაბებში, პოემის

მეტეიდმეტე თავში აღწერილი, თუ რა ცუდობლებები მოხდა აღვანში. სად არის ახლა ბეული აღვანი „თავისი მხრჩორეტი მწვემსები, თავისი ღორღიტა ვეთნებთმისა-მწვემსები პოეტი. ახლა აღვანი პატარა ქალაქია: „სულ სართულბაღალი სახლები, სახლები ვეება სარკმლებით; სულ ჩუქურთმბანი ჭიწყარები, შეკრული მშისფერი ფიცრებით“ და აღვანელი მწვემსის ოჯახში თუ შეხვედი „სტალინის ტომებთან თვალს მოკერავ საამერ სალაშქრს“.

მრავალ ღონისებთან ერთად, ამ ნაწარბოებს სერაიოზული ნაყოფიერბანი გაჩნია. უწინარეს ყოვლისა, პოემა უკონფლიტოა. მწვემსების ცხოვრება თითქმის იდილიურად არის გამოსახული. არ ჩანს ახლის ბრბოლა ძველთან, დრომოქმულთან. მართალია, ერთ ადვალას პოეტს გამოყავს მეექვსე ბრაეადის სარქალი, რომელმაც „ნათელა არაფრად ჩასთვლა“, რადგან „ხვადიდან იქნება აღარც კი დამგვირდეს ეჭიში“, მაგრამ საქმარისთა ნათელას მოულოდნელი გაჩენა, რომ ცრემორწუნე მოხტემა სარქალმა „ღამემოს თავისი ნათქვამი“. ასე უკონფლიტოდ, უბრბოლველად აქვს წარმოადგენილი აეტორს მწვემსების ცხოვრება. ეტყობა პოემის უკონფლიტობა აწუხებდა აეტორს, როდესაც პოემას ჩაურთო სიყვარულის სამკუთხედო ნათელა უყვარის გაგნიძეს და მუშტარაულს, მაგრამ აქაც „კონფლიტო“ ჩანასახშივე იხმობა: მუშტარაული „დაუთმობს“ ნათელას გაგნიძეს. პოემში გმირების ჩასათებნი ვერ არის მკვეთრად და მკაფიოდ გამოძერწილი. სქემატური და გამარტყებულია მათი შინაგანი სამყარო.

ფართოა და თვალწვედენი ჩენი საბჭოთა ქვეყანა. დარბილიდან ყარა-ყუმამდე ვაჭიშვილა საბჭოთა ქვეყნის სამხრეთი ნაწილი. პოეტს პირადად აქვს მოვლილი ეს მხარე ჩენი ქაეუნისა. იგი ხედავს რიონის „თოვლისფერ ლოდებს“, რომელიც მას არასოდეს არ დაფრუდებდა. სომებს შეგობრის გახსენებაზე, რომელთანაც პოეტმა ერთად იბრბოლა დიდ სამამულო ომში, მის თვალწინ გადიშლება სეყანის ტბა, არარტი, რომელსაც „მზე ადგება ლამუნათეარს“, და ხევეში მოგუგუნე მდინარე ზანგა, რომელიც „დიდ მოშავლს უშდერის“. აეტრ აღხაი-ქალები, „ყაბალახიანი მხობრები“, რომელნიც „უაეებთან ერთად გმირულ კომიკისიერ გერტთან მუღამ“, გუდუთისაკენ მიიჩჩარბენ „მშანაგები დალეონ უღლა ქორწილი“.

თავისებორად აქვს პოეტს აღწერილი სამგორის მშენებლობის ამბები ლეჭანში „პეშენი მიწა იტაცის“ და „დღეს გასაფხულ მოგყავს დიდოფლად“. უწინ გლდანიღები და გარდაბნელები ერთმანეთს ჭიდაობაში ეყიბ-

რებოდნენ, ახლა ისინი სამგორის არხს მიადგნენ, „გაჩნდა ელვა წერაქვების და ტრაილი ნიბნების“ და „საქართველოს კარებს გასცდა ქება მათი გვარების“. სამგორის გაქავებულ მიწაზე, რომელიც „ათასწლოვან ძილს“ მისცემოდა, ახლა „ლაღად დაიბრა ტალღებთა ჯარი“, რომ „აქაც დამკვიდრდეს ადამიანი“. ზა პოეტს იგონდება ყარაყუმის უდაბნო ბარხანები. თურქმენ მეგობარს, სამამულო ომში მხვერვათა ნაყოფს, როგელმაც „რამდენ ვერავს, რამდენ წვეულს აწყველინა თავზელი“, ახლა ყარაყუმის უდაბნოში აუმართავს კარავი და დასცქერის რუკას. პოეტი ასეთი სიტყვებით მიმართავს უდაბნოს ქარს:

„ქარო, ქარო, შე ავშარო,  
შეანელე თარემი,  
ჭველ მეგობარს, ჩემს მეგობარს,  
ელვა უერთის თვალბნეში...“

ამთა ყარაყუმის ქარის რისხვა. იგი ველარ დამარხავს ქვიშის ბარხანებში ქარავენებს, ველარ გაახშობს ოაზისებს, ველარ ამოავსებს ქებს „შლაძეთა და შხამით“...

„აშხაბადელ მშენებელთა  
მოვა მთელი არბია,  
რომ გრათილი უდაბნოსცენ  
დაძრას ამუღარი!“

პოეტი ოცნებით ხედავს უცვლად ამყრობილ ყარაყუმს: იქ, სადაც უწინ „მოწყურებულა, მომთებულა, მოშველა მიწა“ იყო, და აქელვთა გუენების კეშინი ქლარენი“ ისმოდა, ახლა ღელავენ ბამბის ველები და პურის ყანები. „ბაღებში“ ცისარტყელებად მოზრიან შადრეუანები“. შუა-აზიის დიდი მდინარე ამუღარია იცვლის კალაპოტს, კასპიის ზღვას შეუერთდება და თურქმენი კაპიტანი

„ეოლვას აყვება ამაყად,  
რომ ყარაყუმის ბარაქა  
იხილოს ღედა-ქალაქმა.“

მომხე რესპუბლიკაში გაჩაღებულმა დიადმა მშენებლობამ შეხანიშნავი გამოხატულება მოვა ქართველ საბჭოთა პოეტის ლექსებში. ამავე ციკლში მოთავსებულია რამდენიმე ლექსი დიდ სამამულო ომის თემატიკაზე. წრდილი გრძობით და ოპტიმისტური განწყობილებით აღსავსეა ლექსი „ნეტავე შენთან მამყოფა მამის“. სოფლის საღამოს სურათის აღწერით იწყება ეს ლექსი:

„წელან მოვარდა ზხრილა წვიმა,  
ხარტეხა მწვანე წიორების წყება“

ახლა შეიღებრი სარტყელი ბარყინავს და ღურჯთვალემა საღამო წვესა“

სარტყელის

ახლაგაზრდა ქალი ინტერმეტის მსგავსად ჯარში. „ნეტავე შენთან მამყოფა მამის, როცა შეარხვე ხელში შაშხანას“, ოცნებობს შეთვალა ქალი. ვაფი გაისწორებს წაბლისფერ ქონორს და რჩევას აძლევს ქალს — შენ აქ ისახელებ თავი კოლექტივის მიწაზე, მე კი იქ დავიცავ სამშობლო მიწასო. ლექსის ფინალურ სცენაში პოეტი საუცხოვოდ გამოხატავს იმ მტკიცე და შეურყვეველ კავშირს, რომელიც სამამულო ომის დროს არსებობდა ზურგსა და ფრონტს შორის.

ლექსში „ბუღბუღების დილა“ პოეტი გამოხატავს სახალხო-დემოკრატიის მწვეწნების მშრომელების უდიდეს მადლობას გმირული საბჭოთა არმიისადმი, რომელმაც გაათავისუფლა ისინი ფაშისტური უღლისაგან. დაჭრილი მადიარი, რომელიც წევს პოეტის მახლობლად ბუღბუღების პოსპიტლის ერთ-ერთ პალატაში, ასე მიმართავს საბჭოთა ჯარისკაცს: „ფაშისტის შლეგან ხარს თქვენ დაუტებეთ სისხლიანი რქებიო“. მრისხანებით და სიძულვილის გრძობით არის სავსე ლექსი „გაბტხილი ფიცა“. პოეტი მიმართავს იმ მეგობარს, რომელთანაც ერთად იბრძოდა იგი საქსონიის მთებში და ელბის ნაპირებზე. ახლა მას „დოლარებმა დაუბრძავეს თვალი“, მაგრამ „ძლიერია ხმა სიშვართლის“ და მშვილობისათვის ბრძოლა „გაკვეთის ყველა მანჩილა“.

პოეტი უმღერის მშვიდობას. „დიდება სოცოტლეს“ გათახის იგი ლექსში „სამშვიდობო შეძახილი“. თექვსმეტი რესპუბლიკა როგორც „ტოტმაგარი თექვსმეტი მუხა, როგორც თექვსმეტი მადმუფიციულა“ მაგრად ღვას მშვიდობის სადარაჯოზე. პოეტი ნიღაბს ხილს ამერიკის და ინგლისის იმ ცრუმეცნიერებს, რომელთაც სურთ მალთესის რეპტიული თეორიის აღდგენით მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას „იღუერი“ საფუძველი მოუნახონ. უოლსტრაიტის ლაქია, კაციკაშია „მეცნიერი“ ფოტო თავის წიგნში „გზა გადარჩენისა“ უსიჩხვილოდ ლაგობს, თითქოს დღემიწა ქარხნად არის დასახლებული, მიწა არ ყოფნის ადამიანსო. ამიტომ საუბროა ომი, რომელიც შეაკვირებს ადამიანთა რიცხვსო. მაგრამ ჯერ კიდევ 1840 წელს დიდი რუსი პოეტი მ.ბ. ლერმონტოვი ჰკიცხავდა რა ცარიზმის მილიტარისტულ პოლიტიკას წერდა „Имя некоемъ мѣста много всемъ...“ დღეს საბჭოთა პოეტი უერთდება დაღებულ კლასიკოსების ჰუმანისტურ ტრადიციას და ყველაჯერის იშვარიალისტური ავანაჟების წინააღმდეგ გაიხსნის: „მწიური სამყარო გვეყოფნიდა, გვეყოფნის და

გვეყოფა კიდევაც". და „ინც კაცობრიობის სი-  
ცოცხლო არ ხარობს, თვით ჩაყვდეს, სიჭე-  
დოლში თუ ექვსს დიდებას".

პოეტის ენა ძირითადად სადა და ნათელია,  
ოღონდ უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მთიანი  
მხარის კოლორიტის ვაღმოსაყვამთ თვენებს  
კუთხურ სიტყვებს, რომელთაც ახსნა სკრადე-  
ბათ. ასეთებია, მაგალითად, „საჯი“, „ქანაზი“,  
„ტაგანი“, „არალელი“, „არჯალი“ და ა. შ.

კრებულში გვხვდება მხატვრულად და იდე-  
ურად სუსტი ლექსებიც. მაგალითად, „საქუ-

თარ წიგნზე მინაწერი“, „ბაკურისე“ —  
სიყვარულში მაჯობის ვინავე და სხვ.

შ. ამისულაშვილს ყოველგვარეულ მხატვრულ-  
ლობა გააჩნია, რომ იგი საბუნებისმეტყველო  
წინავე რიგებში ჩადგეს, ამითათვის კი საქუ-  
როა, რომ პოეტმა სოციალისტური რეალიზმის  
მეთოდის მომარჯვებით იბრძოლოს მხატვ-  
რულ-იდეური დონის კიდევ უფრო მჭერ  
ამაღლებინათვის.

ილ. შანიჩიშვილი

ა. თევზაძე — „სამშობლოს შუამდგომელი“

საბლიტვაში, 1951 წ.



ა. თევზაძე საყურადღებო საბავშვო ლექსე-  
ბის ავტორია. მისი ახალი წიგნი იხსნება დიდი  
სტალინისადმი მიძღვნილი ლექსით „ძია  
სტალინის სურათი“, რომელშიც საბჭოთა ბავ-  
შეების მღალი განწყობილებები და აზრებია  
გამობატრული:

„ძია სტალინის სურათი  
ჩემს მავიდსთან ჰქადა,  
იგი ოთახში შუქს აფრქვევს,  
დღა არის თუ ბინდია“

წიგნში სამშობლოს თემაზე რამდენიმე ლექ-  
სია შეტანილია: „თებერელის დღა“, „საქართ-  
ველოს გაზაფხული“, „სამშობლოს მახის“ და  
სხვ. ამ ლექსებში უმთავრესად ჩვენი ქვეყნის  
პეიზაჟია აღწერილი. ავტორი ბუნების სურა-  
თებს ცოცხლად ხატავს. პოეტს უნდა ეუსაფუე  
დროით, რომ მისი ლექსები კონკრეტულ სა-  
ხეებს მოკლებულია და, რაც მთავარია, ერთი-  
მეორეს გეანან. საერთო ფრაზებზე აგებული  
ლექსი მკითხველს გულში ღრმად ვერ სწავდუ-  
ბა. პატარა მკითხველს მარტო ის როდა  
ანტრატრებს, თუ ლალი მერცხლებით როგორ  
აივსება ქაღალეები და სიფლები, ან კიდევ სა-  
ლალობდ გულს როგორ გაუშლის ძველი ბუ-  
დე მოტრენილთ („საქართულოს გაზაფხული“).  
მის სურს საბჭოთა ადამიანების სიყვარული თა-  
ვისი სამშობლოსადმი მოქმედებაში, შემოქმდე-  
ბითს შრომაში დანახოს, ბავშვებისათვის მო-  
სახურებელი ხდება ათასჯერ განმეორებული  
ესეთი სახეები, როგორც მაგალითად: „სამ-  
შობლოს მღების კალთებზე დამრანდა მწვანე  
მახის, ხეთა ტრატებში ფრინველთა ევილ-ბი-  
ვილი გაისმის“ („სამშობლოს მახის“).

8. გორკი წერდა: „საბჭოთა კავშირის ბავშ-

ვთა გონებრივი და ემოციური აღზრდა იმდე-  
ნად კარგად, ფართოდ და ისეთ ადვილმისაფუ-  
დომ ფორმაში უნდა იყოს დაყენებული, რომ  
ბავშვები თავიანთი შემეცნებით უნარს რაც  
შეიძლება ნაყლები დაძაბვით ღებულბუნდეს  
რაც შეიძლება მერც ცოდნას მსოფლიოსა და  
თავისი ქვეყნის ცხოვრების შესახებ“. ჩვენ  
გვმართებს ღრმად ჩატყვირდეთ მ. გორკის ამ  
მითითებას, რათა უფრო ავამაღლოთ საბავშ-  
ვო ლიტერატურის შემეცნებითი ფუნქცია.

სწავლისა და შრომის პროცესში ვალბდე-  
ბა ბავშვის ხასიათი. ბავშვის ხასიათის ფორ-  
მირბაში მხატვრულ ლიტერატურას დიდი  
როლი ავსრია. ლიტერატურამ ხელი უნდა  
მეუწუოს ბავშვში შრომის ჩვევების დანერ-  
გვას. უნდა ითქვას, რომ ჩვენში შრომის თე-  
მაზე არც ისე ცოტა პოეტური ნაწარმოებებია  
შექმნილი. მართალია, ზოგიერთი მთავარი ზო-  
გადი და მშრალია, მაგრამ საგრძობლად დიდი  
ნაწილი მრავალფეროვანი და შემეცნებით მნიშ-  
ვნელობას მოკლებული არაა. ასეთივე ხასია-  
თისაა ა. თევზაძის შრომის თემაზე დაწერი-  
ლი ლექსებიც. მაგრამ წიგნში შეტანილ ყველა  
ლექსზე როდი ითქმის ეს. ლექსი „დაზვებს  
დაცხარა“ ზოგადია, ამის გამო ის ვერ ასრუ-  
ლებს იმ როლს, რომელიც უნდა შეასრულოს  
მან ბავშვის აღზრდის საქმეში. ლექსის გმირის  
სიტყვები დეკლარაციული ხასიათისაა.

საყურადღებო ლექსია „პატარა დისახ-  
ლისი“, რომლის სიუჟეტი კარგადაა მო-  
ფქტრებული. ამ შინაარსიან ლექსში გმირის  
ხასიათი და მისი მოქმედება ნათლად ჩანს,  
ცოცხლად არის წარმოსახული. პოეტის მიზა-  
რულში „პატარა დისახლისის“ სიუჟეტურ ხაზს  
უნდა გაჰყვეს, თავის ლექსებს საფუძვლად  
კონკრეტული ამბავი უნდა დაუდოს, რადგან

კონკრეტულ ამბავზე შექმნილი ნაწარმოებები უფრო ემოციურია, ვიდრე ზოგად ფრაზებზე აგებული.

მეგობრობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს ჩვენი ბავშვები დიდი ინტერესით კითხულობენ. უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე ჯერჯერობით ქართულ საბავშვო ლიტერატურაში სრულყოფილი ნაწარმოები არ შექმნილა. მხატვრულ სახეებში არ არის გახსნილი მეგობრობის თემას ცალმხრივ აშუქება. დადებით რკნებთან ერთად სპიროსა უარყოფითი სახეებიც დავხატოთ, რადგან „მეგობრებში“ ჯერ კიდევ მოიპოვება ისეთები, რომელთაც ცუდად ესმით საბჭოთა მეგობრობის შინაარსი, მეგობრისგან მოითხოვენ ცუდსა და ცარც სპემში ერთნაირად მსარდავერას. „მეგობრებში“ გვხვდებიან ფეისისტიკა, ისეთებიც, რომლებიც თავისთავს სხვაზე უფრო მალა აყენებენ და მეგობრისაგან შორილობას მოითხოვენ. გამოჩანისს არ წარმოადგენენ ისეთებიც, რომლებიც რაიმე უპირატესობას მიიღებენ.

ეს არა, თავის ახლო მეგობრებს იფიქრებენ. ამ უკანასკნელთ ვხედავთ ა. თევზაძის ლექსი „ბავშვების წერილი თამაზს“ (უნდა იყოს „თამაზს“). თამაზს ბებომ ხილით საესე კალთა ჩამოუტანა. ხილმა მას მეგობრები და ავიწყა.

ამ ლექსში თამაზის მოქმედება დაგმობილია. ამას კარგად ვგრძნობს პატარა მკითხველი და ის არ მიახატეს თამაზს, არ მოიჭყევა ისე, როგორც თამაზი თავის ამხანაგებს მოეპყრო. კარგად მოიქცა პოეტი, რომ მან სკოლის თემაზე დაწერილი ლექსებიდან წიგნში ყველაზე უკეთესები შეიგნა. ლექსებია: „ჩვენი სკოლა“, „პირველი კლასელი“, „პირველი დღე“ სხვათა განცდებით, მხატვრული სიმართლით და მიზნობრივად ფერებით. სტიქონები: „ორი თუ არ ხმაირობს, დგას მოწყენა მარტო-მარტო, როგორც დედა თავის წყობებს, ისე ორი შეიღობს ნატრობს“ („ჩვენი სკოლა“) ბავშვებს იმ სახლსავე იზიდავენ, რომელსაც მ. ი. კალინინმა მეორე მშობლიური სახლი უწოდა.

წინაი იძლევა ცოდნას, ცოდნა კი დიდი ძალაა“ (ნ. კრუხალია). ბავშვს თავიდანვე უნდა გავავებინოთ ამ სიტყვებს მნიშვნელობა. აღნიშნულ უნდა ჩაუღწეროთ წიგნისადმი სიყვარული, ამ საქმეში სკოლასა და თუჯბს დიდი დახმარებას გაუწევს პოეტური ნაწარმოებები. წიგნის თემაზე კარგად დაწერილი ლექსი უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე წიგნის მნიშვნელობაზე მიცემული ახსნა-განმარტება. ჩვენ ახსნა-განმარტების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ მხატვრულ სიტყვას, პოეტურ

სახეებს შთაგონებისათვის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობა აქვს.

ა. თევზაძის ლექსში „წიგნებში მხატვრული ვა-ღაროვებისათვის არა ვხედავს მხატვრულ ზოგად სიტყვებისაგან ის მაინც დასველდება“.

„წიგნები მეგობრები კაცის სულის და გულისა, თითქოს ღიმილით მხედვნიან მომხვენი სიხარულისა“.

ესა და ამის მომღვერო სტიქონები ზინც-ღამინც ვერ გააძღვრებს წიგნისადმი სიყვარულს. აქაც მართებს პოეტს კონკრეტული სახეებით აზროვნება. პოეტი კარგი მხატვრული სახეებით აზროვნებს ლექსში „ახალი გუნა“. იცვლება ჩვენი ქალაქის სახე, ახალი აღმინები ქმნიან ახალ ცხოვრებას. ყოველდღიურად უმჯობესდება ხალხის მატერიალური, კულტურული და ყოფაცხოვრებითი პირობები. ამას განიცდის ლექსის პატარა გმირი და სიხარულით გაიხატის:

„ჩვენ ახალი ბინა მოგვეცეს, სუფთა, ფართო და ნათელი, ფანჯარას რომ ვერ ვაღებდი, დღეს მთელ ქალაქს გადაეკვერი.“

მ. გორკი ამბობდა: ჩვენ უნდა მივალთ ამას, რომ „ბავშვები 4 — 5 წლოდანვე იწყებდნენ თავიანთი მამებისა და დედების მემკობის უღრმეს აზრში ჩაწვდომას“. სამუშაოთ, ზოგიერთი საბავშვო პოეტი ვრიდება ბავშვებთან სერიოზულ თემებზე ლაპარაკს. და ასე ფიქრობს, რომ ბავშვებისათვის უფრო საინტერესოა კატება და თავებზე ლაპარაკი, ვიდრე სერიოზულ საგნებზე. რასაკერაველია, ეს მცდარი მისასრებაა.

ავტორი კარგად მოიქცა, როდესაც წიგნში შეიტანა სამკობის თემაზე დაწერილი ლექსი „თუთი ბელადმა დასწერა“. ამ ლექსში ბავშვი ხედავს, თუ საბჭოთა აღმინები როგორ იმყრობენ ბუნებას, როგორ უყვლიან სახეს სამგობს. მაგრამ წიგნში აქტუალური თემაზე მხოლოდ რამდენიმე ლექსია შეტანილი, იმ დროს, როდესაც ცნობილ თემაზე დაწერილი ლექსები მასში არც ისე ცოტა მოიპოვება („თემურის დედოფალი“, „ჩვენი ნაძვის ხე“, „ია“, „სამთრის სტუმარი“, „ჩორას მერცხალი“ და სხვა).

ა. თევზაძის საბავშვო ლექსების წიგნი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, კარგი საჩუქარია ჩვენი ახალი თაობისათვის.

მ. გიგინია.



შოთა აკოპია. „სამშობლოს დილა“

აფხაზეთის სახელგამი. 1951 წ.



შ. აკობიას ლექსების პირველი წიგნი „სამშობლოს დილა“ ცხოვლად, მიზიდველად და რეალისტრად ასახავს ჩვენი ცხოვრების დიდ მოვლენებს, სამშობლო ადამიანების უწყინდეს გრძნობებსა და მისწრაფებებს, მათს შრომითს საქმიანობას.

კრებული შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან, რომელთა შორის პირველი ადგილი დათმობილი აქვს დიდი ბელადისადმი მიძღვნილ ლირიკულ ნაწარმოებებს. ბელადის თემის პოეტი ორგანულად უკავშირებს თანამედროვეობის დიად იდეას — მშვიდობის იდეას. ავტორი თავისი ლექსების ამ პირველ წიგნს კანონიერი სიამაყის გრძნობით უწოდებს „სამშობლოს დილას“, რადგან „სამშობლოს ხალხმა, დევ-გმირმა ხალხმა ბელადს უწოდა — სამშობლოს დილა“.

ლექსი „სამშობლოს დილა“ აღსანიშნავია არა მარტო ღრმა შინაარსითა და იდეურებით, არამედ თავისი მხატვრული შესრულებითაც. ლექსის ყოველი პოეტური ფრაზა ძირითადად ემსახურება ავტორის იდეური ჩანაფიქრის სრულფასოვანი მხატვრული ფორმით განსახიერებას. სანამუშოთ შივიყვანთ ერთ სტროფს დასახელებული ლექსიდან:

„რა არის მასთან მზის სიდიადე  
ან და გუგუნი ოყვანეთა,  
სითბოს, ბელადის დაბადებამდე,  
შისაგან ითხოვდა ჩვენი პლანეტა.“

მაღალი პოეტური გრძნობით უმღერის ავტორი ბელადის ადგილსამყოფელს — ცრემლს, რადგან „მშვიდობის დროში, დროში სინათლის სიცოცხლის წყარო იქ გვევლინება“, რადგან „მანათობელი დროის და სივრცის კრემლიდან ელავს უქრობ ვარსკვლავად“.

პოეტის სამართლიანი თქმით დიდი სტილიანს საზე უნათებს ვხას ყველა სამშობლო ადამიანს, როგორც სოციალისტური შრომის ყველა უბანზე, ასევე იგი აძლევდა გამარჯვების რწმენას სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლ ვეტერანებს. ბრძოლის ველზე „ფეხზე დამდგარა ასგან დაჭრილი, მისი სინათლე როცა უფრქვინა“.

„მისი სახელი, როგორც ნუგეში  
გვირებს სანგრებში ღონეს მატებდა,  
მისი სურათი ქონდათ უბუში  
და გულში ქონდათ მისი ხატება.“

10. „მნათობი“ № 9.

ასევე ლექსში „ფიქრი ბელადზე“ ავტორი გულწრფელად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა დაუღვლეო ენერგიით ზრუნავს და იბრძვის დიდი ბელადი ჩვენი ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისათვის, მსოფლიოს ხალხთა შორის სოლიდარობისა და ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებისათვის.

ლექსში „ბერიას წიგნი“, მოხდენილად შერჩეული მხატვრული ხერხების შემწეობით, ავტორი ვაღმოგვეცემს ლ. პ. ბერიას უკუდავი ნაწარმოების — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ მდიდარ შინაარსსა და ისტორიულ მნიშვნელობას.

ნაშრომის მნიშვნელობა მით უფრო განუზომელია, რომ „ენიც დროში გახდა ძლევის და წინსვლის,

„დროში ოქტომბრის, დროში თებერვლის,  
მასზე მეტყველებს ეს დიდი წიგნი  
მეგობარი და შთაგონებელი.“

განყოფილებიდან „ჩონგურის ნათქვამი“ თითოეულ ლექსს პოეტური აღმადრენისა და ლირიკული უშუალობის ბევრედი ახის, ლექსებში „ჩონგურის ნათქვამი“, „ბალში“, „ჩემი სოფლის ერთი შეკა“ და „დღია ყანაში“ მკვეთრად იგრძნობა, რომ პოეტის შემოქმედებითა ფანტაზია მჭიდროდა დაკავშირებული მშრომელი ხალხის რეალურ ყოფასთან და ავტორის განცდებში და მისწრაფებებში ამ რეალურ ცხოვრების წიადიდანა არაკლილი. მგერამ ზოგ მათგანში ადგილი აქვს ცალკეულ შეუსაბამო გამოთქმებს, მტრწილად არაზუსტ პოეტურ შედარებებს. მაგალითად, ესთეტიკურად გაუმართლებელია შედარება: „როგორც ტატი პანცეაილილი წევს მწვანაილში საზაირო“ („მზარობა თბილისში“).

ბერე ლექსში ავტორის უხვად აქვს გამოყენებული ლამაზი პოეტური თქმები და შედარებანი. მაგალითად, იმევე ლექსში ეხვდებით ასეთ მოხდენილ შედარებას „და კალათა, როგორც ნაეი ხილის ზღვაში ჩასულა“.

პატარა ლირიკულ ფრაგმენტში „ხმალზე ამოცითხული“ ავტორი მეომრის მიმართ ზჰალს პოეტურად ასეთ ლამაზ სიტყვებს ათქმევენებს:

„მე ამ შთაში სამუდამო ბინა მომიცა,  
თვით კი სიყვდილს ლევენდებში დაემაღა.“

ციკლიდან „ენგურის ზეობა“ პოეტურა გა-  
 აზრების თვალსაზრისით ყურადღებას იპყ-  
 რომს ლექსებში: „მოჭრილი ფიჭვი“, „ღამე  
 ტყეში“, „ტყის მჭრელი“ და „სალამო ხევში“. აღნიშნული რკალის ლექსებში პოეტი უშუა-  
 ლოდ გრძნობს ენგურის ზეობის სილამაზესა  
 და სიდიადეს. მაგრამ ამ ზეობას პოეტი ხატავს  
 არა განუყენებულად, არა აღამაინების შრომი-  
 სავან მოწყვეტით, არამედ მასთან მჭიდრო კავ-  
 შირსა და მიმართებაში. „და ეგრძნობ ჭა-  
 ბუკთა სიმღერებშიაც პოეტის სიმადლეს და  
 სიდიადეს“ — ამბობს პოეტი.

„მოჭრილ ფიჭვში“ პოეტმა აღამაინტრს  
 ენით აამეტყველა ენგურის ზეობის მკვიდრი —  
 ფიჭვი, რომელიც სრულებითაც არ წნობს,  
 რომ მოჭრან იგი, პირიქით, მოჭრილი ფიჭვი  
 აღამაინისათვის დამახასიათებელი შინაგანი აღ-  
 ტაცებით ვიამახსენს:

„ვიხატრებ, ვაგზდე ფურცელი  
 თვითონ ბელადს წიგნების,  
 მისი სინათლით მოსილი  
 კვლავ მთებში ამოებრწყინდები,  
 ერთი სიცოცხლის დაკარგვით  
 მზად ცოცხალი ვიქნები.“

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ციკლის ყველა  
 ლექსი არ ზასიათდება თანაბარი პოეტური  
 ღირსებებით. მაგ., ლექსში „კოლბი მტკიცე“  
 შესამჩნევია პოეტურად სუსტი ადგილები: „კა-  
 ლაპოტს ლეწენ შორები ფიჭვის, თითქოს ლო-  
 მები ზალას ხრავდნენ“. ანდა კიდევ, ძნელად  
 წარმოსადგენია ასეთი შედარება: „და ირგვლივ  
 როგორც სიკვდილის კალთა იცეცებოდა ტალ-  
 და ვეება“.

ლექსების კრებულს თემატიკური აქტუალობა  
 და მრავალფეროვნება ახასიათებს. პოეტი უშ-  
 დურის და ადილებს შრომობიური ხალხის სა-  
 ბრძოლო და შრომითს მიღწევებს, სოციალის-  
 ტურ შრომას, რომელმაც ზვენი თვალწყდენი  
 სამშობლოს სოფლები და ქალაქები გარდაქმნა,  
 ბევრი მათგანი აყვავებულ ზღანარად აქცია.

ციკლიდან „საქართველოს ზღვისპირეთში“  
 განსაკუთრებით საყურადღებოა ის ლექსები,  
 რომლებშიც ავტორი უმღერის სტალინური  
 შრომუნელობით აყვავებულ და გასხივოსნებულ  
 ზღვისპირეთს, განახლებულ სუბუშს. ლექსი  
 „სომღერა სუბუშე“ ნათელ ფერებით ასახავს  
 ახალი სოციალისტური სუბუშის მიწოდებულ  
 სურათს. პოეტი მთავრინებული და აღფართოვა-  
 ნებულაა ამ ზღაღმცეული ჭალაქის ხილვით:

„ახალ სართულებს როცა ჩავუვლი,  
 აქ ქობი იდგა. — მემასხოვრება,  
 ქობს ერთი ჭქონდა დანაშაული,  
 ფერ დიტიბა დიდი ცხოვრება.“

ლექსებში „მიღაროელი“ და „სუბუშელ მება-  
 დეს“ ასახულია მტერზე გამარჯვების შემდეგ  
 საბჭოთა იდამიანის თვალდებულო შრომითი  
 აღმავლობა. თუ სამამულო ომის დროს საბ-  
 ჭოთა აღამაინს გერმანულ ფაშისტებს ეგრძო-  
 და გმირულად, „შრომობიურ მიწას მტარდით  
 იცავდა“, ლექს იგი სოციალისტურ შრომაში  
 იწენს გმირობას, დედულავად იბრძვის ქვეყ-  
 ნის ეკონომიური და კულტურული ძლიერების-  
 სათვის. საკოლმეურნეო შრომის გმირები სა-  
 ქვეყნოდ ცნობილი არიან. მათი სახელი საბჭო-  
 თა ქვეყნის ყველა კუთხეში გაისმის, სწორედ  
 ამ ფაქტის ასახვას იძლევა ავტორი ღირსეულ  
 ლექსში „დილა სოფელში“.

ზოგი ლექსი დამსიმბებელია უზნარული შე-  
 დარებებით. მაგალითად, ლექსში „ენგურის  
 პირას“ გვხვდება პოეტურად შეუფერებელი  
 მხატვრული შედარება, „მორა თამაშობს მო-  
 რევეში, ეთ კვიცი ვაუზუნდავი“.

პატრიოტული გრძნობებითაა გამსჭვალული  
 ლექსი „ღამე წყაროსთან“. პოეტის ერთადერთი  
 თი სანატრული ისაა, რომ სამშობლოს საყ-  
 თილდღეოდ გასწიროს თავი:

„სხვა რა მინდა დანარჩენი,  
 სანატრელი ეს მამეს მარტო;  
 როგორც ენგურს ტალაა შენი,  
 მეც სამშობლოს შევემარტო.“

შ. აკობიას ლექსთა კრებული შეიცავს აგრე-  
 თვე სხვა თემატიკური მიმართების ნაწარ-  
 მობსაც. ასე, მაგალითად, „მშვიდობის  
 იცავს მისი მარჯვენა“ და „სამაისო სიმღერე-  
 ში“ ეხმარებებიან საერთაშორისო მშვიდობის  
 აქტუალურ საკითხებს. ძლიერი პოეტური ექს-  
 პრესიით დაწერილ ლექსში „სომღერა მშვიდო-  
 ბაზე“, პოეტი უმღერის დიდ ბელადს როგორც  
 მშვიდობის მედროშესა და ზალბთა გამარჯვ-  
 ბების სულისჩამდგმულს:

„სტალინი მშვიდობას იცავს,  
 მივიტყვის სიმართლის მხსნელად.  
 მან შეუი მოჰფინა მიწას,  
 დიდება, დიდება ბელადს!“

სამაქვეო ლექსი „თინა და მერცხალი“  
 მხატვრულად გვიხატავს საბჭოთა აღამაინების  
 ბედნიერ ცხოვრებას. პატარა თინამ მერცხა-  
 ლი მოიპატრვა თავის ახალ საბლში, მერცხა-  
 ლის გაფრენის წინ მის მშობლებს ძველი ოდა  
 ევდათ. დამარუნებისას მერცხალმა ევლარ იცნო  
 მიდამო, ვინაიდან თინას მამას იქ ახალი ოდა  
 აეგო. მერცხლის მიმართ პოეტი პატარა გოგო-  
 ნას შემდეგ გერძნობიარე სიტყვებს ათქმვე-  
 ნებს:

„ეგრ იცანი ეს მიღამო?  
სადაც შარშან ბინა გქონდა!  
აღბად, გიყვირს, როცა ხედავ  
ჩვენს ეზოში ახალ ოდას.

შეპოფრინდი, გვიგალობე!  
შარშან ბინა ხომ არ გქონდა.  
გეფიცები შენც გვეუთვნის  
ეს ახალი ჩვენი ოდა.“

კარგი საბავშვო ლექსია „გორი პირველად  
ჭიხილე“, რომელშიც ასახულია ახალი თაობის  
ტახტდგობა სიყვარული ბელადის მშობლიური

კერისადმი. ყველას იტაცებს და ბიბლიკოს  
აღგილი, სადაც დაიბადა და გაიზარდა ახალ-  
გაზრდობის უსაყვარლესი აფეიანე უკიდვი  
სტალინი. ბავშვებისათვის სიყვარული მწვერ-  
ლოვანი შემეცნებით და აღმზრდელობით და-  
რებულია აქვს სიუჟეტთან პოეტურ ნაწარმოებს  
„მწვემის ამბავი“.

შ. აკობიას კრებული „სამშობლოს დილა“  
თავდება იმისა, რომ ავტორს შეუძლია ქართ-  
ულ მწერლობაში დამკვიდრის მოწინავე საბ-  
ჭოთა პოეტის სახელი.

ს. პარველაძე

ლიმ. გიგინეია „პირველი სიტყვა“.

აფხაზეთის სახელგამი, 1951 წ.



სარტყენხით წიგნი, რომელიც ვასულ წელს  
გამოსცა აფხაზეთის სახელმწიფო გამოცემ-  
ლობამ, ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნია.  
კრებული შედგება ხუთი განყოფილებისაგან:  
„სიმღერის ძალა“, „ტყვარჩელის მთებში“,  
„პუშკინისადმი“, „ომის რვეულიდან“ და ერთი  
პოემა.

წიგნი იხსნება ნიჟერად დაწერილი ლექსით  
„პირველი სიტყვა“. „პირველად „დედას“ წარ-  
მოთქვამს ჩელი“, ამბობს პოეტი, შემდეგ პო-  
ეტი გადადის უფრო ვრცელ ცნებაზე — „სა-  
მშობლოა პირველი სიტყვა და სიხარული გა-  
ნუზიყვით“. მაგრამ უოველი საბჭოთა ადამი-  
ანისათვის სამშობლოსადმი სიყვარული მჭიდ-  
როდ არის დაკავშირებული ბელადისადმი სი-  
ყვარულთან:

„ბელადს ადიდებს პირველი სიტყვა“.

ლექსში „მავზოლუმთან“ პოეტმა ნათლად  
და ლაკონურად გადმოსცა მღვდლარება, რაც  
განუღღია ვ. ი. ლენინის მავზოლუმთან გავ-  
ლისას:

„შევეჩვიე და კვლავინდებურად  
მავზოლუმთან ჩაივლი ჩემად.  
თითქოს სამყარო გარინდებულა,  
აქ ათას სახეს შეეხედავ მღვდლარს.

და ეს ღუმილი ისე მამარდება,  
რა შეედრება გრავინეა რომელა!  
ამ ღუმილშია ფიცის დადება  
და გულის ღელვა განუზომელი.“

პოეტი გულწრფელ საგალობელს უძღვრის  
კრემლს:

„მე ვერერსტის მთა არ მინახავს,  
არც თავი მომაქვს უშბას არჩივად,  
და არც თეთნულდი გადამილახავს...  
ამაყო მთებო, ღამაშო მთებო,  
თქვენზე მაღალი მწვერვალი ვნახე“  
(„კრემლი“).

კრებულში მოთავსებული ლექსები თემატი-  
კურად მრავალფეროვანია. მათ შორის უმრავ-  
ლესობა ეხება საბჭოთა ხალხის გმირულ შრო-  
მას. პოეტი სუბუმიდან შთაგონებით ვასცქერის  
„იმ ზღვის ნაპირებს, ზვალ რომ გაჩნდება თბი-  
ლისის ახლოს“, „სამგორს, კახვკას, ახალ  
უნებებით და სართულებით“ („აქედან ეხუ-  
დავ“). ის გონების თვალთ უცქერის გრანდი-  
ოზულ მშენებლობას, ბუნების გარდაქმნის და-  
ად სამუშაოებს, რაც ხორციელდება ყარა-ყუმ-  
ზე და სტალინგრადში („ფიქრები ყარა-ყუმ-  
ზე“, „გესსავატორი“)

წიგნში არის მთელი რიგი კარგი ლექსეზ-  
სა, რომლებიც ავტორის პოეტურ ნიჭზე მეტ-  
ყველებს. ასეთებია, მაგალითად, „ოქტობრის  
ღრომას“, „პირველი მისი ჩემს ქალაქში“,  
„გმირი და გაზაფხული“, „შრომადღე“, „ბა-  
ლადა სოფლის ბორანზე“ და სხვ.

პოეტი აღტაცებულია თავისი ქალაქის  
ზრდითა და სილამაზით. მშვენიერია, წარმტა-  
ცია სუბუმი, სადაც სახლები აქრეებს მტე-  
ბენ ელფერს, თუ სახლებს თვითონ ქუჩა უზ-

დებათ. საბჭოთა ადამიანის ზელმა წალოტად აქცია ზრიოკი ადგილებიც:

„სიცოცხლეს იქნეს ზრიოკი ველიც. ისიც მზეკაცის ზრუნვით გამთბარა და ასე დიდი დღე გუმინდელი ზეაინდელ დღეზე არის პატარა.“

ლექსში „კილოზნის მაძიებელი“ პოეტი ნილას ზღის ამერიკის „ექსპედისიის“ წევრებს, რომლებიც რაღაც მითის საფარქვეშ ზვერა-ვდნენ საბჭოთა კავშირის სასურველს. მაგრამ მათი მზავრული ზრახვები განწირულია დასაღუპავად, რადგან: „ამ ქვეყნად არის უკედ-დავების უმრავლესი წყარო, იქ ცეცხლის ნაცე-ლად სიპირილია მახვილზე ბასრი, მას ძალუძს მხოლოდ — ბედნიერპყოს მთელი სამყარო, იმ უკედად წყაროს ეწოდება — სტალინის აზრი“.

სამწუხაროდ, სარტყენზოო წიგნში მოთავს-ბული ლექსების უმრავლესობა ვერაა მხატვ-რულად სრულყოფილი. პოეტს აკლავ ოსტა-ტობა, რომ ორიგინალურად გააზრებული თე-მა სათანადო მხატვრულ ფორმაში ჩამოაყალი-ბოს. ამ მხრივ მეტად დაუდევრადაა დამუშავე-ბული ციკლი „ტყვარჩელის მთებში“. ამ ციკლ-ში მხოლოდ ერთი კარგი ლექსია — „ხაჭიე-რამე და ფიტინკოვი“. ამ ორმა მუშაიმ უკვე დიდი ხნით გაუსწრო დროს წინ და ასახელა საშობლო ერთგული, მუყაითი შრომით: „არ მიწურულა ორმოცდაათი, არ დაღვია კალენ-დარს გვერდი თქვენთვის სხვა არის დრო და საათი, თქვენთვის გავიდა საოცდართი“.

ციკლის დანარჩენი ლექსები მხატვრულად სუსტია. პოეტი აღწერს მლართელთა მიერ „გულმეგრდამოლადრულ“ მთებს და ამბობს:

„სანგრევებიდან ცივია ლავები და ხმა მლაროს შეახანზარებს. ვლექტრონახშირსაყელავები დელიფინებს ჰგანან უზარმაზარებს“

პოეტს სურს დაარწმუნოს მკითხველი, რომ რადგან „სინათლე უყვარს“ მთას, „ამირიდან არ დაიჯეროთ, მთა ყოფილიყოს გულმათხ-რობილი“.

ლექსში „საქაერო გზა“, პოეტი ცდილობს აღ-წეროს, თუ როგორ მოძრაობს მავთულების სა-შუალებით ქვანახშირით დატვირთული ქვაბები:

„მავთული აღმართს ზევით მიჰყვება, არის დაღმართში ისიც დახრილი. აღარ ირბინონ როგორ იქნება, ან ვინ ამოსდოს სივარცეს აღვარი! თითქოს მარულა ცაში ჩაღდება, თითქოს უნდათო მხრების შეგება. მაგრამ ერაზმანეთს დაეჯახება, მაგრამ ძირს ზრამში გაიჩიხება!“

კითხვას სვამს პოეტი, თურმე არ ვადაიჩე-ხება, რადგან „მთაც ქონიარო ტრემი, გრა-ფიტი, დრო და ადგილი“. სტეფანე ფელქმსის „ფილოსოფია“.

ციკლში „პუშკინისადმი“, გამოირჩევა ლექ-სები „პირველი შთავგონება“, „ბენკენდორფის თვალები“, „შეგობრის ცრემლი“.

კარგი პოეტური სახეები, მოხდენილი შედ-არებებია ლექსში „პირველი შთავგონება“ და „ბენკენდორფის თვალები“.

თბილი გრძნობითაა დაწერილი ლექსი „შე-გობრის ცრემლი“. აქ აღწერილია პუშკინის მიერ გრიზოედოვის საფლავის ნახვა მთაწმინ-დაზე: „გრამოდოვის საფლავზე ცრემლის წვეთები კართოდენ პუშკინის თვალებიდან გაღ-მონადენი“.

კრებულში მოთავსებულია ერთი პოემა „ელ-სადგურის დარაჯი“. უნდა ითქვას რომ ეს პოემა მეტად სუსტია როგორც მხატვრული ოსტატობისა და კომპოზიციის, ისე შინაარსის მხრივ.

აეტორს ფრიად აქტუალური თემა აღვია. ესაა სოფლის მშენებლობა, მშენებელი ადამი-ანების სახეების ჩვენება. აეტორმა ვერ დასძლია პოემის, როგორც ფანრის, სირათულე. პოემა ბუნდოვანი, გამოგონილი ამბებისაგან შეყოფი-წებული, ყოველგვარ დინამიკრობასა და მო-ქმედებას მოკლებული აღმოჩნდა.

პოემის შთავარი მოქმედი პირთა მოხუცი: მეწისქვილე გიგო ბოხუა; შესავალში გიგო ჰყვება განვლილი ცხოვრების ამბებს, თუ რო-გორ ცდილობდა თავადი აწმიათა მისი სატრ-ფოს წართმევას:

„ავაზაქური ძალით დაქროდა, მაგრამ ზემს მკლავშიც ღონე ბუღობდა. მის საყუთარი გულიც არ ქონდა მიახ გულიც მე მეყუთენოდა“.

ამბობს გიგო, ბატონმა სასტიკად სცემია: „მე ცოცხალ-მკვდარი დავეშე დაბლა, მალა კი იღვა უსამართლობა“, ამბობს ის, ამის შემდეგ რა ფასი აქვს მის ბაჭიობას, რომ — „ზემს მკლავშიც ღონე ბუღობდაო“. ნაცემი გიგო შერცხენილია სატრფოს წინაშე, ყაზალებმა მცემესო, მიატყუა.

„მასთან სიკრუე მოსწედა ზემს ბავთი, ვისაც იღუმალს ძლივს ვუბედავდი,“ — ამ-ბობს გიგო

მთავს მოტაცების იმბავი ჩართულია პოემაში მხოლოდ იმიტომ, რომ პოემის სიუჟეტური ქსოვილი აეტორმა როგორმე შეავსოს რაიმე ამბებით.

ბუნდოვანია გიგოს წყალში ჩაეარდნის ამბავიც. ლამეა. პრაქტი ჩამჭრალია. საფქვევი გამოლევლა და წისქვილის ქვა „დაპირილივით“ ხრიალბებს. ამ დროს „სადღაც მღერაან ალბათ სწორები, შორიდან ესმის წელი ურმული“. ასეთ ხმაურში „წელი ურმულის“ ისიც „შორიდან“ მოსმენა წარმოუდგენელია.

გამოლვიძებელი გიგო დატრიალდა, რომ ბორბლების მოძრაობა, შეეჩერებინა. მას ფეხი უსხლტება და წყალში ეარდება. როგორც ეჭნა, გიგო ამოვიდა წყლიდან. მასთან მოვლენ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი და ინჟინერი, რომლებიც გამოუცხადებენ, რომ ძველი წისქვილის ნაცვლად აქ ელსადგური უნდა აშენდეს.

გიგო სველია, კანკალბის. ავტორი წერს:

„ყო მძამე და აუტანელი  
სველი მოხუცის უხერხულობა.“

ეს „უხერხულობა“ იგარძნო მდივანმა და „პალტო კოვერკოტისა გაიხადა და შემოახურა“.

ამის შემდეგ გადმოცემულია „გასაოცარი ზღაპარი ლოდის“, რომელიც „დღემდე თქმულებას შემოუნახავს“. ეს რომ გასაოცარი ზღაპარია, ამაში ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ საინტერესოა, რა უნდოდა ავტორს ამ „ზღაპრით“ ეთქვა.

პოემაში ძალიან ბევრია ხელოვნური, დაუშვებელი ადგილები. მოქმედ პირების დახატვაზე ხომ ლაპარაკიც უდგმტია. აი როგორაა წარმოდგენილი მშენებლობის უფროსი:

„მასპინძლად თვლიან, განა სტუმრადა?  
ვეელამ გაიცნო სოფლად, დაბაში.  
მაგრამ ბოლო დროს ჯდომას უმატა  
სოფლის ერთადერთ ღვინის სარდაფში,  
თუთონ აიღებს თაროდან ღვინოს:  
— ომში დაეკარგე მე მეგობარი, —  
გამყიდველს ბუკეის. — ძმავ, არ გეწყინოს,  
დავლიათ მისი მისაგონარო.“

შემდეგ უფროსი იწყებს თავის ქებას: „აქ მშენებლობის უფროსი ჰქვია, ჩემზე ძვირფასი ვინ გავუღებია..“ სამუშაოზე მიიღწევს გვიან და უზოლ გასცემს განკარგულებას:

— ზემოურები საგუბარს გასჭრიოთ, მიწის გაზიდვას რომ დაასრულებთ, უნდა დაელოდებოდნენ, მგონია, არჩილ? — დაახ, — არჩილიც უდუღდასტურებს.“ უფროსი მიმართავს ინჟინერს: — „ეს რაი დღეა ექსკავატორი აღარ მუშაობს. თქვი რაზე ფიქრობ? შენ არ ყოფილხარ სიტუების პატრონი“. ახლა როგორაა დახატული უფროსის მიერ „კრიტიკით“ განაწყენებული ინჟინერი არჩილ კელენჯერიძე. ლამე ველარ მოისვენა. „მეცამეტეჯერ გადააბრუნა კელენჯერიძემ თავსასთუმალი. მეცამეტეჯერ წეება ხელახლა, ლამე ნებისა, ძილი კეთილი მაგრამ ვერ ეჭნა, ველარ მონახა თავსასთუმალზე ძილის წერტილი.“ (?) წამოხტა და წაივდა სამუშაოზე.

„ახლა ბავშვივით მიბბის, მიფრინავს, ამ სიბნელეში ბილიც ვით არჩევს! ექსკავატორის მუხლზეზე მძინარს ხელი წაველო მკლავში მესაქვს, რომ შეგაწეებ უეცრად ამ დროს იქნება ვერც კი წარმოვედგინა, დღე სძინავს ძმაო, შენს ექსკავატორს მე მიტომ ლამეც არ დამეჭინა.“ (?)

პოემაში ვველაფერი აბსტრაქტულად, ზოგადადა თქმული, ზოლო როცა პოეტი იწყებს კონკრეტულის აღწერას, აი როგორ გადმოგვცემს მას. მოტორი დაშალეს. ინჟინერმა „მესაქვის კეთილხანს — ხომ ნახე ზეთის ცილიდრის რკალთან, ქვევით ჩამტანი?“ ალბათ ვერც ავტორი იტყვის რას ნიშნავს ეს!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნი მოთაგნებული ლექსების მთელი რიგი მებუვლებს ავტორის პოეტურ ნიჭზე. მაგრამ პოეტს აქვს სერიოზული ჩაეარდნები თავის შემოქმედებითს მუშაობაში. მან უნდა დააღწიოს თავი ენობრივ და სინტაქსურ შეცდომებს, ბუნდოვან გამოთქმებს, რომლებიც ასე უხედააა წიგნი გაბნეული, მეტი უნდა იმუშაოს თემის მხატვრულად დამუშავებაზე, აზრობრივ სიბუხდისა და სინათლეზე.

ალ. ბოლქვაძე

თ. შაუხჩიშვილი — „ბერძნული წარწერები საქართველოში“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი; 1951.



ბერძნული წარწერების მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ბერძნული ეპიგრაფიკის, ისე ისტორიისა და ფილოლოგიის რიგი საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით. ამგვარი წარწერები კი ბლომადა აღმოჩენილი როგორც საბერძნეთში, ისე სხვა ქვეყნებშიც. ვ. ლარფელდის ცნობით, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის მეცნიერება 100,000 ბერძნულ წარწერას იცნობდა.

ბერძნულ ეპიგრაფიკაში დიდი ხანია წარმოებს გაცხოველებული მუშაობა აღმოჩენილ წარწერათა თავმოყრის, სისტემატიზაციისა და გამოცემისათვის. არსებობდა მთელი რიგი სერაიები და კრებულები, სადაც ქვეყნდებოდა ძვირფასი მასალა ბერძნული ეპიგრაფიკიდან. ასე მაგალითად, 1890 წელს საფუძველი ჩაეყარა გ. კიბელის რედაქტორობით, ბერძნული წარწერების ცნობილ გამოცემებს, სერიას, რომელიც შეიცავდა საბერძნეთის სხვადასხვა კუთხის წარწერებს. მართალია, პირველხანდ უმთავრესად დაინტერესებული იყვნენ წარმართული ძეგლებით, მაგრამ შემდეგ და შემდეგ განსაკუთრებით 1898 წლიდან, ბიზანტიოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით, ყურადღება მიექცა ქრისტიანული ხანის ბერძნულ წარწერებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ამაგი, რომელიც დასდეს ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლას რუსმა მეცნიერებმა. გაიხსენოთ კონსტანტინეპოლის რუსული არქეოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1895 წელს. აქ თანამშრომლობდნენ ისეთი გამოჩენილი რუსი მეცნიერები, როგორც იყვნენ უსპენსკი, ფარმაკოვსკი, ნიკიტკი და სხვ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსდება პეტერბურგის, მოსკოვის და ოდესის არქეოლოგიური საზოგადოებები, რომლებიც ამზადებდნენ ბერძნული ეპიგრაფიკის შეტად მნიშვნელოვან მასალას. ბუნებრივია, რომ ამ საზოგადოებების შესწავლის საგანს უმთავრესად წარმოადგენდა შვიი ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო, რაზდენადაც ამ მხარეში ბლომად იყო თავმოყრილი ძველი ბერძნული წარწერები. უნდა მოიხსენიოთ ცნობილი რუსი მეცნიერის ვ. ლატიშევის შრომები, სადაც წარმოდგენილია მდიდარა მასალა ბერძნული ეპიგრაფიკის შესასწავლად.

ლატიშევის ნაშრომებიდან ამ დარგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს „К истории христианства на Кавказе: Греческие надписи из Ново-Афонского монастыря (1911).“

ბერძნული წარწერები მრავლად მოიპოვება კავკასიაში, საერთოდ, და საქართველოშიც. ვერძოდ, ამ მასალის მეცნიერულ შესწავლას განუზომელი მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე ბერძნული ეპიგრაფიკის თვალსაზრისით.

საქართველოს სიძველეებისა და კავკასიის ბერძნული წარწერების შესწავლის საქმეში ბევრი გააკეთა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ. ამ საზოგადოების თავმჯდომარემ — ა. უვაროვმა და პ. უვაროვმა განსაკუთრებული გულისყური გამოიჩინეს ზეენში დადსტურებული ბერძნული წარწერებისადმი. აღსანიშნავია მე-5 არქეოლოგიური ყრილობის ჩატარება ქ. თბილისში. ამ დროისათვის ი. პომიალოვსკიმ გამოაქვეყნა „Сборник греческих и латинских надписей Кавказа“. ეს შრომა დღემდე მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერების შესწავლის თვალსაზრისით. ავტორის დაუმეშვევებია უმთავრესად მოგზაურობები; გამოყენებულია თითქმის ყველა ძირითადი შრომა, გამოქვეყნებული რუსულ და ევროპულ ენებზე (ბაქრაძის, ოსელიანის, ბროსეს, დიუბუა დე-მონპერეს და სხვათა შრომები). თუმცა ავტორს გამოარჩენია ზოგიერთი საფურადღებო წყარო (ბროსესა და ბაქრაძის ზოგიერთი ნაშრომები), მაგრამ მიიწეწი სისრულით წარმოადგენს საგნის ლიტერატურას. პომიალოვსკის ნაშრომში მასალა დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპით (აფხაზეთი, სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაცული ბერძნული წარწერების სისტემატური შესწავლა სამკოთა ხელისუფლების პირობებში გაიშალა სრული სიღრმითა და სიფართოვით. ცნობები ბერძნულ წარწერათა შესახებ მე-19 — 20 საუკუნის ქართულ მოღვაწეთა შრომებში და არაქართველ მოგზაურთა ნაწერებში მიმოხვეულია; ზოგი მათგანი განხილული იყო მხოლოდ არქეოლოგიური (სიძველეების შესწავლის) თვალსაზრისით, ზოგი კიდევ ხელოვნებათმეცნიერების თვალსაზრისით. ჩვენ დრომდე სპეციალური გამოცვლევები ამ დარგში

არა გვეჩინა. მიუხედავად ამისა, ემიგრაციული ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა ფრ. დიუბუა დემონსტრაცის, პლ. თსელიანის, ფ. კანდაკოვის, შერეალ გ. წერეთლის და სხვათა შრომები, სადაც დაინტერესებული მკითხველი საყურადღებო მასალას ამოიკითხავს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გვეთიმე თაყიშვილის შრომები, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული წარწერების შევსრუება-კომენტარებს, და ამ მასალაში სწორად ეხედებით ბერძნულ წარწერებსაც. საინტერესოა ემ. თაყიშვილის ისეთი ნაშრომები, როგორცაა „არქეოლოგიური მიგზაურობანი და შენიშვნანი“, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული წარწერების შესწავლის დარგში ყველაზე სერიოზულ ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ პომპილოვსკის შრომა, სადაც თავმოყრილია მრავალი ცნობა ჩვენში და ცნულ ბერძნულ წარწერებზე. იგი გზის მაჩვენებელია მათთვის, ვინც ეძებს ბერძნულ წარწერებს საქართველოს ტერიტორიაზე. მეგრამ ეს შრომაც საყმაოდ ნაკლებია და მთლიანად ვერ უპასუხებს შეცნიერული ანალიზის მკაცრ მოთხოვნებს. ავტორი ვერდნობოდა ისეთ წყაროებს, სადაც მოცემულია შემთხვევითი ხასიათის ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხის ვარშემო. ესაა უშთავრესად შრომები ქართული გრამატიკიდან, საქართველოს გეოგრაფიიდან, ისტორიიდან, არქეოლოგიიდან და სხვა დარგებიდან. აქედან ჩანს, რომ პომპილოვსკი სარგებლობს არა სპეციალური გამოკვლევებით, არამედ ისეთი შრომებით, რომელთა ავტორები ბერძნული ენისა და ბერძნული ეპიგრაფიკის მკვლევრებთან ვერ ჩაითვლებიან.

სამკითხველს ხელისუფლების დროს გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოში დაცული ბერძნული წარწერების შესწავლის დარგში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში აღმოჩენილი ბერძნული წარწერების სისტემატიკური და შეცნიერული შესწავლა ამ უკანასკნელი 25 წლის საქმეა. აქ უნდა მოვიხსენიოთ ა. აშირანაშვილის ნაშრომი „საქართველოს მუზეუმის ბერძნული წარწერები“, რომელიც 1928 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ მეოთხე ტომში. განხილულია მუზეუმში დაცული რვა წარწერა, რომელთაგან რამდენიმე აღრეც იყო გამოქვეყნებული.

ჩვენს ტერიტორიაზე აქლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერები 1940 წლიდან გამოქვეყნა ცნობილი მეცნიერმა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა, რომელსაც კერძოდ, დიდი და მსახურება მიუძღვის ქართულ-ბერძნული ურ-

თიერთობის შესწავლის დარგში. აქ აღსანიშნავია მისი შრომები იმ ბერძნული წარწერების შესახებ, რომლებიც აღმოჩენილია მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური ვახუშტის ცენტრის. ყაუხჩიშვილის წერილებში (იხ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, II, № 1 — 2, 1941 წ.; IV, № 6, 1943 წ.) წარმოდგენილია წარწერების ფოტოაჩრები, დადგენილი რედაქცია, ენობრივი ანალიზი, თარგმანი და გარკვეული აღმოჩენილი წარწერების ისტორიული მნიშვნელობა. პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილს ვუთენის, აგრეთვე, რამდენიმე ბერძნული წარწერის პუბლიკაცია საქართველოში ბერძნების დასახლების ისტორიისთან დაკავშირებით (იხ. ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1942 წ.). აქვე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ბერძნული წარწერის გამოცემა შესრულა პროფ. ლ. მელიქსეთ-მეხემა.

სარეცენზიო ნაშრომი პირველი წიგნია, სადაც თავმოყრილია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და დაცული ყველა ბერძნული წარწერა. ესაა პირველი დენდამენტური შრომა, სადაც ჩვენში არსებული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები შესწავლილია სრული სიღრმით და ფართო მასშტაბით.

თ. ყაუხჩიშვილს, პირველად ყოვლისა, შეუმოწყებია ყველა წარწერა, რომლებიც წარმოდგენილია პომპილოვსკის ზემო ნაწილებ შრომაში. შემოქმედებულია, აგრეთვე, სხვა ცნობებიც, რომლებიც ვახუშტის სხვადასხვა გამოკვლევაში თუ მიგზაურობაში. ამასთანავე, ავტორს მიუყვლება მრავალი ახალი მასალისათვის.

თ. ყაუხჩიშვილის შრომის ერთ-ერთი უშთავრესი ღირსება ისაა, რომ ყველა ძეგლი შესწავლილია ადგილზე. ამ მიზნით ავტორს რამდენჯერმე უმოგზაურია გელათში, ნიკორწმინდაში, სამეგრელოში, კახეთში, სვანეთში, აფხაზეთში და სხვაგან, სადაც კი დაცულია ესა თუ ის ბერძნული წარწერა. შესწავლილია, ამასთანავე, მუზეუმებში შენახული მასალიც.

დამუშავებული წარწერები საწერო მასალის მიხედვით ავტორის მიერ დაჯგუფებულია სამ ჯგუფად: 1. ქვაზე ამოჭრილი წარწერები, 2. სხვადასხვა ნივთზე გამოყვანილი წარწერები, 3. ფრესკული წარწერები. ქვებზე ამოჭრილი წარწერები თარიღდება პირველი საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე ჩათვლით.

ქრონოლოგიურად პირველი ადგილი უძირავს მცხეთის მონასტრში აღმოჩენილ წარწერას, წარწერა უთარილოა, მეგრამ მასში მოხსენებული ისტორიული პირების სხვადასხვა თანამდებობათა აღნიშვნის მიხედვით ხერხდება ძეგლის დათარიღება 75 წლით. აღსანიშნავია,

რომ ამ წარწერაში მოხსენებულია იმერთა მეფე მითრიდატე ფარსმანის ძე და და ამასასპა. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ისტორიის თვალსაზრისითაც. I — III საუკუნეებს განეკუთვნება ზოგი საფლავის ქვა, რომლებიც ჩამოტანილია კავკასიის სხვადასხვა ადგილიდან. ამ ქვებზე აღბეჭდილია საკუთარი სახელები: აილოასი, იასონი, ეგნონე, პანტაკლე, ვადიკიონი, ვასტისი, ქორეგიონი და სხვა, და მათ მნიშვნელობა აქვთ იმის გამოსარკვევად, თუ რა სახელები იყო გაერცელებული კავკასიაში ამ 17 — 20 საუკუნის წინათ, აღსანიშნავია, რომ ზოგი მათგანი საერთოა ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის, ხოლო მათ გვერდით გვხვდება უჩვეულო, მხოლოდ კავკასიისათვის დამახასიათებელი სახელებიც (მაგალ, ფარნარ), როგორც ამას ფიქრობს თ. ყუბჩიშვილი.

დღეი მნიშვნელობისაა სერაფიტის ეპიტაფია საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის საკითხების გამორკვევისათვის.

საინტერესოა სხვადასხვა ნივთზე გამოყენილი წარწერები, რომელთა შინაარსი უმთავრესად სცილდება რელიგიის სფეროს. ამათგან ყველაზე უძველესია მცხეთაში აღმოჩენილი გემებზე ამოჭრილი წარწერები I — III საუკუნეებისა. აქ გვხვდება საკუთარი სახელები, რომლებიც ეწოდებოდა პიტაბშებსა და მათი ოჯახის წევრებს. ამ მასალასაც მნიშვნელობა აქვს ონომატოლოგიური ძიებებისათვის.

1949 წელს რუსთავში წარმოებულ იქნა

ლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა რბილი ქვის მრგვალი საბეჭდავი, რომლის დიამეტრი დაახლოებით 9 სანტიმეტრია. საბეჭდავი ამოჭრილი მდებარეობდა ორნამენტურ, შუაში — ჯვარი, ხოლო ორნამენტსა და ჯვარს შორის ირგვლივ — ბერძნული წარწერა. თ. ყუბჩიშვილის გაშიფრვით, ეს წარწერა ასე იკითხება: „საფარველი მწვერვალისა“. ნივთი, რომელიც წარმოადგენს საბეჭდავს, გამოიყენებოდა სამეურნეო ხასიათის ნაგებობათა, თუ ქურჭელთა (ქვევრების...) დასაბეჭდად და ზედ ეწერებოდა: „საფარველი მწვერვალისა“. საინტერესოა, რომ ნივთზე არის ქართული წარწერაც: „თემ...“ (დაუმთავრებელი სიტყვა). იქნებ გვაქვს თემსიტოსი, როგორც ვარაუდობს ავტორი. ნივთი VII — IX საუკუნით თარიღდება.

წიგნში წარმოდგენილია ბერძნული წარწერები იმდაგვარად, როგორც ეს არის ძველებზე. მოცემულია თითოეული მათგანის ამომწურავი დახასიათება.

თ. ყუბჩიშვილის ნაშრომი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელიც შექსა ფენს არა მხოლოდ ბერძნული ეპიგრაფიკის საკითხებს, არამედ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მამენტსაც. საქართველოს ისტორიის საკითხები კი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილ და დაცულ ბერძნულ წარწერებს.

ს. ზინინაძე

დ. ბენაშვილი. „ლიტერატურული ძიებანი“

საბჭოთა მწერალი 1952



სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მე-13 პლენუმზე აშხ. აღ. ფაფიფვი ეხებოდა ლიტერატურული კრიტიკის ფორმალურ არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავდა, რომ კრიტიკა ნაკლებად ეტანება საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის ისეთი დედმნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებას, როგორცაა სოციალისტური ესთეტიკის, იდეოლოგიისა და ლიტერატურის, ფორმისა და შინაარსის საკითხები.

მართალია, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ამ მიმართულებით, განსაკუთრებით წას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ამიანავ სტალინის გენიალური საგნ-თემეცნიერო შრომები, სერიოზული გარდატეხა მოხდა, გააღვირვებულია ყურადღება აქტუალური თეორიული პრობლემების

მის მეცნიერული დამუშავებისადმი, საბჭოთა მწერალთა ზემოქმედების, მათი ცალკეული თეორიული მატერიალი ნაწარმოებების უფრო სრულყოფილი, საფუძვლიანი, ყოველმხრივი ანალიზისადმი. მაგრამ კრიტიკის, კერძოდ ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის დარგში არსებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის არა თუ სისტემატური კურსი, არამედ არ მოგვემოყვება მეცნიერულად და მეთოდოლოგიურად გამართული მონოგრაფიები მოწინავე ქართველ საბჭოთა მწერლებზე და პოეტებზე, მოწიბობს ჩვენი კრიტიკის



საგრძობთ ჩამორჩენას დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებისაგან საბჭოთა კრიტიკულ ლიტერატურისადმი კი მკითხველები, განსაკუთრებით სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა დიდ ინტერესსა და ყურადღებას იჩენს. ამიტომ, ბუნებრივად, საბჭოთა კრიტიკოსის ყოველ ახალ წიგნს ისეთივე ყურადღებით ეყილება მკითხველი საზოგადოებრიობა, როგორც ბოწინავე საბჭოთა მწერლის ყოველ ახალ მალაღიფფორ და ღრმა ემოციურ მხატვრულ ნაწარმს.

ამ მხრივ საინტერესო და მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს დიმიტრი ბენაშვილის კრიტიკული წიგნების წიგნი „ლიტერატურული ძიებანი“. ეს ავტორის პირველი წიგნია ქართულ საბჭოთა მწერლებზე, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების აქტუალურ საკითხებზე. მასში ძირითადად წარმოდგენილია ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიანჯელის, პოლიკარპე აკაბაძის და სერგო კლდიაშვილის შემოქმედების კრებული განხილვა, — აგრეთვე წერილები „კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ფრთხილთაბის საკითხისათვის“ და „ალექსანდრე პუშკინი“.

წიგნის უდავო ღირსება, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მასში წარმოდგენილი საბჭოთა მწერლების შემოქმედება განხილულია იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმის ფართო და საფუძვლიანი ანალიზის ასპექტში. ამასთან თითოეული მწერლის შემოქმედებითი გზის განხილვასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გაბეჭდილი არის წამოყენებული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში უფრო კიდევ ნაკლებად დაძვლებული საკითხების შესახებ მთელი რიგი თვორიული დებულებები (მვალითად, ნოვლა, როგორც ვარძი, მისი სათავეების საკითხი ქართულ ლიტერატურაში, მისი თვორიული განსახლება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით, ხასიათისა და ტიპიურობის პრობლემა ლეო ქიანჯელის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით, დრამატურგიის განვითარების მტკივნეული საკითხები პ. აკაბაძის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით, კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ფრთხილთაბის პრობლემები, კომპოზიციისა და სოუფტის ადგილისა და როლის შესახებ მხატვრულ ნაწარმოებში და სხვ.) და მოქმეულია მათი ფაქტობრივად გადაწყვეტის ცდა (რამდენად სწორად ანაუვ კვეებით).

მარკსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით დ. ბენაშვილი მწერლების შემოქმედებით განვითარებას განიხილავს იმ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც განაპირობებენ მათს ესთეტიკურ მსოფლმხედველობას. ამ თვალსაზრისით

მეტად საინტერესოდ არის გაშეშებული ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაზრისით ბელეტრისტის შემოქმედება.

დ. ბენაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებისადმი ისტორიული მიდგომით ამ მწერლის თითქმის ყველა უმთავრეს, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ნაწარმოებს განიხილავს პრობლემატური საკითხების გარშემო მათი დაჯგუფების საფუძველზე. აქედან გამოიმდინარე, პირველად ის ანალიზს უკეთებს ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს („მრისინაურ ბატონი“, „უბანე სიავე“, „რანდები“), რომელთაც გარკვეული ესთეტიკური და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ დღესაც და გვიანვანებს ამ ნაწარმოებების რეალისტურ საფუძველებს. შემდეგ კრიტიკოსი იყვლევს იმერეთის თავადაზნაურობის, როგორც კლასის, რღვევისა და განადგურების ამსახველი მოთხრობებისა და ნოველების მთელი ციკლის „დანარღული ბუდეების“ იდეურ და მხატვრულ თავისებურებას, კრიტიკოსი იმ დასკვნაზე მიდის, რომ ამ ციკლის ნოველები განირჩევიან მხატვრული რეალიზმითა და დიდი შინაგანი დრამატიზმით, რაც თემატიკური მსგავსების მიუხედავად ნიკო ლორთქიფანიძის განასხვავებს დავით კლდიაშვილისაგან. ცალკე კვლევის ობიექტად არის აღებული ის მინიატურები და ესკიზები, რომლებშიც მოჩანს ნიკო ლორთქიფანიძის გადამკვეთ რეალიზმის პოზიციებიდან და მისი გატაცება იმპრესიონიზმით.

დ. ბენაშვილი დამაჯერებელ თვორიულ საბუთებას აძლევს ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ მარცხს, რომელიც განიცადა მან ნაწარმოებში „ბელიკებიდან ლიანდაგზე“. რა მოხდა? აფრებს კითხვას კრიტიკოსი და იქვე უპასუხებს.

„მოხდა, ის რაც ხშირად ხდება ხოლმე მხატვრულ შემოქმედებაში. ყოველი შემოქმედი წერს დროს გამოდის ასაწერის მასალის შინაგანი ხასიათიდან, ამიტომ შესატყვისი ფორმის მოძებნას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხასიათის სუფიერი ცხოვრების გაგებისათვის. ყოველ ფორმაში როდი შვიძლება ხასიათთა გაგება! ხასიათი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როდესაც გარეგანი ადგილმეტრი ფორმის მეშვეობითაა გამოცემული. ნიკო ლორთქიფანიძემ ანგარიში არ გაუწია რეალურ ცხოვრებაში მოხდარი მოვლენის მიერ შექმნილი ხასიათის თეისობრივ მხარეს, შესატყვისი ფორმის მოძებნის საკიროებას. მოვლენათა აღწერის დროს აღწერითი მეთოდი გამოიყენა, მაგრამ აღწერითი მეთოდი უძლურია მოძებნის შინაარსისათვის დამახასიათებელი, მისთვის შესატყვისი ფორმა, თუ არა ვინ გარემოება, შეუძლებელი იყო ასეთი ლაფსუსი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.“

ზილოდ ახალი წინაარსისთვის შესატყვისი ფორმის უფლებმფლობელნი შექმნა წინააღმდეგობა მასალასა და მის გამოსახვის საშუალებას შორის, ამის შედეგად კი — ნაწარმოების სისუსტე“ („ლიტერატურული ძიებანი“, გვ. 84—85).

ამ ამონაწერიდან ჩვენ ვგრძნობთ კრიტიკოსის მისწრაფებას, უფროსს მკითხველს არა მარტო ის, თუ რა ან როგორ გამოსახა მწერალმა ესა თუ ის მოვლენა, მოქმედება, ხასიათი, არამედ ისიც, თუ რაშია მისი მხატვრული გამარჯვების თუ დამარცხების საფუძვლები. მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზები იყვნენ მწერლის მოთრეხველი ჩვენებისა, ნიუთ ლორთქიფანიძე ჩვენს წინაშე დგება, როგორც „მოქალაქისა და მწერლის საყვარელი სახელი“, როგორც ქართული სიტყვის ოსტატი და ზღალოვანი, რომლის „ლიტერატურული შემოქმედება კართული ს. ბ. კოსთა ლიტერატურაში შედის თავისი მდიდარი და მიმზიკველი სახით“. (გვ. 85). მწერლის შემოქმედების ცვლივის, მისი ყოველმხრივი გარჩევს ასეთი სწორი პოინტიპი აოლომდე გასდევს. ბენაშვილის წიგნს. ამაშია მისი მეორე მთავარი ღირსება.

ამომწერავად და ფართოდ არის გაშუქებული წიგნში ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის ლეო ქიაჩელის მხატვრული შემოქმედება. ამ შემთხვევაში დ. ბენაშვილის კრიტიკული აზროვნება, შეიძლება ითქვას, რამდენადმე ცილდება მოცემული მწერლის შემოქმედების იდეურ-მხატვრული კვლევის ფარგლებს და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისეთი რაოდენი და დღემდე ხელუწებელი საკითხის დამუშავებას ცდილობს, როგორცაა ტიპისა და ხასიათის პრობლემა საერთოდ ქართული ზღალოვანების შემოქმედებაში. ამით აიხსნება, რომ განსაზღვრებით ეს თავი გადაჭერილია ზოგადი თეორიული მსჯელობებით ლიტერატურული ხასიათისა და ტიპის ჩამოყალიბების, მისი შექმნის, მისი საზოგადოებრივი იდეისა და ფუნქციების, მისი მხატვრული სრულყოფისათვის აუცილებელი პირობებისა და სხვათა შესახებ.

ჩვენ სასებთ ვიხიარებთ ანალიტიკური კვლევის გზით ლეო ქიაჩელის შესახებ ავტორის მიერ დებულბებების სახით ჩამოყალიბებულ ზოგად დასკვნებს, რომ ქიაჩელის რევოლუციამდელი რეალისტური რომანის მთავარი გმირი ტარიელ გოლეა, როგორც ხასიათი „დიდი ხანია დაუფა გვერდით მეტროპოლიტ საუფროსის ქართული ზღალოვანების მიერ შექმნილ კლასიკურ სახეებს“, რომ „ამავე დროს „ტარიელ გოლეა“ მიუხედავ, რომელიც „მოცე საუფროსის პროზას თვისობრივად ანახვევებს მეტროპოლიტ საუფროსის პროზისაგან“ (გვ. 124), რომ „ლეო

ქიაჩელი მეოცე საუფროსის ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს ქართული კრიტიკული რეალიზმის გზას, მაგრამ ამავე დროს ანახვევური ელფერი შეატვის ამ რეალიზმს უმარტივებითად ახალ თვისებაში გადაქცავს კრიტიკული რეალიზმის რადიკალიზაციის თვალსაზრისი“ (გვ. 151), რომ „ლეო ქიაჩელის მხატვრული ენა, დაწყებული ტარიელ გოლეადან დამთავრებული მისიკაციით, შეფარდება დროისა და ხასიათის სელიერ განწყობილბას“, რომ „ამაშია მწერლის ძალა“ (გვ. 180). და ბოლოს, რომ „ლეო ქიაჩელი მეოცე საუფროსის ქართული ლიტერატურის ისტორიაში დარჩება, როგორც სტალინური ეპოქის მხატვრული სიტყვის ერთერთი თვალსაზრის ოსტატთაგანი“ (გვ. 183). ვფელა ამ ლოგიკურ დასკვნას წინ უძღვის მდიდარ ფაქტიურ მასალაზე დამყარებული სასებთი დამაჯერებელი მსჯელობანი.

სრულიად ახლანდრად არის გარჩეული წიგნში ერთერთი გამოჩენილი საბჭოთა კომედიოგრაფის — პოლიკარპე კაკაბაძის საინტოესო დრამატურგიული შემოქმედება. ავტორი სწორ შეფედლებება ავითარებს ამ თავში, როცა წერს რომ „უფარვერად თუთაბერი“ და „კოლეორის ქორწინება“ ქართული დრამატურგიის ისტორიაში წარმოადგენებს საბჭოთა კომედიის შექმნის პირველ საუცხოო ნიმუშებს, რომლებშიაც ყოველი ხასიათი განპირობებულია გარკვეული იდეური მიზანდასახულობითა და სიციხველით.

კრიტიკული და სოციოლისტური რეალიზმის ურთიოობის პრობლემაში მდიდერი სტატია პირელი ცდაა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ამ საკითხის დამუშავებისა და გადაწყვერისა მაგრამ რამდენადაც ის მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვანი, იმდენად უფრო მერე გაშლა და გ.ღრმაეება დასკირდება შემდგომში.

წიგნში განვითარებული მთელი რივი შეზღუდულებანი და მტკიცებანი, როგორც აღენიშნეთ, შეზებნიან ისეთ საკითხებს. რომდებიც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ არა საქმით თეოოიული სიღრმით ან სრულიად არ არის დამუშავებელი. დ. ბენაშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი, როგორც კრიტიკოსი, გვერდს კი არ უვლის ასეთ საკითხებს, იოლი გზით კი არ მიდის, არამედ ცდილობს თავისებური სინაოლე, გარკვეულობა შეიტანოს მწერლის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში.

მაგრამ ეს ცდა გაცილებით უფრო წარმატებითი იქნებოდა, რომ ავტორის ზოგიერთი თეორიული აზრის წამოყენება-განვითარებისას არ გამოიჩინა გადაკაობებული დანდობა საკითარ ძალეებისადმი და უფრო მტკიცედ მოემოჯუნა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდ-

ნგობის უახლესი მეთოდოლოგიური მონაცემები-  
ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში ერთ მე-  
ტრად მნიშვნელოვანი თვორიული ხასიათის პრინცი-  
პულზე გვირგვინდა ნიუკლიოთ ავტორისა და მეთო-  
დების ყურადღება.

საკითხი შეეხება მხატვრული ნაწარმოების  
ერთ-ერთი მთავარი ელემენტების — კომპოზი-  
ციისა და სიუჟეტის როლსა და ადგილს ნა-  
წარმოების სტრუქტურაში. დ. ბენაშვილი საყრდენით სამართლიანად იტყუვა  
როცა ყოველი მწერლის შემოქმედების საერთო  
ანალიზისას საკმაოდ ფართო და კანონზომიერ  
ადგილს უთმობს ამ საკითხების გაკვეთას. ეს  
სრულიადაც არ ნიშნავს ფორმალისმით გატა-  
ციებას, როგორც ეს ზოგიერთებს აქვს წარმოდ-  
გენილი ნაგრამ ერთი საკითხის დაყენება, მე-  
ორეა მისი მართებულად გადაწყვეტა და საქმე  
ეხება სწორად იმას, თუ რაიმეხნად სწორია და  
მისაღები ის ახრება, რომლებიც ამ საკითხთან  
დაკავშირებით თითქმის მთელ წიგნში ვითარ-  
დება. მოკლემით წიგნის ავტორს.

„ნაწარმოებში ტექნიკურ ელემენტს დიდი  
მნიშვნელობა აქვს, წერს დ. ბენაშვილი, — ტექ-  
ნიკურ ელემენტში ჩვენ ვგულისხმობთ ნაწარ-  
მოების რთულ კომპოზიციას (ხაზი ჩე-  
ნია ა. თ.), რომელიც თავის მხრივ შედგება  
სიუჟეტისაგან, ფაბლისაგან და სიტყვიერი ხერ-  
ხების სხვა ელემენტისაგან“ (გვ. 292). სხვა ად-  
გილას ავტორი განაგრძობს: „სიუჟეტი, რაგინდ  
რთული და მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ის  
ნაწარმოებში მანერტექნიკურ ელემენტ-  
ის (ხაზი ჩენია ა. თ.) მნიშვნელობას იმარ-  
ჩუნებს და ის თრგანული ნაწილის (ხასიათი  
და თვითონ მწერალი) თანაბარ მნიშვნელობას  
არასოდეს არ დაკავებს ნაწარმოებში“ (გვ. 120).  
უფრო ზუსტად თავისი მოსახრება ამ საკითხზე  
ავტორს გამოთქმული აქვს წიგნი 187-ე გვერ-  
დზე. იგი წერს: „თუ გავიხიარებთ იმ დებულე-  
ბას, რომ მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს  
სინთესს ორი ელემენტისა: ტექნიკ-  
ურის (ხაზები ჩენია ა. თ.) სიუჟეტი. ფა-  
ბულა, მხატვრული შედარება და სხვ) და იდე-  
ის (თვით მწერალი და ნაწარმოებში მოქმედი  
ხასიათები), მაშინ შევძლებელია ლიტერატუ-  
რული სტილი ვაქციოთ მხოლოდ გარეგან ფორ-  
მად“.

ჩვენ ვერ გავიხიარებთ ამ შეზღუდულებას. რო-  
ცა მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციურ  
მთლიანობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში  
გვაქვს არა მისი ცალკეული ნაწილების ტექნი-  
კურად ერთმანეთთან შეერთება — შეკავშირება,  
ფორმალური წყობა დალაგება, არამედ ნაწარ-  
მოებში გამოსახულ მოქმედებათა და მოვლენათა  
ის ზინგანა კავშირი, მოვლენათა და მოქმედე-  
ბათა მიხერ შედგგობრივი განვითარების ის მი-

ნაგანი კანონზომიერებანი, რომელშიაც იმლება  
და რელიეფურად იხაება თვით ნაწარმოების  
იდეა, მწერლის მსოფლმხედველობა. აქედან ცხა-  
დი ხდება, რომ საქმე ეხება მხატვრულ ნაწარ-  
მოების შინგან რთულ არქიტექტონიკას. შინგან  
რთულ ორგანიზაციას. საქმე ეხება იმას,  
რომ კომპოზიკია გვესმოდეს ამა მხოლოდ გარ-  
რგნული ეფექტისათვის ტექნიკურად მოხერხე-  
ბული უჩალო შეერთება ნაწარმოების სხვადა-  
სხვა ნაწილების, არამედ როგორც ნაწარმოებში  
გამოსახული ხასიათებისა და მოვლენ-  
ების ორგანული მთლიანობა, რო-  
გორც ნაწარმოების თემის გაშლის,  
იდეური ამოცანის რეალიზაციის  
ძირითადი მხატვრული საშუალებ-  
ბა. ეს უნდა სწნლი კი მწერლის ოსტატობის,  
მისი შემოქმედებითი სტილის განმსახლერ-  
ლიცა.

გერ კიდევ 1859 წლის 19 აპრილს კარლ  
მარქსი ფერდინანდ ლასალისადმი მისი დრამის  
„ფრანკ ფონ ზიენგენის“ შესახებ მიწერილ წე-  
რილში, იძლეოდა რა ამ დრამის საერთო იდე-  
ურ დახასიათებას წერდა: „უპირველეს ყოვლისა,  
მე უნდა ვაქო კომპოზიკია (ხაზი ჩენია  
ა. თ.) და მოქმედებს სიუჟეტზე, და ეს მეტია  
ვიდრე შეიძლება ითქვას ყოველი თანამედროვე  
გერმანული დრამის მიმართ.“ (კ. მარქსი, ფ. ვე-  
გელსი, რჩეული წერილები, 1949 წ. კართული  
გამოცემა, გვ. 112). აქედან ჩახ. თუ რა მაღალ  
შეფასებას აძლევდა მარქსი ნაწარმოების კომპო-  
ზიციას.

ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზი ზოით-  
ხებს მოვსახოთ მოვლენათა შორის არსებული  
შინგანი მიხერ-შედგგობრივი კავშირი და ამის  
საფუძველზე მოუხადონოთ ნაწარმოების იდეური  
შინაარსის საერთო შეფასება. კომპოზიციის კომ-  
პოზენტების (მოქმედება, დიალოგ, პეიზაჟი და  
სხვ.) შემეერთებელი ღერძი ეს ნაწარმოებში გა-  
მოსახულ მთავარ გმერთა ხასიათებია, რომელიც  
ურთიერთდაპირისპირებითა და შეჯახებით ვი-  
თარდება თვით მოქმედება. ამიტომ ნაწარმოე-  
ბის კომპოზიციური ანალიზის განუყოფელი ნა-  
წილს შეადგენს მისი სიუჟეტური საფუძვლების  
გარკვევა. სიუჟეტი წარმოადგენს ნაწარმოებში  
მოცმულ მოქმედებათა მოკრეტულ სისტემას,  
რომელშიც იხატება გმერთა ხასიათები. სხვა-  
ნაირად რომ ვთქვათ, სიუჟეტში ყალიბდება  
თავისი სრულყოფილი ფორმით კომპოზიციურად  
ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოქ-  
მედება და ხასიათი, მოვლენა და მხატვრული  
სახე. ეს სწორი, მეთოდოლოგიური განსახლერა  
სამუდებლას გვაძლევს სწორად წარმოვიდგინოთ  
სიუჟეტი, როგორც მხატვრული ნაწარმოების  
იდეური შინაარსის განვითარების ძირითადი  
კომპოზიციური საშუალების როლი და ადგილი

ნაწარმოებში. ახასიათებდა რა სიუჟეტის მნიშვნელობას, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი აღნიშნავდა, რომ მასში გამოხატულებას პოელობას „კავშირი, წინააღმდეგობა, სიმპათია, ანტიპათია, და საერთოდ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, განვითარების ისტორია და ამა თუ იმ ხასიათის ორგანიზაცია“ (М. Горький, Литературно-критические статьи. 1937 стр. 589)

განა შეიძლება ის, რაც „ადამიანის განვითარების ისტორიას“ და „ხასიათის ორგანიზაციას“ გვიჩვენებს უბრალო ტექნიკურ ელემენტად ჩავთვალონ ნაწარმოებში და დავავიწოთ მის შინაგანი, აჩვენების, ძირითად ორგანულ ნაწილებს? როგორ შეიძლება ნაწარმოებში მწერლის მიერ გამოხატული იდეური შინაარსი წარმოვიდგინოთ სახეთა სისტემის, კომპოზიციისა და ენის გარეშე? ეს სამი მთავარი ელემენტი (გმირთა ხასიათები ან მოქმედი პირობები — იგივე სახეთა სისტემა, კომპოზიციკა, ენა) არსებითად განაპირობებს მხატვრულ ნაწარმოებში ფორმითა და შინაარსის, იდეურობისა და მხატვრულობის ორგანულ მოღიანობას, და ისინი ერთმანეთისათვის ისევე აუცილებელი არიან როგორც ჰერო ადამიანის სიცოცხლისათვის. ჩვენ ვფიქრობთ დ. ბენაშვილი გადისინჯავს ამ საკითხში თავის შეხედულებას.

ორიოდე სიტყვა წიგნის სტე ნაკლავანებათა შესახებ. ლეო ქიანელის შემოქმედება, როგორც აღნიშნულ, საერთოდ კარგად არის გაშუქებული წიგნში, მაგრამ მასში მაინც გვხვდება ზოგიერთი ფორმულარებანი, რომლებიც დახუსტებას მოითხოვს. წიგნის 95-ე გვერდზე დ. ბენაშვილი წერს: „კრიტიკულ რეალიზმში გვხვთა აღმოფოტებას უსამართლობის წინააღმდეგ ყოველთვის სტიქიური ხასიათი ჰქონდა. ლეო ქიანელის ნაწარმოებში კი (ლახარაკია „ტარიელ გოლუაზე“) გვხვთა გამოხედვები ორგანიზაციულ ხასიათის ატარებას, მათ ხელმძღვანელ ძალად მონანს მუშათა კლასი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე რაზმი“. ეს დებულება კრიტიკული რეალიზმის მიმართ შედარებით სწორია. მაგრამ ცალკე აღებული დახუსტებას საკიროებს.

ლეო ქიანელის „ტარიელ გოლუაში“ გვხვთა მოძრაობა, როგორც 1905 წლის ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ტიპიური მოვლენა, არ ატარებს ორგანიზაციულ ხასიათს და არც მუშათა კლასის მოჩანს ნაწარმოებში, როგორც გვხვთა მოძრაობის „ხელმძღვანელი ძალა“. ეს საესებით შეფარდება მოცემული ეპოქის ისტორიულ სინამდვილეს. თავისი ხასიათით გვხვთა მოძრაობა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში იყო დაქსაქსული, არაორგანიზებული. ლენინი აჯამებდა

რა რევოლუციის დამარცხების მიზეზებს, თავის მოხსენებაში 1905 წლის რევოლუციის შესახებ, რომელიც გაათათა მან 1912 [წელს] 22/1/1912 წლის ციურისში მუშათა ახალგაზრდობის მიერ მოწვეულ კრებაზე, ამბობდა: „სამწუხაროდ, გვხვნი მოკუდებდნენ მეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ სათანადო შეტევის უნარს, და ეს არის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი რევოლუციის დამარცხებისა“ (ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, ქართული გამოცემა, 1951 წ. გვ. 327). „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ კი ვკითხულობთ: „რევოლუციაში ვერ კიდევ არ იყო მუშათა და გვხვთა მტკიცე კავშირი ცარიზმის წინააღმდეგ“. რევოლუციაში მუშები ყოველთვის შუთანხებულად რთვი გამოდიოდნენ, და მუშათა კლასმა, რომელსაც ვერ კიდევ არ ჰქონდა თავისი საკუთარი რიგების ერთიანობა, ვერ შეძლო გამოდარიყო რევოლუციის ნამდვილი ბელადი“. (გვ. 114—115.). როგორ შეცდომო ლეო ქიანელს ამ ისტორიული სინამდვილის საწინააღმდეგოდ „შეღამაზებულად“ წარმოვიდგინა ეპოქის ცოცხალი სახე? მაშინ ზომ დაკარგავდა იგი ესოდენ მხატვრულ დამაჯერებლობასა და დიდ შეშუქებითს ლირებულებას? ნაწარმოებში ბოლიას პიოად მოწვეული გვხვთა კრება 1905 წლის რევოლუციის პერიოდში საერთოდ გვხვთა ორგანიზაციული დარაზმულობის ტიპიურ განსახიერებად არ ჩაითვლება. იგი ამ მოძრაობის უფრო კარნაქცილობისა და შეხლუღულობის, ერთ სოფელში მომწვედვის მარცხებელია.

179-ე გვერდზე დ. ბენაშვილი წერს: „ლეო ქიანელს დიდი ხანია რაც თავის ესთეტიკურ მსოფლმხედველობად აქცია სოციალისტური რეალიზმი. მისი პირველი ძლიერი გამოვლენა მწერალმა მოკცეა „ჰაიე აძაზში“, ბოლო უმაღლესი ფორმა „გვადი ბიგვანი“ და „მთისკაცი“. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი სათავე მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში „ტარიელ გოლუაში“ იწყება, მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების მხატვრული ფორმის ანალიზის საკითხებთან დაკავშირებით ავტორს გამოყენებული არ ჰქონდეს ი. ბ. სტალინის გენიალური საენათმეცნიერო მოძღვრება, მაგრამ მკითხველი 1952 წელს გამოცემული წიგნისაგან ამ მოძღვრების საფუძველზე ნაწარმოების მხატვრობის, მისი ენის უფრო ღრმა და ფართო ანალიზის მოვლოდა.

რამდენადმე დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს მონაგრავული მიმოხილვა სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაზე, უმართებულად მიგვაჩნია 1950 წლის აგვისტოში დაწერილი

წინასიტყვაობის წამძღვარება 1952 წლის ივნისში გამოცემული წიგნისათვის.

მაგრამ მიუხედავად ამ ნაკლავანებებისა და ბენაშვილის წიგნში განხილული თემები და

პრობლემები ინარჩუნებს აქტუალურ მნიშვნელობას ქართულ საბჭოთა ლიტერატურის იდეური ზრდისა და სრულყოფისათვის.

აქ. თოფჩიაძე

ბიზლიობრაჟია 1804 წლის აჯანყების შესახებ.



1804 წლის აჯანყება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს მოედო, მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ საკითხზე არსებული აუარებელი დოკუმენტების მეტი ნაწილის გარეგნის პირველი ცდა გვუთენის ალ. ფრონელს (ყიფშიძე), რომელმაც 1898 წ. გამოაქვეყნა სპეციალური შრომა („მთიულეთი 1804 წელს“), ვ. ტოგონიძის შრომა „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წ.“ ამავე საკითხს არკვევს.

შრომის დანაწილება ცალკე თავებად უფრო უადვილებს მკითხველს გაცნობს აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას რუსეთთან შეერთების წლებში, აჯანყების მიზეზებს. მსვლელობას, მონაწილეებს და ბოლოს მისი დამარცხების მიზეზებს.

შრომის პირველ თავში ავტორი გრძელად განიხილავს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და სათანადო შეფასებას აძლევს რუსეთთან შეერთების ფაქტს. მასალების მიმოხილვის საფუძველზე ავტორის ყურადღება ჩერდება საბჭოთა მთავრობის კომისიის ყორის დადგენილებაზე, სადაც ნათქვამია: „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა—მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო... მეორე პერსპექტივა მაინც უმცირესი ბოროტება იყო“ (გვ. 17).

რუსეთთან შეერთება „უმცირესი ბოროტება იყო“, ვიდრე ოსმალურ სპარსული აგრესია, რომელიც კრიტიკულად საქართველოს მამამდიანურ ოკეანეში ჩაძირავს უკადა, ეს ნათლად ჩანს ავტორის იმ დასკვნებიდან, რაც იმპროვიზირებული ვითარების მიმოხილვის შედეგადაა მიღებული. მართალია, მეტად მძიმე იყო ქართველი ხალხისთვის კაპიტანისპრავნიკების მთარაბების ზეზონი, უცხო დაწესებულებები, ქართული ვინის განდევნა და რუსეთის გაბატონება, მაგრამ ავტორის მხედველობიდან არ გამოარჩენია ის გარემოება, რომ რუსეთთან შეერთებას თავისი დადებითი მხარეებიც გააჩნდა.

მთელი რიგი დოკუმენტებით, თეთი თფიციალური რუსი ისტორიკოსების შრომებიდან და საქართველოში მყოფი რუსი მოხვედრების დოკუმენტებიდან მტკიცდება, რომ „საქართველოს გადარჩენა დალუპვისაგან“ ცარიზმს ესმის, როგორც რუსეთის ინტერესების დაცვა აღმოსავლეთში“ (გვ. 19—20), რომ საქართველოს ბედი ისე გადაწყდა, როგორც, ეს ცარიზმის ინტერესებს შეესაბამებოდა და, რომ „ახალი გუბერნია (—საქართველო— ვ. ი.) უნდა იყოს მისი შედეგში შეტვივითი პოლიტიკის ბაზა კავკასიის იქით და უწინარეს ყოვლისა ამიერკავკასიის იმ პროვინციების მიმართ, რომლებიც სომხებით არის დასახლებული“. (გვ. 33). ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმსაც, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველო ფიზიკურად გადარჩა, არ შეეწირა ოსმალურ-სპარსულ აგრესიას.

რუსეთის შემოსვლის ფაქტს კიდევ იმტომ აფასებს ავტორი დადებითად, რომ საგარეო სიმშვიდის მოპოვებამ ქართველი ხალხი ეკონომიური და კულტურული წარმატების გზაზე შეაყენა და მანამდე ცალკეულ ნაწილებად დარღვეული XIX საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ გაერთიანდა და ჩამოყალიბდა, როგორც ვრი.

1804 წლის აჯანყების მიზეზების ნათელსაყოფად ავტორი გვაცნობს XVIII—XIX ს. ს. მიჯნაზე მცხოვრები ქართველი გლეხობის მდგომარეობას.

„სახელმწიფო და ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი დაქვეითებისა და უზედურების მთელი სიმძიმე გლეხობის ზურგზე გადაეტანათ“ (გვ. 53). ხშირი იყო გლეხობაზე ყანადური თავდასხმა, ტყვეებად წაყვანა და გაყვლა. შრომაში მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტებია მოყვანილი, ყრბოდ ზახა და პაატა ციციშვილების ბანდიტური მოქმედება, რომელნიც საციციანოში მომხდარი შინაშლილობის ნიადაგზე ჯაჟახეთში გაქცეულან და იქიდან აწარმოებდნენ თავდასხმებს თავის ყოფილი ყმა გლეხებზე, ზოლო მოტაცებულთ ყიდდნენ იმერეთსა და თურქეთში. მაგრამ მეფის ხელისუფლება საქართველოში იმდენად დაძაბუნებული იყო, რომ ვერ შესძლო

ამ მოთარევე ბანდიტების აღგზმა და მითთან ისევ დათმობაზე წასვლას რჩებოდა. თეიმურაზ მეორემ სხვა რომ ვერაფერი შესძლო „საქციანონოში დაბრუნება შესთავაზა მათ“. (გვ 55) აქვე ვეცნობით გლეხობის ორმაგ ბეგარას — მემამულისა და სახელმწიფოსი, რაც სიღებუიერგში მეოფ გლეხებს უარეს მდგომარეობაში აყენებდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცემული სპეციალური კანონები, რომ შეეშსებებინა გლეხების აუტანელი მდგომარეობა, ბეგის არაფერს იძლეოდა.

ცარიხში მთავარ დასაყრდენს ხედავს თავად-ახანრობაში. ციციანოვმა მიანიჭა წით ყვლა უფლება და უპირატესობა „რუსეთის ტაბატის დასაყრდენ კეთილშობილთა წოდებისა“. ამ მაღლა წოდების თავის სასარგებლოდ გამოყენება კი ცარიხში შ.სძლო გლეხთა ექსპლოატაციის ხარჯზე. გლეხების აუტანელი ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ პირველი მასობრივი აჯანყება დაიწყო 1804 წლის გაზაფხულზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მთიულეთი, მთხევები, ხევსურები, ფშაველები და ოსები.

მეორე თავის მეოფ განჯოფილებაში განხილულია ქართლის მთიანეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. მთელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობისა და სამეურნეო ბასიათის განმარტველ ერთ-ერთ ფაქტორად აეტორი მიიჩნევის იმ გეოგრაფიულ პირობებს, რომელიც მთას ახასიათებს და ბარსაგან განახვევებს. ამ მხრის საინტერესო ცნობებს გვაწოდის ჭილაშვილი, რომელიც მთის მკრთველად ითვლებოდა და 1827 წ. „ფინანსთა მინისტრის კანკარინის დეკლარებთ ადგენს მთის სამეურნეო მიმოხილვას და მოავრობას უდგენს თავის ნაშრომს“. (გვ. 65) ჭილაშვილის ცნობების განხილვისა და მისი ვახუშტიველ აღწერილობასთან შედარების საფუძველზე აეტორი დ ასევის, რომ ამოთას ასი წლის განმავლობაში ცვლილება დიდად არ ეტყობა, გარდა იმისა, რომ საქართველოს სახედრო გზაზე, გასაგები მიზნებით, განპიროყველებულა მიმოსვლა, რასაც თავის ორბიტში მიუტყველა ამ გზის პრას მტროფრუნიკ\* (გვ. 66—67). ამ დებულების დასაბუთებულად აეტორს საკითხის უფრო ფართოდ განხილვა მართებდა, რადგან ვაქობის განვითარება ისეთი ფაქტორია, რომელიც უდიდეს ცვლილებებს იწვევს მეურნეობის ყველა და-გში და ამდენად თქმა იმისა, რომ ასი წლის განმავლობაში მთამ ცვლილება არ განიცადაო დახუსტებას მოითხოვს.

მათალია ვ. ტოფოშიძე გარკვევით ანბობს რომ გზაზე ვაცხოველებულმა მ მოსკლამ თავის ორბიტში მოაქცია ამ გზის პირას მკხოვობნიც, მაგრამ რა ცვლილებები შეიტანა ამ მოვლენამ

მთის ეკონომიკაში, როგორი შ.წით წარმართა მეურნეობის თეიფეული დარგის განვითარება — გაურკვეველი რჩება, მაშინ, როდესაც სათანადო წყაროების ვაპოვნებით მშეგნებულა პრის დასაბუთებული ის გარემოება, რომ „საქართველოს სამეფდრო გზაზე ს.ე.ჭრო მიმოსვლა გაანდა უფრო კიფრე XVIII-საუკუნეში, ქართველ მეფეთა დროს, როგვსაც მას ოსეთის გზა ან „ოსეთზე გავლის გზა“ ეწოდებოდა“. (გვ 67).

აეტორი აქვე გვაცნობს საბაო ტარიფებს და იმ მიზეზ სუგადასაბაო სისტემას. რომელსაც „სარუსო“ ეწოდებოდა და რომელიც საშინელ ტვირთად დააწვა ორგვარი გადსახადით (კალანი — მიწის გადსახადი და კომლობრივი გადსახადი) დაბეგრულ გლეხობას.

ხალხური გამოსეზიდან ეხადად სჩანს რომ XIX საუკუნის დასაწყისოდან მთაში (მაგ. ხეში) სოფლის მეურნეობის განმარტველ ფაქტორს მეცხვარეობა შეადგენს, ხოლო სათანადო წყაროებიდან (რომელსაც აეტორი ასე უხვად იყენებს) ეტუბილობთ, რომ დარიალის გზით ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ახალმა ძალამ ხევის პოლიტიკურ-ეკონომიური უძრავობა დაარულია და კარსაკრტილი მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების ოცლებზე შეაყენა.

ბიუროკრატი-ჩინი ენიკებთან ერთად მომრ:ვლდნენ ხარჩი ვაქობები, რომელთა საბრუნავ საკონულს მატული, ტყევი და ბორცი შეადგენდა. ვაქობის განვითარებამ დააჩქარა გარეთ გასვლის პროცესი, რასაც შედეგად მოყვა საკეთარი მეურნეობის ერთ დარგის, მიწათმჭერეებისადმი ხერგის შექცევა, ხოლო მეორე დარგის — მეცხვარეობა-მესკონლეობის განვითარება. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მწირ ნიადაგზე ხვს თესვასთან შედარებით მეცხვარეობა ნაკლებ შრომასა და მუშა ხელს მოითხოვდა, ხოლო შემოსავლი მეცხვარეობიდან ვაკრლებით მეტრ იყო, ედრე უნაყოფო ნიადაგზე მოფვრილი მაცვლველი კულტურებიდან. ცებორიდან მიღებული შემოსავლით მას საშუალება ეძლევა შეგროვოს ფული. წაიადეს საკეთარი ტრანსპორტით ჩიდილოეთ კაცასიის უმეოსავლი.ნი ველებისსაცენ და ფულით შეიძინოს მისთვის საჭირო პერეულია მ რაგი.

საქონებრუნეისა და მეურნეობის განვითარების ეს პროცესი ერთბაშად არ წარმოშობილა. ასეთი მდგომარეობის პირველი ანარეკლი იყო გზის პირად მდებარე სოფელი, რომლის შესაბებ გზიდან შორს მდებარე სოფელი მთხევე სამართლი.ნად აღნიშნავს: აყენი (ე. ი. გზის პირად მეცხვარეობი ვ. ი.) დუტისი და ბ. ხრის ხალხი არიანო\*, მაგრამ არსებულ მგვრამაოვობას დიდხანს ვერც გზოდან მოშორებული სოფელი ინარტუნებს და ისიც ახალი ცხოვრების დერბულში ებებია. საქართველოს სამეფრო

გზაზე მოძრაობისა და ვაჭრობის გაცხოველებადი და დიდი უწყობა ხელს შეერუნებას ყველა დარგის ცვლილებებს და ამდენად ზეგავლენით არ იქნებოდა ავტორის უფრო მეტი სიფართოვით განხილვა დასმული საკითხი.

ამავე კვლევები ვ ტოგონივე განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს შიგნითის პოლიტიკურ ვითარებას და აქვადებს: „... რაც შეეხება შიგნით ხეობებს: ხევს, თრღოსს, შიგნულეთს, გუდამაყ რს, ხანდოსა და პატონალს (არას ვამბობთ თუშ-გუშ-ხევსურეთზე) აქ ბატონყმობა არ ყოფილა და აქ-ური მოახლოება ყოველთვის უშვალად მეთეს ვიორჩილებოდა“ (გვ 72).

როდესაც შიგნით სოციალურ პოლიტიკურ მდგომარეობას ვუხვებით და დასვენებს ვაკეთებთ. ხახი უნდა გავსვათ იმ გარემოებას, რომ ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაში შიგნით არ დასწოლია ბატონყმური უღელი. მაგრამ ეს როდი გვაძლევს იმის უფლ ბას, რომ საერთოდ უარყოთ ბატონყმობის არცებობის ფაქტი თვით გვიანფეოდალურ ხანაშიც. ძნელი იმის ვადპრით თქმა, თუ რა დროიდან იწყება შიგნით ბატონყმური ურთიერთობის განვითარება, მაგრამ ჩვენ შევედებებით მკერფოდეტი კორექტივის შეტანას დასმული საკითხის დახსენების იხილით, არსებობს ბაქა-ის მიერ იასე თვტურბანის ძე ხეთაგურის სახელზე გა ემული სიგელი. (დედანი ინახება ნ. ხეთაგურის ოჯახში, ხოლო ფოტოასლი ყაზბეგის მუზეუმი).

ეს დოკუმენტი გვაუწყებს, რომ ხევის სამი სოფელი, მთელი იმის აკგილმამულით, ბაქარს გაუსაჩუქებოდა იესე და პაპა თუქურბანისძე ხეთაგუროზე მათი დამსახურების გამო, მაგრამ ყურადღებას იქ იდეს მხოლოდ უფრო საყურადღებო მომენტით, კერძოდ ის, რომ ეს სოფლები, ამ წყალობის სიგელის ვაცემამდეც ხეთაგურების საექსპლუატაციო ყოფილა, რადგან დოკუმენტში ლაპარაკია ნაქონი სოფლის სიონის და გარბანისა შე ანებ, ხოლო სიგელის ხელმეორედ ვაცემა „წყალობის“ განახლების მავწყებელია.

არსებობს სხვა სიგელიც — (ადამა ყოანგოხოშილის წყალობის წიანი ვაცემული ისე ჭკარულზე), რომელიც აგრეთ ე ყაზბეგის მუხუნში ინახება. მიუხედავ დ იმისა, რომ დაცემული სოფლები ამ დოკუმენტში მოხსენებული არ არის, ფაქტია, მაინც ის ვარემოება, რომ სიგელში მოხსენებული ქემიონული მოხეების ვარკვეულ ნაწილზე ბატონყმობა და მოითხოვდა იმ სამსახურის ვაწევას, რაც მოურავს ვვალდოდა ქემიონელის ყმების მიმართ. ქემიონელის როგორც ბატონია, იასე ჭკარულის როგორც მთავი მიტრავის და დოკუმენტში დაუსახლებელი (ხოლოდ ხოვადად აღნიშნული) ყმების არსებობა, ბატონყმური ურთიერთობის პირდაპირი მანქნელებია.

წერილობით დოკუმენტებს ამჯრებს ხელნერი ვაცემოცემებიც მოხუცების მონათრობიდან ირკვევა, რომ ზემოხსენებულ მკრქმს უჭირდა ხევის დაპარახმობდენ სებას მისხმარისმწყდობიცი: სოფ. ვაიბოტენში და სოფ. ვარბანში გუჯარიძეების ვერზე ბატონყობა ჩადილელი, სოფ. ართხიში (ხევსურები ცხოვრობენ) ბოქარო, სოფ. ჯუღაში (აქაც ხევსურები მოსახლეობენ) სუხაც ლუდშაური. სინს ხეობაში შიოლა ლუდშაური და სხე.

განსაკუთრებული სისასტიკითა და ვერაგობით გამოიხჩყოდა ხევის ცნობილი მტარალი შიოლა ლუდშაური, რომლის შესახებ ზალხურ ლქმში ნათქვამია:

„შიოლაც ლუდშაურიც, შვამს ზიხარ ვრისთვისასა; აღარც ჭალს ინდობ, აღარც კაცს, აღარც ბალეს ერთის თვისასა. პირიდან ცეცხლსა მებად ჭერი, კლდეს ადნობ ბასრის ქვისასა“...

შიოლა არაგვის ერისთავების წყალობით ვაძლერდა, დაისაკუთრა სინს მავარი ციხე და მთელი სინს ხეობის („სინს წყალის“) ბატონპატრონად მოგვევლინა XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე. შიოლა ლუდშაურისა და იმდროინდელი ვითარების ცოცხალ სერათს ბატავს აღ. ყაზბეგი თვის ორ დავშთაერეულ მოთხრობაში („შიოლა ლუდშაური“ და „ნიონი“), რომლებიც შიოლზე შექნილი მოხვეუერი ლქმების ვარიანტებს ვყრდნობიან.

ასევე სიმწევით აღინიშნა ჩოფიკაშვილების საგვარეულოს ერთი შტო ვერის ყაზბეგების დესპოტიზმი, რომელიც შედარებით ვარვად არის ცნობილი მკათხველი სახოვადოებისათვის და ამაზე აქ აღარ შეჩერდები. ჩვენს მიერ მოცემული მკორე მასალოდ ამ შეიძლება დავაკენათ. რომ ხევის ბატონებს, დაცემული მოხეების ერთი (აწილის ოჯახების აწილება ათარებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ და იათი პარაში თითქმის ოქტომბრის რევილუციამდე ვროდდებოდა. (საკითხი ვრცლად იხ. პოჩოლ კობაიძის ვამთი ს. მაკალათასადმი მიმართული, სავად კობაიძე უაყოფს მაკალათიას მტკიცებას — შიგნით ბატონყმობის არარსებობის შესახებ. — ვახეთი „ახალი ხევი“ № 16—17; № 18—19; № 21; 1946 წ. წერილის სათაური — „ხევის ისტორიისათვის“).

ამჯერად, წარმადგენილი მიმოხილვიდან ირკვევა, რომ XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე ბატონყმობა შიგნით ვარკვეულ ხონში უკვე ფაქტია და მის ხლეგობის ექსპლუატაციის სიმწევით იმე ნაიათს ლებ ლობს, როგორც ეს ბატონყმური ურთიერთობისათვის ცოლა ნამანდა-

დღი. ამიტომ ამ მოვლენის უგულვებელყოფა მიზანშეწონილი არ არის.

შრომის მესამე თავში, რომელიც რვა პარაგრაფად არის დაყოფილი, გაშტეტულია თვით აჯანყების ისტორია.

პირველ პარაგრაფში ვეცნობით აჯანყების მიზეზებს, რომელიც შეპირობა ერთის მხრივ ცარიზმის მიმე კოლონიურმა რეჟიმმა, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი ფეოდალების მიერ გლეხთა აუტანელმა ექსპლოატაციამ. აჯანყების მიზეზების ნათელსაყოფად ავტორი იყენებს „აქტების“ მეორე ტომში დაბეჭდილ დოკუმენტს, რომელიც თბილისში მყოფმა ვოლკონსკიმ გაუგზავნა ციციანოვს ქ. გრევიანს 1804 წლ-ს 11 ივნისს. ვოლკონსკი ამ დოკუმენტს უწოდებს „არაგვის მთიელთა პრეტენზიებს“, ხოლო საარქივოგრაფიო კომისიის აქტებში მოხსენებულია, როგორც „მთიელთა აჯანყების მიზეზები“.

მეორე პარაგრაფში ვეცნობით აჯანყების ხელმძღვანელებს (გვ. 85—90) და ირკვევა, რომ აჯანყების ხელმძღვანელები იყვნენ არა მარტო ბატონიშვილები (ესენი იდეურა ხელმძღვანელები იყვნენ), არამედ მთის მკვიდრნი შვილიც (შ. ბურდული, ლ. ნახლაძე, ს. გმირიძე და სხვები—პრაქტიკული ხელმძღვანელები). „ეს კი წმინდა ხალხურ ხასიათს აძლევს მთიანეთის აჯანყებას თუნდაც მარტო იმ დროშივე, სანამ მას სათავეში ჩაუდგებოდა ფარნაოზ ბატონიშვილი“ (გვ. 86).

მომდევნო პარაგრაფებში გარკვეულია აჯანყების მსვლელობა, აჯანყების სათაედაცხო სიმარცხეები, აჯანყების მსვლელობაში შექანილი სამი ძირითადი დაჯგუფება (ზევის, ციხისძირის და ლომისის).

„სამივე ეს დაჯგუფება ერთი სტრატეგიული გეგმით მოქმედებდა, ხოლო ტაქტიკური ამოცანები თითოეულ მათგანს ცალკე ჰქონდა განსაზღვრული“ (გვ. 93).

ცალკე პარაგრაფშია განხილული აჯანყების მარცხი და აჯანყებულთა გასამართლები. აჯანყების შეთურების და სასამართლოში მიცემული პირების მხილება უფრო მეტი სიფარ-

თოვით შესძლო ავტორმა იმ ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რამელიც უდღემდ არ იყო გამოქვეყნებული. უფრო აქტიურად და აღ. ფრონელის შრომის მიხედვით 70 კაცი ჩანს, ამიერიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება 300-მდე კაცი. ამავე პარაგრაფში, „აქტებში“ დაბეჭდილი საბუთების მიხედვით, გარკვეულია თრი პარტიის პოზიცია: 1) ვ. წ. რუხელი პარტია, რომელიც იმპერატორის ბრძანებისა და მისი მოხელეების მითითებების უწყმიანოდ შესრულებულია ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე და 2) ავტორი „ანტირეჟიმულს“ უწოდებს, რომელიც „მითხოვს არსებულის გადაბალისებას და მოსაზრებას კი“ (გვ. 131). გარკვეულია აგრეთვე პარტიზების სამ ნაწილად დაჯგუფების საკითხი მათი „დანაშაულის“ მიხედვით.

განხილული პარაგრაფი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც დ. მყარებულია არქივში ახლად აღმოჩენილი დოკუმენტების შინაარსზე, რომელიც ამ წიგნის ბოლოშია დართული (გვ. 149—170).

უკანასკნელ პარაგრაფში დადგენილია აჯანყების განვითარების ოთხი ძირითადი ეტაპი.

მართალია ამ აჯანყებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ „ცაოიზმის ზღლისუფლება საქართველოში იძულებული გახდა მოხელეთა თავაშეებულება, თუ ვერა მოესპო, შეეზღუდა მინც, მოეწესრიგებინა ბარგზიდვის ანახლურების საკითხი, რაც ასე მძიმე ტვირთად აწეა მთის მცხოვრებთ და ერთ-ერთი მიზეზი იყო მთის აჯანყებისა“ (გვ. 144). გლეხთა აჯანყება 1834 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მარცხით დამთავრდა, რადგან „გლეხთა აჯანყებები შეიძლება გამარჯვებით დამთავრდეს მაოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მუშათა აჯანყებებთან ერთად ხდება, თუ მუშები ხელმძღვანელობენ გლეხთა აჯანყებებს“ (ი. ბ. სტალინი — საუბარი გერმანელ მწერალ ვილ ლუდვიგთან, 1932 წ. გვ. 12).

პალ. ითონიშვილი







ი. ბ. სტალინი — სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე . . . . . 3  
 ნათელი ზგა კომუნისტიკა — შოქინავე წერილი . . . . . 6

შალვა ამისულაშვილი — ქართველ დღევანდელ ქალს, ლექსი . . . . . 14  
 მარლამ შურაშვილი — დღევანდელ სიტყვა, ლექსი . . . . . 15  
 ილია ხოშბარია — მშობლიურ პარტიას, ლექსი . . . . . 16  
 ლადო ავალიანი — ახალი პორიზონტი, რომანი. დასასრული . . . . . 17  
 ალექსანდრე ტვარდოშვილი — ვასილ ტორიკინი, თარგმანი ოთარ ქეციციას . . . . . 39  
 ელიზბარ ზედაზინიძე — ჯილდო, მოთხრობა . . . . . 62  
 ვ. ბილ-ბალოცხიშვილი — უბრალო პაციენტი, მოთხრობა. თარგმანი ე. ტორიკინისა . . . . . 78  
 დ. ლომიძე — შეუი შეა ქალაქიდან, ნარკვევი . . . . . 83

პ. რაბინიანი — ილია ქავთაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ, წერილი . . . . . 92  
 მ. დუდუჩავაძე — იაკობ ნიკოლაძე, წერილი . . . . . 117  
 ბიძინა ლორთქიფანიძე — საცხოვრებელი სახლის ნაციონალური ფორმისათვის აქტიუტეტურაში, წერილი . . . . . 132

სიმონ წმინდარაძე — სიმღერები სამშობლოზე, მშვიდობაზე და მეგობრობაზე, ბიბლიოგრაფია . . . . . 142  
 ბ. მამარაძე — მ. ლებანიძე, საბავშვო ლექსები, ბიბლიოგრაფია . . . . . 145  
 ვლ. ჯიბუშვილი — მ. შრევიშვილის საბავშვო ლექსები, ბიბლიოგრაფია . . . . . 148  
 შ. სულაბერიძე — ვ. თორდუა, „მკვდაზდილის თვალით“, ბიბლიოგრაფია . . . . . 150  
 პროფ. დავით კობიძე — ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, ბიბლიოგრაფია . . . . . 152  
 ს. ხუციშვილი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი, ტ. III, IV და V, ბიბლიოგრაფია . . . . . 155  
 ბ. შურაშვილი — „მათო ლოგიურ-ნატორიკური სექციის ტექნიკა“, ბიბლიოგრაფია . . . . . 158  
 ახალი წიგნები . . . . . გარეყანის მე-3-ე.

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბინაშვილი, ნიკო კაცორავილი, სანდრო შანთიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი ზილიანი.

ბელოწერილია დასბეჭდოდ 25/XI-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10.  
 ში 16047. შეკეთის № 594. ტირაჟი 6.000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.  
 Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.